Г 357
2006

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციხეები

№ 2
2006

სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალი
www.opentext.ge/tsiskari



პოეზია

გურო ყაფლანიშვილი

დავითიანი წიგნიანიძე

ფრიდონ სალეოსში

ანოტაციანი ფიქრები
ზეთ (ვაზრიოძიძე)

პროზა

თამარ სამანიძე

ზაზა ყანდაურიძე

პეტრესა ჭეიშვილი

წერილები

ალექსანდრეული ზ. ვაჩნაძეებისა

ჯანი ჯანელიძე

დიალოგი ვეფხია:
აუხაზეთი, არსებობისაც,
იგივე ქარაფეტლები არიან...

დიალოგ

ანა კალანდაძ

ურამ ქუთათელაძე ნატურმორტი დოქით, 1974 წ.

გურამ ქუთათელაძე ნატურმორტი თაიგულით, 1976 წ.

გურამ ქუთათელაძე ნატურმორტი ფიალებით, 1974 წ.

გურამ ქუთათელაძე ნატურმორტი წიგნებით, 1978 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არს ქრისტეს კვართი

უწმინდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ს

ეს რა ნათელი დანათის მცხეთას?!.
ნათელი არა, — არს ქრისტეს კვართი,
მამულო ჩემო, მოვსულვარ შენთან
ნათელმოსილი შენივე ნათლით.

ვარ ცრემლთა შენთა კურცხალი ერთი,
ვარ ნაღვენთალი მე შენი სანთლის,
შენ კი ხარ ჩემი ხატი და ღმერთი
და სიკვდილს შენთვის სიკვდილად არ ვთვლი.

მე ვარ მლოცველი მაგ შენდა ფერხთით,
გული ჩიტივით მკერდქვეშ ფართქალებს,
თუკი მოხდა და მე მოვკვდი შენთვის
იგი სიცოცხლედ ჩემად ჩათვალე.

არაგვზე ისევ დასცეს ბადენი
და მართლის პინა ქანაობს ისევ,
ჩვენ მხოლოდ შენთვის დავიბადენით
და არ ჩავქრებით არასდროს მზისებრ.

არა ცალ-ცალკე, არამედ ერთად,
სულ კაკალ-კაკალ, ნეტავი, რად გვთვლი?!.
გავემგზავრები როდესაც ღმერთთან,
ამ გამგზავრებას ნყალობად ჩავთვლი.

საკურთხეველზე სხივი დაეშვა,
ეს სხივი არა, — სვეტია ნათლის,
თუ გაგიქარვებ დარდს და კაეშანს, —
არაფრის მქონე თავს მდიდრად ჩავთვლი.

ვარ შენი შვილი,
ვარ შენი მონა,
ეს სულ ერთია, იმ მთის თუ ამ მთის,
ჰა, გული ჩემი — გაჰკვეთე ორად,
ამ გულს უშენოდ მე გულად არ ვთვლი.

არა ტაოთი, — არამედ მცხეთით
შემოდის ნინო, მზე მოაქვს კალთით,
მამულო ჩემო, თუ მოკვდი შენთვის,
მე სიკვდილს ჩემსას სიცოცხლედ ჩავთვლი.

ან სად იწყები,
ან სად მთავრდები?!
არც დასასრული და არც სათავე,
მაგ უკვდავების მე ვარ თავმდები
და უკვდავებად ჩემად ჩათვალე.

ვხედავ, არაგვი მტკვარს როგორ ერთვის
და ილტვის მტკვარი გზის დამოკლებით,
მამულო ჩემო, მე გავჩნდი შენთვის,
და, რა თქმა უნდა, შენთვის მოვკვდები.

ჯანო ჯანელიძე



Georgian National Museum

გურამ ქუთათელაძე

ნატურმორტი ქანდაკებით, 1974 წ.

ჟურნალი გამოდის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის სულიერების, კულტურისა და მეცნიერების ალორძინების ფონდის თანადგომით

ციხეები

№2
2006

სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალი
www.opentext.ge/tsiskari

დაარსებულია 1852 წელს, აღდგენილია 1957 წელს

მთავარი რედაქტორი:
ზაურ კალანდია

სარედაქციო საბჭო:
ბაღათერ არაგული
ელზა მეტრეველი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მერაბ შათირიშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი)
ვახტანგ ხარჩილავა

მთავარი მხატვარი:
გიორგი ნერეთელი

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
ირაკლი ხუციშვილი

კორექტორი:
ნანი ჭულუხაძე

დაიბეჭდა გამომცემლობა „საარის“ სტამბაში

პოეზია, პროზა

5. გენო კალანდია. ლექსები
15. თამაზ ხმალაძე. აღსარება. მოთხრობა
17. დალილა ბედიანიძე. ლექსები
22. მურმან ჯგუბურია. შინაური გარემო. რომანი. გაგრძელება
46. ფრიდონ ხალვაში — 80. ლექსები
53. მამუკა დოლიძე. მოთხრობები
59. ირაკლი ციგროშვილი. ლექსები
62. გელა ჩქვანავა. მოთხრობები
76. ლევან ზარიძე. ლექსები
80. ირმა ხურცია-ანდრიაძე. ამნეზია. მოთხრობა
87. რობერტ მესხი. „სონეტები ზარდახშიდან“. ლექსები
91. ციცი გურიელი. მარადისობაში დამარხული მზე. ნოველა
97. მაგდა კოტრიკაძე. ჩივა. მოთხრობა

დიალოგი

101. ბოლომდე მადლიერი ვიქნები ჩემი ბედის და ჩემი მკითხველის...
ქალბატონ *ანა კალანდაძეს* ესაუბრება ჟურნალისტი *მარიკა კახაძე*
104. ახლა ბერობა ხანძთელის უნდა...
არქიმანდრიტ შიოს (გაბრიჭიძეს) ესაუბრება ჩვენი კორესპონდენტი *გვანცა აგდალაძე*
არქიმანდრიტი შიო (გაბრიჭიძე). ლექსები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი თარგმანები

113. ადონის სამარაკისი. ერთი შემთხვევა. მოთხრობა
თარგმნა ანი უძილაურმა

ისტორიის გაჯვეთილები

116. დიმიტრი გულია. აფხაზები, არსებითად, იგივე ქართველები არიან...
თარგმნა დალი ყალიჩავამ

წერილები

124. კონსტანტინე ზ. გამსახურდია. „იგი სიკეთით გახლდათ საცნობი“.
მერაბ კოსტავას გახსენება
128. ჯანო ჯანელიძე. ღვთიური მშვენიერება, ანუ ნააზრევი ნააზრევისა
133. ეკა გუნთაიშვილი. ფერთა საკითხი გია ბუღაძის თეორიულ ნააზრევში
135. მზევინარ ძირკვაძე. ზურაბ გორგილაძე ქართულ კრიტიკაში

ეროვნული ბიბლიოთეკა



F9955
ბიბლ

გენო ჯალანდია

ციკლიდან **„ლაზარეს ტირილი"**

კომპოზიცია ქარებზე

27 სექტემბერი

ქარები ჩურჩულებენ,
ქარები ხარხარებენ,
გუგუნებს ტანჯულის ზარი,
ქარები — მძარცველები,
ქარები — ყაჩაღები
ხეობის საორბე კარით.

ქარები სისინებენ,
ქარები ზუზუნებენ
ტყვიების ურიდი ენით,
ქარების მძევალი ვარ,
ქარების სანინდარი,
უფალო, მომხედე დევნილს.

ქარები ვიშვიშებენ,
ქარები ქირქილებენ,
— იყუჩე, ცოდვილის შვილო,
ბუჩქიდან ბუჩქებამდე,
ღელედან მდინარემდე
ჩიტივით გაფრენას ვცდილობ.

ქარების ბასიანი,
ქარების ბასტილია,
გვამები... წყვდიადი... ცივა, —
ყინულის ფორთოხლები,
შროშნები, გვირილები
შაქარყინულივით ბზინავს.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიცოცხლე სიზმარია,
სიკვდილი სინამდვილე, —
შავი მზე, შავი ცის ფარდა,
ქარივით მიღალატეს,
ქარივით მიმატოვეს
მწუხრის დღეს — ქალაქის კართან.

ქარივით მომიძულეს,
ქარივით მომიკვეთეს,
ძაღლივით დამტოვეს მარტო,
შვიდი დღე ვქვითინებდი,
შვიდი დღე გშორდებოდი,
ნამივით უმანკო ვარდო.

ხევიდან ხეობამდე,
კარვიდან კარვებამდე,
თოვლი თოვს... სისხლის დგას ტბორი,
ქარივით მარტვილი ვარ,
ქარივით მაწანწალა,
უფალო, შეუნდე ცოდვილთ!

ᲓᲐᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲔᲞᲘᲡᲢᲝᲚᲔ

თვითმფრინავი აფრინდა ცაში,
დასავლეთით აიღო გეზი,
პარიზი, ვენა — საქორწინო გიხდება კაბა
ჩემთან ერთად და მზესთან ერთად.

იფრინე, ჩემო სიჭაბუკევ, ოცნებით ცაში.
. . . . . .
სანგრის კიდესთან ჯარისკაცი ფორთოხალს ჭამდა,
ჩვენ ვიცინოდით, ჩვენ ვყვებოდით ტყუილს და მართალს, —
როგორ აართვა ჭიანჭველამ შაშხანა სპილოს.

ცა ჩამოინგრა... გადაიხსნა ჭალ-წყალამ მაჯა.

ფარშევანგის ფრთასავით სველი
მოჩანდა ძველი ნავსადგური... და თევზის ქუჩა
სასაკლაოს, სასისხლეს ჰგავდა.

ცა ჩამოინგრა... გადაიხსნა ჭალ-წყალამ მაჯა.

და ჩვენი სისხლი ხვრიპეს და სვლიპეს...
და ჩვენი ძვლები მგლებივით ტკვირეს...

ჩვენ ალმოდებულ სანგრებში ვრჩებით.

საქართველო გვიყვარდა ბიჭებს,
საქართველოს ვუყვარდით, ნეტა?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

იფარის თეთრი კვიცი — ბალადა ალეკო კორძაიაზე

ყიული შარტავას მეგობართან — ალეკო კორძაიასთან ერთად საკენში მივფრინავდი. დევნილებთან პური მიგვქონდა. ღამდებოდა, ვჩქარობდით. სირბილ-სირბილში გ ზად ახლობელს პურის ნაჭერი მივაწოდე. ვიგრძენი, მშიერი იყო. ვერტმფრენმა ოცი წამით გამასწრო... ერთ საათში ხალხით სავსე ის ყანგისფერი თეფში მთებში ჩამოვარდა.

ოქტომბრის მკვდარი საღამოა,
მზე იწურება ბზესთან ერთად და სისხლთან ერთად,
სასჯელის ძელზე თავი უდევს მრუდსა და მართალს.

ჰაერში აფეთქდა ალეკო კორძაია, —
ყიული შარტავას მეგობარი,
მე იმ ვერტმფრენზე ოცი წამით დამიგვიანდა,
სულ ოცი წამით დამიგვიანდა.

პური მიგვქონდა უმწეო და უიღბლოთათვის,
მე იმ სიკვდილზე ოცი წამით დამიგვიანდა,
სულ ოცი წამით დამიგვიანდა,
ალეკო კორძაია, — სვანის ბიჭო!

ლუკმა გავტეხეთ და — გავიხარეთ,
ჭიქა ავიღეთ და — დავიზაფრეთ,
ტყუპი ძმებივით ცრემლი ვღვარეთ...
გაგრა, ბიჭვინთა მოვიგონეთ, —
ღვთის გულ-ღვიძლივით დაგლეჯილი.
ყიული შარტავა მოვიგონეთ, —
კაცი — მამულის გულის ძგერა,
გენო ადამია მოვიგონეთ, —
ვეფხვი ხერხემალგადაჭრილი;
ალეკო კორძაია — სვანის ბიჭო!

საკენ-ჭუბერით გადმოსული
ვახტანგ ფრუიძე წინ დამიდგა, —
მშიერ-მწყურვალი, გატანჯული,
ფიქრით და ჯავრით გალეული,
პურის ნაჭერი მივაწოდე, —
მეგონა, ღრუბელი მივაწოდე,
უფლის ცრემლებით დალტობილი;
ალეკო კორძაია — სვანის ბიჭო!

პური მიგვქონდა უმწეო და უიღბლოთათვის.
მე იმ სიკვდილზე ოცი წამით დამიგვიანდა;
სულ ოცი წამით დამიგვიანდა.

მე იმ მწვერვალზე ვერ ავედი,
ვერც შენი ძვლები მოვაგროვე,
გული მღალატობს და — შემეშინდა,
მოკვდავი ვარ და — შემეშინდა,

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ალეკო კორძაია, — ოქროს ბიჭო!
პარტახი ქვეყნის მკვდარო ნიჭო,
ბიმურზას ძევ და დალის შვილო,
აწ მიწის კვამლო და ნახშირო,
საკენ-ჭუბერის მწუხრის მგზავრო,
ამერ-იმერის ზარის ზარო!
. . . . . .
ალეკო კორძაია — სვანის ბიჭო,
იფარის თემის თეთრო კვიცო!
მე იმ სიკვდილზე ოცი წამით დამიგვიანდა,
სულ ოცი წამით დამიგვიანდა.

პატარა ამორძალი

ანანოს

აპრილის ბაიავ და
მაისის მინდვრის თვალო,
სრულიად საქართველოს
პატარა ამორძალო,
თუთა ხარ — თუთარჩელი,
სიზმარი იდუმალი,
შენს ღიმილს ინატრებდა
ოდიშის დედოფალი.
ია ხარ — თვალჟუჟუნა,
სურათი საკვირველი,
წყაროსპირ მოციმციმე
ახალი მზის სურნელი.
წყალი ხარ ნაკურთხი და
ილორის თეთრი სურა,
პოეტის ანდერძი და
პოეტის ბოლო სუნთქვა.
აპრილის ბაიავ და
მაისის მინდვრის თვალო,
სრულიად საქართველოს
პატარა ამორძალო!

ᲪᲮᲔᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲜᲐᲦᲕᲔᲚᲘᲡ ᲔᲞᲘᲡᲢᲝᲚᲔ

I

აღარც ძველი თონეა,
აღარც კვამლის ღრუბელი,
ირგვლივ მხოლოდ თოვლია
ბავშვის ნაფეხურებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჰმე! — ზამთრის რცხილებო,
ვაჰმე! — ნაბდის ქედებო,
ნეტა, თუ ხართ ცოცხლები,
ძველო ზუგდიდელებო?!

ლაზურ-მეგრულ სიმღერის,
ნარდის დიდოსტატებო,
ღმერთმა თქვენი სიცოცხლე
კიდევ დიდხანს ინებოს.

ზეიმობდით, ზეობდით
ჯიშით-სისხლით-წარსულით,
ძველქართული ზნეობით,
ძველკოლხური სასმურით.

უქარქაშო ხმლებივით
ელავდით და ბრწყინავდით
და მაცხოვრის სახელით
სულ ქართულად ნირავდით.

II

ვერ დავლაშქრე ქვაციხე,
ვერც აფხაზეთს ვუშველე
და ბებერი ცხენივით
თქვენკენ გამოვეშურე.

ვერ გავმდიდრდი, ვერ დავთმე
დღემდე ჩანგის სიმები,
ვერც ნაღველის სამეფო,
ვერც ოდიშის წვიმები.

აღარც გვიმრის ღობეა,
აღარც მწვანე ველობი,
ჩონგურივით ვღელავდი,
ოდენ მეფერებოდით.

გამობრძანდით, გამოდით
თქვენი დივან-კარეტით,
საყდრის იადონივით
თვალუუჟუნა ქალებით.

. . . . . .

ვაჰმე! — ზამთრის რცხილებო,
ვაჰმე! — ნაბდის ქედებო,
ნეტა, თუ ხართ ცოცხლები,
ძველო ზუგდიდელებო?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაზარეს ტირიფი

რა ცეცხლი, რა სიმღერა,
რა რიტმი, მელოდია,
ფშაური მოტივივით —
ტყის ვარდი, ბზის ტოტია.

მაისის ნექტარია,
თიბათვის ლიტანია.
ხან შოთა, ხან ტატოა
და მაინც — სულ მარტოა.

ხან მეფის ქიტონია,
ხან მწყემსის ქალამანი,
ხან ტაო-კლარჯეთია,
ხან ოშკის გალავანი.

ქარების ჯვრისწერაა,
ქორების ორთაბრძოლა,
ხან მგლების ყმუილია,
ხან მათი ძვლების გროვა.

ქალწულის გულქანდაა,
დედოფლის ოქრომკედი,
ო, როგორ შევიცვალე,
ო, როგორ დაგიბერდი.

სიტყვიდან სიტყვებამდე
სულ გეტრფი, გენაფები,
ღვთისმშობლის ღიმილივით
სიზმრებში მეცხადები.

ო, როგორ გვიმღერია,
ო, როგორ გვილოცია,
არაგვის კალმახივით
სულ ტუჩზე მიკოცნია.

რამდენი გვიფიქრია,
რამდენი გვიტირია,
იქ, ბორცვზე რომ შრიალებს,
ლაზარეს ტირიფია!

ოდოია-ოდის მოპატიჟება წაჩხურობაზე

ოდოია-ოდი,
მეგობარო ზევსის,
ფეტვისფეტვით, ღომით,
ოჯალეშის ფესვით
დის ქორწილში მოდი.

ოდოია-ოდი!

საჩონგურე ლარით,
საკალანდო ხონჩით,
ასერგასი ხარით,
მოჩახჩახე ხომლით
ძმის ქორწილში მოდი.

ოდოია-ოდი!

სადადიო ბონდით,
თარჩიებით, დოღით,
სამირონე კორდით,
საზურმუხტე ჩოხით
ძეობაზე მოდი.

ოდოია-ოდი!

თაფლისკვერით, თაფლით,
სამაინძლო გობით,
ხავსისტუჩა ჩაფით,
საღვთო ჭვიშტარ-მჭადით
ნათლობაზე მოდი.

ოდოია-ოდი!

დაფნის მორჩი ტოტით,
ნაძვის სანთელ-კვარით,
ღრუბლის ლურჯი ზოდით,
ჩვენი ციხე-კარის
კურთხევაზე მოდი.

ოდოია-ოდი!

წყალანკარა ფონით, —
ორჩხომელით, ნავით,
ღვთის უმანკო კრავით
უძველესი ტომის
დღეობაზე მოდი.

ოდოია-ოდი,
ოდოია-ოდი!

უსახელო ეპისტოლე

არ მახსოვდე — არ იქნება,
ბზიფის ქარდაკრულო ველო,
ბოშა ქალის კაბასავით
ნისლო — ტყისპირ გასაშლელო!

აბა, როგორ დავივიწყო
შენი უსახელო ლელო?!
ხეო, სიძულვილის ხეო, —
ასგზის სრულად მოსაჭრელო!

ავადჰარას ღრუბელივით
სახეგაუხსნელო დარო,
აფხაზური ცხენის ფაფარს
ბრუნდად ჩახვეულო ქარო!

ვარდის, იაგუნდის დარად, —
ზღვაში ჩავარდნილო თვალო,
შემოდგომის ელვასავით
გაგრას შემოკრულო ხმალო!

იმ უბედურ შაბათ-კვირას
გზისპირ დაგლეჯილო შველო,
ქუჩის თავს და ქუჩის ბოლოს
მკვდრებით გატენილო სკნელო!

სოფლის გარს და სოფლის წიაღ
ზარებს შელეწილო ზარო,
სისხლდაცლილი ზვარაკივით
თვალებდაშრეტილო წყარო!

ხიზანთა და უპოვართა
ბალახგადავლილო სვრელო,
ჯაჭვის ძველი პერანგივით
მუმლით შებინდულო სერო!

ორ ქედშუა გვიან ღამით
ჭურვით გადახნულო ჭერო,
უფლის ნათლისმცემელივით
ბექობს შემომდგარო ბერო!

ჯვარით, წამებულის კვართით
მინდვრებს შეფენილო მრევლო,
არ მახსოვდე — არ იქნება,
ბზიფის ქარდაკრულო ველო!

შემოდგომის ღამის განწყობილება

ოუ, ნანა! —
მოლივლივებს ცათაპირ სევდა,
მწუხრის ფრთასავით ეფინება არესის ჭალებს.

დედათა ლურჯი მონასტერი დაჰყურებს სოფელს,
ვით ანგელოზის მძინარე აკვანს.

ლებარდეს თხემზე მგალობელთა ამოდის გუნდი.

თუ ჩემი ცრემლი, გახარება ნამდვილად გინდა,
თუ ჩემი მშვიდი სიკვდილი გინდა,
მიმღერე, როგორც დედაჩემი მღეროდა ძველად:
„მზე — დედაა ჩემი,
მთვარე — მამაჩემი,
ხვიჩა-ხვიჩა ვარსკვლავები
და და ძმაა ჩემი".

რა ნაღვლიანი ღამეა გარეთ,
რა სევდიანად ანათებს მთვარე!

ქალაქური

ვინც საირხეს ოქროს ჭრიდა,
იმ ხელფურჩის შეგირდი ვარ,
ვინც ხახულის ხატებს ქმნიდა,
იმ ოსტატის ღვიძლი ძმა ვარ!

ვინც მიმინოს ცერად ზრდიდა,
იმ სწორფერის ერთგული ვარ,
ვინც არაგვზე ბადეს შლიდა,
იმ კაი ყმის ერთგული ვარ!

ვინც აფხაზეთს უმკურნალებს,
ჩემი ფიქრი — ალალ მისი,
ვინც შეაღებს ბზიფის კარებს,
ჩემი სიტყვა — ალალ მისი!

ვინც დავითის გზებით ივლის
ჩემი სისხლი — ალალ მისი,
ვინც სამშობლოს შეკრავს ფიცით
ჩემი გული — ალალ მისი!

ვინც ილორის მზეს მიპოვის
ჩემი სახლი — ალალ მისი,
ჩემი სუნთქვა — ალალ მისი,
ჩემი ლოცვა — ალალ მისი!

ლაკადელ მწყემსთა ეპისტოლე

ლებარდეს ქედზე შემოდგომამ შემოდგა ფეხი,
აცივდა უკვე,
მოისართა ხეობა ვერცხლით.

ჩვენ ნახირს ვმწყემსავთ!

ვადუღებთ რძეს და ვადედებთ მაწონს,
მთვარის გულივით ამოგვაქვს ყველი
ალუმინის თეთრი ქვაბიდან.

იქ,
დაბლა ბარში ოჯახი ჭმუნავს...
მეწყერს მიაქვს წელმაღალი სიმინდის ყანა,
სოიოს ღვარი, ნარ-ეკალი და მინდვრის ბარდა,
გუგუნებს ხევი და მდინარე და ზართა ზარი.

ჩვენ ნახირს ვმწყემსავთ!

გულს გვიჭამს ღამე და მგლის ხროვა,
ქირქილებს ქარი, ქარბორბალა და ქორის ბუდე
მკვდრადშობილი ჩვილივით გდია.

ჩვენს წესს და ადათს,
ჩვენს უბრალო ქოხსა და კარავს,
ჩვენს ქამარ-ხანჯალს და ნაბდის ქუდებს
ვუფრთხილდებით, ვით მშობლის სახელს.

ვადიდებთ მზეს
და
ვაღმერთებთ მთვარეს.

მიწაზე, როგორც ნაღვერდალზე, ვდგავართ და
ვღელავთ,
ჯებირივით ვამაგრებთ ნაპირს.

მფარველო ტყეთა და ნადირთა,
წყალთა, ჭალაკთა და ქარიშხალთა,
გაგვითენე მშვიდობის დილა,
სხივების წნულით შემოღობე ჩვენი ახორი,
დაგვიფარე ავი თვალისგან.

ჩვენ ნახირს ვმწყემსავთ!

მწირი

ოთარ მიქაძის ხსოვნას

უკანასკნელად შეხედა უფალს,
უკანასკნელად აღმოხდა: ღმერთო!
ჩამოუგორდა ლოყაზე ცრემლი.
.....
თვალდანისლული, კრავივით მშვიდი
მიადგა შავეთს, — ჰადესის ტაძარს,
ხელის კანკალით შეაღო კარი
და განაპირდა ბინდების მხარეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაზ ხმალაძე

ალსარება

ცოტა ხანს დაეხსენი მაგ სარკეს, შე გასახარელო, შენა. იმისთანას რასა ხედავ შიგა, რო თვალი ვეღარ მოგიშორებია? როგორ არა გწყინდება მიჭვრიტანაში მაგდენი ცქერა? მოდი, მოდი, დაჯექი აქა და ყური კარგად დამიგდე, რასაც გეტყვი, სამომავლოდ შენ თუ არა, შენს შვილებს უსათუოდ გამოადგებათ. ნუ, მაგას ნუ მეტყვი: არა მცალიანო, მაგით ნუ მომიშორებ თავიდან. თუ იმიტომ მერიდები, რო ბგონია: რჩევა-დარიგებას მიპირებსო, ნურც ეგ შეგაშინებს — ჩიჩინითაც არ შეგიწუხებ გულსა. განა არ ვიცი, რო ახალგაზრდებს ჭკუის სწავლება არ გიყვართ; ორი სიტყვის თქმას არ დააცდით ადამიანს, იმწუთას აიკლირსებით, შეხტებით და შემოტრიალდებით ხოლმე, იწყენთ. არა-მეთქი, მე ჩემი ბალღამი და ზარავანდი მაწუხებს, კი არ გარიგებ, გულისჭირს გიზიარებ მხოლოდ. ან ეხლანდელებს ჭკუის სასწავლი რა გჭირთ, ეშმაკს აიყვანთ შეგირდადა... ჰოოო, აეგრე, შვილო, დაჯექი, დაჯექი აქა.

მე სუმუდამაც იმის მათქვამი ვიყავი და ვარ: ადამიანმა ისეთი არაფერი უნდა შესცოდო, რაც ღმერთმა შეიძლება შეგინდოს, მაგრამ თვითონ ვერასოდეს აპატიო საკუთარ თავსა-მეთქი. ეგ კია, თქმა ადვილია ამისა, ასრულებაა ძნელი. მოხდება ეგრე, ხშირად შენდა უნებურადაც, იგეთ რაღაცას ჩაგადენინებს მზაკვარი წუთისოფელი, რო მთელი სიცოცხლე ცხვირში ამოსაკრავი და სანანებელი გაგიხდება შენი ნაქნარი. ჯერ თავიდან ეგრე ბგონია: ხანი რო გავა, მეშველება, მომშორდება გულიდან და წარსულს მიეფარებაო, მაგრამ არა! ის მუდრეგი იმისთანა დროს წამოგაგონდება, იმისთანა დროს გიყელებს და აგინევს ყურსა, რო შხამად გიქცევს ყველაფერსა.

საწყალი ბებიაჩემი, დედაჩემის დედა, უპატრონო დედაკაცი იყო — ვაჟი არა ჰყავდა — სანთლად მარტო ერთი ქალიშვილი ენთო. როცა ასაკი დაეტყო და მოუძლურდა, ქალ-სიძესთან გადმოვიდა საცხოვრებლად, აბა, მეტი რა ჩარა ჰქონდა, სხვას ვის მიეკედლებოდა? უთქმელი, უწყინარი ადამიანი იყო, არაფრის დამშავებელი — წლები ისე გავიდა, ხელში ისე ჩაგვაბერდა, ოჯახში ყოფნას ვერც კი შეიტყობდი იმისას. ღვთის წინაშე, მამაჩემიც ქრისტიანულად ექცეოდა, ზედმეტი არაფერი უკადრებია, ის არ უთქვამს: წინა ჰზიხარ, უკან მიჯექეო.

აბა, იმ დროის ხალხში ხო ზიარება დიდად მიღებული რამე გახლდათ — უცვალებელ, მოუშლელ წესადა ჰქონდათ დადებული, და ამ ჩემმა ბებიამაც, სიბერისაგან უკვე გააკარაკებულმა და ჭკვაარეულმა (ეგე ეხლა სკლეროზს ეძახით თუ რაღაცა ჯახნამას, ალბათ, ისა სჭირ-

და), აიტეხა: გინდა თუ არა, მაზიარეთო. იმას კი არას დაგიდევდათ, რო სხვა ხანა და დროება დამდგარიყო — მღვდლები აღარსად იყვნენ; ერთი სილნაღში შემორჩენილიყო და თუ მოვუყვანდით, იქიდან უნდა მოგვეყვანა. აბა, იმის დრო და ნუთისოფელი ვისა ჰქონდა, ისედაც საქმე თავ-პირს გვაჭამდა. ის კიდე ატყდა და აღარ დადგა, შეაწუხა დედაჩემი, დაინახავდა თუ არა, დაიწყებდა წუწუნს:

— ეხლა მე მალე მოვკვდები, შვილო, და მღვდელი მამიყვანეთ, აღსარება უნდა ვთქვა.

გეგონება, მღვდელი ჩვენს მეზობელ კომლში ცხოვრობდა და იმ საღამოსვე გადმოვგვრიდით.

— იყავი შენთვის წყნარად, ადამიანო, სააღსარებო რა გაქვს, — აშოშმინებდა დედაჩემი.

— არა, გენაცვალე, უნდა ვეზიარო, — თავისას არ იშლიდა ბებია, — შენს მეტი მიმხედავი ვინა მყავს, შვილო, იმას ნუ იზამ, რო უზიარებლად ჩავიდე მიწაში.

— კარგი, ეგრე ვიზამ, ოღონდ ცოტა მოიცადე, — ეუბნებოდა შებეზრებული დედაჩემი, — შემოდგომამდე რაღა დარჩა.

რო ძალიან შეგვაღონა და აღარ გაჩერდა: — გოგო, იქნება შენ მოუხერხო რამეო, — დედაჩემმა მითხრა. თორმეტიოდე წლისა ვიქნებოდი მაშინ — ალი, ახტა-ჯანა, ეშმაკისფეხი — ცარიელ თავში ქარს შტვენა გაუდიოდა. აბა, მე დედაჩემის წაქეზებაღა მინდოდა? ახალი გასართობი, ახალი სამაიმუნო გამომიჩნდა და რაღას დავიხვალიებდი, მაშინვე შეეუდექი სამზადისსა: ერთი სამგლოვიარო შალი გვქონდა, შავი, მუხახისა, ის წამოვისხი, წინადან გულისპირად ჰირსახოცი ავიფარე, აი, როგორც მღვდლებზე გინახავს, ჩვენს მასწავლებელს რაღაცა მაღალი ქუდი ჰქონდა, ვთხოვე და დავიხურე, დიდი, თეთრი წვერიც გავიკეთე მატყლის ფთილებისაგან და აეგრე მოვდივარ ორღობეში.

დერეფანში ტახტზე ინვა ბებიაჩემი და: — მოემზადე, აგე მღვდელი მოდისო, — დედაჩემმა.

წამოჯდა საწყალი, თავისი ჭკუით კაბა ჩამოისწორა და სკუპია ეგრე — ერთიბეწვა, მიმჭკნარი, დალეული.

მე კიდე მოვდიავარ ორღობეში და, რაც უბანში გოგობიჭობაა, მომდევს უკან, თან იხოცებიან სიცილით. გამოუვარდათ მამაჩემი, გედეერია და მიფანტ-მოფანტა: — გადაიკარგენით აქედან, ჩვენს ორღობეში არ დაგინახოთ, თორემ ჩემს მეტი ჭირი ნუ გინდათო. თქვენც ულელები ხართ და ესენიც, აჰყოლიხართ მსგავსი მსგავსსაო. გავთავდი კაცი, ხალხო, რას არ მოიგონებენ ეს ჯილაგძაღლები, მაინცადამაინც მთელი სოფელი თავზე უნდა შაიხედიონო.

იქამდე დედაჩემმა ორიოდე სიტყვა მასწავლა, რასაც ზიარებისას იტყვიან ხოლმე, ჯამში კიდე ალუბალი ჩავწურე, ვითომ საფერავია, და იმით უნდა ვაზიარო.

მივედი. წამომჯდარი დამხვდა, თან რაღაცნაირად შემომყურებს და მე არ ვაცალო, რო მოგონდეს:

— გნამს უფალი? — ვეკითხები.

— მწამს უფალი!

— და აღვიარებ?

— და აღვიარებ! — ისიც მეუბნება.

კიდევ ვუთხარი რაღაცები, ის ალუბლის წვენი ჩავაყლაპე და გამოვბრუნდი. მოვდიავარ. ცოტა რო გამოვცდი, თვალს გამოვერიდე, ავჩქარდი, ი შალზე ფეხი დამედგა და ზედ მამაჩემის ცხვირწინ მოვადინე ბღარტანი.

— ეგ ცოტააო, — მითხრა მამაჩემმა, — მეტის ღირსები ხართ შენცა და დედაშენიცაო. რა გინდათ მაგ დედაკაცისაგან, რას აწვალებთ, რას ამასხარავებთო, — გატრიალდა და წავიდა.

— აჰა, ეგეც ეგრე, ხო გაზიარა, დედი, რო აღარა ჰჩერდებოდი, ეხლა ხო მაისვენებ? — დედაჩემმა ჰკითხა.

— მაზიარა, ჰო, მაზიარა, მაგრამ ეგ რომელი მღვდელი იყო, გოგო, რატო ვერ ვიცანი?

— ნათიძე იყო, დედი, სიღნაღელი ნათიძე...

— ნათიძე, ნათიძე... ვერა, ვერ ვიხსენებ, არ მაგონდება... აბა, ეგ რანაირი მღვდელი იყო, შვილო ?

— რა იყო, რას უწუნებ?

— რა იყო და ორიოდე სიტყვა მათქმევინა და მორჩა, მოათავა, რაც სათქმელი მქონდა, არ მათქმევინა. სხვებმა ეგრე არ იცოდნენ ხოლმე.

— ეხლა სხვა დროა, დედი, სხვანაირი მღვდლები არიან, არა სცალიანთ და ჩქარობენ.

ამის მერე დადგა და დადგა, აღარ მოუთხოვნია ზიარება. მიწყნარდა, მიწყნარდა და ცოტა ხანში მიიცვალა კიდეც.

აჰა, მას შემდეგ ხო სამოც წელზე მეტი გავიდა, ვერა, ვერ იქნა და ვერ დავივიწყე ეგ ამბავი. ხო პატარა ვიყავი, უჭკუო, უგუნური, მაინც ვერ მიპატიებია ჩემი თავისთვინ. რაც უნდა კარგ ხასიათზე ვიყო, ეგ რო წამომაგონდება, მომეშხამება, მომეწამლება გუნება. მომეწურება, იგრე მომეწურება გული, გეგონება, ის საზიარებელი ალუბლის წვენი აქედან უნდა გამოწურონო...

2004.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

დალილა ბედიანიძე

●

ო, ლექსებად ამოხეთქავს
სიხარული, მწუხარება.
არ შემეძლო, რომ არ მეთქვა,
რა ჰქმნა გრძნობის მქუხარებამ.
ვეზიარე ღვთიურ სიტყვებს,
ღვთიურ გრძნობებს ვეზიარე
და ვწერ ლექსად, რაც შევიტყვე,
როს ვუსმენდი უფლის ზარებს.
ვით კოცონში ნაკვერცხალი —
ლექსის ალში სიტყვა ღვივის,
როგორც მდინარეში წყალი,
ანდა — მზეში ცხელი სხივი,
სიტყვა გულში იბადება
და გადადის გულით გულში
და გამგონი მიმიხვდება,
რად არ მხიბლავს ტაშიტუში.
ო, უფალო, დამიფარე,
ნუ მომაკლებ შთაგონებას.
მე ლექსით ვძლევ ჩემს ბედს მწარეს...
დე, აღსრულდეს შენი ნება!

●

ვარდს დავთესავ, ვარდი მხვდება,
ამისათვის გმადლობთ, ღმერთო!
ყველაფერი, რაც კი ხდება,
ხდება ჩემდა სასიკეთოდ.
გმადლობთ, ღმერთო, რომ დამბადე
და რომ თვალი ამიხილე,
ამაშორე სევდის ბადე,
გამალაღე და მალხინე!
გმადლობთ, ღმერთო, რომ მყავს დედა!
ნუ წამართმევ ნურასოდეს!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიყვარული მომეც ბედად,
ტანჯვა — ჰქმენ, რომ არ მახსოვდეს.
ღმერთო, ნატვრა ამიხდინე
და მაჩუქე ერთი შვილიც,
რომ გავზარდო, როგორც გინებს,
ბედნიერი, ფრთებგაშლილი!
დაილოცოს შენი ძალა,
შენს სიკეთეს ვით აღვწერთო!..
შემინდე, რაც შემეშალა,
ყველაფრისთვის გმადლობთ, ღმერთო!

●

უფალო, ვცოდავ, მერე ამ ცოდვებს
გამოვისყიდი ჩემი ლექსებით.
როგორ არ ვცოდო, ნეტავ, ვიცოდე!
როს ვწერ, ვგრძნობ, როგორ მეალერსები.
ერთი რიგითი მოკვდავი ვარ და
ვარ შენი სამწყსოს ცხვარი, უფალო!
ვინ შემიყვარებს შენებრ შენს გარდა?
ვის ძალუძს, ცოდვა ღმერთს დაუფაროს?
ღმერთო, მოგმართავ ათასი ნატვრით
და ჩემს სურვილებს ლოცვებში გიმხელ.
ჩემო პატრონო, ვერვის შეგადრი,
პირჯვარს რომ დამწერ, გიკოცნი იმ ხელს.
ჩემს ნარსულსა და აწმყო-მომავალს
სულ შენი ზრუნვის ატყვია კვალი.
შენს დღესასწაულს დამასწარ მრავალს,
ყოფნა მიჩვენე კეთილი თვალით.
მე კი მოკვდავთა წესისებრ ვცოდავ,
ფეხქვეშ ქანაობს ეს ბეწვის ხიდი.
თუმცა — ლექსებს რომ ვწერ, არ არის ცოტა —
ლექსებით ცოდვებს გამოვისყიდი.

„ლექსები ლიზიზე"

სევდიანი თვალები
და შვლის ნუკრის მზერა.
ბაგეები — ლალები...
გივიწყებენ? ვერა!
კვიპარისო მაღალო,
როგორ მოირხევი.
ო, ვარსკვლავო ახალო,
იწევ ზევით, ზევით.
ლიზი, ნათლით მოსილო,
ლიზი, შუქთა მფენო,
გშვენის ტანზე ოქსინო,
სიხარულო ჩვენო.
გესალმებით მოცინარს
(არ გამძიმებს წლები)

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ფეხებს გიკოცნიან
მინდვრის ყვავილები.
ყვავილებში — ყვავილი,
ნაზი და ფაქიზი.
შენ შენი გზით ჩაივლი
ლიზი! ლიზი! ლიზი!

●

აჰა, უკვე შინა ვარ
მძაფრ ბრძოლებით დაღლილი.
ბედმა ააყირავა
ჩემი დროშა დახრილი.
ვპოვე მხოლოდ ლექსებში
ჩემი ბედნიერება.
გაზაფხულის მზე შემშლის,
სიმღერა მომერევა.
უფლის მიმართ აღვავლენ
სინანულის გალობებს.
ზეცის მკვიდრნიც ნახავენ,
სულნი როგორ წვალობენ.
ალბათ, მზეც შემეწევა,
მზე — დედისკენ მავალი.
ლექსთა ლექსიც მეწვევა,
დავხვდები ჭირმრავალი.
ლექსში გამარჯვებაა,
რაც ცხოვრების მარცხია.
ვიწყებ ღმერთთან ჯერ ბაასს,
შუბლს მირონი მაცხია.
შინ ვისვენებ, მომელის
მე ბრძოლები ახალი.
გამარჯვების მდომელი
ვტკბები ცხრა მზის ხარხარით.

●

გუშინდელი გოგო ვარ და
გუშინდელი ბიჭი მიყვარს,
ჰაი და ჰარირა!
და ჩახჩახა მზეს შევხარი,
ფერხთით მგლისებრ მიწევს ქარი,
ჰაი და ჰარირა!
რა კარგია გათენება!
რა კარგია დაღამება!
ჰაი და ჰარირა!
სიყვარულით გათანგული
არ წყნარდება ჩემი გული,
ჰაი და ჰარირა!
მიჯნური ვარ ხანიერი,
სულ ჩემს სიყვარულზე ვმღერი,
ჰაი და ჰარირა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავს ვევლები მე ჩემს რჩეულს,
ვით პეპელა — ყვავილს ჩვეულს,
ჰაი და ჰარირა!
ღმერთო, სიყვარულისათვის
გმადლობთ! დაკარგულად არ მთვლი,
ჰაი და ჰარირა!
დამლოცე და მადღეგრძელე,
შეჭირვების ჟამს მიშველე,
ჰაი და ჰარირა!
გუშინდელი გოგო ვარ და
გუშინდელი ბიჭი მიყვარს,
ჰაი და ჰარირა!
არც რა მახსოვს ამის გარდა,
ბედმა ვეღარ დამიბრიყვა,
ჰაი და ჰარირა!

●

ორშაბათ დილა გათენდა,
რირა-ორერა.
ქარიშხალი ამოვარდა
რირა-ორერა.
ნეტავ, ვის რა მოგველისო,
რირა-ორერა.
მზე გველეშაპს ჩაუყლაპავს,
რირა-ორერა.
ახლა გვინდა დიდი გმირი,
რირა-ორერა.
აგვაშოროს გასაჭირი,
რირა-ორერა.
სიხარულად შეგვიცვალოს,
რირა-ორერა.
შიშისაგან რაც რომ ვტირით,
რირა-ორერა.
გაგვიცოცხლდი, ამირანო,
რირა-ორერა.
შენს მიჯაჭვას ღმერთი ნანობს,
რირა-ორერა.
დაგვიმარცხე ქარიშხალი,
რირა-ორერა.
და იმედი მოგვეც ხვალის,
რირა-ორერა.
ორშაბათ დილა გათენდა,
რირა-ორერა.
გვაძახინა „ვაი დედა!"
რირა-ორერა.
აირია კაცი, ქალი,
რირა-ორერა.
ღმერთო, ვაი ჩვენი ბრალი!
რირა-ორერა.

კარეტა

ქარზე სწრაფი, იდუმალი
მიქრის დროის კარეტა.
მიბარბაცებს მთვარე მთვრალი
უცნობ არემარეთა.
სულები და აჩრდილები
გარშემო გვახვევია.
გვხვდება უჩინმაჩინები
იქ, სადაც ღრმა ხევია.
კარეტისთვის სულ ერითა
გზებიც და უგზოობაც.
ჟღერს მუსიკა... ეს ვერდია,
„რეკვიემი" მყოობადს!
ირგვლივ ღამე, მხოლოდ ღამე...
საით მივექანებით?
ნუთუ ფრენას ჩაგვაშხამებს
სიკვდილი მობრძანებით?
ქარზე სწრაფი, იდუმალი
მიქრის შავი კარეტა
და იფარავს უფლის თვალი
მათ, ვინც დარჩა გარეთა.

●

შემაცნობინე შეუცნობელი
და გზა მიჩვენე, უფალო ჩემო!
მეორედ მოსვლას, ო, როგორ ველი,
რომ უკვდავების გავიგო გემო.
უფალო ჩემო, გაგიხსნი გულს და
მოხედე ჩემთა კეთილთა ზრახვათ.
რწმენაა, არა ზღაპრების გუდა,
რომ ვკვირვობ მე შენს საქმეთა ნახვას.
ნეტარ არიან მშვიდნიო, გითქვამს,
მათ დაიმკვიდრონ სასუფეველი.
მშვიდი ვარ, ღმერთო, და ჩუმი, ვით ქვა,
აღდგომის ღამის მუდამ მთეველი.
შენ ხარ სინათლე ამ ჩემთა თვალთა,
ხარ სილამაზე დაუსაბამო.
ლოცვით მოგელტვი, აღვმაღლდე რათა,
რათა ფეხები ცრემლით დაგბანო.
შორს წუთისოფლის აურზაური!
ხშირ აღსარებებს მოძღვარს ვაბარებ.
ისმინე ჩემი გულის ხმაური —
მხევალი შენი დალილ-ბარბარე!

ეროვნული ბიბლიოთეკა



მურმან ჯგუბურია

შინაური გარემო

რომანი

ნაწილი მეორე

საღამოს ბაზარი

(ქალაქი)

1.

სასადანიოში, ცხადია, მეტწილად სადანიები ცხოვრობდნენ, მაგრამ ადრე მხოლოდ სადანიები ცხოვრობდნენ თურმე. მათი ყოფილა უქირის განაპირა ადგილი, ქაფათის სანახები, სინნა და მისი მიმდებარე ტყე-ჭალა.

ჯოკო სადანია მეუბნება:

„მიხა ბაბაია, ახლა თქვენ რომ გიჭირავთ, ის ადგილიც ჩვენი იყო და სხვა გვარის მოსახლე არ იდგა აქ".

მე ვწერ იმაზე, რაც დავინახე, რაც გავიგონე, და იქიდან მოვდივარ აქეთ, ჩემკენ, დიდი მიხასკენ, ქალაქში, სადაც ახლა ვარ და ვწერ ამას, ამ მაგიდასთან, სარკმლიდან შემოსული მზე რომ ანათებს, ქუჩაში რომ ხმაურია და ყურადღებას არ ვაქცევ, — ტროლეიბუსის ბიგელი ჩამოვარდება ხოლმე ხმაურით და არ გავიგონებ, თავს ვიტყუებ, სიჩუმესა და სიმყუდროვეს მივეცემი, აქაც ვარ და იქაც ერთსა და იმავე დროს, ძაფი კი სუსტია და წყდება, და მეტყვის ისევ, გამიყარეო ნემსი. აი, იმ ძაფზეა ყველაფერი დამოკიდებული, — არ უნდა დაიჭიმოს, არ უნდა გაინელოს მეტისმეტად. მანქანა ბრუნავს, ფეხის საკერავი მანქანა კი არ არის ოღონდაც, არამედ ხელით უნდა აბრუნო, ხელით უნდა ატრიალო. ასე, ნება-ნება, გრძნობდე უნდა, რასაც კერავ, რანაირი ქსოვილია — რბილი თუ უხეში, რანაირია ძაფი, მანქანას რომ მიაქვს, რამდენი ჭუჭრუტანა აქვს იმ ძაფს გასავლელი, აღმა-დაღმა, ზევით-ქვევით და მერე სნორია, როგორც საფენივით გაშლილი ჭალაკი, შენ კი ზევიდან დაჰყურებ სოფელს და ჩანს ყველაფერი...

იმ წელიწადს დიდი თოვლი მოვიდა. თოვლს კარგი მოსავალი მოს-

დასაწყისი „ცისკარი" №1, 2006 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დევსო, იტყვიან, მაგრამ იმ წლის მოსავალს ჩვენთვის არაფერი მოუტანია.

მამინაცვალი უსაქმოდ იჯდა.

2.

სვიმო ბაბუა რომ ხნავს ყანას და გუთანი ხროტინებს, ცვივა ბელტებად ამობრუნებული მინა, მათრობელა ოხშივარი ასდის მოხნულ ნიადაგს, გრძელი ჭიაყელა ამოჭყვება ბელტს, დაიკლაკნება, დაპატარავდება, გაინელება კვლავ, მატარებელივით, ხეობაში რომ უხვევს, ფეხს დაადგამს ჭიაყელას შემთხვევით ბაბუა სვიმო და შუა განყდება ჭიაყელას, ასია ერთი ერთ მხარეს მიდის, მეორე — მეორე მხარეს და, ამას რომ ვაკვირდები, უეცრად დავინახავ მინით მოთხვრილ თეფშის ნატეხს, ავიღებ ხელში, თითებით გადავნმენდ თბილ თიხას, გავასუფთავებ, გავაკრიალებ და გამოჩნდება ციცქნა ფოთლები, პაწაწინა, მომწვანო ფოთლები, თეფშის კუთხეებს რომ მოსავს, და ჯიბეში ჩავიდებ იმ ნატეხს, მიხარია რაღაც და სიამოვნებით მივუძღვები ხარებს...

იმ მოხატული თეფშის ნატეხივით მხიარული ცხოვრება ჰქონდა ჩემი სკოლის მეგობარს — ჯანი ხანთურიას.

უქირის საშუალო სკოლაში მე და ჯანი ერთ მერხზე ვისხედით. ადრე ხინტუ სადანია მეჯდა გვერდით, მაგრამ მან სწავლას თავი დაანება. სკოლის დამთავრებას ათი გრძელი წელიწადი სჭირდებოდა, საქმე კი ხელს ითხოვდა. სადანიების ბალღები პატარაობიდანვე ეჩვეოდნენ შრომას, თავის რჩენას. ჩემსობას თითქმის მთელი ჩვენი უბანი ვაჭრობდა ხილით.

ავიღებდით ჯოკო სადანიას ხელით გამოწნულ კალათს (კირაჩხას) და დავუყვებოდით უთენია ახლო სოფლისკენ მიმავალ გზას. ოთხ-ხუთ მანეთს გამოვრჩებოდით ერთ კალათ ხილს. ატყავებული გვქონდა ზურგი სავსე კალათის ზიდვით. გავიცარიელებდით ხელს და ამოვისუნთქებდით, დავითვლიდით ნავაჭრ ფულს, თავს ცალკე ჩავიდებდით ჯიბეში, მოგებულს — ცალკე.

ხინტუ სადანია ჩვენზე მეტს იგებდა მუდამ. ჩვენზე ადრე მიურბენინებდა მსურველს ხილს, ჩვენ ბოლომდე არც კი გვქონდა ხელი გათავისუფლებული, იგი უკვე ხელმეორედ გავსებული კალათით შემოდიოდა ქალაქში.

საღამო ხანს ცარიელი კალათებით ვბრუნდებოდით შინ სასადანიოში მცხოვრები ბალღები. ხან კიდევ დავსხდებით სადმე შუკაში, ამოვიღებთ ჯიბიდან ფულს, ერთხელ კიდევ გადავითვლით გულმოდგინედ, ქაღალდის ფულს ცალკე მოვაქუჩებთ, სპილენძისას — ცალკე. ხინტუ სადანია მოგვიგებს ხურდა ფულს და დაძეძგილი მიდის შინ.

ზამთარი რომ მოაწევს, შინშეკერილი, მხარზე გადაკიდებული ჩითის ჩანთებით მივდივარო ინგირის სადგურში, სადაც ჩერდება ქვეყნის მატარებლები. ავალთ მატარებელზე, ავივსებთ ჩანთებს პაპიროსით და ვბრუნდებით უქირში საგარეუბნო მატარებლით.

„სულიკო!" „სულიკო!" „პაპიროსი სულიკო!" „პაპიროსი!" — გავყვირით უქირის ქუჩებში. ორი მანეთი და ოცი კაპიკი ღირდა მაშინ „სულიკო". ასეთივე ფასი ჰქონდა „ფლოტსკის", ხოლო შემდეგ „ბელომორკანალსაც". ჩვენ ვყიდდით კოლოფ პაპიროსს სამ მანეთად და, ამრიგად, ვიგებდით ოთხ აბაზს და... კი გამოგვდიოდა რვა-ათი მანეთი მოგება დღიურად.

ჯანი ხანთურია კი სუფთა იყო იმ მიწაგადაწმენდილი თეფშის ნატეხივით.

ჩემი სკოლა იყო უქირის ქუჩები, საკონარიოსკენ მიმავალი აღმართი, სინწა და სინწის საცალფეხო ხიდი, მტკვრიან ქუჩაში, მიწაზე მჯდარი სადანიების ბალღები და მე მათ შორის, ნაღვლიანი და გულმომწვარი, რომ ჩემგან კი არ იყიდა უცნობმა ბიძიამ მსხალი, არამედ ხინტუ სადანიასგან.

„ჩემი მსხალია ახალი, პატენი, ის დილიდან ზის აქ, მე კი ახლა მოვედი". ამბობს სადანია.

ჩემი სკოლა უქირიდან ინგირში მიმავალი მატარებელი და ინგირის სადგური, სადაც ბიძია მილიციელი მტაცებს საყელოში ხელს და ვაგონის კიბიდან ჩამომაგდებს.

„მასწავლებელო, თუთარია ჩემგან ინერს!" — გამოაცხადა ჯანი ხანთურიამ.

მასწავლებელი მოდის, თავაზიანად მართმევს რვეულს, ასე არ შეიძლებაო, მეუბნება და საკლასო ოთახიდან მიშვებს. ვერა მასწავლებელს, ცხადია, ქუჩაში ვეყოლებოდი ნანახი, რასაც ვაკეთებდი, ისიც კი ეცოდინებოდა, ალბათ, და იმიტომაც მომეფერა, მაგრამ, ვაითუ, ვერა მასწავლებელს ჩემი ეშინოდა!

ხილით ვაჭრობასთან შედარებით, ხიფათიანი იყო ინგირში ჩასვლა. ან მილიციელი ჩამოგვაგდებდა უქირი-ინგირის მატარებლიდან, ან სულაც ის საგარეუბნო მატარებელი იჩოჩიალებდა გულისგამაწვრილებლად. მახსოვს:

„მოსკოვის მატარებელი წავიდა!" გამოაცხადა სადგურის მორიგემ.

ახლა მატარებელზე ასვლას არ იკითხავ! თანაც, ჩქარი მატარებლები ძალიან მცირე ხნით ჩერდებიან სადგურში და ერთი სული გაქვს, როგორმე მოასწრო პაპიროსის შეძენა. მაგრამ კაჟა დარჯანიას დანახვას ყველაფერი გვერჩივნა. ჩაგვავლებდა ხელს დარჯანია, გადააბრუებდა ჩვენს თავს სადგურის მორიგე მილიციელს და ის ღამე სამორიგეოში უნდა გაგვეთია. ზიხარ ხის გრძელ ფიცარზე და ყვინთავ მთელი ღამის განმავლობაში. უამური სული ტრიალებს ოთახში. თუ მოგაკითხა ვინმემ, ხომ კარგი, არადა, არ გადადის ეს წყეული ღამე. და ისეთი გუნება გექმნება, თითქოსდა დრო გაჩერდა და გაიყინა. მაგრამ, რაკიღა სულ უფრო და უფრო გცივა, ეს იმას ნიშნავს, რომ გათენდება.

„მეტი არ გნახო აქ, შე მამაძაღლო!"

გამოდიხარ მილიციის სამორიგეო ოთახიდან, შეცივნული, წელში მოკაკული, დაჩიავებული და, რაც მთავარია, ჯიბეებამოფერთხილი. სად უნდა იშოვო ახლა კონი, ანუ ის თანხა, რითაც უნდა შეიძინო ხილი და პაპიროსი. რა პირით უნდა მიხვიდე შინ!

ავიპარებოდით რის ვაი-ვაგლახით იმ მატარებელზე, სქელი რუსის ქალები გაგვიტენიდნენ პაპიროსებით ჩანთებს და გამოვწევედით ამრიგად უქირში.

3.

იმ დროიდან მოკიდებული, ყველაზე მკაფიოდ საღამოს ბაზარი მაგონდება. მაგრამ ახლა ეს მინდა მოვყვე.

აქ მთავარია, ის სუფთა პერანგი, ის ქათქათა ფერი, მე რომ კაფეში დავინახე იმ დღეს.

„პაპაროსი ფლოტსკი!" დავიყვირე მაშინვე, მოიხედა ჩემკენ იმ კაცმა, თეთრი პერანგი რომ ეცვა.

მოდიო, მანიშნა.

მივედი.

კაფეს ოფიციანტმა, ჩემმა ნაცნობმა რუსის ახალგაზრდა ქალმა, უცხო კაცს, მე რომ მანიშნა, მოდიო, ცხელი ყავა დაუდგა წინ და კონიაკით სავსე ჭიქა. მცირე ხანი ჩამოჯდა მაგიდასთან, მაგრამ ისევ მალე წამოდგა და ბუფეტს მიაშურა. ეხედავ, ესაუბრება ვიღაცას, თვალებს კი აქეთ აპარებს, აქეთ იყურება.

ამოვიღე ჩანთიდან ერთი კოლოფი „ფლოტსკი" და ვაკუწოდე უცხო ბიძიას. მან გამომართვა პაპაროსი და სამი მანეთის ნაცვლად (ფასი არ უკითხავს) ათი მანეთი მომცა. მე გავუწოდე კიდევ ორი კოლოფი პაპაროსი, რათა სწორზე დავრჩენილიყავით, მაგრამ მან იუარა.

„არა, ბიძიკო, მეტი პაპაროსი არ მინდა!"

არც პაპაროსები გამომართვა, არც ხურდა.

კაფედან რომ გამოვდიოდი, ნაცნობმა ოფიციანტმა ქალმა ღიმილიანი მზერა გამომაყოლა.

ცნობისმოყვარეობამ წამძლია და მეორე დღეს ისევ შევიხედე იმ კაფეში, ოღონდაც ამჯერად არ დამიყვირია.

უცნობი კაცი იმავე მაგიდასთან იჯდა და, როგორც მაშინ, ახლაც ყავა და კონიაკი ედგა წინ.

მიცნო, ცხადია, ხელი დამიქნია და მივედი. გამომართვა ერთი კოლოფი „ფლოტსკი", მომცა ათმანეთიანი და ხურდა კვლავაც არ გამომართვა.

„თუ გინდა, კაკაო დაელიოთ", მითხრა უცებ, რომ შემამჩნია, მართლა შევწუხდი.

გავიქეცი ოფიციანტთან, ორი კაკაო მინდა-მეთქი, ფული გადავიხადე და მივიტანე იმ მაგიდასთან ორი ჭიქა კაკაო.

უცხო ბიძიაშ ყავა და კონიაკი განზე გასწია და კაკაო მიიჩოჩა. უქირელი არ იყო, ზედვე ეტყობოდა. ხანმა გაიარა და საღამოს ბაზარზეც ვნახე იგი ერთხელ. ისე ეცვა, როგორც პირველად დავინახე. ეგ იყო ოღონდაც, მის ქათქათა პერანგს ფერი დაეკარგა, ჭუჭყიანი იყო, გაზნითული, და ისე ჩამწყდა გული, თითქოს ჩემს წინ ჩემი ალაღი მამა მდგარიყო. ორისამი კვირა იქნებოდა მას აქეთ გასული, მეტი არა. მიცნო, ცხადია, მაგრამ სიტყვა რაა, ერთი ღერი სიტყვაც არ უთქვამს, ისე მივეცი ერთი კოლოფი „ფლოტსკი", რაღაც კი ჩაიდუდღუნა, რაც მადლობას ნიშნავდა თუ ნიშნავდა, ალბათ, და წავიდა.

მას აქეთ ის კაცი უქირში არ მინახავს.

რა იქნა და რა ბედია ეწია, ნეტა?

4.

ბაზრის შესასვლელში აგურის ნატეხებისგან ორი მაღალი ბოძია ამოყვანილი. ბოძებს შუა დრო-ჟამისგან გაცვეთილი ტილოს ნაჭერია გაჭიმული და ზედ წარწერაა:

„უქირის საკოლმეურნეო ბაზარი".

ბაზარს რკინის ღობე აქვს შემოვლებული. აქ არის საყანთრო, სადაც ფქვილსა და სიმინდს ყიდის სოფლელი, აქაა ხილის ბაზარი. ცალკე, ხის გრძელ დახლებზეა ჩამონიკნიკებული რძიანი ბოთლები, მაწვნის ქილები, ჭყინტი ყველი, ხაჭო და სულუგუნი. ბაზრის ტერიტორიაზე, აქა-იქ, მომცრო ფარდულებია ჩადგმული. თუთუნის მნკრივი ცალკეა. საქათმე და საქონლის ბაზარი ცალკეა, გისოსებს გარეთ.

კვირა-პარასკევს უქირის მიმდებარე სოფლები ეტანება ამ ბაზარს; მოაქვთ ხორაგი, მოპყავთ საქონელი: ხბოები, ძროხები, თხები, ცხენები, ცხვრები, კამეჩები, ღორები...

ნინტუ სადანიას დედა, ფუხუ სადანია, უთენია გადის შინიდან ბაზრობა დღეს, გზად ხვდება ქალაქში მიმავალ სოფლელებს, სინჯავს და სულს უბერავს ვარიებსა და ყვინჩილებს; სოფლელები ხელს ითავიუფლებენ, პირველი მუშტარი ღვთისა�, ამბობენ და შეღავათიან ფასებში უთმობენ ფუხუ სადანიას საქონელს. მერე იგი თითქმის ორმაგ ფასში ჰყიდის იმ ქათმებს.

ბაზრის აღმოსავლეთით, რკინის გისოსებს გარეთ, ვიწრო ჩიხია, სადაც იმართება საღამოს ბაზარი.

„აბა, აბა, ღამდება", აჩქარებენ საღამოობით ბაზრის მორიგეები და ყარაულები მოვაჭრეებს.

„შენი ჭირიმე, პატენი, აი, ესღა დამრჩა, გავიცარიელებ ხელს და წავალ მე ნასასვლელი კიდეე". ყარაული სახვეწარს არ გაიგონებს, ცხადია, და ყველას უწევს ბაზრიდან გამოსვლა, ქალსა და კაცს, დიდსა და პატარს. თვლიან ფულს ნოქრები, იხურება სავაჭრო წერტები, ბაზრის სასადილოს ოფიციანტი ქალი ჭუჭყიან წყალს გადმოაპირქვავებს ვედროდან ქვაფენილზე და ასე მორჩება დღიურ გაწამანიას.

ჩიხში, აქა-იქ, მთვრალი კაცია გაშხლართული. ზოგს სახელითაც ვიცნობ. ისინი აქ შოულობენ ლუკმას. ბაზრობა დღეს დღის ყოველ მონაკვეთში დაინახავ ზურგზე ტვირთაკიდებულ რუსის მამაკაცს, ბებრუხანა ქალი რომ მიუძღვის წინ ჩიფჩიფით:

„აქეთ, რუსო, აქეთ!"

ამრიგად ნაშთვნი ფული არაყში მიდის. აქვე, ბაზარში, მიადგება დახლს რუსის „ბრადიაგა" და ყოველგვარი მისატანებლის გარეშე ხუხავს მაგარ ჭაჭას. ასეა ყოველ საღამოს. მაგრამ ზოგიერთი მათგანი ადრე გამოთვრება ხოლმე, ერთ გზობას რომ მოითავებს, იშოვის მცირეოდენ გროშებს და მორჩა და გათავდა, მას მეტად არავინ დაასაქმებს.

ერთხელაც მამინაცვალმა მოიყვანა ბაზრიდან რუსის „ბრადიაგა". შეგვეცოდა და არ გავუშვით. დარჩა ჩვენთან. დედაჩემი ურეცხავდა ტანსაცმელს, ვაჭმევდით, ვასმევდით, ახალგაზრდა იყო, მაგრამ გამუდმებული ლოთობისგან სიცა გამოცლოდა. ძალღონე არ მოსდევდა. ძლივას შემოვიდა ჭიშკარში იმ დღეს, გაჭირვებით. ეკედა სანაიამ მოინდომა, შეშველებოდა, მან კი იუკადრისა („მუშა მუდამ 18 წლისაა", პ.პ.პ.) და მარტოკამ მოინდომა ფქვილით სავსე ტომ-

რის ჩამოლება ოდის კიბეზე, ეს კი ვერ მოახერხა და დაეცა კიდეც იმ ტომრიანა.

„მე მაიორი ვარ და პიანინოზე დაკვრა ვიცი", — გამოგვიცხადა. პიანინო ჩვენ არ გვქონდა, მისი სიტყვის სიმართლე რომ დაგვედგინა, ხოლო მაიორი ვარო, რომ თქვა, დავიჯერეთ. ნაფრონტალი მეომრებით იყო სავე უქირის ბაზარი. მათხოვრებით, მაწანწალებით, ლოთებით, კალთამადლიანებით (პროსტიტუტკებით); რუსის დედაკაცებით, ცხადია.

მოეშვა არაყს ჩვენი მაიორი და გამოკეთდა. ღონე მოიკრიბა და თვალებში გამოხედა. აბანოში დადიოდა კვირაში ერთხელ. მერე კი, ის იყო, წავიდა ერთხელაც აბანოში და უკან აღარ მობრუნებულა. დაახლოებით ორიოდე თვის შემდეგ ჯოკო სადანიამ შემოიყვანა ჩვენს ქუჩაში ერთი დაჩიავებული და წვერგაბურძგნილი მამაკაცი.

„ისაა, ის!" ყვირიან სადანიების ბალღები.

ხოლო „ის" ყურსაც არ იპარტყუნებს. ვითომც არაფერი, ვითომც სხვა არის ვიღაც და არა ის, ვინც არის სინამდვილეში. ძალიან დაგვწყდა გული — ხელიდან წასულა ჩვენი მაიორი.

„Ты Банью знаешь?" მკითხა მან კარგა ხნის შემდეგ, ბაზარში რომ დამინახა.

„Знаю", ვუთხარი მე.

„Ой да Банья!" თქვა მან და დაიყოლა. „Ой да Пиво!" და კიდევ „Деньги есть?" მკითხა.

„Есть!" — ვუთხარი.

„Дай деньги!"

მივეცი და წავიდა. მერე და მერე ვეღარც მცნობდა, დავიწყებული ვყავდი უკვე.

საღამოს ბაზარი იმ გრძელსა და ვიწრო ჩიხში იმართება. ზედ მინაზე აფენია ტომრები და ქაღალდის ნაკუწები, სადაც ანყვია ნაირ-ნაირი ხილი და სურსათ-სანოვაგე.

„ბულოჩკი, ბულოჩკი, ბატონჩიკი, ბატონჩიკი", იძახის ლამაზი რუსის გოგონა, ლიდა. აქ მას ყველა იცნობს. იცნობენ დედამისს, პაშას, რომელსაც გამუდმებით პირში აქვს გაჩრილი პაპიროსი და ისე ლაპარაკობს.

დაძრნიან ბრბოში პატარა ქურდბაცაცები, ვერცხლისწყალივით დაუდეგარი და სწრაფი ბიჭები.

აი, მივიდა პაპნა „ხოჭო" და აეტორლიალა სოფლიდან ჩამოსულ ახმახ ბიძიას. ის კაცი ჩქარობს, დრო ცოტა აქვს, მაღე უნდა გავიდეს ამ ჩიხიდან. წინ გზა უდევს და არ უნდა, სიბნელემ აქვე მოუსწროს, მაგრამ ჯერ კიდევ აქვს რაღაც საყიდელი. თვალი კი ხარბია (თვალი თვალის მტერია, ამბობდა სვიმო ბაბუა), ორჭოფობს. ეს უნდა, ის უნდა. იცის პატარა „ხოჭომ" ამ ბიძიის ხასიათი, იცის, რამდენ ხანს იდგება ამ „ბატონების" რიგში და თავისუფლად ასწრებს თავისი საქმის მოგვარებას. მერე ის ბიძია იკრავს ჯიბეზე ხელს და სადაა ფული! ახლა წინიდან მოუვლის მას „ხოჭო", გაჩაჩხავს ხელებს თოჯინასავით და ჰკითხავს:

„ფული ხომ არ მოგპარეს, ბიძია?"

„აი, ამან დაინახა, ვინ ამომაცალა ფული", ყვირის ის კაცი.

„შენ ეი, თავი გაანებე ბავშვს, უპატრონო ხომ არ გგონია", — ეუბნება მას ლამაზი ლიდას დედა და უზურუნველად გადააქვს პაპიროსი პირის ერთი კიდიდან მეორეში.

„ხოჭო" ხალხში გაერია, წაუვიდა თვალიდან გაქურდულ ბიძიას და ამითვე მორჩა ეს ამბავიც.

იმ საღამოს ბაზარზე გავიცანი ერთი ლამაზი ბიჭი, ვისაც ბაიას ვეძახდით ყველა. ხინტუ სადანიას ტოლი იქნებოდა, ანუ ჩვენზე ორიოდე წლით უფროსი, მეტით არა. ბაიას მუდამ პაპიროსი ედო ჯიბეში და სახალხოდ აბოლებდა. დაახლოებით ერთ წელიწადში გარდაიცვალა ბაია. პაპიროსმა მოკლაო, ამბობდნენ — პაპიროსმა გაუთეთრაო სისხლი სანყალს.

ბაიას გარდაცვალების შემდეგ ბევრმა ყმაწვილმა გაანება პაპიროსს თავი. და იყო ამაში რაღაც ისეთი, რომლის ამოხსნაც შეუძლებელია: თითქოსდა ბაიასთვის შეეძლო ევნო მათ მიერ მონნეულ პაპიროსს.

ადამიანებმა თითქმის არ იციან, რა შეიძლება მოჰყვეს ჰოსა და არას, თქმასა და უთქმელობას.

5.

ინგირის სადგურში ვართ და ველოდებით თბილისიდან გამოსული მატარებლის ჩამოდგომას, რომელმაც უნდა ჩამოიყვანოს ჩვენი კარის მეზობელი, მოხუცებული კატო სადანია. იგი მთელი ხუთი წელიწადი არ ყოფილა უქირში. რაღაც სასნაული სჭირდა, როგორც ამბობდნენ, და აი, როგორც იქნა, გამოკეთდა თითქოს და ბრუნდება უქირში. იმასაც კი ამბობდნენ, მახსოვს, კატო სადანიას არაფერი სჭირს ისეთი, სულ რაღაც ავადმყოფობას იგონებსო მთელი ცხოვრება. და მართლაც, ჯანმრთელი ხარო, რომ ეტყოდა ვინმე, სწყინდა კატო სადანიას.

მოადგა მატარებელი ინგირის სადგურს. მივცვივდით ვაგონებთან; გამოჩნდა კატო სადანია, მოავლო თვალი დამხვდურთ, ჩამოვიდა ვაგონის კიბეზე, გადაეხვია შაკო სადანიას, ფუხუ სადანიას, გადაკოცნა თავისიანები.

მერე ბავშვების ჯერმაც მოანია და აქ შევეხსარი იმას, რის თქმაც მინდოდა — კატო სადანიამ გაშალა ხელები, რათა ჩავეკარი.

„ესაა, ფუხუ, მირდატი?" — იკითხა და მომიახლოვდა.

„ესაა გოლუა", თქვა ფუხუ სადანიამ და დაუყენა წინ მირდატი.

კატო სადანიას მეც რომ ჩავეკარი, მირდატს რა დააკლდებოდა, მაგრამ მან უცებ იბრუნა პირი ჩემგან და მირდატი გადაკოცნა.

ხომ იცოდა დიდმა კატო სადანიამ, ბავშვები რომ ერთნაირები იყვნენ ყველანი, ხომ შეეძლო ჩემთვისაც მოეცაცუნებინა თავზე ხელი, თმა მოეჩეჩა მხოლოდ, გული რომ არ დამწყვეტოდა, მაგრამ კატო სადანიას ღიმილი პირზე შეეყინა...

მას მერე არასოდეს გავყოლივარ სადანიებს სადგურზე ვინმეს დასახვედრად. ხინტუმ თუ შეამჩნია ეს? არა, ხინტუ სადანია ამაზე არც დფიქრებულა და, რომც შეემჩნია, რა უნდა გაეკეთებინა? არაფერი არ უნდა გაეკეთებინა, ცხადია, და ეს იქნებოდა სწორედ ბუნებრივი. მაშასადამე, არც მე უნდა ჩამრჩენოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულში ხინჯად ეს ამბავი, — მამაჩემის დაბრუნებას რითი უნდა ჰგვანებოდა კატო სადანიას გამოჩენა, არ ვიცი.

6.

დრო მიდის და ჩვენ, მე და ჩემი კბილი სადანიები, დღითი დღე, უფრო და უფრო ვეჩვევით საღამოს ბაზარს, იმ ვინრო და მობინდულ ჩიხს.

„მსხალი, მსხალი!" „პაპიროსი!"

არ ვიცი, როგორ, მაგრამ, რასაც არ მოველოდი, ის შემემთხვა: მამინაცვალმა მომცა ძილით ფული, რათა ყავარი შემეძინა და დავკარგე. როგორ გინდა ახლა (ველოსიპედის გატაცება, ნერგების ამოყრა) დაარწმუნო ვინმე, თუნდაც შენიანი, თუნდაც კეღვა სანაია, რომ ფული მართლა დაკარგე და არ დაგიხარჯავს, არც წაგიგია. ვზივარ დადიას ბაღში მარტო და არ ვიცი, რა პირით მივიდე შინ, სად გადავიკარგო. ვიფიქრე, ჩავალ ყუმში, სვიმო ბაბუასთან, გამოჩნდება საიდანმე საშველი, ან ოქმში ჩავალ სულაც, მამაჩემისიანებთან. საღამოს ბაზარი? მოვძებნი „ხოჭოს", ან ფულს მასესხებს; ან შეიძლება სხვამხრივ მომიგვაროს ეს საქმე. და საოცრად თბილი და მშობლიური მომეჩვენა ჩემი მოყაყანე და მობინდული საღამოს ბაზარი, „ხოჭო" და მისი ამფსონები, ლამაზი ლიდას დედა, სხვაც ბევრი ვინმე, ცხადია, მაგრამ წამოვიდა და თვალწინ დამიდგა იმ დღეებში ნანახი ერთი მეტად შემზარავი სურათი, რამაც ამაღებინა ხელი ამ განზრახვაზე:

რუსი მეკურტნე პირდაპირ შუა ბაზრის ქვაფენილზეა გაშხლართული. ცხელა, ცხელა, ბუზი ეხვევა და ჭამს მას, ჭამს ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

„ვერა ხედავთ, ხალხნო, ბუზმა შეჭამა კაცი!" თქვა კიდევაც ვიღაცამ.

მე დავაკვირდი მას და დავინახე საოცრად გატანჯული სახე. სიცოცხლის ნიშან-წყალი რომ არ ემჩნეოდა. მუწუკები ესხა პირისახეზე მეკურტნეს. ესეოდნენ, ბზუოდნენ გატიკნილი ბუზები, ბაზარი კი ცხოვრობდა თავისი ცხოვრებით, მიდი-მოდიოდა ხალხი, შეხანდებოდა წამით ქალი ან კაცი და გადაულაპარაკებდა გვერდით მიმავალს:

„გათავებულა ეს ბეჩავი და ეგაა".

ან სულაც გადააფურთხებდა განზე და ჩაივლიდა, თავის გზას გაუყვებოდა.

ახლა მგონია, ყველას, იმდღევანდელ ბაზარში მყოფს, ნაკლებად როდი უჭირდა მაშინ, ვიდრე იმ მეკურტნეს. იმგვარი უგულო იყო გარშემო ყველა და ყველაფერი, რომ მე გავიფიქრე, განა თუ იმხანად მამინაცვალი საერთოდ ვერ იშოვიდა ვერანაირ სამუშაოს.

კარგა შელამებულზე მივედი შინ.

მაგრამ დავუბრუნდეთ საღამოს ბაზარს.

„დარჯანია!" დაიძახა ვიღაცამ და შეტორტმანდა საღამოს ბაზარი. ატყდა ერთი ალიაქოთი, რია-რია; გარბიან ბოშა ქალები, გარბის პაშა, ლამაზი ლიდას დედა, გარბიან ქურდ-ბაცაცები, გადამყიდველები, გავრბივართ ჩვენც და შორიდან ვუთვალთვალებთ კაჟა დარჯანიას. გავა იგი ზლაზვნით საღამოს ჩიხიდან და გამოვჩნდებით ჩვენც, აივსება ისევ ჩიხი...

კაჟა დარჯანიას გამოჩენა შიშის ზარს სცემდა საღამოს ბაზარს.

ხომ ყველას წარმოგვიდგენია საკუთარი თავი სხვადასხვა ვითარებაში: ლამაზმა ლიდამ ისეთი ანგარიში იცოდა, ჩინებული მონაფე იქნებოდა, სკოლაში რომ ვვლო. მე ან მხედარი ვიქნებოდი, ან შოფერი (ერთხელ, უკვე დიდობაში, ღამით, ისეთი ჭაობიდან გამოვიყვანე მანქანა, წარმოუდგენლად მიიჩნია ყველამ, ვისაც ვუამბე). კარგი ცხოვრება რომ ჰქონოდათ, ნებისმიერი გადამყიდველი მოეკიდებოდა ალალ შრომას, მაგრამ კაჟა დარჯანია მაინც კაჟა დარჯანია იქნებოდა.

ჩია ტანის, ერთი შეუხედავი და მკვირცხლი კაცი იყო, უბრალო, რიგითი მილიციელის ფორმა ეცვა. ამ ფორმაში გაატარა მთელი ცხოვრება და არც მომატებია არავითარი ჩინი. ტყვიასავით სწრაფი თვალები ჰქონდა.

„კაჟას იმედნი კაცი ეყოლება მოკლული, თავად არ ეხსომება".

იმ დროისთვის შუახანს კარგა გადაცილებული იყო და დიდი ქარცეცხლიანი დრო-ჟამი ექნებოდა გამოვლილი.

„ტყვიას ტყვიაში აჯენს!"

მკაფიო, ხრინწიანი ხმა ჰქონდა, რაც გაფიქრებინებდა, ვაჟკაცობის ნატამალი არ გააჩნიაო, მაგრამ მოტყუებული დარჩებოდი.

კაჟა დარჯანიას ცხოვრება ლეგენდას ემსგავსებოდა ჩვენს თვალწინ. საოცარი კი ის იყო, იგიც, როგორც ყველა, ისე დადიოდა მინაზე, შედიოდა ბაზრის სასადილოში და საპირფარეშოშიც. ჩვეულებრივად გადახუხავდა დახლთან მიმდგარი ჭიქა არაყს, შეჭარხლდებოდა მაშინათვე შებრანწულ კიბორჩხალასავით.

რომელიღაც დიდად სახელგავარდნილი ბანდიტი დაეცა უქირის უნივერმაღს და პირწმინდად გააცარიელა. კაჟა დარჯანიამ მეორე ღილით მარტოოდმარტომ დაიჭირა იგი და თავისი ფეხით მიიყვანა, სადაც საჭირო იყო.

ვინმე მენშევიკი კაცი იმალებოდა თურმე ქაფათის ტყეებში. ისიც კაჟას გამოუძებნია. ყოფილა შემთხვევა, უსროლიათ დარჯანიასთვის, მაგრამ იგი უვნებელი გამოსულა ტყვიების ჭახაჭუხიდან.

ამ კაცს თითქოს ღმერთი უფარავდა უქირსა და მის შემოგარენს, რადგან ისეთი რამ, რაც მას შეემთხვა, ალბათ, დედამიწის ზურგზე არ გასმენილა:

კაჟა დარჯანიას მიეპარა უკნიდან მომტერე კაცი, დაუსვა კეფაზე სამართებელი და გაიქცა. დარჯანიას თავი წინ გადაუვარდა. შეუყენა ნიკაპს მაშინვე მუშტი დარჯანიამ და ასე, საკუთარი ფეხით გაემართა საავადმყოფოში, საიდანაც საღ-სალამათი გამოვიდა.

არ ვიცი, დაიჯერა თუ არა მამინაცვალმა, რომ ფული მართლა დამეკარგა, მაგრამ რატომღაც ერთი ღერი საწყენი სიტყვაც არ უთქვამს ჩემთვის. რატომ?

7.

საშემოდგომო გამოცდა გამომყვებოდა ხოლმე, მაგრამ შემოდგომით კი არ გვეკითხებოდნენ არაფერს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვიწერდნენ სამოწყალო სამიანებს და გადავყავდით შემდეგ კლასში.

ამასობაში დედაჩემს კეღვა სანაიასგან შვილი (ვაჟი) შეეძინა. დედას უნდოდა, ქმრის გული მოეგო, ალბათ, და იმიტომაც გაუჩინა შვილი. თუმცა, კეღვა სანაიას, როგორც მერე გავიგე, პირველ ცოლთან ხუთი შვილი ჰყოლია.

მას აქეთ თითქო მეტი სიამტკბილობა გაჩნდა ოჯახში. უფრო ალერსიანი გახდა ჩემდამი დედა, რაც უფრო და უფრო მაშორებდა მასთან. მაყვალა დაია ერთთავად აკვანს დაფუსფუსებდა, აცინებდა ჩვილ ძმის და ისმოდა კისკისი შინ.

არ გასულა ორი წელიწადი და დედას კიდევ შეეძინა შვილი (ქალი) და გაწყდა ჩვენს შუა რაღაცა. მიკვირდა, როგორ უნდა გვერჩინა თავი. ავიცრუე სნავლაზე გული. თითქმის შევეშვი სკოლაში სიარულს და გამუდმებით, ქალაქელ ბიჭებთან ერთად, უქირის ქუჩებში ვეგდე. ველოსიპედის გატაცებისა არ იყოს, უცებ გადავწყვიტე:

დავკარი ფეხი და ისე, არავინ რომ არ გამიფრთხილებია, ჩავედი ოქუმში. გადაირივნენ ჩემიანები. გაუხარდათ ჩემი სტუმრობა. ჩემი დანახვა. მამაჩემის შინაურ სახელს იმეორებდნენ ხშირ-ხშირად, გამოხოხებული ჭიკო არიო და თავს მევლებოდნენ, ბაგი თუთარიასას მიმიჩინეს საჩემო კუთხე: ოთახი, მაგიდა, სკამი, საწოლი. ბაგი ბიძიას მეუღლე ქართულის მასწავლებელი იყო. მან მიმიყვანა სკოლაში, ჩამრიცხეს მე-9 კლასში და ამრიგად დავიწყე ახალი ცხოვრება.

ღუმურიშვიც ვიყავი, ჩვენ რომ ოქუმიდან გამომგზავრებისას დავეშვიდობეთ, იმ დედაბერთან, ტკბილისკვერი რომ გამომატანა. ატირდა საწყალი:

„როგორ ვეხვეწებოდი ნანის მაშინ; არა, ნანი, ნუ ნაიყვან ამ ბალღებს აქედან, ნუ მოსწყვეტ მამის კერას. არ დამიჯერა, შემოგეკლე, არასდიდებით, მაგრამ მიხვდი ხომ, რას ნიშნავს შენი და შენიანი, მახარე. როგორაა საწყალი დედაშენი, გათხოვდა, არა? მგონი, შვილებიც კი შეძენია იმ კაცისგან; რად უნდოდა ოღონდაც ბეჩავს, ჰა?"

ძალიან უგუნებოდ დავბრუნდი ოქუმში.

შაბათი ღამდებოდა.

„აგერ, მიხა ბაბაია, ფული, — მითხრა იმ საღამოს ბაგი ბიძიამ, — წახვალ უქირში, ამ ფულს მიიტან ამა და ამ ადგილას, იქ ნაბადს მოგცემენ და წამოხვალ უკან".

„ხუთი თითივით ვიცი ის ადგილი", ვუთხარი ბაგი ბიძიას, რაც სიმართლე იყო.

გამოვართვი ფული და მეორე დილით, კვირა დღეს, უთენია გავუდექი უქირის გზას.

„დღესვე დაბრუნდი, მიხა ბაბაია".

„დღესვე მოვბრუნდები, ბაგი ბიძია".

ჯერ იყო და მივედი იქ, სადაც უნდა მივსულიყავი, ვიკითხე ის კაცი, ვინც უნდა მენახა.

„მოვა, ბაბაია; აი, აქ დაელოდე".

დამიდგეს სკამი და ჩამოვჯექი მეც.

მენაბდე კი არა ჩანს. ვუცდი იმ ოსტატს, ვუცდი, ვუცდი, არ ჩანს დალოცვილი.

„იქნება სულაც არ მოვიდეს ოსტატი?" ვიკითხე.

„მოვა ოსტატი, ბაბაია".

გავივლი-მეთქი ცოტას, დავიბარე და გამოვედი საამქროდან.

ჩემდა უნებურად დავუყევი ბაზარში მიმავალ ქუჩას. ერთი-ორი ნაცნობი ბიჭიც ვნახე. მერე ტირში შევედი. ჯაგო-მეტირემ ტყვიები დამიყარა ნინ და მე ნიშნაში ვისროლე. ნაბდის ფული კი ჯიბეში მედო.

„ხოჭო" ხომ არ გინახავს?" კკითხე ჯაგო-მეტირეს.

„ხოჭო" დაიჭირეს", მითხრა მან, „წაასწრეს".

მეწყინა. მაგრამ ჯიბეში ბევრი ფული მედო და წყენაც მალე გადამივიდა.

მერე მე თითქმის მთელი საღამო ვუყურებდი მაჭიტიას კონცერტს.

მაჭიტია ყომარბაზი იყო. მას ჭიქიდან ასროლინებდნენ კამთელს, ისეთი სასწაული ხელი ჰქონდა.

ბაიბურთს თამაშობდნენ მაჭიტია და ვიღაც, ჩემთვის უცნობი კაცი. ხუთი ნაბიჯი ჰქონდა გადაზომილი და იქიდან ისროდა კამათლებს მაჭიტია — გარდიგარდმო გადებულ ფიცარზე, იდაყვებით რომ ეყრდნობოდნენ თოფის გასროლისას. ნააგო იმ უცნობმა კაცმა და მორჩა თამაშიც.

ბაზარი დაიკეტა. მორიგემ ჩაბერა სასტვენს, ხალხი გაიკრიფა ბაზრიდან და თითქოს გულსგარეთ, სხვათა შორის, მკითხა ჯაგო-მეტირეს ბიჭმა:

„აჩკოს" სათამაშოდ მივდივართ და შენც ხომ არ წამოხვალ?"

გამოვედით ბაზრიდან, გავუყევით ქუჩას და შევედით ერთ ძველ შენობაში. თამაშში მე არ ჩავრეულვარ. ვუყურებდი, როგორ იგებდა ჯაგო-მეტირეს ვაჟი, იგებდა და იჯიბავდა ფულს ბლუჯა-ბლუჯა.

„თუ გინდა წილში გამომყევი, მეუბნება კიჭოია, ფული ხომ გაქვს? მომე, რაცა გაქვს, იქნება დაგვჭირდეს".

მივეცი მთელი ჩემი ფული.

რიგდება ქალაღდი. ხანდახან ჩამახედებს კარტში კიჭოია:

„მირჩიე, რამდენი დავიძახო".

„ტუზი" ეჭირა, მახსოვს.

„მიდი, რა გაშინებს!"

„ტუზზე" ხუთიანნი მოუვიდა, ხუთიანს რვიანი მოჰყვა და „დაინწა" ამრიგად. ჩამოარიგეს ქაღალდი კიდევ. კიჭოიას „ცხრიანი" მოუვიდა, ცხრიანზე კვლავ ხუთიანნი დაეცა და ხუთიანს ცხრიანი მოჰყვა. „დაინწა" ისევ. ამრიგად ნააგო თავისი ფული, ნააგო ჩემიც.

„როგორ მიმაროლებდა და როგორ გამყიდა კარტმა", — თქვა სინანულით.

„ანი ამას არაფერი ეშველება, რაც მოხდა, მოხდა", ვანუგეშე კიჭოია, გამოვეთხოვე და გავწიე შინისკენ. სახლს რომ მივუახლოვდი, მაშინ მივხვდი, განზრახ აგებდა კიჭოია. ერთი პირობა ვიფიქრე, დავბრუნდები ახლა და ქვით გავუჩეჩქავ-მეთქი თავს, მაგრამ ისიც ვიცოდი, რომ საქმეს საჩემოდ ვერ მოვატრიალებდი. თამაშს თავისი წესები აქვს და ანი მე ფულს ვერ დავიბრუნებდი.

ყველა სიმართლე კი არ არის სიმართლე, რაც ჩვენ

სიმართლედ მიგვაჩნია, არამედ არის უფრო დიდი და უფრო ჭეშმარიტი რამ, რაც ამსოფლიურ კანონებს ემორჩილება, და არაფრად დაგიდევთ თქვენეულ სისწორეს, — ეს გახლავთ სწორედ ის დაუწერელი კანონი, რაც ყველა კანონზე მტკიცეა და ხელშეუვალი.

ფუხუ სადანია ასესხებდა კაცს ცხრაას მანეთს და ერთი თვის თავზე ათას მანეთს იბარებდა. ამ კანონს ემორჩილებოდა მთელი სასადანიო.

„ეე კი არ გამომიგონია ეს, არამედ ასეა ყველგან და ასეც იქნება, ვიდრე ხალხი ამგვარ ვითარებაში ეყოლება მთავრობას".

მაგრამ სახელმწიფო კანონსა და სადანიას კანონს შორის იყო განსხვავება: სახელმწიფო კანონი, ასე ვთქვათ, თუნდაც რომ დაგერღვია, ეგრეთ წოდებული მორალისგან ათავისუფლებდა კაცს, — კანონს დაარღვევდი, შენ შენი მოგეზღვებოდა და მორჩა. ბარი-ბარში რჩებოდი სამართალთან. ხოლო ფუხუ სადანიას კანონის დარღვევა დამოკიდებული იყო კაცის მორალზეც. მისი კანონის დამრღვევი კაცი უპირო კაცად მოინათლებოდა სამუდამოდ. მას არათუ ფუხუ სადანია, სხვაც არავინ ასესხებდა ფულს. ხოლო სახელმწიფო ქონების მიმთვისებელი კაცი მეტად არ მიითვისებდა სახელმწიფო ქონებას და დროთა განმავლობაში აღიდგენდა ძველ სახელს.

„სახელმწიფო კანონი ჩემეულ კანონს უნდა ჰგავდეს, ამბობდა სადანია, ისე კი, სიმართლე რომ ითქვას, კანონი რომ არ სჭირდება, ისეთი სახელმწიფოს მომხრე ვარ მე. სადაც ბევრი კანონია, დანაშაულიც მეტია".

დედაჩემმა შეიცხადა ჩემი საქციელი. ერთი სული ედგა, ალბათ, ეგება ოქუმში მაინც მომეკიდა ფეხი. ჯანდაბას, ერთხელაც ვცდიო ბედს და მეორე დღეს გავეშგზავერთ ოქუმში. სადღაც იშოვა გზის ფული (ფუხუ სადანიასგან ისესხებდა, ალბათ) და დავიძარით.

მე დედას ღამითვე გამოვუცხადე, რაც გადამხდა. უთენია ადგა იმ დილით დედაჩემი. ცრიდა. გაცვეთილ კალოშებში ჰქონდა ფეხები წაყრილი და ისმოდა, ეზოში როგორ დაჭყაპუნობდა.

„კალოშებს კი ვერ იყიდი შენთვის, შე გაჭირვებულო", თქვა ელეკვა სანაიამ.

მამინაცვალი უსიტყვოდ იჯდა ოდის კართან, სქლად ახვევდა ბეწვა თუთუნს პაპიროსის თხელ ქაღალდში და წამდაუწუმ აბოლებდა.

„კალოშები მაინც გეყიდა შენთვის, შე გაჭირვებულო!" მეტი არაფერი უთქვამს.

8.

ოქუმში მზიანი ამინდი იდგა. ოლღა ბიცოლა დაგვხვდა შინ.

„უიმე, ნანი, ეს შენ ხარ, შემოგევლე?" გამოეგება დედაჩემს.

„გუშინ რატომ არ დაბრუნდი, მიხა? — მკითხა ბიცოლამ სხვათა შორის. „მოდი, ნანი, საცაა ბაგიც დაბრუნდება საწყობიდან".

რა უთხრა და რა არა დედამ ოლღა ბიცოლას, არ ვიცი, არც მე მეკითხებოდნენ არაფერს.

ბაგი ბიძია ამოვიდა სოფლის ცენტრიდან, მოშილიფდა, გამომატანინა ჭილოფი და წამოწვა დიდი მსხლის ძირში, ჩრდილში. დედაჩემი დაბალ კველაზე იჯდა მის ფერხთით, მეც იქვე ვიყავი ჩაცუცულით და საუბრობდნენ ისინი ნაწყვეტ-ნაწყვეტ. ნაბადი კი ერთხელაც არ უხსენებიათ.

ჩახუთული დღე იყო, მახსოვს.

„გუშინ ჩვენკენ წვიმდა", თქვა ბაგი ბიძიამ.

„ასე იცის, ოხერი, ნაწვიმარზე", მოიბოდიშა დედამ ბუნების მაგივრად.

ხილი ცვიოდა ხეთა შტოებიდან და ზუზუნით ეხვეოდა მწერი.

ბაგი ბიძიას თანდათან რული ერეოდა.

„ძალიან შემაწუხა სიცხემ, ამბობდა ბაგი ბიძია, დასასვენებლად მე არ მცალია". ჩიოდა.

დედაჩემი უფხანდა ფეხის გულებს ბაგი ბიძიას, რაც მას სიამოვნებდა და ნეტარებით ლულავდა თვალებს. თვალებს რომ მილულავდა, იქნება ჩაეძინაო, გაივლებდა გულში დედაჩემი და წყვეტდა ფხანას, მაგრამ ბაგი ბიძია ისევ გამოახელდა თვალებს:

„სხვა როგორა ხართ, ნანი?" იკითხა ბუნდად. დედა კი აღმა-დაღმა დაუტარებს ხელს ფეხისგულებზე, ეფერება ბაგი ბიძიას. და იყო რაღაც უთქმელი და მშობლიური ამ საქციელში. ბაგი ბიძია ჩვენი მოგვარეა და ნათესავი; ერთი სული აქვს, ალბათ, დედაჩემს, გაიგოს თუ რას გადაწყვეტს უფროსი თუთარია. მაგრამ ბაგი ბიძიას ჩაეძინა.

იმავე საღამოს ცრემლით სავსე თვალებით გამოვეთხოვეთ თუთარიებს და გამოვწიეთ უქირისკენ. ტიროდა დედაჩემი. ტიროდა ოლღა ბიცოლა, სდუმდა ბაგი ბიძია, გული დამძიმებული ჰქონდა, ცხადია, და დღემდე არ ვიცი, რატომ არა თქვა მან, მიხა ჩვენთან დარჩესო.

მსხლის ძირას რომ იჯდა, დედაჩემს თუთარიას ჩაძინების მერე ხელში ალვის ხისგან მოტეხილი შტო ეკავა და მარაოსავით უქნევდა ბაგი ბიძიას. შტო რომ ირხეოდა, ნელი ნიავი იქმნებოდა და ეს სიამოვნებდა მძინარე კაცს. თან ბუზიც არ ეკარებოდა, არ ანუხებდა.

რა ხმას გამოსცემდა ალვის პაწაწინა ტოტი?

დედაჩემს ჰქონდა რაღაც სათქმელი უფროსი თუთარიასთვის, მაგრამ ვერ უთხრა, ვერ ეუბნებოდა. ბაგი ბიძია, ასე, ოციოდე წლით მაინც იქნებოდა უფროსი დედაჩემზე და მას თვითონ ეცოდინებოდა, რა უნდა გადაეწყვიტა. დედა ამას გრძნობდა, ცხადია, და თავის სათქმელს ვერ უბედავდა. მას პაწაწინა ალვის შტო ეჭირა ხელში და მძინარეს უნიავებდა. რაღაცას კი ნიშნავდა, ალბათ, იმ შტოს ხმა, მძინარეს კი რა ჩაესმოდა ოღონდაც.

იმ დღეს ჩემთვის მთელი სამყარო თითქოს ორად გაიყო: ერთ მხარეს ხორშაკი იყო და მეორე მხარეს — ჩრდილი. მზვარეში დედაჩემი იჯდა, ფიქრიანი. გრილოვანში — ბაგი ბიძია ინვა მშვიდად და ფშვინავდა. მზე რომ დაადცხუნებდა, დედაჩემი ასწევდა იმ დაბალ კველას და ჩრდილში შეაჩოჩებდა. მაგრამ მცირე ხნის მერე ისევ მზე ადგებოდა თავზე და ისევ უნევდა კველას გადადგმა. ხოლო, თუკი თუთარიამდე მიაღწ-

ევს მზე, გამოვა სამზადიდან ოლღა ბიცოლა, ადგება დედაჩემი, ავდგები მე და მოვეკიდებით ქნლოფის კიდეებს და ძლივძლივობით შევაჩოჩებთ ჩრდილში ბაგი ბიძიას. — არც უფროსი თუთარიასთვის იყო მოწყობილი სოფელი მაინცდამაინც. დრო მიდის, მზე შვეულად დგება, მსხლის ხეს ჩრდილი უპატარავდება, ჩათვლემილი კაცი გრძნობს ამას, შეიშმუშნება და თვალებს გამოახელს.

„ინვის ქვეყანა, ნასაგებელი".

ამაზე დედაჩემმა რაღაც ბოდიშისმაგვარი უთხრა ისევ ბაგი ბიძიას, კარ უთხრა, არამედ უკან დაიხია ოდნავ, თავის პაწაწინა სკამიანა და ასე გამოხატა მონიწება უფროსი თუთარიასადმი, — ის პაწია ჩრდილიც მას დაუთმო მთლიანად და თვითონ კი თავი მზეში მოიხვედრა.

მერე კიდევაც წამოდგა ბაგი ბიძია, ადგა დედაჩემიც და მიწით მოგებულ ჯარგვალში შევედით ყველანი.

გვიანი ღამით ჩამოვედით მე და დედაჩემი უქირში.

9.

რა უნდა მექნა აწი?

იფიქრა დედაჩემმა, იფიქრა და გადაწყვიტა: ჩონთო ბიძიასთან მივეყვანე.

ჩონთო ხვიტია დედას მოუდიოდა ბიძიად, მისი ალალი დეიდის ქმარი იყო. ამიტომაც მეც დეიდას ვეძახდი ნინას, ბებიაჩემის უმცროს დას, დედაჩემს რომ უჩიჩინებდა თურმე ოქუმში ჩასული:

„აქ რა გაგაჩერებს, ნანი, აქ არავინ გყავს, გაყიდე ეს კარ-მიდამო, წამოდი უქირში".

ხვიტიებს ერთი ჩემი ასაკის გოგო ჰყავდათ და სამი ვაჟი. ორი მათგანი სამხედრო სამსახურში იდგა, უმცროსი ხვიტია კი ცოცხალი აღარ იყო. მისი გადიდებული სურათი საჩინო ალაგას ეკიდა ოდა-სახლის კედელზე. ისეთი ლამაზი ჩანდა უმცროსი ხვიტია, არ დაიჯერებდი, რომ ის მკვდარი იყო და მინაზე არ დადიოდა. მე და ხვიტიების ასული ერთად დავდივართ სკოლაში, ერთ კლასში ვსწავლობთ.

ჩონთო ბიძია ერთადერთი კაცი იყო დედამიწაზე, ვისთვისაც არასოდეს მითქვამს ნამცეცი ტყუილიც.

„დღეს რა ნიშანი მიიღე, მიხა?"

„ორიანი".

სამაგიეროდ, გატაცებით ვკითხულობ კლასგარეშე წიგნებს, რაც ჩონთო ბიძიას ძალიან მოსწონს.

შაბათი და კვირა ნამდვილი დღესასწაულია. ამ დღეებს ჩონთო ბიძია შინ ატარებს.

შაბათი გადაიხრება, რკინის ჭიშკარი გაიჩხარუნებს და შემოვა ეზოში ჩონთო ბიძიას მეგობარი კაცი — სპირიდონ ჯანაშია. ისინი ერთად დადიან სანადიროდ. სანაქებო მწევრები ჰყავთ და შესანიშნავი ორლულიანი თოფები აქვთ.

შემოვა ეზოში სპირიდონ ჯანაშია. მე სკამებს გამოვიტანთ ოთახიდან, ორ სკამს ერთმანეთს მივადგამ, ზედ ნარდს ჩამოვდებ, თითო სკამს მენარდეებს დავუდგამ, მეც მათ სიახლოვეს ჩამოვჯდები და ვუყურებ, როგორ თამაშობენ ისინი ნარდს. ერთნაირი მონარდეები იყვნენ ორივენი. ხან ერთი მოიგებდა, ხან მეორე.

„კისლოვოდსკში მივდივარ წელს", ამბობს სპირიდონ ჯანაშია.

ჩონთო ბიძიამ კამათლები გააგორა და ჩაფიქრდა.

„რას ამბობს კანონი?" ჰკითხა საკუთარ თავს.

„კანონი არ იცის ნარდმა", თქვა სპირიდონ ჯანაშიამ.

„გეგონოს!" მოჭრა მოკლედ ჩონთო ბიძიამ. დაწვდა „ყაზბეგის" კოლოფს, ამოიღო ღერი პაპიროსი, დახურა კოლოფი, დაფერთხა პაპიროსი კოლოფზე და გააჩხაკუნა ასანთი. ერთი გააპაპუნა პაპიროსი და ჩამოდო ნარდის კიდეზე. პაპიროსის ღერიდან ნელი, ოდნავ მოლურჯო ლამაზი კვამლი ადის. სუსტი ნიავი ქრის, კვამლი ცდილობს შვეულად მაღლა-მაღლა ავიდეს, ნიავი ეძალიანება, კვამლი იკლაკნება და განივად მიდის, წამით დაჩნდება ჩონთო ბიძიას თეთრ პერანგზე და ნელა-ნელა უჩინარდება.

„კისლოვოდსკში მივდივარ წელს, უნდა დავისვენო", ამბობს სპირიდონ ჯანაშია.

თუ რამე გაახსენდებათ იმ ნარდის კაკანში, ამ სიტყვების მაგვარი იქნება ისიც, სულ რომ დასვენებას და სიამტკბილობას მოაგონებთ. მე წამოვდგები სკამიდან, მახლობლად მდგარ ლეღვზე ავცოცდები, დავკრეფ ახალშემოსულ, მნიფე ხილს და დიდი, ფარფო თეფშით დავუდგამ წინ მენარდეებს. ისინი ლეღვს მირომევენ, თან ნარდს ამღერებენ, და არ იყო მათი ჭამა იმგვარი, სვიმო ბაბუა რომ ამბობდა: ჭამასაც შრომა უნდა, ბაბუა. ისინი სხვათა შორის დაწვდებიან ლეღვს, კამათელს რომ გააგორებენ, ხელი ხომ წინ ექნებათ გაწეული, ხელს რომ უკან გამოსწევენ, აი, მაშინ ნამოიძღვანიებენ ლეღვსაც, — დროს არ დაკარგავენ, არც შეყოვნდებიან, ისე გააგრძელებენ თამაშს.

10.

„მოუარონ დარანდიებმა თუთარიას, რა დიდი საქმეა, ბეჩა, ერთი პატარა ყელის მოვლა".

სხვა დროს ნინა დეიდა ყელის ადგილას კუჭს იტყოდა, ცხადია, მაგრამ მაშინ ასე თქვა: „რა დიდი საქმეა, ბეჩა, ერთი პატარა ყელის მოვლა".

ჩონთო ბიძია კი სდუმდა. კრიალოსანი ეჭირა ხელში, ყვითელი ქარვის ქვებით განყობილი, და კრიალოსანს მარცვლავდა ნელიად.

ჩონთო ხვიტია ჭიშკრისკენ იყურებოდა გამუდმებით, სპირიდონ ჯანაშია კი არა ჩანდა. კვირა დღე იყო. მე თავისუფალი ვიყავი სკოლისგან, შემეძლო იმათ სიახლოვეს ვყოფილიყავი და ყური დამეგდო იმდღევანდელი საუბრისთვის. ჩონთო ბიძის მიჩვეული ჰქონდა ყური თოლიგესთვის და ჩუმად იყდა. ვერ გაიგებდი ოღონდაც, უსმენდა თუ არა ცოლის ლაპარაკს.

ის სიტყვები კი მე მეხებოდა.

ჩონთო ბიძიამ ვიცი, ჩემს გამო წაუყრუა ცოლს და არაფერი უპასუხა.

„მოუარონ დარანდიებმა თუთარიას..."

ნინა დეიდა გვარზე სვამდა მახვილს და წინადადებაც ბუნებრივი გამოუდიოდა, თითქოს კანონივით იყო:

„მოუარონ დარანდიებმა თუთარიას". მახვილი, დარანდიებზე რომ მოდიოდა, მაშინ ჩემთვის შესამჩევნი არ იყო, თუმცაღა კარგად გავიგონე, რაც თქვა ნინა დეიდამ. თუთარია სჯაბნიდა მისი სიტყვებით დარანდიას, მაგრამ რატომ? ამას არ ხსნიდა, არ ამბობდა, მახვილს სვამდა მხოლოდ გვარზე და მეტი არაფერი.

„მოუარონ დარანდიებმა თუთარიას, რა დიდი საქმეა, ბეჩა, ერთი პატარა ყელის მოვლა".

ბოლო სიტყვები სინდისის მოსაწმენდად იყო მოხმობილი. იმ მახვილს ანელებდა, თვაში რომ მძაფრად მოუვიდა, გვარზე დასმული, და თაფლს უსვამდა ახლა, რაკიღ. კაცმა ოდნავ გადმოხარა თავი და მისკენ მოიხედა, პირველი სამი სიტყვა რომ წარმოთქვა; ნინა დეიდამ იმ მოხედვის შესაბამისად შეცვალა შემდეგ საუბრის ტონი და თაფლიც მაშინ გამოუვიდა პირიდან, ენა დაიტკბილა, ბუნებრივი სადინარი მისცა სიტყვას, ძალდაუტანებელი, მშვიდი და სადა, ისეთი, ვინმეს რომ სთხოვ, „აი, აგერ, ის კოვზი მომაწოდე, ჭირიმე". ან კიდევ სხვა მრავალი ამის მსგავსი და მახლობელი, ან კიდევ მეზობელი და ნათესავი: „გადაიღე მურაბა, ჭირიმე, გადაიღე", და მისთანანი.

ამრიგ სიტყვებს რა გამოლევს, მაგრამ იმ პირველი სამი სიტყვის თქმას დიდი ძალა და ენერგია ჩაატანა ნინა დეიდამ, კაცივით აიღო და სარები ჩაასო მკვრივსა და მტკიცე მიწაში. მერე კი ადვილად წავიდა საქმე, სამი ღონიერი სარი რომ ჩაასო, ზედ წვრილი წნელიც მიაღობა, მჩატე და მოქნეული, დამყოლი, ნედლი, თხილის ან კიდევ იელის წნელი, და იმ ღობეს მოეფარა თვითონ, ღობე აიფარა და ახლა არც ის მძიმე და მაგარი სარები ჩანდა იმდენად, რამდენადაც შიშვლად გამოჩნდებოდნენ მანამ, სანამ წნელს მიაწნავდნენ.

ჩონთო ბიძიამ ხომ მაშინვე გაიგო იმ სიტყვების შინაარსი, ის სიტყვის მახვილი, მე კი იმდენი დრო და ხანი დამჭირდა იმ სიტყვების გასაგებად, რამდენიც, დაახლოებით, იმ წნელის გამოხმობას დასჭირდებოდა. და ბოლო-ბოლო მეც მარტო შიშველი სარები დავინახე თვალსაწიერზე, თუკი პირვანდელ ხატს მივუბრუნდებით და იმ სარებს კვლავ სიტყვებს შევადარებთ:

„მოუარონ დარანდიებმა თუთარიას..."

11.

ნინა დეიდა კარის მეზობელს, ფენია ბიცოლას ესაუბრება.

„აფაქია მინდაო, ბეჩა, დაბლა არ ჩამოდის, მაგრამ თვითონ რა შტოის ბრძანდება, ამას არ იკითხავ?"

„ვიცი, ნინა, შემოგვევე, ვისაც გულისხმობ, მაგრამ აკი კიდევაც დაისაჯა. ხომ ხედავ, დაბერდა ის ცირა და ეს არის, ვინ ნაიყვანს აწი სადანიების ასულს!"

„არა. აფაქია მინდაო მაინცდამაინც, გაგიგონია, ასეთი ამბავი?"

„გვარს რა მნიშვნელობა აქვს, ნინა, შემოგვევე. რომ არ დაეჭინა კატო სადანიას, ეგების კიდევაც გათხოვილიყო, თვალი არ აკლია და ხელი".

„მნიშვნელობა რომ აქვს, ფენიას ჭირიმე, სწორედ იმიტომ ვამბობ ამას".

„რა მნიშვნელობა აქვს ახლა ისეთი", გაცხარდა ფენია ბიცოლა და ნემსივით წვრილი თვალები მიასო ნინა დეიდას.

„ახლა არა აქვს, მაგრამ ჰქონდა, თქვა ნინა დეიდამ, ექნება კიდეც, დროის ამბავი ვინ გამოიკითხოს, რა როგორ იქნება. ახლა, ხომ ხედავ, ხვიტია და ჯიქია ერთმანეთისგან არ განსხვავდება".

„ჩვენი მოგვარე რომ არის, იმიტომ კი არ ვამბობ, ნინა, შემოგვევე, მაგრამ ლადი ჯიქია კი გაგეგონება შენ".

„ლადი ჯიქია ვის არ გაუგონია, ჭირიმე".

„ჰოდა, როგორი კაცი იყო ლადი ჯიქია?"

„დიდი კაცი იყო ლადი, მაგრამ ხვიტია მაინც არ იყო იგი. გვარი მაინც სხვაა. თქვენი დაკნინება კი არ მინდა, მაგრამ გვარი რომ მაინც სხვა არის, ამას დამოწმება სჭირდება ვითომ? ამისგან კი რა გამოვა, არ ვიცი, ეს კიდევ სხვა ამბავია".

„მეცადინე კი არის მიხა, წიგნი უყვარს, მეტი რა უნდა მოთხოვო ბაღანას?!

მე ვიგრძენი, რომ ჩემი იქ ჯდომა მაშინ აუცილებელი არ იყო და წამოვდექი. არც ნინა დეიდას უნდოდა, ალბათ, ჩემი წყენინება, მაგრამ აუცილებელი იყო, ალბათ, მაშინ ჩემი მოხსენიება და იმიტომ მახსენა, ცხადია, და მე წამოვდექი.

მერე გავიგე, ჯიქიებს რომ მეჯოლორე ჯიქიებს ეძახდნენ ოდიში, დარანდიებს — მელებიე დარანდიებს, ხოლო ხვიტიები, ნინა დეიდას თქმით, აზნაურები იყვნენ, თანაც ვაჟკაცები, განთქმული ცხენის ქურდები.

ვო, რირუა, რირუა, მუ ჯგირი რე, ხირუა,
სერიი გილულ, სერიი მუფშე, დღაშით დიბხირ-
ხინუა.

ეს ლექსი ამბობს, ქურდობა კარგი საქმე არისო. ღამე დავდივარ, ღამე ვშრომობ, დღისით კი მძინავსო. იმდროინდელი ლექსია, როცა ცხენის ქურდობა გმირობად ეთვლებოდა კაცს. მცირე ნაღველიც არის ამ ლექსში გარეული, მისი მხიარული წყობის მიუხედავად, მაგრამ ამას ძალიან დიდად უნდა ჩაუკვირდე, რომ მიხვდე. თვითონ ლექსის გამომთქმელი თუ ხვდება ამას? ეს ლექსი თითქოს კაცმა კი არ შექმნა, ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, გეგონება, თავისით შეიქმნაო, ისე ადვილად, ისე ბუნებრივად ეწყობიან სიტყვები ერთმანეთს.

მე ვკითხულობდი „მაცი ხვიტიას" და მახარებდა, რომ ამ კუთხის შვილი ვიყავი, იმ მინაზე დავაბიჯებდი და იმ ადგილებში მინევდა ხოლმე ხეტიალი, სადაც ოდესღაც მაცის გაუვლია. მაცის არქმევდნენ მმობლები ბიჭებს, ხოლო ცირებს მისი მშვენიერი საყვარელი ქალის სახელს.

ხვიტია...

საკუთრივ ეს გვარი თუ იქნებოდა ასე სასახელო და სათაყვანებელი, მაცი რომ არა? გვარი, თავისთავად, მეტი ხნისაა, ვიდრე სახელი, გვარი რჩება. ამიტომ შეიქმნა ხვიტიას ირგვლივ გარკვეული მნიშვნელობის წრე და ფარგალი, სადაც შესვლა-გამოსვლას ერთგვარად დაკანონებული ცოდნა და ზნეობა სჭირდ-

ებოდა; ისე კარს არ გააღებდნენ ან, თუკი გააღებდნენ, უარს მიიღებდით, მინ არ შეგიშვებდნენ, მაგრამ იყო ისეთი კარიც, რომელსაც არასოდეს მიადგებოდი; ის კარი საშენოდ არ იყო შებმული და, მთელი ცხოვრება რომ გეცადა, იქ შესვლას, თუკი სასწაული რამ არ მოხდებოდა, ვერ ეღირსებოდი (აფაქია სადანიას არ შეირთავდა).

ასე რომ, ნინა დეიდას მარტო ჯიქია და თუთარია არ ჰყავდა მხედველობაში, მეზობელს რომ ესაუბრებოდა, არამედ, მგონი, ლუცა ბებიასაც (თავის დაიასაც) ეტოქებოდა, — თვითონ აზნაურზე გათხოვდა, უფროსი და კი მელებიე დარანდიას გაჰყვა.

12.

დიდი არდადეგების დადგომიდან (ცხრა კლასი მოვილიე) ისევ მოკიდე ხელი აწინდელ საქმეს.

ხუთწლიანმა ომმა პურზე და წყალზე დასვა ვეებერთელა იმპერია.

ჩონთო ბიძიას რა ჰქონდა თავისთვის, ჩემთვის რომ ჩაეცვა და დაეხურა, ან კიდეე ლუცა ბებიასა და სვიმო ბაბუას. მე ისევ გადავედი მცირე ხნით (როგორც მაშინ ვფიქრობდი) ჩემიანებთან და დავიწყე ჩვეულად პაპიროსით ვაჭრობა. თუკი გამიმართლებდა და უქირის მაღაზიებში პაპიროსი არ გაჩნდებოდა, ფულსაც მეტს ვიშოვიდი, ვინემ ხილით ვაჭრობისას. მონაგები ფული მიმქონდა შინ.

„პურის ფული მიხას შემოაქვს ოჯახში!" ეუბნება დედაჩემი კელვა სანაიას.

არ მსიამოვნებდა დედაჩემის კილო, მებრალებოდა უსაქმოდ მყოფი მამინაცვალი. ვიცოდი მისი მიზეზიანი და ჩვილი გულის ამბავი. მე რომ პურის ფული შემომქონდა, იგი ამას აფასებდა, კაცობად მითვლიდა. ახლა კი, ცოლმა რომ წამოაყვედრა, იწყინა და დადუმდა, გაყურჩდა. გულში კი რა ცეცხლი ენთო, ვინ იცის! ხომ არ მეჩავრებაო სხვისი შვილი, ფიქრობდა, ალბათ.

„კელვა სანაია ცუდად გექცევა, არა?" მკითხა ნინა დეიდამ, რაზედაც არაფერი მიპასუხია.

„რანაირი ბავშვია ეს მიხა, უთხრა მან ფენნა ბიცოლას, არაფრისდიდებით არ წამოსცდება მამინაცვლის ძვირი",

13.

შუაღამე კარგა ხნის გადაწეულია. ჩაბნელებულია ოდა-სახლები. სიწყნარეა სასადანიოში და მარტოდ-მარტო ანუცა სადანიასას ანთია ლამპა.

ანუცა სადანია ჩვენი მეზობელია. მე უცილობლად უნდა გავიარო მისი სახლი, იქ ლამპა ანთია; დაბალი, ორთვალიანი სახლი უდგას ანუცას და მარტოკა ცხოვრობს. ლამაზი და მოხდენილია ანუცა სადანია, ვარსკვლავივით თვალები აქვს და გრძელი წამწამები, წარბენილი წარბები და სუსტი, მაღალი ყელი.

„ვარსკვლავო, ცაში ნაბანო..."

ეს სტრიქონი ჩვენი გენიალური ხალხური ლექსიდან არის, ოღონდაც ანგელოზს ვინ დაუძახებდა ანუცა სადანიას.

„სტუმრები ჰყავს, ალბათ, და ლამპაც იმიტომ უნთია, თორემ ამაოდ ნავთს რატომ დახარჯავს?"

სტუმარი კი ხშირი ჰყავდა ანუცა სადანიას. სტუმრობდნენ უქირის სხვადასხვა უბნებში მცხოვრები კაცები, შუახნის კაცები, ახალგაზრდებიც, ნაირ-ნაირი პროფესიისა და საქმის მიმდევარი ხალხი, ხანდახან კი აქაური, სასადანიოელი სტუმარიც ჰყავდა ანუცას, ახალგადმოსახლებული ვინმე, ვინმე უნვერული ყმაწვილკაცი, რომელსაც ეს-ესაა უნდა ეგემნა უცხო ხილი.

„რა გინდა, ბიჭო, შენ!" მომიჩენია ხოლმე თავს ანუცა სადანია და არ ვიცოდი, რა მექნა, ყურები წამომიწითლდებოდა მაშინათვე, ვგრძნობდი. ბავშვი არ გამიხვიოს რაიმე შარში, ფიქრობდა დედაჩემი და მისახვედრად მიმანიშნებდა, სადანიას ქალთან არ დამეჭირა კავშირი, არ გადავსულიყავი მასთან, არ გამეცნო ის ყმაწვილები, ანუცას რომ სტუმრობდნენ გამუდმებით.

ათასნაირ რაღაცას უგონებდნენ ანუცა სადანიას, ჭირსო, ვითომ, რაღაც, რომელიღაც დიდ ქალაქში ყოფილა კარგა ნახევარი წელინადი. რას ჩამოიტანდა ი იქიდან უკეთესსო. პირში კი ელაქუცებოდნენ, შესციცინებდნენ, იმ კაცების რიდიც ექნებოდათ, ალბათ, ანუცას რომ სტუმრობდნენ. ხან სატვირთო მანქანა იდგა მისი სახლის წინ, ხან მსუბუქი, „პობედა" ან „მოსკვიჩი". იმ მანქანებსაც ცნობდნენ, იმ მანქანების პატრონებსაც. საღამოობით რომელიმე მეზობლის სახლის წინ მოიყრიდნენ თავს მეჭორავეები და იყო ერთი გაუთავებელი მითქმა-მოთქმა. გახსნიდნენ ტომრებს, ჩაჩურთავდნენ სიტყვებს, გაივსებოდა ტომარა, გაიმართებოდა, ნაიქცეოდა ტყუილების გუდა და ხელახლა ავსებდნენ, გაივსებოდა ახალი გუდაც და, ვიდრე ნაიქცეოდა ნამეტანი სიმძიმისგან, გაიკრიფებოდნენ თანდათან, თავ-თავიანთ სახლებში გასწევდნენ. სამიოდე ქალი შემორჩებოდა საუბარს, მერე ერთიც გამოაკლდებოდა და ახლა ეს ორნი ისაუბრებდნენ და იჭორავებდნენ იმაზე, აგერ, ამნუთას რომ გამოაკლდათ და ამრიგად მიადგებოდნენ საკუთარ თავს. და საუბარიც დამთავრდებოდა. ამოიწურებოდა.

ძილს მიეცემა სასადანიო. გამეფდება სიჩუმე და დაბარებულივით შემოვა რომელიმე მანქანა უქირის მხრიდან, მიადგება ანუცა სადანიას ეზო-კარს და დააპიპინებს.

მე ვწევარ ლოგინში და გული მიფართქალებს. როდის მექნება საკუთარი მანქანა, როდის გავხდები იმ ასაკისა, ასე, ნაშუაღამევს, საკუთარი მანქანით რომ მივადგე საყვარელი ქალის ეზო-კარს და დავაპიპინო.

სხვა კალთამადლიანი ქალებისგან განსხვავებით, ანუცა სადანიას ზედიზედ უჩნდებოდა შვილები. ახალშობილებს ნათესავებთან აბარებდა ან სულაც უცნობ დედაკაცს გაატანდა გასაზრდელად, ყველაზე პატარას კი თვითონ იტოვებდა.

„ვინაა, ანუცა, თუ ღმერთი გწამს, ამ ბავშვის მამა?"

„რა უნდა გითხრა, ნანი, თვითონ რომ არ ვიცი". პასუხობს დედაჩემს ანუცა სადანია, თან გულღიად, თან იუმორით.

„შენ კი გგავს ძალიან".

„ალიმენტი უნდა მომეთხოვა, ნანი, ამ ბალღის მამისთვის, მაგრამ ქვეყანა გაიგების, ვინაა და რა ბედოვლათი ამის შემქმნელი, და არ მინდა, მე გავზრდი თვითონ".

ანუცას სტუმარი ჰყოლია-მეთქი, გავიფიქრე და ნელა, ფეხაკრეფით ჩავიარე მისი ციცქნა ოდა-სახლის წინ.

მიხაროდა, ანუცას რომ არ ეძინა ამ გვიანი ღამით, სტუმარი რომ ჰყავდა.

14.

„მიხა, დედა, შენა ხარ, შვილო?"

ხმა არ გამიღია, ისე ჩუმად გავიხადე და ჩავწექი ლოგინში.

მამინაცვალს ეძინა და ხვრინავდა გაბმით.

თუმცა უკვე კარგა მონიფული ვიყავი, ჯერ კიდევ მიკვირდა, რა უნდოდა ამ კაცს აქ, რატომ ეძინა ჩვენსას, რატომ მიატოვა ოჯახი და ნვრილ-ბვილი თავისი. უცხო იყო კელვა სანაია ჩვენი სახლისთვის (ბოლო-ბოლო, ჩვენი იყო ის ფიცრული ოდა, დედამ გაყიდა მამაჩემის სახლ-კარი და დედამ შეიძინა ეს ეზო-კარი, ეს სახლი).

ხოლო ახლა, მე რომ ლოგინში ვწევარ და მესმის ხვრინვა მისი, ეს უფრო აუცხობს ყველაფერს. თითქო საკუთარ სახლში არ ვიწევე, საკუთარ ჭერქვეშ, არამედ სადღაც სხვაგან, სხვისას, სტუმრად და დედაჩემი (კითხულობდა ვითომ ჩემეულ ფიქრებს), დგება ლოგინიდან და კელვა სანაიას უცვლის მხარს.

„კელვა, კელვა, მხარი შეიცვალე, მხარი, არ ეძინება შენს გამო ბავშვს!"

თავს მიქონავს დედაჩემი, გულს მიკეთებს, რაც მეზარება ჭირის დღესავით.

თვალები ღია მაქვს, ვწევარ ლოგინში და მესმის ისევ, როგორ ხვრინავს კელვა სანაია.

ამ ხვრინვა-ხვრინვაში გაიარა წელიწადებმა.

დედაჩემი ჩავარდა ლოგინად, ექვსი წელი იწვალა და გადაჰყვა კიდეც ავადმყოფობას. იმ ღამეს, არ მახსოვს, ვინ სად იყო, მიცვალებული გვესვენა დიდ ოთახში, მე და მამინაცვალი მარტო დავრჩით დედაჩემის კუბოსთან. მთელი კვირა ძილი არ მოგვკარებია ?ა გვეყვინთებოდა ორივეს. ვუძლებდით მაინც. მიცვალებულის მარტო მიტოვება არ იქნებოდა. სდუმდა მამინაცვალი. ვდუმდი მეც. ან კი რა უნდა გვეთქვა ერთმანეთისთვის. შუაღამე დადვიდა. სიმყუდროვეს და სიწყნარეს მოჰქონდა ათასნაირი ფიქრი. აუტანელი ხდებოდა თანდათან სიჩუმე.

ერთ წამში გაიარა ჩემს თვალწინ მთელმა ჩემმა ცხოვრებამ: ოქუმმა და ყუმმა, სათუთარიომ და სადარანდიომ, უქირმა და მისმა ქუჩებმა, სადანიებმა და სასადანიომ, ჯამუმ, სხვისას გაბარებულმა მაყვალა დაიამ და ახალშეძენილმა და-ძმებმა. ერთ წამში ეტეოდა ეს ყველაფერი, საღამოს ბაზარი, მეკურტნე, ბუზი რომ ჭამდა; ნინა დეიდა, ფენია ბიცოლა, ჩონთო ბიძია, ინგირის სადგური და კაკუ დარჯანია, ყველა, ყველა, ვინც მენახა და შემხვედროდა, ყველა და ყველაფერი. და უცებ ისე მკაფიოდ და ისე ძლიერ მომინდა, კელვა სანაიას ჩაეთვლიმა და დაეხვრინა, რომ კინაღამ გული გამიჩერდა. ეხვრინა ჩვეულებრივად, როგორც წესად ჰქონდა, როგორც ხვრინავდა, ოღონდაც არ ყოფილიყო ეს აუტანელი სიჩუმე, ეს საყრუეთი.

კელვა სანაიას ჩაეძინა. და გასისმარდა.

მთავარი ის კი არ არის, მოგვწონს თუ არა ჩვენ ამა თუ იმ კაცის ესა თუ ის ჩვევა, ესა თუ ის საქციელი, — მთავარია, რა დროს ხდება ის, რაც ხდება, რა ვითარებაში, რანაირია იმ წუთას ბუნება ჩვენი, რა გუნებაზე ვართ. სამაგალითოდ: ყველასთვის ცხადია და ნათელი, როცა ჩვენ თეთრ ტანისამოსში გამოწყობილი მივდივართ სადმე, გვეშინია, ერთი ნამცეცი მტვერიც არ მოგვეკაროს. ის უცებ აჩნდება ქათქათა ტანისამოსს და გვიფუჭებს გუნებას, ხოლო იგივე მტვრის მწიკვლი უფერო ტანისამოსში გამოწყობილს არაფრად მიაჩნია, არც შეიმჩნევს, და გუნებაც არ შეეცვლება — ამ შემთხვევაში, ცხადია, ფერია მთავარი, მაგრამ ადამიანის ქცევას ათასი ხილული და უხილავი რამ აყალიბებს. ვთქვათ, ცნობიერი და არაცნობიერი, და კაცს არ შესწევს ძალა, დაჯაბნოს მისეული ჩვევა (ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო). კელვა სანაიამ იცოდა, რა თქმა უნდა, რომ მისი ჩვევა არ იყო კარგი, მაგრამ რა უნდა ექნა! მას შეეძლო, ნერგისთვის ეცქირა დიდი ხანი, იმდენად დიდი ხანი, ვიდრე თვითონ არ დაემგგანებოდა თავისივე ჩარგულ ნერგს, ვიდრე თვითონ არ გახდებოდა მეორე ნერგი. უყურებდნენ ისინი ერთმანეთს და არ სწყინდებოდათ ერთმანეთი.

სვიმო ბაბუას თავისიანები უყვარდა გამორჩეულად.

კელვა სანაია ბავშვს ბავშვისგან არ ანსხვავებდა.

რაღაც მსგავსი ბუნებისა იყო ანუცა სადანიაც.

მეძავ ქალებს, როგორც პოეტებს, აქვთ იმის პრეტენზია, რომ ყველას ეკუთვნიან.

ასეთი იყო ანუცა სადანია. მას მე თვალებში შევციცინებდი, მაგრამ არა იმიტომ, რაც, შესაძლოა, აქ მკითხველმა გაიფიქროს, და არც იმიტომ, რომ ანუცა სადანია ჩემს გვერდით არ გაივლიდა, — მე იმხანად პატარა კი არ მეგონა ჩემი თავი.

15.

ის საქმე, რასაც მე ვაკეთებდი, თავმოსაწონს მაძლევდა. მე შემომქონდა ოჯახში ფული და ეს მაამაყებდა, ზრდადასრულებული კაცივით გავბრაზდებოდი ხოლმე. და ღამღამობით, ყველას გასაკვირად, ხშირად სახლის გარეთ ვრჩებოდი.

„ძროხა აგნებს საკუთარ სადგომს, შენ კი ვერა". ასე უნდა ეთქვა ჩემთვის მამინაცვალს, მაგრამ არ მეუნებოდა.

ციხიდან ახლახან გამოსულმა „ხოჭომ" იმ დღეებში ერთი რუსის ქალი გამაცნო.

მახსოვს პირველი ჭიქა არაყის გემო, რა მოჩვენებითი სიამით გადავკარი მთელი ჭიქა არაყი.

„პირველად სვამ, ბიჭო?"

ერთი სული მედგა, ნადიას არ შეემჩნია ჩემი გამოუცდელობა. ნადია კი ხვდებოდა, რომ მე მარტო არაყი კი არ დავლიე იმ ღამეს პირველად, არამედ პირველად ვიყავი ამგვარ ვითარებაშიც.

„ხოჭომ" გაიხადა პერანგი და დიდის ამბით მოიხროლა ლოგინზე.

აიღო ლიდას დედამ ის პერანგი და საწოლის თავზე გადაკიდა.

ცხელა. აგვისტოს ღამეა. მწერები დაფრენენ ლამპის გარშემო. ყარს თევზის სუნი არაყთან შეზავებული, ყარს ეს პანია ოთახიც, დიდ ოთახს რომ არის მინებებული, ანთია ლამპა და მიდის ის ოთახი, მიღოღავს, ფარფატებს. ერთი ორად მეჩვენება, მიბრუის თავი, ფიქრს ფიქრი ენაცვლება, მერე სულ ერთი და იგივე ფიქრი მომდის და ვერ ვიცილებ.

ნადიამ ამიყვანა და ჩამაწვინა ლოგინში. „ხოჭო" და პაპა წვანან კარგა ხანია. დაგვიქნიეს ხელი და ნავიდა მათი ხომალდი, გასცდა ნაპირს, ჩვენ კი მარტოკა ვართ, ჩვენ ორნი.

უცებ მომეჩვენა, რომ სვიმო ბაბუას ხელა ვარ ვითომ და მოვითხოვე, ნადის ჩემთვის წყლით სავსე ტაშტი მოეტანა და ფეხები დაებანა.

ნადია შორიდან მყავდა ნანახი საღამოს ბაზარში და როგორ ვიფიქრებდი, რომ ოდესმე მასთან მომიწევდა ღამის გათევა. არც გავბედავდი, ისეთი კაცები ესაუბრებოდნენ მას საღამოს ბაზარზე.

ნადიასთან რომ ღამე გავათიე, მეორე დღეს დამიძახა ერომა ბიძიამ, დამიძახა და მივედი. მან პაპაიროსი გამომართვა, ფული გადამიხადა, მხარზე ხელი დამადო და მითხრა, კი არ მითხრა, თითქო შემეხვეწა:

„მეტად ნუ მიხვალ იქ, თუ ჩემი ხათრი გაქვს, მე ხომ მიცნობ. „ხოჭოს" მე მოველაპარაკები".

მივხვდი, ცხადია, რას გულისხმობდა ის ძია-კაცი და მე ვიგრძენი, — საღამოს ბაზარზე ანგარიშს მიწევდნენ, სხვა მიხა ვიყავი უკვე, თუ ჩემი ხათრი გაქვსო, თუ არ გეწყინებაო, ამა და ამ ალაგას ნუ მიხვალო.

იმ დღის შემდეგ, ის ძია-კაცი რომ მელაპარაკა და მე თავი კაცად წარმოვიდგინე, არ გამიყიდია პაპიროსი.

„ხოჭოსთან" დარბის", ითქვა ჩემზე. და მართლაც რომ სირბილი იყო ეს.

ქურდბაცაცა ვერცხლისწყალივით არის; ერთ ნამსაც კი არ გაჩერდება ერთ ალაგას უსაქმოდ. ხომ სწრაფია თითები მისი, ეს სისწრაფე გადადის თითქო მის სხეულზეც და დაუდეგარი ხდება, დურთავს თავს შეჩქეიფულ ხალხში და გაძვრება ნემსივით. ამ წუთას აქ არის, იმ წუთას — იქ. ხოლო ხულიგანი ბიჭები დღენიადაგ ერთსა და იმავე „ბირჟაზე" არიან დაკოსებულნი.

„ისინი კინოებში ხედავენ იმას, რასაც ჩვენ ვაკეთებთ". უწივეული თავმომწონებით ამბობდა „ხოჭო" და ცამდე მართალი იყო, ამას რომ ამბობდა.

16.

იმ წელიწადს საოკარი რამ მოხდა:

სადღაც, შორეული რუსეთის ციხიდან დაბრუნდა ერთი უქირელი ბიჭი, გვარად შარაშია, ვისი სახელიც პირზე ეკერა დიდსა და პატარას. შარაშიას ისეთი საქმე ჰქონდა ჩადენილი, რასაც თავად სახელმწიფო მალავდა; და თუმცა ქურდი-კაცი არავის ერჩის, დაფრთხნენ მაშინ უქირელი ხულიგნები (დამრტყმელი ბიჭები).

ნელი, ოდნავი რწევით დაუყვებოდა იგი უქირის მთავარ ქუჩას; სადად ეცვა, მაგრამ ყველანაირი ტანისამოსი კარგავდა მასთან ფერს. რასაც ის ჩაიცვამდა, ის იყო გამორჩეული; აქ კაცი, მისი სახელი და ზნე-ჩვეულება აკანონებდა გემოვნებას.

ჩამოჯდებოდა შარაშია დადიას ბაღში გრძელ სკამზე, შემოვეხვეოდით გარშემო და თვალებში შევციცინებდით. ხან კიდევ სკამის კიდეზე ჩამოჯდებოდა და ახლა ის კიდე იყო სკამის შუაგული და ცენტრი.

„მაგნოლიის სუნი მწყენს". თქვა მან და წამოდგა.

უსიამო ხდებოდა მისი სიტყვების მერე მაგნოლიის თეთრი ყვავილის სურნელი. ლამაზ ქალებთან მეგობრობდა, რაც ბევრს შურდა. სკოლა არ ჰქონდა დამთავრებული, 12 თუ 13 წლისა იყო, ციხეში რომ ჩასვეს, მაგრამ ყველაფერი იცოდა თითქოს. უქირის ცენტრში რომ სამხატვრო სახელოსნო იყო გამართული, იქ შედიოდა და ახალგაზრდა მხატვარს ესაუბრებოდა:

„ქართული ასო-ნიშნების გამოყვანა ძალზე ძნელია, სიმეტრია არაა აქ დაცული".

„დაუვიწყარ კირილეს გულდამწვარი მშობლებისგან", ეწერა ლენტზე, შარაშია რომ მიანიშნებდა. ნორჩი მხატვარი გაკვირვებითა და მოწონებით უსმენს შარაშიას:

„ქართული ასოები უძველესია დედამიწაზე, ქრისტეს ასაკისა. მოკლედ რომ ვთქვათ, ქართულ ასოებს შორის მთელი სამყაროა მოცემული. ანი მაგალითად, აგერ, რაც არის, ისაა, მიწაა, ხოლო ჰე ჰაერია, თან ისე ინერება, სულ მაღლდება და ცაში მიდის".

ტანდაბალი იყო, მაგრამ დაბალი არ ეთქმოდა, ისეთი ყელმოღერებული სიარული იცოდა. გამხდარი იყო, ხმელი, თითქო ულონო და ძვალსუსტი, მაგრამ იმავდროულად უშიშარიც, როგორც უხორცო. დღემუდამ „ბაიბურთს" თამაშობდა და დღემუდამ იგებდა. სიმღერ-სიმღერით აგორებდა კამათლებს. ათასნაირ ლექსებს ამბობდა: ვაუა უყვარდა, როგორც ჩანდა, გამორჩევით. **„იას უთხარით ტურფასა, მოვა და შეგჭამს ჭიაო, ეგრე მოხდენით, ლამაზო, თავი რომ აგიღიაო"**. ესენინის ლექსებს ამბობდა ხშირად. ზეპირად იცოდა ფალიაშვილისა და ჩაიკოვსკის ოპერები. კამათლებს აგორებდა, იჯდა და უსტვენდა. მეინახე მისი ამაზე გიჟდებოდა, გული გასკდომაზე ჰქონდა, აგებდა ყომარს და მისი მოწინააღმდეგე მხიარულობდა.

მე დღით დღე უფრო და უფრო მიზიდავდა ამგვარი ხელობა. ვუგებდი ჩემს კბილა ბიჭებს მცირეოდენ ფულს, მოვძებნიდი ვინმეს, ჩემზე ჭკვიანსა და უკეთეს მოთამაშეს, და მასთან ნავაგებდი სხვებთან მონაგებ თანხას.

ერთი სული ედგა დედაჩემს, სამხედრო სამსახურში გავეწვიე, — იქ დაჭკვიანდებაო, ალბათ, ასე თუ ფიქრობდა.

ჩონთო ბიძია დავინახე უქირის ბაზარში, მაგრამ მხარი ავუქციე. მომაგონდა იქ გატარებული დღეები, იქ წაკითხული წიგნები, ჩონთო ბიძიას შესანიშნავი ბიბლიოთეკა, ნინა დეიდას და ფვინა ბიცოლას საუბარი.

„მიხა სამ კბილ შაქარს ყრის ჩაიში", თქვა ნინა დეიდამ ჩონთო ბიძიას გასაგონად, ალბათ, მაგრამ ოჯ ის თავმა ცოლის ნათქვამს ყურადღება არ მიაქცია, ერი შეხედა და წამოდგა, სუფრა მიატოვა.

შარაშია კი გამუდმებით თვალწინ მედგა. მინდოდა, მას დავმგვანებოდი, მისთვის მიმებაძა. მისებურად გადმოვიდოდი მანქანიდან და უკანმოუხედავად კარავდი ხელს მანქანის კარს.

შარაშიას ცხოვრების მეტი წილი დრო და ხანი თამაშს მიჰქონდა, თამაშს ენირებოდა, მაგრამ დანამდვილებით ვიცი, არ უნდოდა, მე რომ მოთამაშე და ქურდი გამოსულიყავი.

„მე რომ მეკითხებოდეს, შარაშიას მილიციის უფროსად გავამწესებდი. აი, მაშინ დამყარდებოდა უქირში წესრიგი. თვალებში ვერ შეხედავ იმ ბიჭს, ისეთი გამჭოლი თვალები აქვს", — თქვა კელვა სანაიამ.

ცისფერი, მწყაზარი თვალები ჰქონდა, სადაც ჩანდა მთელი შენი ცხოვრება; ამგვარი თვალები აქვთ მეტწილად მეოცნებე და შეყვარებულ ადამიანებს, პოეტებსა და ხელოვნების მსახურთ, ოღონდაც დიდხანს ვერ ცოცხლობენ ისინი თითქო, სულ არაქაური ფიქრები აქვთ, სხვათათვის გაუგებარი და უცხო მისწრაფებანი და, როგორც წესი, სუსტები არიან და ულონონი, უმწეონი, მაგრამ შარაშია ტყვიასავით სწრაფი და დაუდგენი იყო. იმდენად ცოცხალი იყო იგი, იმდენად შემართული და გამზადებული ყოველი წმასითვის — მისი ნაადრევი სიკვდილი ვერც წარმოედგნა ვერავის.

მაგრამ ის მოხდა სწორედ, რასაც არ ველოდით.

შარაშიამ იმდენი ფული მოუგო ერთ მოთამაშეს, რომ მან ის თანხა ვერ გადაიხადა, დათქმულ დროში ვერ ჩაეტია, რაც შარაშიამ, ცხადია, არ აპატია და სახალხოდ, მთელი ქალაქის თვალწინ აჭამა სილა. აქ დამელოდეო, დაიბარა მან, წავიდა სადღაც, წამოიღო იარაღი, მოვიდა იმ ადგილას, სადაც შარაშია იდგა, ჩამოსწია მინა და მანქანიდან გადმოუსვლელად ესროლა შარაშიას. და გაიქცა.

არიან ადამიანები, რომლებიც თავისი გარდაცვალების მერე ცოცხლდებიან ჩვენეულ ფიქრებში და მათი ხშირი მოჩვენებებისგან მოსცვენება არა გვაქვს. ისინი თითქოს იმიტომაც მოვიდნენ ამქვეყნად, რათა მომკვდარიყვნენ ნაადრევად და ამ სიკვდილით სამუდამოდ გაცოცხლებულიყვნენ.

17.

შარაშიას ტრაგედიამ იქ დამაბრუნა, საიდანაც არ უნდა წამოვსულიყავი. თანაც, ვატყობ, თითქმის არაფერი მითქვამს ნუნუ ბიცოლაზე, რომელიც, ნინა დეიდასგან განსხვავებით, სულსა და გულში მიძვრენდა.

გავიხედავ ფიქრში და დავინახავ ვეებერთელა კედარს, უქირსა და ყუმს შორის ამართულს. ის კედარი, დაახლოებით, ერთსა და იმავე ფიქრებს აღუძრავს მგზავრს — უქირიდან ყუმში მიმავალს ან კიდევ — ყუმიდან უქირში.

„ახლა სამიოდე კილომეტრილა რჩება ყუმამდე".

ან კიდევ:

„სანამ კედარს მივაღწევ, კიდევაც დაღამდება".

გაიმართება კედარი ხსოვნაში და ყუმიც მოებმება. და ცვლიან ერთმანეთს ნაირ-ნაირი სურათები: ჩატეხილი ღობე იქნება თუ მეხნაკრავი ხე, უღრანი, მწუხრმა რომ მოგისწრო, ოდის უკან მდგარი სიბნელე, მდინარის ხვეული ადგილი, ნაფოტებითა და ღორღით ჩახერგილი, მოდიდო ქვა, ბავშვობაში რომ ამოაბრუნე და გალურსული ღორჯო დაინახე... მაგრამ რა იქნა ის აუარება ხალხი, კვირის ბაზარში რომ ირეოდა, სად წავიდა, სად გაიფანტა? რატომ არ მოეკიდა ხსოვნას? თუკი მოინდომე, ცხადია, კიდევაც აღადგენ, ალბათ, იმ დღიდან გამოყოლილ ხმებსა და სახეებს, მაგრამ კედარი მაშინაც კი ჩანს, როცა არა ხედავ. თვალი ხომ ათასნაირია: თვალის ჩინია, გულის თვალია, გონების თვალია, — ერთხელ რომ გაიკი ტყეში და მეორე გავლისას რომ იმავე ალაგას დაადგამ ფეხს, — კი არ იყურები დაბლა, წინ იყურები, მაგრამ ფეხის გულმა იცის, სად დაადგა, მაშინ და არ მოხვდ ეკალი და იმავე ალაგას აბიჯებს ახლა. ხსოვნაა? კედარს თუ ახსოვს, ნეტა, ზანზალაკებიანმა ეტლმა რომ ჩაუარა გვიანი ღამით, ქორწილი რომ ჰქონდა ალე ბიძიას და ფუხიდან მოგვყავდა ნუნუ ბიცოლა?

იმ კედარს ისევ და ისევ ყუმში მივყავარ...

18.

სვიმო ბაბუა ეზოს გარეთ არის.

ლუცა ბებიამ, აი, სწორედ ახლა გამორეცხა ქვაბი ჭასთან და ჯარგვალში მიდის, ცალი ხელით ღომის წყალი მიაქვს, მეორე ხელი კი თავზე აფარია პალმის ფურცელივით. ჯარგვლის კარი ღიაა და ჩანს შუაცეცხლი. ლუცა ბებია ლარჭაზე კიდებს ქვაბს და პუტუნებს რაღაცას:

„მოგიკვდა, ნა, დედა".

შორს არის, სადღაც, და გულისფიქრით, წამით, ომში წასული ვაჟიშვილი დაინახა.

ნუნუ ბიცოლა ასუფთავებს აგვარას, ანუ ბოსელს.

„შეეშველე ბიცოლას, ბებია".

მოვეჭიდე ვარცლის ყურს, მეორე ყური ნუნუ ბიცოლამ დაუჭირა და გავიტანეთ თივა-ფუზეჩში აზელილი საქონლის ფუნა აგვარიდან. გაჭირვებით გავიარეთ ვიწრო ორლობე და ვენახში შევედით. მე ზედ ვენახის კართან დავაპირე ვარცლის გადმოპირქვავება, მაგრამ არ გამოვიდა.

„აქაც ხომაა საჭირო ნაკელი?"

„მიდი, ჭირიმია, მიდი". ესე იგი, კარგად გიდევსო თავი, მანიშნა ნუნუ ბიცოლამ და გავწიეთ ვენახის ბოლოში.

მომაქვს ცარიელი ვარცლი და ვბრუნდებით უკან.

ვხედავ, ვენახის მწკრივში ჩემს წინ მიმავალი ნუნუ ბიცოლას შიშველ ფეხებს, დაფხრწნილ კაბას, ძაფები რომ ჩამოუდის.

ნუნუ ბიცოლას ძვალმსხვილი, დაკუნთული და ღონიერი ფეხები აქვს. ნელა, მშვიდად მიაბიჯებს ვენახის მწკრივში მისი ფართო ტერფები, და ის ზომა, ის რიტმი მომაგონებს ჩვენს დიდებულ ხალხურ პოეზიას, რა ზომითა და რა რიტმითაც იქმნება ჩვენი კარ-მიდამოს

პოემა. ამ პოემის სტრიქონები თითქმის თანაბარი-რაოდენობის მარცვლებისგან შედგება: მიედინება პოემა მდორედ, დინჯად, გარკვეული გეზით და მიზნით. და შეხანდება ხოლმე სადმე კართან, სადმე ალაგესთან, სადმე კიბესთან, შედის კარში, გადადის ალაგეზე, ადის კიბეზე ან კიდევ ისვენებს სადმე ჩრდილში, ქარს იღებს, სულს ითქვამს, ან ცეცხლს ეფიცხება, ცეცხლს უყურებს და ცეცხლს ელაპარაკება, და ასეა მთელი დღე და მოსწრება, მთელი ცხოვრება.

„მე, მამა, მე", ამბობს ნუნუ ბიცოლა და ზურგს უშვერს სიმინდით სავსე კალათას.

„შეიკალით ხელში სხვისი შვილი", ბრაზობს ლუცა ბებია.

რატომ შრომობდა ასე თავაუღებლად ნუნუ ბიცოლა? რატომ სწვედა მამაკაცის ასაწევ მძიმე ტვირთს, რატომ დაეკისრა პატარძალს ასეთი საქმიანობა?

ნუნუ ბიცოლა თუთას სხეპს და ფეხებით ეყრდნობა მინას. გადის ღობეზე და უფრო მარჯვედ იქნევს ცულს.

„არ ჩამოვარდეს ეს პატიოსანი ქალი", ამბობს ლუცა ბებია, თავისთვის ამბობს, გამგონი არავინ არის: შინ არც სვიმო ბაბუაა, არც გუტა ბიძია, არც ალე ბიძია, არც ამიდო ბიძია.

წიგნის წერა, ამბის თხრობა მუდამჟამს დაკავშირებულია ნაწყვეტ-ნაწყვეტ, ოდნავ გასმენილ ამბებთან, რაც შემორჩა გონებას, რაც თითქმის დავიწყებული ჭქონდა.

„ღმერთო დიდებულო, დაილოცოს შენი სახელი, მომეჩვენა, ცაზე მიდიოდა ის ბოში", — თქვა ნუნუ ბიცოლამ.

პატარა კვაზი დარანდია ყუმის ზეგნის ბოლოშია გასული, მისი თხები კი თითქოსდა უკვე ცაში მიდიან.

ნუნუ ბიცოლამ პირჯვარი გადაინერა.

შეღამების ხანია, კვაზი დარანდია ჩამოდის ციდან და მოიდენის ზანზალაკებინან თხებს.

19.

სვიმო ბაბუა კარგა გადაშუადღებულზე გამოვიდა ყანიდან.

ღომი ჩასაზელად თუხთუხებდა, ჩვენი ეზოს ჭიშკარს რომ შავი „ემადინი" მოადგა.

მანქანიდან ჩონთო ბიძია გადმოვიდა.

ნუნუ ბიცოლამ სკამები გამოიტანა ოდიდან და ბალახებში ჩადგა. ერთი სკამი სქელ ჩრდილში მოახვედრა და თქვა:

„აგერ დაბრძანდით, პატენი".

მერე მან ხის გრძელი ტაბაკი გამოიტანა და მსხლის ძირში დადგა.

„ოდაში", თქვა სვიმო ბაბუამ, მაგრამ ჩონთო ბიძიამ იუარა:

„აქ გვირჩევნია, სვიმო პატენი".

ვიდრე ღომს ამოზელდნენ, სვიმო ბაბუა წამოდგა, აქეთ გამომყევითო, და მარნისკენ აიღო გეზი. მარანში რომ შეეედით, სვიმო ბაბუამ მინაში ჩაფლულ ქვევრს თავი მოხადა, ხელში ხრიკე დაიჭირა და ქვევრს ნაადგა.

„ჩახედე, იმ ანგელოზებს გაფიცებ".

ჩონთო ბიძიამ ქვევრში ჩაიხედა. და სვიმო ბაბუამ დაიცადა, ქვევრში მეც ჩამახედა.

მარნის ღრიჭოებიდან შემოსული ოქროსფერი შუქი ქვევრის პირს ეცემოდა, ქვევრში ჩადიოდა. რა ფერისა იყო იმ ლაგვინში მდგარი სალხინო?

სვიმო ბაბუამ ხრიკე ჩაუშვა ლაგვინში და ღვინო წურწურით ამოიტანა, სავსე ხრიკე სტუმარს მიანოდა.

სტუმარმა ღვინო მოსვა.

მსხლის ძირში რომ მოვბრუნდით, ტაბაკზე გაშლილი ნარდი იყო. ის ნარდი, მახსოვს, ალე ბიძიამ მოიტანა უქირის ბაზრიდან:

„ნარდი შეუუძენია ამ ბედოვლათს", თქვა მაშინ სვიმო ბაბუამ, რასაც ლუცა ბებიამ რატომღაც მოაყოლა:

„სიღარიბე იცის ოხერმა!"

და მეტი იმ კაკლის ნარდზე, ფრთებზე რომ ვეებერთელა არწივები ეხატა, არაფერი თქმულა.

ჩონთო ბიძიამ და სვიმო ბაბუამ გაანყვეს ნარდი.

ყუმის ტაფობიდან ამოდენილი გრილი ნიავი ელამუნება მენარდეებს.

„ცხონებაა აქ ყოფნა და ნარდის თამაში", თქვა ჩონთო ბიძიამ.

„შენ ხომ იმიტომ მსახურობ, ჩონთო პატენი, რომ დაისვენო, მე კი იმიტომ ვისვენებ, ეს ოხერი, რათა ვიშრომო".

მთელი ცხოვრება დამყვება ქალაქელი და სოფლელი კაცის ეს მოკლე დიალოგი.

ნუნუ ბიცოლამ სუფრასთან მიგვიწვია.

„არც ევკალიპტის ფოთლებმა უშველა ხომ?!" იკითხა უცებ ჩონთო ბიძიამ.

„არა, ნანა ექიმი უნდა მაგას, ექიმი", გამოეხმაურა ლუცა ბებია.

„ძარღვების გაგანიერებაა, უსაშველო არაფერია, მაგრამ საავადმყოფოში უნდა დაწვეს, სხვა გზა არაა".

„დღესვე წაიყვანე, შემოგევლე, დღესვე!"

„მიტომაც მოვედი, ლუცა გოლუაფირი!"

გაიშალა ჩვენი წყლიანი მსხლის ჩრდილი, ოდასახლამდე მიაწია. მე ვასხამდი ჭიქებში ღვინოს და კაცები ცლიდნენ.

ნუნუ ბიცოლა იმ საღამოს შინ დარჩა.

ჩონთო ბიძიას მოაკითხა შავმა „ემადინმა" და დაგვემშვიდობა.

ნუნუ ბიცოლა ეზოში ტრიალებს, აგვარიდან მოისმის მისი ხმა და ბუღბული. საქონელს ესაუბრება. მე ვარჩევ, რომელ კამეჩს, რომელ ძროხას, რომელ თხას ესაუბრება საღამურ ბნელში ნუნუ ბიცოლა.

„კოტოში დაიძირე", კამეჩს ეუბნება.

„ტურამ წაგიღოს", ქათამზე ამბობს; ვისაც რა ეკუთვნის, იმას მიუზღავს, ხან მიეფერება საქონელს და ისმის მისი გულშიჩამწვდომი ხმა და ლოცვა.

20.

როცა გამეღვიძა და თვალები მოვიფშვნიტე, ჩიტების ჭიკჭიკი გავიგონე. ავდექი, ოდის უკანა კარი გამოვაღე, ფეხები კალოშებში ჩავყავი, აივანზე რომ

ვტოვებდი ღამღამობით და კიბეზე ჩავედი. აგვარის ბილიკზე ნუნუ ბიცოლა დავინახე. მას საქონელი გამოეშვა, ეზოდან გადაეერეკა, აგვარა გაესუფთავებინა და ახლა ცარიელი ტაშტით ხელში მოდიოდა.

„შეყვარებული ხომ არა ხარ, ბოში, ადრე რომ გელვიძება? — მომესიყვარულა ნუნუ ბიცოლა, — ბაბუა წავიდა ყანაში".

„ჩაიცვი, ნანა, კალოშები, რა ჭირად გინდა, ასე თუ შეინახე!"

დილდილობით უკვე ცივა, ნუნუ ბიცოლას კი ჯერაც არ აცვია კალოშები.

ჩიტები სტვენენ განუწყვეტლივ.

ზამთარი რომ მოანევეს, ჩიტები აივნის რიკულებზე შემოსხდებიან, მუქია აივნის ფერი, ნაცრისფერია აივანი, მისი ძველი და გაცვეთილი რიკულები. და ჩიტი ეხამება აივანს, როგორც მისი ნაწილი, როგორც ჩუქურთმა. ასეთი ხის ჩიტები აშშვენებენ ეზო-ჭიშკარს, ოდა-სახლის მანდალიონს, სადაც ბუდეს იკეთებენ თეთრგულა მერცხლები. ოდის კარ-ფანჯარა თუ ღია დაგრჩა, ჩიტი ოთახშიც შეფრთხიალდება, ჯარგვლის წინ მოტკეკნილ მიწაზეც გაგოგმანდება და ჯარგვალში შეიხედავს. მახლობელ ხეებზე ჩამოსხდებიან ფრინველები და მოწყენით მოიდრეკენ ყელს, იყურებიან აქეთ, სადაც დაფუსფუსებენ ადამიანები, გზისპირებში დაეყრებიან და გზისპირებში ჩამდგარ ხეებზე ჩამოსკუჭდებიან უშტნი და უშქარნი.

ზამთარი აახლოებს კაცსა და ფრინველს და, დიდ ხანს თუ გააბა თოვა, ჩიტი უბეშიც კი ჩაუძვრება ადამიანს.

გეგა დარანდიან ჭიშკრიდან დაიძახა:

„ალე თუ არი შინ".

„არ გახლავთ ალე შინ, პატენი", გაეხმიანა მეზობელს ნუნუ ბიცოლა.

„რა ვქნა ახლა მე, ალე რომ ძალიან გვჭირდება. ჭველნარია გადასაწმენდი, მალია მაინც თუ გყავთ შინ".

„მალია ეგერ, ჭალაშია გაშვებული, გეგა პატენი".

„ჰოდა, მალიას მაინც წავიყვან, თუკი დავიჭირე".

როგორც გაირკვა, ბრიგადირს მალია დაეჭირა, თოკი ამოედო და ჭველნარის გადასაწმენდად ნაეყვანა.

იმ საღამოს ალე ბიძია მთვრალი დაბრუნდა.

სვიმო ბაბუა ჯარგვლის წინ იჯდა.

ნალვინევ კაცს თოკით ეკავა მალია და ზურგზე შოლტს ამტვრევდა. ტორებს ყრიდა საბრალო ცხენი, პირს აფჩენდა, ჭიხვინებდა, თავის გამოხსნას ლამობდა.

„უთხარი, კაცო, რამე, — ამბობდა ლუცა ბებია, — ხომ ხედავ მოკლა პირუტყვი მაგ გადარეულმა".

„აპა შენ! — იძახდა ალე ბიძია და შოლტს აზუზუნებდა, — აპა, ესეც შენ, ესეც, ესეც!"

ნუნუ ბიცოლამ ხელები მომხვია და გულზე მიმიკრა.

ბოლო შოლტიც რომ გადაამტვრია, ალე ბიძიამ ნიხლი ჰკრა და ცხენი მინდორში გაავდო.

„წამოდი, დაიძინე," — უთხრა ნუნუ ბიცოლამ ქმარს და ოდაში აიყვანა.

ლუცა ბებიაც ავიდა ოდაში.

სვიმო ბაბუას ტაშტში ჩავუსხი წყალი და ახლოს მივუწოდე.

მე და ნუნუ ბიცოლამ მალია დავიჭირეთ.

დიდი ხანი უსვა ნუნუ ბიცოლამ ზურგზე და გავაზე ხელები პირუტყვს, ფეხებზე ჩამოუყვა პუტუნ-პუტუნით, მიეფერა და მოელაპარაკა, რა არ უთხრა გულის გასაკეთებელი და გულის მოსაბრუნებელი, ძველი ტომარა გამოიტანა და მალიას გაოფლილ ზურგზე გადააფარა.

„გაატარ-გამოატარე, მიხა, გოლუაფირი, ცოდოა მალია".

მე ნინ და უკან დავატარებდი ეზოში მალიას. მერე ნუნუ ბიცოლამ ცხენი დააბინავა.

„მოდი, ახლა, ფეხები დაგბანო", მითხრა ნუნუ ბიცოლამ. ჯარგვალში შეიმყვანა, ტაშტში ჩაასხა თბილი წყალი და ფეხები დამბანა.

ნეტა, იმ ღამეს მე თვითონ დამებანა დაღლილი ფეხები ნუნუ ბიცოლასთვის, თუმცა ამას როგორ დამანებებდა.

ვნევარ ლოგინში და მესმის ნუნუ ბიცოლას ნაბიჯის ჩქამი. იგი ახლა თავისთვის გაიცხელებს ფეხის საბან წყალს, ჩადგამს ფეხებს ცხელ წყალში, გაიმშრალებს ფეხებს და როდის-როდის ამოვა ოდაში.

„ლოგინი დაგებულია, მამა", ეტყვის სვიმო ბაბუას, გასისმარებულად მჯდარს ოდის აივანზე. მე ამ დროისთვის ორი-სამი მტკაველი ძილი მედება. ნუნუ ბიცოლა ქმარს წაახურავს გადმოცურებულ საბანს, ბალიშს გაუსწორებს ნაღვინევ კაცს და ძილად მისდებს ფიქრებით სავსე თავს, მაგრამ, ვიდრე ჩაეძინება, ერთხელ კიდევ მოიელის ფიქრში წასული დღეს და ახალი საფიქრალი ესტუმრება, სახვალიო და აუცილებელი, როგორც ჰაერი, როგორც სუნთქვა, — აუცილებელი და საჭირო, როგორც ამღამინდელი ძილი და მოსვენება.

21.

ამასობაში ნელ-ნელა ქრება კედარი თვალსაწიერიდან, კარგავს მისეულ ჯადოს, მუქდება შემოგარენი. სალაპარაკოც არაფერი მრჩება თითქოს. ამოვავლებ წყალში გასამჟღავნებლად სურათს, მაგრამ არ გამდიოს. კადრი გაფუჭებულია. ამოიღებ წყლიდან, დახედავ და არაფერი ჩანს, ბნელია სურათი. აქ შენ გაიფიქრებ, რომ ხელმეორედ მოგიწევს იმ ადგილის გადაღება, გაიხედავ ზანია სარკლიდან და ხვდები, დღეს ვერაფერს გადაიღებ, ავდარია; „ხვალ გადავიღებ, ფიქრობ გულში, ან სულაც ზეგ, რა ბედენაა". ხვალ კი, შეიძლება, ისეთი რამე გადაიღო სულაც, არავის რომ არ დასიზმრებია.

22.

თანდათან ჩამოვშორდი საღამოს ბაზარს, ჩამოვშორდი ჩემს ცბილა სადანიებს, შევეშვი თამაშს, დადიას ბაღში ყოფნას და კამათლის გორებას. ყველაზე მეტად „ხოჭოს" სწყინდა ეს ამბავი, მაგრამ „ხოჭოზე" მეტი გავლენა ჩემზე შარაშიას ჰქონდა.

მეზობელმა კაცმა, კოლია ჩაგინავამ იყიდა „პობ-

ედა". მის გვერდით ვტრიალებდი, ვეხმარებოდი, მოკლე ხანში ვისწავლე მანქანის ტარება, რაც ველოსიპედის ტარებაზე იოლი აღმოჩნდა.

კოლია ჩაგინავა დაიღლება, მოსწყინდება საჭესთან ჯდომა. თვითონ მანქანის უკანა სავარძელზე მოკალათდება, ყვინთავს, ეძინება, ამთქნარებს და მე გადამყავს უქირელი ღამის მგზავრები; ერთი სიტყვით, მე ვარ მისი თანაშემწე, ანუ „ამოშნიკი", როგორც ეძახდნენ შოფრის დამხმარე ბიჭს მაშინ. ჩაგინავა დამპირდა, შოფრის წიგნაკს, ანუ მართვის უფლებას აგაღებინებ, თუკი ჭკვიანურად მოიქცევიო, მაგრამ ჩემს ოცნებას განხორციელება არ ეწერა.

შეღამებულზე კოლია ჩაგინავა მოგვადგა მანქანით, რათა ღამის საშოვარზე ნავსულიყავით.

„მიხა სხვაგან მიდის!" უთხრა მას მამინაცვალმა წელგამართულად.

ერთი შორეული ნათესავი აღმოგვაჩნდა კეღვა სანაიას მხრიდან. ის კაცი სადღაც, აკარმარაში, მაღაროს უფროსი იყო.

„მიხა ჩამომიყვანე და კაცს გავხდი", უთქვამს მას დედაჩემისთვის. გადავწყვიტეთ, არ გადაგვედო ეს ამბავი და ხვალ დილითვე გავმგზავრებულიყავით აკარმარაში, სადღაც აფხაზეთში, ტყვარჩელს იქით, მთიან სოფელში.

გუგუ მიქაია სამთო ინჟინერი იყო. თავად ყოფილა ოდესღაც უბრალო მუშა, გვირაბგამყვანი, დაუმთავრებია საღამოს სკოლა, ნასულა თბილისში, ჩაუბარებია გამოცდები უმაღლესში, დაოჯახებულა და დაბრუნებულა მშობლიურ აკარმარაში.

ლამაზია ის მხარე. ტყით დაბურულ მთებს შორის მიიკლაკნება სამანქანო გზა. მოსახვევს მოსახვევი ცვლის. მიდის წრიულად. ბრუნავ იმ წრეში და, წინ კი არ მიდიხარ თითქო, არამედ ადგილზე ბრუნავ. გზა კი მაღლდება მაინც და მიიწევ წინ, ნელა-ნელა. დედაჩემი ზის ჩემს გვერდით და იცქირება ავტობუსიდან.

„მარტო არ წამოხვიდე, ნანა, გუგუ ბიძია წამოვა უქირში და მას წამოყევი, თუკი ჩვენი ნახვა მოგინდება.

დღიანად ჩავედით აკარმარაში.

გუგუ ბიძიას მეუღლე ღიმილით შეგვეგება.

„დისხვენეთ", გვითხრა და კითხვა-მოკითხვის შემდეგ თხილით სავსე ლამბაქი ჩამოდგა მაგიდაზე და ჩვენ-ჩვენი თეფში ჩამოგვირიგა.

გემრიელად შევექეცით თხილს.

დახვავდა ნაჭუჭი ჩემს თეფშზე. აიღო დედაჩემმა და ნაჭუჭი თავის თეფშზე გადაიტანა მალულად, თვითონ დაიყარა წინ და მე სუფთა თეფში დამიბრუნა. შევამჩნიე, თეფშებს გადაავლო თვალი გუგუ ბიძიას ცოლმა და თქვა:

„მიხა რა ცოტას ჭამს, ნანი!"

დედაჩემმა თითქოს მოუბოდიშა მასპინძელს:

„ასეა მიხა, არ ვიცი, ვის გამოემგვანა, ასეა სხვისას".

დედაჩემი მეორე დღეს გაბრუნდა უქირში.

გუგუ მიქაიამ საერთო საცხოვრებელში მომაწყო. მომცეს პატარა ოთახი, ლოგინი, მცირე მაგიდა (მაგიდაზე სარკე) და ერთი სკამი.

სარკმლიდან ჩანს აკარმარას მთავარი ქუჩა, კინოთეატრი, სასადილო და საცეკვაო მოედანი.

ჩამაცვეს ბრეზენტის კომბინეზონი, თავზე დამახურეს რკინის „კასკა", ხელში — ნიჩაბი და იმ ალაგას დამაყენეს, საცა გვირაბიდან გამონატან ნახშირს ცლიან.

ნახევარი წელიწადი ვიმუშავე აქ — გუგუ ბიძიამ, ცხადია, გამოუცდელი ყმაწვილი უცებ გვირაბში არ შემიშვა, თუმცა ერთი სული მედგა, კაცურ სახელსაქმოს მოვკიდებოდი (აქ, ჩემს გვერდით, მხოლოდ ქალები მუშაობდნენ).

„გვირაბში ხომ არ მიგიწევს გული, მეკითხება „გუგუ ბიძია, სკოლას ხომ არ აცდენ?" (საღამოს სკოლაში გავაგრძელეს სწავლა). დრაინერი, დიკენსი, სვიფტი, სერვანტესი — გუგუ ბიძიას ბიბლიოთეკიდან მომქონდა საკითხავი წიგნები, საღამოს სკოლას კი გულს ვერ ვუდებდი — ვაცდენდი გაკვეთილებს.

გუგუ მიქაია მამოწმებდა, მართლა ვკითხულობდი თუ არა იმ წიგნებს. საკვირველი კი ის იყო, რომ სწორედ ის მავიწყდებოდა იმ წიგნებში აღწერილი ამბებიდან, რაც, გუგუ ბიძიას თქმით, უმთავრესი იყო: ვის ვინ მოსწონდა, უყვარდა, ვინ ვინ მოკლა, პატარ-პატარა ამბები კი მუდამ მახსოვდა, მაგალითად, როგორი დღე იყო, წვიმდა თუ ცხელოდა თუ თოვდა („დიდი გეტსბი", რომანის მთავარი გმირი — სიცხე; კინოფილმი: „ლეგენდა ნარაიამაზე", — მთავარი გმირი — თოვლი).

ჯანი ხანთურია კი წლების წინათ წაკითხული წიგნის შინაარსს დაწვრილებით გაიხსენებდა.

„სხვა საგნებში არ ვიცი, მაგრამ თუთარია სჯობია ყველას", თქვა ერთხელ ჩემმა ქართულის მასწავლებელმა, რაც, ცხადია, არავინ დაიჯერა. ჯანი ხანთურიამ კი ყველა საგანი ფრიადზე იცოდა.

გუგუ მიქაიამ გვირაბში გადამიყვანა. სახალისო იყო მემანქანის თანაშემწეობა. ასე მეგონა პირველ ხანებში, მაგრამ უკვე გაჩენის დღეს ვიწყევლიდი. მოდის და მოხრიგინებს ბნელში ვაგონების წყება. უცებ გადავარდება ლიანდაგიდან ვაგონი, ვეჯაჯგურებით ხელებით, ზურგით, მორებით, რათა ისევ დავაყენოთ ლიანდაგზე. ღვარად ჩამოგვდის ოფლი, რის ვაივაგლახით გაიმართება ვაგონების მწკრივი და უცებ თითქმის იქვე, ორიოდ ნაბიჯზე კვლავ გადავარდება ლიანდაგიდან ვაგონი, და კვლავაც იწყევლი გაჩენის დღეს.

დამთავრდა ჩემი ცვლა. გამოვედი გვირაბიდან. შევედი აბანოში, დავიბანე. გამოვიცვალე ტანსაცმელი და მივედი შინ, საერთო საცხოვრებელში. დავეგდე ლოგინზე და მკვდარივით ჩამეძინა.

„ნუხელის გაუქურდავთ", ჩამესმის ბურნაში. მესიზმრა? არა, ვიღაც კარზე აბრახუნებს. თავს ვიმძინარებ, მეზარება ადგომა და ხელის გაძძერევა. თავიც უტეხიათ. რა ჩემი საქმეა, ვინ გაქურდეს, რატომ გაქურდეს.

როგორ მეშინოდა, ჩემთვის არ დაებრალებინათ ინ ოთახის გაქურდვა.

იმ საღამოს კომენდანტი მოვიდა ჩემთან:

„შენ უქირელი ხარ, არა?" მკითხა.

„კი, უქირელი ვარ", ვუპასუხე.

მეტი არაფერი უკითხავს. იცოდა, ალბათ, გუგუ მიქაიას ნათესავი რომ ვიყავი. ან არ იცოდა, ეჭვობდა. „ეს ბიჭი მისი ახლობელი რომ იყოს, საეროო საცხოვრებელში ხომ არ გააჩერებდა?" ასე იფიქრებდა, ალბათ, და ამიტომაც შემოიხედა. ჩემთან „ხოჭოს" სტუმრობა კი, ცხადია, არ გამორჩებოდა.

„ხოჭოს" მეგობრულად შევხვდი.

„მე ღამის ცვლაში ვმუშაობ. ამაღამ სად უნდა ნახვიდე, ჩემს ოთახში გაათიე ღამე. და დილით გაეგზავრე", ვუთხარი „ხოჭოს", როცა დავემშვიდობე. მთელი ის დღე ერთად ვიყავით მე და „ხოჭო", ერთად ვუსხედით მუშათა სასადილოში მაგიდას, რაც მთელმა აკარმარამ დაინახა. „ხოჭომ" გატეხა და გაქურდა ის ოთახი, — ამას წყალი არ გაუვა. გული მეწვოდა, ცალკე იმის გამო, რაც მოხდა, და ცალკე კიდევ — რომ არ გამანდო, რასაც აპირებდა. შემზარდა და შემზიზღდა ყველაფერი ჩემს გარშემო. სასწრაფოდ გადავწყვიტე, წავსულიყავი აკარმარადან; ავდექი და, რაც კი გამაჩნდა, ჩემოდანში ჩავალაგე. კარგა შეღამებული იყო, გუგუ მიქაიას რომ შევუარე.

„ვიცი, რაც მოხდა, მითხრა მან, სტუმარი ასე არ უნდა მოქცეულიყო, მაგრამ უსაშველო არაფერია, კომენდანტი იყო აქ..."

„ნავალ უქირში, გუგუ ბიძია, ხვალ-ზეგ ჯარში მიწევს მაინც ნასვლა..."

„აქ თუ კარგად იმუშავებ და დღეებს არ გააცდენ, საღამოს სკოლაშიც თუ ივლი, სამხედრო სამსახურში ჯერჯერობით არ გაგიწვევენ", მითხრა გუგუ ბიძიამ, მაგრამ მე მაინც უქირში წავედი.

23.

გაუხარდათ სადანიებს ჩემი ჩამოსვლა. ისინი ხომ რაღაცას იფიქრებდნენ ჩემზე (უქირში რომ არ ვიყავი), ჟამი-ჟამ: სადაა მიხა ახლა, რას აკეთებს, თუ სწავლობს, თუ შრომობს? მოკლედ, რა კაცი უნდა დამდგარიყო ჩემგან, ეს აფიქრებდა და ადარდებდა სასადანიოს.

„მართალი მითხარი, მიხა, გამოიქეცი თუ დროებით ჩამოხვედი აკარმარიდან?" მკითხა ჯოკო სადანიამ.

ფუუუ სადანია გადმოვიდა საღამო ხანს, დაჯდა და გაბაბ საუბარი დედაჩემთან:

„ასეა, ნანი, ზოგჯერ ადგილის გამოცვლაც კი არ შველის საქმეს... ხინტუ მოლად დაჭკვიანდა, ქალო!"

„ხინტუ ხომ მიხაზე უფროსია".

„ხინტუმ გული დაუდო ვაჭრობას და ამ გამოზაფხულზე სახლის შენებას ინყებს, მაგრამ სერო გაუონიასთანა შვილი ჩვენზე კარგის მთქმელს ჰყოლოდეს".

სერო გაუონია ერთი ნახტომით გვისწრებდა ყველას. ჩვენ რომ ვაჭრობა არ გვქონდა დაწყებული — სერო უკვე ხილს ჰყიდდა უქირის ქუჩებში; ჩვენ რომ ხილით ვაჭრობა დავიწყეთ — სერო უკვე პაპიროსით ვაჭრობდა; ჩვენ რომ პაპიროსით დავიწყეთ ფულის შოვნა — სეროს უკვე სხვადასხვა ქალაქებიდან ჩამოჰქონდა ნაირ-ნაირი საქონელი. მუდამ ჩვენზე ადრე ხვდებოდა, რისგან რა გამოდნებოდა. მან პირველმა იყიდა ველოსიპედი და ის დიდ მინდორში, საცა ჩვენ ფეხბურთს ვთამაშობდით, ველოსიპედს აქირავებდა, გვართმევდა ხურდა ფულს და სათითაოდ, რიგის მიხედვით გვსვამდა ის ველოსიპედზე თავის კბილა ბიჭებს. მაშინ დიდი არდადეგები იდგა. თავისუფალი ვიყავი სკოლისგან და, ლუცა ბებიას ბუზღუნის მიუხედავად, უქირში ვცხოვრობდი. ომი მიწურულს იყო და ის რიგი, სერო გაუონიას ველოსიპედზე რომ იდგა, ახლა მაგონებს ერთ დაუვიწყარ დღეს...

მაშინ რვა წლისა ვიქნებოდი, მეტი არა, და დედას რომ არ წავეყვანე, რა თქმა უნდა, მარტო ოქ ვერ მივიდოდი, ან საიდან ვიცნობდი იმ კაცს, ვისთანაც უნდა მივსულიყავი. გაგონებით კი გამეგონა, მას რომ ჭიჭის ეძახდნენ. ისეთი მდგომარეობა შეიქმნებოდა, მისი სახელის მოუხსენიებლად საუბარი არ გამოვიდოდა, სიტყვა სიტყვას ვერ წაებმებოდა.

ლამაზი პეიზაჟი გულს ახალისებს და გარკვეული გავლენაც აქვს ჩვენს მეტყველებაზე, მაგრამ ეს ბუნებრივი ურთიერთობა სათქმელსა და გარემოს შორის ომიანობის წლებში ცოტათი შეიცვალა, დაირღვა სიტყვათა რიგი. ამოტიივტივდება ზლვა მარაგიდან ერთი რომელიმე სიტყვა და გამოდმებით თვალწინ გიტრიალებს. ასეთი სიტყვა იყო მაშინ *პური*. და სიტყვა იგი ხდება *პურზე* მეტი. არ იტყვის გამზრდელი, *„პური* არა გვაქვს", არამედ იტყვის: *„პური არ არის"*. იყო, ესე იგი, და არ არის, და არა, გვქონდა და არა გვაქვს.

დედაჩემი ქუჩის თავში გაჩერდა, მოფარებულში დგას და იქიდან მანიშნებს ხელით, — აი, იმ წერტს ხომ ხედავ, წადი იქით, იქ მოგცემენ პურს. უნდა მივიდე იქ და ვუთხრა იმ კაცს:

„ჭიჭი ბიძია, მე ნანის ბავშვი ვარ, ნანიმ გამომაგზავნა".

ის ტალონი კი, რასაც ამ სიტყვებზე მეტი ძალა ჰქონდა, არა მაქვს, ხელში არ მიჭირავს. ტალონი დაგვეხარჯა და ახლა ამ სიტყვებს უნდა გაეკეთებინა ის, რასაც ადრე ტალონი აკეთებდა.

ის კაცი, ანუ ნოქარი, მე რომ დედაჩემის დანაბარები უნდა მიმეტანა, ჩვენი შორეული ნათესავი იყო თურმე, რაც შემდეგ გავიგე.

ვიფიქრე, პირდაპირ მივალ-მეთქი ჭიჭი ბიძიასთან, მაგრამ, იქ რომ რიგი და გაწამაწია დამხვდა, ეს სურვილიც უმალ დამეკარგა, თან ერთი ჩია ტანის კაცი დამამახსოვრდა, დიდის ამბით რომ დადიოდა რიგის თავიდან რიგის ბოლომდე და, როგორც იტყვიან, წესრიგს იცავდა, ურიგოდ კაცს არ უშვებდა, არც რიგს დაუკარგავდა ვინმეს.

„აბა, ჰე, შენი რიგია, უთხრა მან ერთ ყმაწვილს, დასაძინებლად ხომ არ მოხვედი აქ".

ახალი გათენებული იყო, მაგრამ ხალხს, როგორც ჩანდა, ჯერ კიდევ ბნელში დაეკავებინა თავისი რიგი. იმ ყმაწვილს, პური რომ აიღო, — გეგონებოდა, ახლა გამოიღვიძამ, — არც კი მოუხედავს, ისე მოჰკურცხლა, იმ პურიანად.

მერე ბავშვიანი ქალი იდგა და იმანაც აიღო პური.

მე გამუდმებით ვხედავდი იმას, ვინც რიგის თავში ხვდებოდა, იმგვარად იყო რიგი გაზნექილი; ჭიჭი ბიძია კი ჯერჯერობით არ ჩანდა.

რიგი ნელ-ნელა მიიწევს წინ, გულში ვიმეორებ

სათქმელს და ვდგავარ ჩემთვის. ერთი ფარაჯიანი კაცი მიდგას წინ, ძველი, გახუნებული ფარაჯა აცვია.

„არ გამოვარდე, ბიძიკო, აგერ ჩამჭიდე ხელები" — ფართო სარტყელი აქვს ფარაჯაზე შემოვლებული. ჩაფრენილი ვარ სარტყელზე, რიგიდან არ გამოვვარდები, მაგრამ, არც წინ რომ არ მიდის საქმე! იქ, რიგის თავში მდგარმა დედაკაცმა ერთი ნივილ-კივილი ატეხა.

„მეტი მეკუთვნის, შენ კი მაკლებ!" ყვირის და წოიკობს. აი, სწორედ მაშინ მოვკარი თვალი ჭიჭი ბიძიას. მას გრძელი დანა აქვს წერტიდან გამოშვერილი და ერთი ამბით უწყრება ქალს:

„ვერა ხედავ, რა რიგი დგას, ქვეყანა შენზე კი არ თავდება!"

საოცარი ის იყო, რომ ყველანი რატომღაც ჭიჭი ბიძიას უჭერდნენ მხარს. იმ ქალს კი არ ესარწლებოდნენ, მართალი არისო, არამედ ნოქარს ემხრობოდნენ.

„ნოქარი არის, ბატონო, მართალი". ითქვა კიდევაც პირდაპირ, გულში კი რას ფიქრობდნენ და რას არა, რა ვიცი, რა ვიცოდი და, ახლა თუ ვიცი, ანინდელი ჩემი ცოდნა რა ბედენაა, მაგრამ განა იმათ არ იცოდნენ, ვისთვის უნდა დაეჭირათ მხარი, და მე თუ ის ქალი მეცოდებოდა უფრო, ვიდრე ჭიჭი ბიძია, განა მაშინ ვიცოდი, რომ ჭიჭი ბიძია იმ დღეს პურს არ მომცემდა, არც მიცნობდა და არც გამომელაპარაკებოდა სულაც, დაივინყებდა, რომ დედაჩემი მისი ნათესავი იყო, მაგრამ, ვიდრე რიგის თავში არ მოვექცეოდი, ამას როგორ ვიფიქრებდი.

„ჭიჭი ბიძია, მე ნანის შვილი ვარ, ნანიმ გამომაგზავნა". ვუთხარი.

„ვისი რიგია?" იკითხა ნოქარმა.

ჩემს წინ რომ ფარაჯიანი კაცი იდგა, წავიდა, ხოლო ჩემს უკან რომ ქალი იდგა, იმან რომ არაფერი თქვა, ესე იგი, იმან რომ თქვა, ჩემი რიგიაო, მას უკან რომ იდგა, იმანაც ის გაიმეორა, რა თქმა უნდა.

მიჰყვა ასე და ამგვარად ერთმანეთს ქალი და კაცი, კაცი და ქალი, და იღებდნენ თავიანთ წილ პურს, მაგრამ ჭიჭი ბიძია თავისუფალი რჩებოდა მაინც მცირე ხნით, ვიდრე მორიგ პურს აწონიდა, და სწორედ მაშინ ჩავურთე ისევ:

„ჭიჭი ბიძია, ნანიმ გამომაგზავნა, ნანის შვილი ვარ".

ჭიჭი ბიძიამ ვერ მიცნო. ვერ იცნო, ესე იგი, დედაჩემი ან იქნება სულაც განზრახ წამიყრუა და არ გაიგონა, რაც უნდა გაეგონა, თუმცა ყოველი ახალი პურის აწონის შემდეგ ვიმეორებდი იმ სიტყვებს და, რომ არ მომაქცია მან არაფრისდიდებით ნამეცი ყურადღებაც (შეხედვით კი შემომხედა, მახსოვს), ძალიან შიმენვი გული, თან ასე გავიფიქრე, ეს კაცი, ალბათ, ჭიჭი ბიძია არაა-მეთქი, და რიგიდან გავედი.

ჭიჭი ბიძია კი იყო ნამდვილად.

ხოლო ის რიგი, ქაფათის მინდორზე რომ იდგა, მხიარული რიგი იყო. სერო გაფონიას ჩავუდებდით ხელში თეთრ აბაზიანს და მოვახტებოდით ველოსიპედს. გაფონია გვიყურებდა. საათს ინიშნავდა: ხუთი. ნუთით გვსვამდა ველოსიპედზე. მაგრამ, მერე რაკილა ხინტუ სადანია შეეკამათა, ჯერ ხუთი კი არა, სამი წუთიც არ იქნება გასულიო, — სერო გაფონიამ გადაწყვიტა, მოედნის წრეზე გავეშვით. ორჯერ შემოვუვლიდით წრეს და ჩამოვიდოდით ველოსიპედიდან. მახსოვს, ხინტუ სადანია კუს ნაბიჯებით დაუყვა იმ წრეს, სიამოვნებას გავიხანგრძლივებო, ვითომ, მაგრამ არც ერთ ჩვენგანს არ მოსვლია აზრად, მსგავსი რამ გაგვემეორებინა, — ხალისი სწორედ რომ ჩქარ რბოლას მოჰქონდა; დავეცემოდით ხოლმე, მაგრამ ასფალტი ხომ არ იყო დაგებული, რამე გვტკენდა. ის ატყავებული მუხლი მაშინ არ გვაწუხებდა, მხოლოდ საღამო ხანს, უკვე შინ ყოფნისას თუ ვიგრძნობდით ტკივილს.

24.

რა საქმისთვის უნდა მომეკიდა ხელი? აკარმარიდან არავითარი საბუთი არ წამომიღია, ისე წამოვედი. დავრრი სკოლის გარეთ. კეღვა სანაია აგებდა სახლს სასადანიოში, ხელის მუშა არა ჰყავდა და მე ვედექი დამხმარედ, ვაწვდიდი აგურს. სანახევროდ ამოვიყვანეთ სახლის კედელი, მერე და მერე, სამუშაო უფრო გაძნელდა. კედელი რაც ზევით მიიწევდა, მით უფრო ძნელი იყო საშენი მასალის მიწოდება. ნელში ვწყდებოდი, მახსოვს. ასე გაჭირვებით ამოვიყვანეთ შენობის მეორე სართულიც და მეც გავუტეე ჩვეულად, — მამინაცვალს მეტად არ ვეხმარებდი.

„სადმე წარმოებაში უნდა დავიწყო მუშაობა", გამოვაცხადე ყველას გასაგონად.

„კარგი, ბაბანა, როგორც გინდოდეს, მე გზას კი არ დაგიჭერ". მითხრა მამინაცვალმა.

კოლია ჩაგინავამ, მანქანის ტარება რომ მასწავლა, უქირის საავტომობილო გარაჟში მიმიყვანა და ჩემი თავი გააცნო გარაჟის გამგეს.

„დაასაქმე ეს ბიჭი, ცოცხალი ბიჭია".

დამაწერინეს განცხადება, მოაწერეს ხელი და ჩააკერეს საქმეში. ჯამაგირი კი ძალიან ცოტა მქონდა. ეგ იყო, მანქანას რომ შევაკეთებდით, შოფრები გვჩუქნიდნან ხოლმე ორ-სამ მანეთს. არ მიზიდავდა აქ მუშაობა. თანდათანობით მიხვდა მთელი გარაჟი ჩემს გულისთქმას და საქმესაც ნაკლებად მაგალებდნენ. მაგრამ რაც იცი, არ იქნება, არ გამოგადგეს. მოკლე ხანში, სულ რაღაც ერთ თვეში გავიარე საშოფრო კურსები, მოვაგროვე ასი მანეთი, ჩავაბარე ერთ ღიპიან ლეიტენანტს და შოფრის ნიგნაკიც ავიღე. ოლონდაც რაში უნდა გამომდგომოდა მართვის უფლება, — შოფრად მოწყობას ის ხანებში კაი ძალი თანხა უნდოდა.

„ჯარში რომ გაგიწვევენ, ბიძია, იქ გამოგადგება შოფრის ნიგნაკი". მითხრა ჯოკო სადანიამ.

ახალი ნლის გამოზაფხულზე დავნერე განცხადება და გამანთავისუფლეს სამუშაოდან.

რამდენი განცხადება მაქვს დაწერილი ჩემი ცხოვრების განმავლობაში.

„გთხოვთ, გამანთავისუფლოთ". „გთხოვთ, გამანთავისუფლოთ". „გთხოვთ, მომცეთ კუთვნილი შვებულება..."

„აი, ხომ ხედავ, ბიძია, კი გეკუთვნის შვებულება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ მაინც უნდა ითხოვო, — მითხრა ერთხელ სამ-შენებლო უბნის უფროსმა, — არაა საქმე მასე, შე . რომ გგონია, თორემ, რაღა სათხოვარი გექნებოდა, ადექი და წადი, საითაც გინდა. შენი ნება არაა მაგი!"

25.

ახლა მე არსად ვმსახურობ, თავისუფალი ვარ და ვსხედვართ მე და ჩემი მეზობელი კაცი, ივო ფანია, მინავლებულ ბუხართან და რიგრიგობით ვკითხუ-ლობთ წიგნს.

„შემოდგომის ქარი, მძლავრი, უნაპირო,
ზუზუნით მიწეწავს ჭაღარა თმა-წვერს!.."

ივო ფანია ტიროდა. პატარა დოქით ადესის ღვინო გვედგა მაგიდაზე. ციცქნა, ღვინის ჭიქებში ვასხამდით ნვენს და ვწრუპავდით ნელა.

„ხმირად ფიქრების სიბნელიდან თავს გამოჰყოფს და
შემეკითხება: რად მომკალითო?.."
ივო ფანია ზლუქუნებდა.
„არ წაიკითხო მეტი".

მე თანდათან უცილობელ მოთხოვნილებად მექცა მეზობელთან სიარული. დათრობა არ უყვარდა ივოს. „კაცმა უნდა დალიოს ღვინო და არა ღვინომ — კაცი". ვწრუპავდით ადესას და ვკითხულობდით ხმამაღლა სხვადასხვა წიგნებს: ლექსებსა და მოთხრობებს, დიდი რომანების ნაწყვეტებს. იმნაირი ადგილების ამორჩევა იცოდა ივო ფანიამ, მაინცდამაინც ტირილი მოგინდებოდა.

„სამი წლის ბალღმა, მას რომ დაურჩა ობლად,
ახლა აიდგა ფეხი..."

ესეც ტანისუპოქელი პოეტის ლექსიდან არის, რაც განსაკუთრებით უყვარდა ივო ფანიას.

„შენ დიდი კაცი გახდები, მიხა, და მე დაგავიწ-ყდები". მეუბნება იგი. და რომელიღაც სახელოვანი მწერლის მოგონებებიდან ასეთი ადგილი წამიკითხა:

„მე ყოველ დილით ვდგები და მცირე საუზმის შემ-დეგ ჩვეულად ვუზივარ ჩემს სამუშაო მაგიდას. ვწერ რაღაცას, ვწერ წიგნს, მაგრამ აგერ მესამე კვირაა, ვერ ვპასუხობ ჩემს ალალ ბიძაშვილს, რომელმაც გამა-ფრთხილა, წერილის მიღებისთანავე დამებრუნებინა მისთვის პასუხი..."

ჭადრაკის დაფას გადმოიღებდა თაროდან და ვთამაშობდით. მე ვუგებდი და სწყინდა ბალღივით, ხოლო ერთხელ იქამდეც მივიდა საქმე, ის ჭადრაკიც თან გამომატანა:

„ნაღელ, მიხა, დროს მიჭამს ეს ჭადრაკი".

მაგრამ გაიელიდა ორი-სამი დღე და მე ისევ მიმქონ-და მასთან ჭადრაკი, ისევ ვუსხედით მცირე მაგიდას და ჭადრაკს.

ერთადერთი თხა ჰყავდა, ნახევარ ლიტრას რომ იწველიდა — ან ცოტათი მეტს, ან ცოტათი ნაკლებს — და ის თხაც დაეკარგა. ვეძებდით ქაფათის სანახ-ებში, სახელს ეძახდა თხას, შემოგვაღამდა კიდეც. ნაღვლიანი გაუხდა ხმა, ტირილი ერეოდა, თავს ძლივს იკავებდა...

„ჩემზე ხომ არ ეჭვობ, ივო პატენი", უთხრა მას მეზობელმა სადანიამ.

„არა, კაცო, ეს რამ გაფიქრებინა".

მას აქეთ თხა არ უძებნია. თითქოსდა ნაპოვნი ჰყოლოდა უკვე. მე კი იმ თხის გამო ძალიან მომეწვა მაშინ გული და დავწერე ლექსი, პირველი ლექსი ჩემს ცხოვრებაში. ლექსს დავარქვი: „დაკარგული თხის ამ-ბავი", ქვესათაურად გამოვიტანე: „შეხუმრებით, ივო ფანიას, ჩემს მეზობელსა და უფროს მეგობარს":

„ის თხა, რომელიც შენ დაკარგე და ვეღარ ნახე
(გაუწყრა ღმერთი, ვინ დაუგო საბრალოს მახე!),
ის თხა არა ჩანს, თუმც იმედი კი გაქვს ისევე,
იპოვნო იქნება, ასე ფიქრობ, როცა იხსენებ,
მკვდარს ნუღარ ნახავ ოღონდაც მას, და დიდი ღმერთი
არის მოწამე, არაფერი არ გინდა მეტი!
ოღონდ არ ნახო ის თხა სულაც, ხან ასე ფიქრობ,
და არაფერი აღარ გინდა ამქვეყნად თვითონ.
„ვითომ ასეა, ჩემი ივო, მითხარი ერთი,
რაიმეს ჩემზე ხომ არ ეჭვობ, ინამე ღმერთი!"
ამგვარად გითხრა მეზობელმა და იმას აქეთ,
შენ თხას არ ეძებ და მეზობელს უზომოდ აქებ!"

26.

რაც აკარმარადან დავბრუნდი, ან ივო ფანიასთან ვიყავი, ან სადანიებთან. იქ ვალამებდი და შინ მან-ამდე არ გადავიღოდი, სანამ ჩვენები ღრმა ძილს არ მიეცემოდნენ.

კარგად მახსოვს მთელი ის დღე, ის საღამო და ის ღამე, დედაჩემს რომ მეშვიდე შვილი შეეძინა.

იმ დღეს სინნაში ვბანაობდით. ქვებს ვაბრუნებდით, ღორჯოებს ვიჭერდით და დარანში ვყოფდით შიშველ მკლავებს.

ხინტუ სადანიამ დარანიდან უშველებელი უხ-სენებელი გამოიყვანა, ნაპირზე გამოვიდა, ზორბა ქვა მონახა და ქვაზე დაანთხევინა უხსენებელს ტვინი და სისხლი.

მზე რომ გადაიხარა, არადანი-არჩევანის მიხედვით გავიყავით და ფეხბურთი ვითამაშეთ.

ახლა მე შაკო სადანიას ეზოში ვზივარ და ვუსმენ სახლეულის საუბარს.

რადიომ გამოაცხადა, წვიმა იქნებაო.

„რადიო ცდება!" თქვა კატო სადანიამ.

შაკო სადანიამ იმ სიტყვების გაგონებაზე ცქვიტა ყურები, — რადიო ტყუილს არ იტყოდა, არ შეცდე-ბოდა, ასე სჯეროდა, ალბათ. რადიომ თქვა და ომი დაიწყო, რადიომ თქვა და ომი დამთავრდა. როდის ისწავლა რადიომ ტყუილი? — რას არ იტყვის ადამიანი — რადიო ცდებაო!

„ახლა შორს მიდიან ძროხები საბალახოდ, — თქვა კატო სადანიამ, სიძე რომ შეცბა, — გვიან ბრუნდებიან ეზო-კარში. დაღამდება და საქონელი კიდევ არა ჩანს, შორს მიდიან და იმიტომ".

ადრეული შემოდგომის თბილი, მყუდრო საღამოა. შვეულად აწვართულან ეზოს ხეები, არ ირხევიან კენნეროები, დუმს ბებერი, საზამთრო მსხალი. ბა-ღის ხეებში ცმუკავენ ბეღურები, ღამის გასათევს იხაზირებენ.

„ღამდება, მე ბებერი ვარ და ჩემს თავს უნდა მივხედო; თუ საჭირო შეიქნა, შენ გეუბნები, მიხა, დამიძახე". მითხრა კატო სადანიამ. წამოდგა, ცალი ხელით კაბა გაიფერთხა, მეორეში, დაბალი კველა დაიჭირა და ოდაში ასასვლელად გაეშზადა. ერთი პირობა იფიქრა, როცა წამოდგა, კველს აქვე დავტოვებო, მაგრამ უმცროს მოთას, ბარუს რომ შეასწრო თვალი, კველა ხელიდან არ გაუშვა, ბარუს გაუწოდა და იმანაც გამოართვა. ახლა ისინი ერთად მიდიან კიბისკენ. რადიოს ნათქვამი უკვე, ალბათ, არ ახსოვს კატო სადანიას ან ჯერ კიდევ ახსოვს, ვინ თქვას; რომელი მხარე დარჩება გამარჯვებული: რადიო თუ კატო სადანია? მაგრამ, ვიდრე დედაბერი კიბეზე ადიოდა, რადიომ ერთხელაც გამოაცხადა, ნვიმა იქნებაო.

იმ ღამეს, როგორც შევთანხმდით, კატო სადანია მე გავაღვიძე.

სასტუმრო ოთახში ინვა დედაჩემი და მწარედ ჰკიოდა.

„გადი, შვილო, აქედან", მითხრა ხარტო შონიას ცოლმა და მეც კარი გამოვიხურე.

კატო სადანია რომ გამოჩნდა, მამინაცვალი იმ ოთახში შევიდა, ბუხარი რომ გვქონდა მიკეთებული, და იქიდან არ გამოსულა, ვიდრე ანი არ დაიბადა. მაგრამ, ვიდრე ჩემი პატარა დაია მოევლინებოდა ქვეყანასს, მთელი საუკუნე გავიდა თითქოს. მე მესმოდა დედაჩემის გაუთავებელი კივილი, ცას რომ ვარსკვლავს სწყვეტდა, მესმოდა ეკლვა სანაიას ხანდისხანი ამოძახილი. ის ბოლთას სცემდა. ერთ ალაგას ვერ ისვენებდა. წრიალებდა ოთახში, ტრიალებდა და ბანს აძლევდა ცოლს, ეხმარებოდა თითქოს ტკივილის განელებაში. და ერთბაშად გათავისუფლდნენ კიდეც, როცა კატო სადანიამ ჩვილი აიყვანა. გაისმა ახალშობილის მჭახე ტირილი და კატო სადანიამ ხელისწყალი მოითხოვა. მერე ვიღაცამ პირსახოცი შეაშველა და კატო სადანიამ ხელები გაიმშრალა.

ბებია-ქალი მე გავაცილე.

მივუყვებით ბნელში ღობის გასწვრივ მიმავალ ბილიკს და ვდუმვართ.

ჭიკჭკარს რომ მივაწიეთ, კატო სადანია შედგა, მომიბრუნდა და მითხრა:

„ას მეშვიდეა შენი პატარა დაია!"

მერე მან კარი შეაღო, შევიდა ეზოში. მესმოდა მისი ფეხების ნელი ბაკაბუკი, კიბეზე რომ ადიოდა (ჯოხი არ დაჰქონდა), მესმოდა, როგორ გაიჭრიალა მისი საძილე ოთახის კარმა, — საცაა უნდა გათენებულიყო. ტანში გამაყრიალა. ვიგრძენი, რომ კარგა ხანი ვიდექი ბოთესავით ერთ ალაგას, და უცებ გამოვტრიალდი. და იმის მაგიერ, რომ შინ დავბრუნებულიყავი, რატომღაც უქირის აღმოსავლით მიმავალ შუკას დავადექი. გამთენიის სუსტი, მკრთალი სინათლე ყონაგდა ოდიშის მთებზე, უკან მოვიტოვე სასადანიო. სძინავს ივო ფანიას, მან ჯერ არ იცის, რომ დაია შემეძინა. გავიარე ქაფათის მინდორი, ჩავუარე ვეებერთელა ვაშლის ხეს; უძრავად რომ იდგა ამ დილაბნელის ყუში. მენანება რაღაც, მტკივა რაღაც, მანუხებს და არ ვიცი, რა! გვარი? სახელი? მამაჩემი? სათუთარიო? სინნის ხიდი რომ გავიარე, მაშინღა მივხვდი, იქით არ მივდიოდი, საცა უნდა მივსულიყავი. და სასწრაფოდ გამოვტრიალდი. ახლა დილა ფეხდაფეხ მომყვება, ზურგში მიდგას და, თუკი ფეხს არ ავუჩქარე, კიდევაც წამომენევა. ვაშლის ხის ფოთლები ოდნავ შრიალებენ. იღვიძებს მცენარე, ანუცა სადანიას მცირე ოთახში კი ჯერაც ანთია ლამპა.

ათიოდე სხვა გვარის მოსახლე თუ ურევიათ სადანიას, მეტი არა. გერასიმე ქვარაია კი, ჯოკო სადანიამ რომ მიჰყიდა მინის ნაკვეთი, სულ ორი თვე იქნება, რაც აქ ტრიალებს. აგერ, ახლა წამოდგა ჩეჩმა ეზოს ბოლოში და ჭრის სახლის საძირკველს, ღობეს ავლებს საკუთარ ნაკვეთს.

აი, როგორი დიალოგი გვქონდა იმხანად, ერთ საღამოს, მე და ივო ფანიას.

„წერე იმაზე, რაც კარგად იცი", ასე მირჩია მან, დაკარგული თხის ამბავი რომ გავლექსე და მომიწონა.

ივო ფანია აფთიაქარი იყო, მეწამლე, თუმცა თავის თავს პროვიზორს ეძახდა. კაცს ვინმეს, ან ქალს, დიდსა და პატარას, ჩვენს სამეზობლოში ან თავი ასტკივდება, ან კუჭი მოეწამლება, ან ფეხს იტკენს, ან ხელს და პროვიზორი დიდის ამბით იქექება წამლების ყუთში. ზოგი ჩვენი მეზობელი კი ივო ფანიას მენცარად მოიხსენიებდა.

„მენცარი ბუნებაა და არა მე, ამბობს ივო ფანია, ბუნება აფთიაქია".

„წერე იმაზე, რაც კარგად იცი, რასაც დაინახავ. დიმახსოვრე, ან ჩაიწერე. რასაც გაიგონებ, გაიგონე, მაგრამ არ დაიჯერო. ნანახსა და განაგონს შორის ისეთი განსხვავებაა, როგორიც თვალსა და ყურს შუა. თვალი ხედავს. ყურს ესმის. თვალი ის არის, რაც არის, თვალი თანამედროვეა, ყური კი წარსულია. ყურის, განაგონის მწერალია, ვინც ისტორიის ამბებს გვიყვებს. თვალის მწერალი სხვა არის. აქ ყველაფერი მართალია და ისეთი, როგორიც არის. აგერ, ხომ ხედავ, სადანიების ძაღლი როგორ მიცუნცულებს. აღწერე, აბა, ეს ძაღლი. ამ ჩემს ფინიას ხომ არა ჰგავს. ჯეკა არისტოკრატია, ნასწავლია, ცუდს არაფერს მოგაწევს. სადანიების ძაღლი კი წუწკია და გაუტანელი. ბაიბურში რომ არა ხარ, ისე მოგეპარება. დიდ ხანს უნდა, მიხა, დაკვირვება, მათი ავანჩავანი რომ გაიგო. ამიტომ ჩაიწერე, რასაც დაინახავ. რასაც გაიგებ, ისიც ჩაიწერე, ამა თუ იმ ამბის თაობაზე. ოლონდაც სხვისი პირით არ ილაპარაკო. ერთი კაცი მეორე კაცისას ვერ გაიგებს. ყველას თავისი თავი ჰგონია მართალი და სხვაზე უკეთესი. — ამას ქრისტეც გვეუბნება, — და სხვას ესვრის ქვასა და ტალახს. სხვის თვალში ხედავს ხიწვს, თავის თვალში კი მორსაც არ დაინახავს, ის კიდევ სხვა ამბავია, თვალშიც რომ ჩაგივარდეს, ხელს არ ამოისვამო; თვალი შორს მიდის, თუკი კარგად დავაკვირდებით.

„ჩქიმი ჭიჭე ჭურია,
ცაშა მიანჭუნია".

ეს ჩვენებური ემუორე-მუორეა, ანდაზა-გამოცანა, მაგრამ დაიკვირდი, რა შინაარსი დევს: ჭურია ხომ ტბა არის, თვალივით მრგვალი, პატარა ტბა. ჩემი პატარა ტბა ცას სნდვებაო, ამბობს ლექსი. გინდა ტბა

იგულისხმე, გინდა — თვალი. ამას ეწოდება ემუორე-მუორე. ჩაინერე, მიხა, მერე კი არ გამახსენდეს იქნება, თვალი თვალის მტერიაო, ასე მოდის ათა-ბაბადან. ამიტომ ტყდება ხოლმე ომი და ოხრობა. აი, იმ ღობეს ხომ ხედავ, მიხა, კარგია თუ ცუდი?"

„ვერ გავიგე, რას მეკითხები?"

„აი, იმ ღობეს ხომ ხედავ-მეთქი, საჭიროა თუ არა ის ღობე?"

„საჭიროა, ცხადია".

„რაგომაა საჭირო?"

„საქონელი რომ არ შემოვიდეს, ნათესი და ხეხილი არ გააჩანაგოს".

„კარგი და პატიოსანი, შენ ხარ ჩემი ბატონი, გავარკვიეთ ეს საკითხი. ახლა ეს მითხარი შენ — აი, ოდის უკან რომ არის ღობე, იმ შუაღობეზე რას მეტყვი, საჭიროა თუ არა ის ღობე?"

„საჭიროა, ალბათ, რადგან არის".

„კი, მაგრამ, ამ შუაღობით, ამ შინაღობით ხომ ვერ შემოვა საქონელი, ან ნათესსა და ხეხილს რა დაუშავდება, ამ ადგილას ღობე არა გვქონდეს? დაუშავდება ვითომ რამე?"

„რა გიპასუხო, ამაზე არასდროს მიფიქრია".

„ჰოდა, მეც იმიტომ წამოვიწყე ამაზე საუბარი. აქ ღობე იმიტომაა საჭირო, მე და შაკო სადანიამ შშვიდად რომ ვიცხოვროთ. მიჯნის გადალახვას მოსდევს ომი. რაც კი ომები აბეხილა ამქვეყანაზე, სულ მინის გამოა ატეხილი. ადგილ-მამულის გამო. ტერიტორიების გამო. არ ჰყოფნის კაცს თავისთვის მოზომილი ადგილი. შაკო სადანიამ რომ ღობე გააახლა, ერთიორი მტკაველი მიწაც მიიყოლა თავისკენ, მაგრამ, ამაზე ჩხუბი და დავიდარაბა რომ ამეტეხა, ერთ-ერთი ჩვენგანი ახლა ცოცხალი აღარ იქნებოდა, ამიტომაც ღობის გამართვაში კაცი კაცს არ შეიამხანაგებს. აი, ღობეზე რომ დაიწეროს ნიგნი, მსოფლიოს ისტორია გამოვა. ღობის ისტორიაა მსოფლიოს ისტორია. მაგრამ კარგად უნდა იცოდე ღობის ასაგის-გასაგისი. მინის ასაგის-გასაგისი. ღობე ხომ მინას იცავს. მინის დარაჯია. მე კი არ მომიგონია, მიხას ჭირიმე, მიწა ის არის, რაც კაცის მკელესაც კი არ დაუკავებს სარჩოსაბადებელს. როგორი ამბავია! ღობე კი ცოცხალია და სულიერი. რაღა კაცი დაგიყენებია მინის მცველად და რაღა ღობე?

მე გავიხედე და დავინახე, როგორ ცდილობდა ივო ფანიას ეზოში შემოჭრას ერთი ვეება, ტალახში ამოგანგლული ღორი. ღორი დინგს ჰყოფდა სარსა და სარს შუა, ეჯაჯგურებოდა ღობეს და გამალებით ქშენდა. ალბათ, იმ ღორმა თუ გაახსენა მაშინ ივო ფანიას ღობისა და მინის ისტორია.

მე ავდექი, გავიქეცი და ღორი გზის იქითა მხარეს გავაგდე.

ახლა ღორი ივო ფანიას მოპირდაპირედ მოსახლე ვეგა სადანიას ღობეს ეჯაჯგურება.

ივო ფანია ჰყვება:

„პატარა რომ ვიყავი, მაშინ ცხონებულ ბაბუაჩემთან ვიზრდებოდი. სოფელში. დიდი ყანა გვედო და ერთხელაც მომიწია იმ ყანიდან საქონლის გადარეკკა. მივყევი იმ სამგლეს, მივყევი, მივყევი და ნამეტანი რომ გამანვალა, მეზობლის ყანაში ვუკარი თავი. შინ რომ დავბრუნდი და ამ ამბავს მოვყევი, ბაბუაჩემმა (მისი სული აცხონოს ღმერთმა) ყურები ამიწითლა.

„რა გინდა მუტრუკი გაიზარდო, კაცი არ დადგება შენგან!" ასე მითხრა.

ენანებოდა მეზობლის ყანა და იმიტომ.

მერე ადგა ცხონებული, წავიდა და ის საქონელი თვითონ გამოდგა მეზობლის ყანიდან მინდორში".

შუკაში კაცმა ჩაიარა, გეგა სადანიას ეზო-კარს რომ მიანია, ღორს შეუცაცხანა, ღობეს მოაშორა და გზა განაგრძო, თვალს მიეფარა.

26.

გერასიმე ქვარაიას, გარდა საგანგებოდ დაქირავებული მუშებისა, არავინ მიხმარებია შუაღობის გამართვაში.

სასადანო დუმილით შეხვდა კიდევ ერთი ახალი ოჯახის ჩამოსახლებას. მაგრამ, როცა საძირკველს ჭრიდა, როცა საძირკველში ქვა-ღორღს ყრიდა და დუღაბს ასხამდა, მთელი სასადანიოელი გოგო-ბიჭები გერასიმე ქვარაიას ირგვლივ ურიამულობდნენ, პატარა ნიჩბებს ატრიალებდნენ, ვედროებს ავსებდნენ სახელდახელოდ მოდღვებილი დუღაბით და ახლად გაჭრილ კალაპოტში ცლიდნენ.

კატო სადანიას უმცროსი მოთა, ბარუ სადანია, ერთიანად ამოგანგლულიყო კირსა და ტალახში და ასე მოთხვრილი ედგა ახლა თვალწინ ოჯახის კანონსა და სამართალს. ბარუ სადანია ცხრა-ათი წლისა იქნებოდა, მეტი არა. მას დიდი კატო სადანია უწყრებოდა, ლანძღავდა სადანიებს, მიწაში კირავდა, წყევნიდა. მერე კი ბრძანა, ბარუ სადანიას აეღო კეტი და მისთვის მიეტანა.

პატარა ბარუ ხვდებოდა, რას ავალებდა დიდი კატო სადანია, მაგრამ ფეხს არ იცვლიდა; თავჩაქინდრული იდგა და, ალბათ, იმაზე ფიქრობდა, როგორ გასხლტომოდა ხელიდან გაბრაზებულ კატო ბებიას, მაგრამ ამას ვერ ახერხებდა.

„რა გვარი ხარ, ბოში, შენ!" ეკითხება კატო სადანია პატარა ბარუს.

ბარუმ გაიგონა, რა ჰკითხა ბებიამ, მაგრამ ისიც კარგად იანგარიშა, რომ ის სიტყვები მარტო თავისი პირდაპირი და სადა მნიშვნელობით არ იყო ნათქვამი, და შეკითხვას გაუჩუმდა, არ უპასუხა. კეტი კი უკვე ხელში ეკავა.

„მომეცი აქ!" ბრძანა კატო სადანიამ და, ვიდრე იმ კეტს გაექცეოდა, ბარუ სადანიამ, „დედაა!" ერთი ხმამაღლა წამოიკივლა და გაქრა წამწამის დახამხამებაში, მაგრამ კეტი კი მაინც მწარედ მოხვდა, ვერ აიცდინა.

შეღამებულზე ბარუ სადანიამ გუმანით მოძებნა ის კეტი, წვივზე რომ მოხვდა, და შუაზე გადატეხა.

ბარუ სადანიას, თუმცა ყველაზე უმცროსი იყო თავის დიდ ოჯახში, ღონე გაცილებით მეტი ჰქონდა, ვიდრე მისი ასაკის ბავშვს, და ამიტომაც ეძახდნენ ბარუს (ბარუ, ანუ ბარუ ლეღვი, დიდი ლეღვი), ნამდვილ სახელს კი არავინ ეძახდა. ხოლო გერასიმე ქვარაიამ ბალღი ასე იმიტომაც დაასაქმა, მეტი ხნისა ეგონა,

ვიდრე იყო.

ბარუ სადანია, ერთ ვედროს რომ გაუპინინებდნენ, იდგა და მეორე ვედროს ავსებას ელოდებოდა, და ორივე ხელი დაკავებული ჰქონდა. კირსა და ცემენტში, ხრეშსა და ქვიშაში ამოგანგალული ვედროები გვერდებზე სცემდა და შარვლის ტოტები, თუმცა აეკაპინებინა, მაინც ესვრებოდა. ხოლო, როცა დასცხა, პერანგიც ამოუშვა შარვლიდან და პერანგის ფესვებიც დაესვარა, დაუსველდა თანდათან, ტანზე მიეწება. ფეხშიშველი დააბიჯებდა ხვინჭასა და ქვიშაზე, ქვების ნამტვრევებზე, მაგრამ ფეხის გული არ ეჭრებოდა, არ სტკიოდა.

გერასიმე ქვარაიას ლამაზი ცოლი და მისი გალეული, სიფრიფანა ცირა მახლობლად ისხდნენ ფიცრის გრძელ სკამზე, გაზეთი რომ იყო გადაფარებული, და ისე უყურებდნენ შრომა-საქმიანობას.

ბარუ სადანია თავს დაღუნავდა და სავსე ვედროებს სწევდა. ვედროს რომ ჩაცლიდა კალაპოტში, ის სუსტი ცირა მიირბენდა ხოლმე იქ, ცარიელ ვედროს დაავლებდა ხელს და მამამისს მიურბენინებდა, არ კი იცოდა ოღონდ, ბარუ სადანიას ამ საქციელით უფრო და უფრო რომ ასაქმებდა. ხოლო ლამაზი ქალი, საგარეო ტანსაცმელში რომ იყო გამოწყობილი, ცირას უნყრებოდა — თხიერი დუღაბი პატარა გოგუცუნას სანდლების ჭრილში შესდიოდა და ფეხის თითები უსველდებოდა.

„აგერ მოდი, ფეხები გაგიცივდება!"

ჯოკო სადანიამ ჰკითხა მაშინ მეზობელს:

„ეს ცირა სად დაიბადა?"

„აქ დაიბადა, უპასუხა გერასიმე ქვარაიამ, უქირში დაიბადა".

„მაშინ არა უშავს, არ გაცივდება", ჩაილაპარაკა ჯოკო სადანიამ.

პატარა ცირა ჯოკო სადანიას კისერზე ეკონწიალებოდა, რაც ნამეტანი არ სიამოვნებდა ქვარაიას ლამაზ ცოლს, მაგრამ ცირა ტკარცალებდა, იცინოდა და ისევ და ისევ დააბიჯებდა დუღაბით გაყიყინებულ მიწაზე, ამასობაში კი ის ერთი მოზელა დუღაბიც დაილია. გერასიმე ქვარაიამ მოფხიკა ბოლო ვედრო, ვერც გაავსო იმ დუღაბმა, ნახევრადმე უწია მხოლოდ ვედროს და, ვიდრე ბარუ სადანია გამობრუნდებოდა, ქვარაიამ თავის პანია ასულს დაუძახა:

„ცამუნია, აჰა, შენ, ეს ბოლო ვედრო, წაიღე და ჩაცალე კალაპოტში. მეტს ვერ მოვზელთ, თქვა მან, საცაა დაღამდება".

„ახლა ამათ კარგი ვახშამი არ აწყენთ, თქვა ჯოკო სადანიამ, მაგრამ მე ქალი არა მყავს, მარტოხელა კაცის არ იქნა, ღმერთი მისკენ არ არის".

„მოვესწრებით, ჯოკო პატენი, მოვესწრებით!"

შეღამებულზე ჯოკო სადანია შაკოს კერასთან იჯდა და ელოდა, როდის მოიხარშებოდა კვახი, არყით სავსე ბოთლი კი ტაბაკზე იდგა.

კატო სადანიას ლამპა ენთო მცირე ოთახში და დასაძინებლად ემზადებოდა. ვახშამს ის არ მოუცდიდა, ძილის წინ არ ჭამდა.

„თაგვიც კი კუჭის დონეზე სვამს წყალს". უთხრა კატო სადანიამ უფროს ვაჟიშვილს, როცა იგი მთვრალი შემობანცალდა ეზოში.

ჯოკო სადანიამ ფაცხიდან დამიძახა.

მე შინ წასვლა დავაპირე, მაგრამ ხინტყი სადანიამ არ გამიშვა.

„ბაბას ეწყინება, დარჩი, იმ კეთილი მამის სულს გაფიცებ, რომელიც არ გყავს, არ წახვიდე".

შევედით ფაცხაში.

ბარუ სადანია კარგა ხანს იჯდა კიდევ მარტო, ხის ძირში.

უკუნეთი ღამე იყო. რაზე ფიქრობდა მისი პატარა გული? რა ქნა ისეთი, რა ჩაიდინა, რომ კატო ბებია ასე გაუჯავრდა? ფეხი კიდევ სტკიოდა და აწუხებდა, ალბათ, შარვალ-პერანგი ტანზე შემოაშრა, სიცივემ და ყიალმა გაუარა, მაშინ რომ იგრძნო, როცა ხის ძირში ფიცარზე ჩამოჯდა. ახლა კი არ იცოდა, საით აეღო გეზი, ფაცხაში შესულიყო თუ ოდა-სახლში აპარულიყო დასაძინებლად?

გავედი ფაცხიდან და ბარუ სადანია კერასთან მივიყვანე, გვერდით დავისვი. კვახის ორთქლიანი, ზორბა ნაჭერი გადავუღე, მაგრამ მან ხელი არ მოჰკიდა. იჯდა და შორიდან ეჩვეოდა თავის თიას, რაც დღეს დამსახურებული ჰქონდა, თუმცა საკუთარი ეზო-კარის გარეთ შრომობდა და არა შინ. კირივით კვახი იყო, კანი თეთრი ჰქონდა და გული ყვითელი, მშრალი და ფხვიერი.

ვხუხავდით არაყს და ვაყოლებდით კვახს. მე უკვე კაცი მეთქმოდა და არაყიც უნდა დამელია. გვირაბში რომ ვმუშაობდი, აკარმარაში, ჯოკო სადანიას არ სჯეროდა, არ სჯეროდა ის ამბავი, მინაში რომ ჩავდიოდი და იქიდან რაღაც გამომქონდა.

„სულ დახრავენ მინას ეს შობელძაღლები, ბრაზობდა ჯოკო სადანია, მინა დაიღლება, გამოიფიტება და მერე რას იზამენ? ყველაფერს რომ წაართმევენ, რას დაუბრუნებენ? ხვალაც უნდა მივეხმაროთ გერასიმეს", თქვა მან ბოლოს და ბარუს თვალები აუციმციმდა, კვახსაც დაავლო ხელი და იმ სერობის სრულუფლებიანი წევრიც გახდა.

„კეღვა სად მუშაობს?" მკითხა ჯოკო სადანიამ.

მე ვუპასუხე.

„ავა, ჯიმა-აჯამი, გერასიმეს მინდოდა გარიგებოდა, სამთვალა ოდა-სახლის წამოდგმას აპირებს. უკეთეს ოსტატს სად იშოვიდა".

ბარუ სადანიამ გულ-მკერდი გაითბო, კვახი მოასუფთავა და, ფაცხიდან გასვლა რომ დააპირა, მამამისმა დაუცაცხანა:

„შეხედე ამ ყურუმსაღს, ფეხების დაბანას არ აპირებს!"

„ტაშტი უნდა მოვიტანო", უპასუხა ბარუმ.

„დაიბანე ფეხები და ჰაიდა!"

ბარუმ იქვე, ფაცხაში დაიბანა ფეხები, გაიშრო კერიის ცეცხლზე, მამამისის ვეება კალოშებში ჩაჰყო ფეხები და წვიდა ოდაში დასაძინებლად.

კი ხანს ვისხედით კერიის გარშემო. იყივლა პირველმა მამალმა. წამოდგა ჯოკო სადანია და გავედით ყველანი ჯერ კიდევ თბილი და სინათლიანი ფაცხიდან.

27.

„ადრე თურმე ძალზე ცოტა ნაფოტი ცვიოდა ხეს". თქვა კეღვა სანაიამ, ნაჯახი მორზე დაარჭო, რომელსაც თლიდა, ოფლი მოიწმინდა და დაჯდა ოდის ჩრდილში. მზე უკვე საშუადღეოზე იყო გასული, დაბლა მდიიოდა; კედლის ჩრდილიც შეუმჩნეველად, მაგრამ წამი-წამ იზრდებოდა, ვრცელდებოდა და მალე სამზადსაც მინვდა. სანაიამ სათუთუნე ამოიღო, გახსნა, პაპიროსის ქაღალდში თუთუნი შეახვია, შენეგა ენით და გააბოლა. ხინტუ სადანია იყო ჩვენთან, ეხმარებოდა კეღვა სანაიას და ახლა ოსტატს უსმენდა.

„ადრე თურმე ძალიან ცოტა ნაფოტი ცვიოდა ხეს, — ამბობდა კეღვა, — მაგრამ იესო ქრისტემ დასწყევლა ხის მოხელე და მას აქეთ დიდძალი ნაფოტი ცვივა. გაგანია სიცხე იყო. იესო ქრისტე სოფელ-სოფელ დადიოდა. ერთ სოფელში რომ შეედა, ნაჯახის კაკუნი გაიგონა. მიჰყვა იმ ხმას და მივიდა იქ, სადაც ერთი მოხუცი დურგალი იჯდა ჩრდილში და საგზალს შლიდა. უცხო კაცი რომ დალანდა, ხურომ ყველი და მჭადი აკრიფა, ჰალმის ფოთლებში შეახვია და დამალა. კაფანდარა კაცმა „გამარჯობა" უთხრა დურგალს. „ღმერთმა გამარჯვება მოგცეს", უპასუხა მან.

ნამგზავრი კაცი ვარ, შორი გზიდან მოვდივარ, ეგების ყელი ჩამასველებინო, ითხოვა კაცმა.

აგერ, მე მთელი დღეა ამ ხეს ვუკაკუნებ და პირში ლუკმა არ ჩამსვლია, არაფერი მაბადიაო, უთხრა ხურომ.

„ხვავი და ბარაქა შენს ნაფოტს", დაიბარა კაცმა და წავიდა.

ის უცხო კაცი თურმე იესო ქრისტე ყოფილა. იმ დღიდან მოკიდებული დიდძალი ნაფოტი ცვივა ხეს — რაღაც საცოდავი კოჭი გინდა გამოთალო და ქვეყნის ნაფოტი ჩამოდის".

ხინტუ სადანია უსმენდა ოსტატს.

„მართალია, ვითომ, კეღვა პატენი, რასაც ჰყვები?" — იკითხა უცებ.

„რატომ არ იქნება მართალი ვითომ? იესო ქრისტე რომ იყო, ხომ ცხადია. ჭკვიანი კაცი იყო ის აშენებული. ნინდაწინ იცოდა თურმე, ხვალე რა იქნებოდა. და რატომ არ უნდა დავიჯერო ეს ამბავი? ნაფოტიც ხომ დიდძალი ცვივა ამ ხეს".

კეღვა სანაია წამოდგა, ააძრო მორზე დარჭოილი ნაჯახი და განაგრძო ხის თლა. ხინტუ სადანიას ფეხებშუა ჰქონდა მოქცეული ვეება მორი და თავს უჭერდა. ერთ ალაგას ამგარებდა. კეღვა სანაია მარჯვედ იქნევდა ნაჯახს და, როცა ნაჯახი ეცემოდა, მორი ტოკავდა.

„ძალიან ნუ დაანვები, ხომ ხედავ, გადასაბრუნებელია ახლა ეს მორი. მეორე ვვერდია გასათლელი".

ხინტუ სადანია მალე ნავიდა.

მერე დაღამდა.

რასაც გინდა აკეთებდე და რაც გინდა მოხდეს, სადაც გინდა იჯდე, მაინც დაღამდება და, როცა დაღამდა, კეღვა სანაია ჩამოჯდა ოდის წინ და მოკლე ხანში, ჯოკო სადანია გადმოვიდა მეზობელთან სალაპარაკოდ.

ნესტიანმა, გრილმა სიომ დაჰბერა სასადანიოს. მთვარე ამოვიდა, ჩრდილები აიშალნენ პაწია ბაღში და ნიავის დაქროლებაზე ერთმანეთს მიეკონენ.

ხმადაბლა იწყეს კაცებმა ლაპარაკი.

„აი, რომ მოვკვდები, კაცო, სული რომ მიდგას, სად წავა ეს სული?" ეკითხება კეღვა სანაია კარის მეზობელს და მთვარიანში იყურება.

ჯოკო სადანია შემცბარი იყო და ენას ვერ სძრავდა კარგა ხანს, მაგრამ ბოლო-ბოლო, მეზობელს მაინც უპასუხა:

„არ მჯერა მე, კეღვა პატენი, სულის უკვდავება. ჩვენ რომ წავალთ, სულიც თან წაგვყვება და გაქრება. სხეული ჩვენი კი დალპება, გაიხრწნება".

„მაგრამ აგერ, ნიავი რომ ფაჩუნობს, ამაზე გეკითხები, აი, ეს ნიავი როგორ გაიხრწნება? ნიავი ჩადგება, მაგრამ ხომ გამოიღვიძებს ისევ, სულ ხომ არ მოკვდება?"

„სულ არც ჩვენ მოვკვდებით, ჩემო კეღვა. მინას მივემატებით და ამრიგად არ გაგქრებით, ძვალი ჩვენი დაიფშვნება და მინას გააფხვიერებს".

„არ მჯერა მაგი მე, ჯოკო პატენი; რისთვის იბადება მაშინ ადამიანი, თუკი სამუდამოდ უნდა გაქრეს?"

„კუჭისთვის ვცხოვრობთ და ვშრომობთ, კეღვა პატენი, მხოლოდ კუჭისთვის და მეტი არაფერი".

„სული მაინც არსებობს, თქვა კეღვა სანაიამ, კაცისშვილი ვერ გადამარწმუნებს. სული ჩვენი სხეულზე მეტ ხანს რომ იცოცხლებს, ესეც მჯერა. ღმერთი არისო, რომ ვამბობთ, სადაა ღმერთი, ხელს ვერ მოვკიდებთ, მაგრამ არის, სულია ღმერთი. მე რომ ცხონებული დედ-მამა დავმარხე, ხომ მეწყინა ძალიან და თავი ცოცხალი არ მინდოდა, ხომ მეტკინა მე ეს ამბავი, მაგრამ არც ხელი მტკენია და არც ფეხი, არც თვალი და არც კუჭი, კი ვარ აგერ ჯანმრთელი, მაგრამ, რაც მეტკინა და ძალიან მაწუხებდა, ის რა იყო თუ არა სული? იმ კვირას რომ ქარი ამოვარდა, ჩამოფერთხა ჩემი მანდარინი და მეტკინა, მანდარინი მეტკინა და არა ხელ-ფეხი. ასე ტკივა კაცს თავისი საქონელი, თავისი შვილი, თავისი მამული".

„მაგრამ, რომ მოკვდები, რაღა გეტკინება?" იკითხა ჯოკო სადანიამ უცებ და კეღვა სანაია გაშრა, დადუმდა და გაქვავდა.

„შინ შევიდეთ", თქვა გვიან-გვიან.

კაცები წამოდგნენ და შევიდნენ ოდაში. იქ უკვე ლამპა ენთო. დედაჩემს ლობიო შეეკმაზა, მჭადი გამოეცხო და მცირე სუფრაც გაეწყო. ვუსხედით სუფრას, ვასხამდი ღვინოს ჭიქებში, სვამდნენ ისინი და ვსვამდი მეც.

კეღვა სანაიამ, როცა შეზარხოშდა, სიმღერა წამოიწყო. ზარივით ხმა ჰქონდა, რაღაც მარად ახალგაზრდული და უბერებელი. ან ცაცხვი იყო ახალგაზრდა, ან მუხა, ან წიფელი, ან ქორწილი, ან ვარსკვლავი, შინაური, ან ეზო-კარს რომ ეკუთვნის მხოლოდ. *„სი ქოული, ბატა!" „ზესკვი, მუქრე მუგოწყინუ", „ვაი, შური საყვარელი". „შიო, ჩიტი ქოფურინი". „ჭიჭე ცირა, ნინგული..."*

სძინავთ ჩემს და-ძმებს, სძინავს ეზო-კარს და ისმის, როგორ მღერიან მეზობლები. გამოუღეველი აქვთ ლექსი და რიტმი, სამყაროს იტევს მათი ხმა და

ბოლოს, სულ ბოლოს:

„რა ვრცელია ეს ქვეყანა,
ყოფნა რომ შეიძლებოდეს, ნანა...”

მამინაცვალს რომ არ დაელია, სიმღერას არ იტყოდა. ამიტომაც უცნაური, სასწაული კავშირი ჰქონდა ვაზსა და ხმას.

კელვა სანაია ეფერებოდა „იზაბელას”, თხმელაზე გასულ მაღლარს ეფუზრუნებოდა გამოზაფხულზე რაღაცას, ელაპარაკებოდა. ვაზი ირხეოდა და თალარს ეხვეოდა, ფოთლებით მოსავდა ფანჩატურს, გარს ევლებოდა, მარჯვნივ მიდიოდა, მარცხნივ მიდიოდა, მაღლა ადიოდა, დაბლა დაიხედავდა, უვლიდა ფანჩატურს, ძალ-ღონეს იკრებდა, ფერში შედიოდა. ღილის მზის სხივი ხვდებოდა მტევანს, შუადღის მზე და ჩამავალი მზის სინათლე, და იწოვდა ფერებს, მწიფდებოდა კუმპალი და იყო მასში ჩამდგარი მთელი დღის ავლა-დიდება. ჩიტების სტვენა-ჭიკჭიკი, „დედა-ენის” საკვირველი ლექსები, მაყვალა დაიი რომ კითხულობდა ეზოში ხმამაღლა და კავკასიონის თეთრი მწვერვალების მარადი სინათლე... და ეს ყველაფერი ერთ კუმპალში იყო ჩამდგარი. კელვა სანაია იმ კუმპალის ნაჟურს გადაჰკრავდა, ტუჩ-პირს მოიწმენდდა, ყელს მოიღერებდა და „გეეშვია, გეეშვია” — სიმღერას წამოიწყებდა. ახლა იყო ყველაზე ახლოს ხმა და კუმპალი. აი, ახლა შეხვდნენ ერთმანეთს კარგა ხნით დანატრებულნი და კარგადაც მოილხინეს.

ჯოკო სადანია უკვე კარგა შეღვინებულიყო.

„ახლა მე წავალ”, თქვა მან და წამოდგა.

„მოკაკვე თითი, ხომ?” ჩააჟინდა კელვა სანაია.

„აი, მოვკაკვე თითი”, უპასუხა მასპინძელს და მართლაც მოკაკვა თითი.

თავს ვერ იმაგრებდა ნასვამი კაცი, მხარში შევუდექი და წავბანცალდით ასე შუკაში.

28.

იმ საღამოს რატომღაც ღვინო არ მომეკიდა... არც მთვრალი ვიყავი, არც ფხიზელი და შინ მიბრუნება დამეზარა.

ივო ფანიამ კარგა ხანს არ გამიღო კარი, მაგრამ ვიცოდი, ბოლოს და ბოლოს კაკუნს მაინც გაიგონებდა და კარს გამიღებდა.

„რომელი ხარ მანდ?” მომესმა ოთახის სიღრმიდან.

„მე ვარ, ივო ბიძია, მიხა”.

„ახლავე, ბიძია, ახლავე ავდგები. ასანთი ვერ ვიპოვე, ჭიმაღურელი”.

მცირე ხანში ძველი ოდა-სახლის ღრიჭოებში გამოკრთა ლამპის სინათლე.

„გვიანი რომ არ იყოს, ერთ ხელ ჭადრაკს ვითამაშებდით”, მითხრა ივო ფანიამ და იწყო ჩემი ლოგინის გაშლა.

„აი, აქ დაწვები, ბიძია, შენ; აქ იწექი ხომ ადრეც?”

კი-მეთქი, ვუპასუხე.

„რა მოხდა, მიხა, ამაღამ, შინიდან მოდიხარ თუ?..”

„კი, შინიდან მოვდივარ. სტუმრები გვეწვივნენ და არ გვეყო დასაწოლი”.

„დაწექი, ბიძია, დაწექი. შენ რომ კითხულობდი, ის წიგნი ეგერ დევს. თუ არ გეძინება, იკითხე წიგნი, ლამპის შუქი მე არ მიშლის”.

„ღმერთი თუ არსებობს, ივო ბიძია, სული თუ არსებობს?”

გაკვირდა ივო ფანია, არ მოელოდა, ცხადია, ამ გაშუაღამებულის ყიამეთში მსგავს შეკითხვას.

„ამის თაობაზე მერე ვილაპარაკოთ, მიხას ჭირი, ახლა კი დაწექი. ღმერთი უსაზღვროა და უსასრულო. უსასრულოზე ცოტათი ნაკლები რომ იყოს, ალბათ, დავინახავდით. დაწექი, დაისვენე”.

„ძველი საბერძნეთის მითები და ლეგენდები”, ასე ერქვა იმ წიგნს, მე რომ ივო ფანიასთან ვკითხულობდი. თუკი კარგ გუნებაზე იყო (თუკი ჭადრაკს მომიგებდა), ივო ფანია ხმამაღლა მაკითხებდა ზოგიერთ ადგილს იმ წიგნიდან, მაგრამ, თუკი ჭადრაკს მე მოვიგებდი, ივო ფანია წიგნს ხმამაღლა არ მაკითხებდა.

რა საერთო ჰქონდა მას იმ წიგნთან? რატომ აინტერესებდა იქ აღწერილი ლეგენდები და მითები? იგი რაღაც შორეულ ნათესაობას გრძნობდა იმ მითებისა და ლეგენდების გმირებთან, ძველ კოლხეთთან, მედეასთან, იაზონთან და თავის პანია შვილიშვილსაც მედეა დაარქვა სახელად. არსად ისე არ არის გავრცელებული ეს სახელი, როგორც სამეგრელოში... რულმა გამომტყუა თვალები და ლამპაც მალე ჩავაქრე. „სად უნდა წავიდე ხვალ?” ვფიქრობდი გულში. „რატომ დაიღუპა ახალგაზრდა მამაჩემი?” „რატომ გაყვა დედა მამისტოლა კაცს?” „რატომ გათხოვდა ხელმეორედ?” „რატომ არ დარჩა ოქუმში?” არ მეცოდებოდა დედაჩემი და ახლა, ვიდრე ჩამეძინებოდა, თავს ვაძალებდი, როგორმე სახვალიოდ გული არ მომბრუნებოდა. მაგრამ მეორე დილით მაინც ვინანე, ასე უთქმელად რომ წამოვედი შინიდან. დედას მაინც სცოდნოდა, ლოგინზე რომ მეძინა და არავითარი ხიფათი არ მელოდა. მაგრამ ეს ხომ მაინც იმ მიხას ფიქრებია, სანერ მაგიდას რომ უზის ახლა და ერთმანეთს უხამებს ნანახსა და განცდილს...

დასასრული იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრიდონ ხალვაში-80

ჩვენი უფროსი მეგობარი, შესანიშნავი მამულიშვილი და პოეტი ფრიდონ ხალვაში 80 წლისა გახდა!

მთელი შეგნებული ცხოვრება ბატონი ფრიდონი ბურჯად უდგას ქართულ სიტყვას, ქართულ ცნობიერებას; მისი ყოველი ლექსი, ყოველი სტრიქონი სამშობლოსა და მოყვასის ერთგულების საგალობელია... აკი ამბობს კიდეც აქ წარმოდგენილ ერთ-ერთ ახალ ლექსში:

ეს ჩემი სული ქვის ნატეხივით,
სამშობლოს კედელს ჩააშენდება...

მისი მოლვაწეობა კი ყველა ქართველისთვის იმის მაგალითია თუ როგორ უნდა ემსახურო შენს ქვეყანას, შენს წარსულს და დღევანდელობას, რომ ერის მომავალი გადაარჩინო...

ბატონი ფრიდონი დღესაც მხნედ და ახალგა ზრდულად გამოიყურება, ხოლო მისი პოეზია კვლავაც შემართებით ხმიანობს.

ჟურნალ „ცისკრის“ რედაქცია თავის მკითხველთან ერთად ულოცავს ბატონ ფრიდონს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს, უსურვებს ჯანმრთელობას და ახალ-ახალ შემოქმედებით გამარჯვებებს.



ფრიდონ ხალვაში

ილია II-ს, ჩემს ნათლიას

დღეს აქაურ მთა-ბარად
სხვა მზე, სხვა ყვავილია,
ზღვამ ლოცვა დამბარა,
უწმიდესო ილია!

ნარინჯების საუფლო
ლურჯია და თბილია,
ზღვაც ქართულად საუბრობს,
უწმიდესო ილია!

აქ ჯერ ბევრი დარდია,
მაგრამ ვთბებით იმ მზითა,
აქ რომ წმიდა ანდრიამ
ქრისტეს სიტყვად გვიზიდა;

მოდიოდა ლაზეთით,
ანუ „მეგრელთ სოფლითა“,
სიყვარული ასეთი
„დიდაჭარას“ მოვიდა.

— ვძებნოთ ძველი ბუდენი,
დღეს ახალი სინათლით, —
ვთქვით და ხედავთ? — ვბრუნდებით,
სად რწმენაა წინაპრის.

მტერი გადენილია,
რაღა ჩვენი ძილია.
ვივლით, ვითა გვივლია,
უწმიდესო ილია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

აჭარის მთებში

აქ, მგონი, კენჭმაც კი იცის, ვინ ვარ.
იცის გზამ, ვისთან მისვლა მინდოდა.
სიყვარულისთვის სამშობლომ ტკბილმა
სიყვარულითვე დამაჯილდოვა.
საკვირველია, — ეს ბერი მთები,
გინდ თოვლი ედოთ, ბუქი ბრუნავდეს,
დამინახავენ და ორივ ვთბებით,
თითქოს დანახვით ერთურთს ვკურნავდეთ.

●

მიყვარს დანდალოს რგული ხეხილი,
ხევი თამარის ხიდით მშვენდება,
ეს ჩემი სული, ქვის ნატეხივით,
სამშობლოს კედელს ჩააშენდება.

იმარანთა

ჩემი სოფლის ერთ უბანს მარანთა (მარნის მთა) ჰქვია. იქ ოთხასზე მეტი წლის ღვინიანი ქვევრი ვიპოვეთ, გამუსლიმანებულთაგან მივიწყებული.

ვაზო, ნაზო და ლამაზო,
შენაც ჩვენებურ კაცივით
თუმცა გწვეს, გჩეხეს, დაგავსეს,
არ გაიწირე გაწირვით.

ღვინოვ, ვიცი, მზეს უღიმი
და ელავ, როგორც ელავდი,
წამალო ჩემი წუხილის,
ქართული სუფრის ბელადო!

ნაჟურო, ბადაგმტირალევ,
ბროლავ, ჯინიშო, ჩხავერო,
ოთხას წელს ქვევრში იმალე,
გნახე და ცრემლად გღვარეო.

დამწიფებული ენთები
ამ ცით, ამ მთებით, ამ ველით,
ირწყვება ლოცვის წვეთებით
ბაგე-პირ-ყელთა გვალვები.

ღვინოვ, ვიცი, მზეს უღიმი,
რადგან შენია ყველა დრო.
წამალო ჩემი წუხილის,
ქართული სუფრის ბელადო!

იმას უყვარხარ შენა...

შენზე ოცნებამ შენს ახლო
სამყოფი ამიშენა
ჩემში რომაა პოეტი,
იმას უყვარხარ შენა.

ისაა ჩემზე ჯელი,
ის ლამაზია ჩემზე,
სხვა ჯინებს მე ვერ ვერევი,
ის კი უშენოდ ვერ ძლებს.

ის მართალია ყოველთვის
და ჩემზე უფრო სანდო.
ვერ აშინებენ. არ შეცვლის
სიტყვას ჩემსავით ხანდროს.

თუ საჭიროა გაწირვა,
იგი სიკვდილზეც წავა,
მე მისი მხოლოდ მიწა ვარ,
მე მისი მხოლოდ ცა ვარ.

მე მისი მხოლოდ წვიმა ვარ,
ზოგჯერ ვარ მისი გვალვაც.
ის შენთანაა, ის მე ვარ.
გიყვარდეს, როცა არ ვარ.

ამინ!

მთებზე ზეიმობს გაზაფხულის მზე
თუ სხეული და სული ყვავილობს?
ამინ! — ლოცულობს გულგაშლილი დღე
და მიჩურჩულებს სიო-ამინო.

მინდა, თვალებით სიშორეებს ვწვდე,
მზერა მიჰქონდეთ იმ შორ ჰაერებს.
სინათლეები მოხვევიან მთებს,
ჩემო მუხლებო, ნუ შემანელებთ.

ამ სიძაბუნის როგორ ვიყო ტყვე,
როცა მიხმობენ სხვა სიმაღლენი.
ნლები მაწვება, მაგრამ ვგონებ, ღმერთს
კვლავ ვებრალები და ვენაღვლები.

ავედევნები იმ მოწყენილ ხმებს,
სამშობლოს ოხვრის ხმები რომ ჰქვია,
მწუხარებაში ცხოვრებას რომ ხვევს
და უტოვებს გულს ჭრილობას ღიას.

ნენეს ჯამი

მიყვარს ბუხრის ახლო
ძველი ტაბლა ჯამით,
ჯამში ფხალლობია,
რომ ვერ ძღები ჭამით.

ვეებერთელა მჭადი,
ზაფხულივით ცხელი,
ზედ ატყვია ჯვარი
ნენეჩემის ხელის.

კარგია, თუ იცი
ფასი ძველი ოდის,
მშვიდი სუნი ქინძის,
შმაგი სუნი ქონდრის.

ეს სუნია ნატვრის,
სუნი ცის და ფოთლის.
ყადრი მისი მადლის
მოდის, მოდის, მოდის.

ნაწყენი იმედი

1998-ის რვეულიდან

სიცოცხლის გზაზე მხოლოდ მოლოდინს
ძალუძს, რომ იყოს ჩემთან ბოლომდის.

შინაურს მთვლიან ვიღაც მიღმელად,
სიტყვა — სათქმელი — ტუჩზე მიხმება.

აქ უდაბლესი მაღალ დონედ არს,
აქ კაცუნები ისევ დიდობენ,
ქურდებს — ქონება, ჩვენ კი მონებად
და სიმონებად ყოფნა გვინდომეს.

აქ ყოფნა მხოლოდ მოლოდინია,
რაც გერგებოდა, შეჭამ-შეგისვეს.
მაინც იმედი ბოლომდე იარს,
თუმცა ვერ ხედავს ვერვის მტერის მეტს.

მესმის მამის ხმა, წყენა და რისხვა.
სიტყვა — სათქმელი — ტუჩზე გამიხმა.

სამყურა

2006-ის გაზაფხული

ვაშლის ყვავილი ფართქალებს რტოზე, ვითა პეპელა.
წვიმაა. ცივა. დაბნეული ღრუბლების ჯოგებს
მიდენის ქარი — მწყემსი, გაზაფხული დგება ნელ-ნელა.

●

წამალი ვიშოვე, წამალს მომკვლელი ეწოდება —
სარეველების ამომქოქველი,
მაგრამ სარეველაც ხომ ბალახია, — მეცოდება!

●

ვჩიოდი მიწებს წართმეულებს, ძლივ რომ სუნთქავენ.
რუსთაველს მაინც ვიგულებდი ჩემად, მუდამდღე.
ახლა სომეხი მედავება მასაც, — რუსთაველს.

●

ენავ და სმენავ, გთხოვ, მათქმევინე,
სიტყვა იმგვარი (თუნდ რამდენიმე),
გული ვურჩინო გულატკენილებს.

●

ძმებო, ვიცი, რა ძნელია მოვლა მისი, რაც ძველია,
მშლიან, მყიდიან შვილები, დამარცხებულს და ცრემლიანს.
ვტირი, — მტერს მაინც მოვეკალ. ასე სიკვდილი მრცხვენია.

მდინარე და პოეტი

მიდის მდინარე, მგზავრი შორეთის,
თან ადგილზეა მუდამ, ყოველთვის.
ასეთი უყვარს მინას პოეტიც.

ნენეს მჭადი

მჭადებს აკრავდა ნენეჩემი, ჯვარდაკრულს, ადრე
ისეთს, რომ მითქვამს, — თუ დროს ლექსი ჩემი ვერ ვკადრე,
ლექსებად დავდებ დედაჩემის გამომცხვარ ჭადებს.

•

როცა ივერია ერქვა, საქართველო, ვითა ძელქვა,
იდგა... ახლანდელი ვერ ჰგავს, —
მარტო ძველ დიდებას კენკავს.

•

80!

ყველაზე უკეთ იცის პოეტმა,
რას ნიშნავს წელი — 80,
ანუ — მიახლოების მოახლოება.

•

დღეს

რა ეშველება საქართველოს, გინდ ჩემს აჭარას, —
რაც დაეკარგა, რაც არ ჰქონდა, ისევ აღარ აქვს.
ლაპარაკობენ და მოველით მხოლოდ ლაპარკს.

•

მამალი ისე მალ-მალე ყივის,
ჰგონია, ნაწყენ, ნატკენ ამ სოფელს
თავის ყივილით მოურჩენს ტკივილს.

•

გული რომ არ მტკენოდა, ამას რავა დავწერდი; —
ამდენ დიდკაცობაში
დიდი კაცი — არც ერთი!

•

ჩემზე უკეთ ვინ იცის, ენავ, შენი ტკენისა,
ალბათ, დასაწერია წიგნი ჟამთადენისა, —
„წამებაი წმიდისა ქართულისა ენისა".

•

ერთი თანამოკალმე მაყვედრიდა, —
ორჯერ მოინათლეო.

სახელი რომ დავიბრუნე, ერთხელ მაშინ მოვინათლე,
რწმენა როცა დავიბრუნე, მეორეხელ მოვინათლე,
ორი სანთლის ერთი შუქი მოვინათე.

●

წინანდელ ზემდგომს

რაც მერგებოდა, არ მომეცი; რაც მაქვს, გედიდა.
გული მტკენოდა, ხომ გინდოდა? აჰა, მეტკინა!
მაგრამ ბედი მაქვს, — არმოცემით უფრო მეტი მაქვს.

●

„ფეხი დამადგით...”
ანა

— ფეხი დამადგით, — ისურვა რა დავითმა, შემდეგ
თქვა: მაგრამ ფეხით არ უნდა შემდგეთ,
უნდა იაროთ და უნდა შენდეთ!..

●

წიგნი ბევრია, შენ მითხარ კითხვა,
ლაპარაკი ბევრია, შენ მითხარ სიტყვა,
ქუდი ბევრია, შენ თავი მითხარ.

●

„ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია...”
რადგან ჩვენში სამართალი ავად არი,
ხშირად ტყუილს უჯერიან.

●

რობაი ერქვას, გინდ შაირი, გინდა კაფია,
ბწკარი ჭყაპია, თუ მას არ ჰქვია
პოეტის ფიქრის ბიოგრაფია.

●

თუნთულს

წევხარ მწუხარე, დღე სტკივათ სირთებს,
ლეღვის ხე მრეში, დაღონებული,
სარკმლის მინაზე უსვამს გრილ თითებს.

●

არ მძულდა მე ის, ვისაც მე ვძულდი, —
ის თავის ცუდით მეხმარებოდა,
არ ვყოფილიყავ რათა მე ცუდი.

მამუკა
დოლიძე

ისტორიის ლაბირინთებში

ლიპარიტ მეფის სასახლეში არეულობა სუფევდა. თავქეიფა პარტიები ერმანეთს ებრძოდნენ, დარბაზის წევრებს ინტრიგების ქსელში ხლართავდნენ; სასახლის შინაგან სამსახურშიც ცდილობდნენ განხეთქილების შეტანას, მაგრამ გოდერძი ისე ღრმად ხედავდა სამეფო კარის ქვედინებებს, ისე უტყუარად გრძნობდა, საიდან უბერავდა ქარი, თითქმის უშეცდომოდ წარმართავდა მეფის დაცვა-დაზღვევის პოლიტიკას. ლიპარიტი ერთგულებას უფასებდა, ცდილობდა მისი კომპეტენციის გაფართოებას, მაგრამ დარბაზი უარზე იდგა. რა თქმა უნდა, მეფეს შეეძლო დარბაზის გადარჩევა, მაგრამ დარბაზსაც ჰქონდა მეფის გადაყენების უფლება და ეს ორმხრივი გადარჩევნები ქვეყნის განადგურების საშიშროებას ქმნიდა.

ამიტომ მეფემ უკან დაიხია და არ წარადგინა გოდერძი თავდაცვის მინისტრის თანამდებობაზე. სამაგიეროდ, მან უკიდურესად გააფართოვა შინაგანი სამსახურის საზღვრები. გოდერძის უფლება ჰქონდა, ნებისმიერ დროს შეჭრილიყო დარბაზის ურჩი წევრის სამყოფელში, გაეჩხრიკა იგი, ყირაზე დაეყენებინა იქაურობა, წინააღმდეგობის განევის შემთხვევაში ეხმარა იარაღი.

ამის საპასუხოდ დარბაზმა კონტრდაზვერვის სისტემა შექმნა, რომლის უფროსად... ისევ გოდერძი აირჩიეს! დარბაზის სპიკერის აზრით, ეს ყოვლად პატიოსანი მუშაკი ახალ თანამდებობაზე ისევე წარმატებით იმოქმედებდა მეფის წინააღმდეგ, დარბაზის ინტერესთა შესაბამისად, როგორც ამას ახორციელებდა შინაგან სამსახურში, საპირისპირო მიზნით. ეს მეტად ერთგული, სინდისიერი პირი ვერ ითვალთმაქცებდა ვერც აქ, ვერც იქ და შეუთავსებელ თანამდებობათა გამო წინააღმდეგობაში იქნებოდა საკუთარ თავთან!

ასეც მოხდა. საბჭოს ერთ-ერთ სხდომაზე გოდერძიმ, შინაგანი სამსახურის მუშაობის შესახებ ანგარიშს რომ აბარებდა მეფეს, უცებ თავის თავს კამათი დაუწყო! ხალხი დარბაზს მოაწყდა, ყველას სურდა ეხილა ტრიბუნაზე გადმომდგარი, დაზვერვისა და კონტრდაზვერვის თავკაცი, შეშლილი სახით რაღაცას რომ უმტკიცებდა საკუთარ თავს! კამათი ისე გამწვავდა, რომ გოდერძი პირველმა ვეღარ მოითმინა და გოდერძი მეორეს წყლით სავსე დოქი დააფშვნა თავზე! აქ გოდერძი მეორემ იარაღი იძრო და პირდაპირ დაახალა გოდერძი პირველს!

დაზვერვისა და კონტრდაზვერვის უფროსის თვითმკვლელობამ მთელი სასახლე შეძრა. იმავე სხდომაზე აირჩიეს დამკრძალავი კომისია გოდერძის მოადგილის, ოტია რწყილაძის თაოსნობით. არავინ უწყოდა, საიდან გაჩნდა ეს ბნელი პირი გოდერძის გვერდით. მეფე-დარბაზის

გამაწონასწორებელ განტოლებაში ოტია უცნობი წევრი აღმოჩნდა. მისი არსებობა ორივე მხარეს აძლევდა ხელს; ორივე მხარე მას შესცქეროდა, როგორც უცნობ სიდიდეს, რომელსაც თავის სასარგებლოდ ამოიცნობდა და მისთვის საჭირო ფუნქციით დატვირთავდა.

ოტია გრძნობდა ამ ორმხრივ შემოტევებს; ოპონენტები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ უფრო სწრაფად ამოხსნიდა მის საიდუმლოს. ამიტომ საჭირო იყო შესაძლებელ ამოხსნათა მიმართ მესამე პოზიციის დაკავება, სადაც ის არც მეფის ერთგული იქნებოდა და არც დარბაზის მომხრე. რაკი მისმა წინამორბედმა, სწორედ პატიოსნების გამო განიცადა კრახი, ოტიამ საერთოდ აიღო ხელი სინდისზე და თავის პოლიტიკას ღალატი დაუდო საფუძვლად.

ასე რომ, სასახლის უაღრესად გართულებულ ურთიერთობებში ოტია ჩაეწერა, როგორც მოღალატე. მონინააღმდეგე ძალები ერთმანეთის ჯიბრზე ითმენდნენ მის არაკაცობას, რადგან სიხარული, რომელსაც ისინი განიცდიდნენ ოტიას მიერ მტრის რიგებში შეტანილი არეულობის გამო, აქ მისი ღალატის სრული კომპენსაცია გახლდათ.

ამ ურთიერთჯიბრის ძალით ოტია ერთობ დღეგრძელი გამოდგა. საუკუნე გადააგორა და კვლავ ბეწვის ხიდზე იდგა მეფესა და დარბაზს შორის. ამ ხნის განმავლობაში ორჯერ შეიცვალა სასახლის გამგეობა. გოდერძის დროინდელი მეფე ისტორიას ჩაბარდა; ლიპარიტ მეორეც მიუძღურდა და ამჟამად ლიპარიტ მესამე აპირებდა ტახტზე ასვლას; ოტია კი კვლავ ოტიად რჩებოდა.

სასახლის ინტრიგათა ქსელი კიდევ უფრო გართულდა და დაიხვეწა. ოტია მაინც ახერხებდა დაზვერვისა და კონტრდაზვერვის ერომანეთთან შეთავსებას, რადგან არც ერთს ემსახურებოდა, არც მეორეს; მაგრამ ინტრიგათა ახალი, უფრო ჩახლართული კვანძის გამო მან მესამე თანამდებობაც დაიკავა — გახდა დედოფლის პირადი მცველი. დედოფალიც ოტიასავით შუაში იდგა, მაგრამ მისგან განსხვავებით, შემრიგებლურ პოლიტიკას აწარმოებდა ორად გახლეჩილ სასახლეში, თუმცა ეს შემრიგებლობა უფრო რიტუალური და ფორმალური იყო; როცა დუუმორეული მეფე გასალახად გაექაჩებოდა დარბაზის რომელიმე წევრს, უცებ დაინკრიალებდა ზარი, გაიხსნებოდა საძინებელი ოთახის ფარდა და მღვრიე პერანგის ამარა დედოფალი მანდილის ფრიალით შემოცურდებოდა ბრძოლის ველზე.

ეს თეატრალურ-თოჯინური გადახვევა ინტრიგებით სავსე რეალობიდან დამსწრეთა ღიმილს იწვევდა და შესაძლებელი ხდებოდა დაძაბულობის შენელება თუ არა, გადავადება მაინც.

ტრაგიკომიკურ ეფექტს აძლიერებდა ოტია რწყილაძე; ხის ხმლითა და წყლის რევოლვერით აღჭურვილი, მამალივით თმააქოჩრილი თანსდევდა მშვიდობის მაძიებელ დედოფალს. გოდერძი მის ნაცვლად მეორედ მოიკლავდა თავს, ოტიას კი არ რცხვენოდა ამ როლის თამაში და ველარც სხვები დასცინოდნენ მას. შეიქმნა აზრი, რომ ოტია სასახლის სამშვიდობოდ და ქვეყნის საკეთილდღეოდ იმასხრებდა თავს, თუმცა ამ აზრის შემქმნელებს ქვეყნის კეთილდღეობა ფეხებზე ეკიდათ. არც მეფე, არც დარბაზი ბაიბურში არ იყო, არსებობდა თუ არა ქვეყანა სასახლის გარეთ. მართალია, პერიოდულად მოდიოდა ცნობა აგარიანელთა შემოსევების შესახებ, მაგრამ ის, ვისაც ეს ცნობა მოჰქონდა, ვინც ქვეყნის უბედურების ცოცხალი მონმე უნდა ყოფილიყო, სასახლის ფრიად გართულებულ საკანცელარიო სისტემაში მოხვედრილი, ვეღარ აღწევდა სამეფო კარს. შეტყობინება გადადიოდა ხელიდან ხელში, განიცდიდა შესწორებებს ცენზურის მხრიდან, მხატვრულად იხვეწებოდა, საბოლოო რედაქციის მისაღებად გადიოდა დარბაზის სხდომაზე და ბოლოს, ნასადილევს, ვერცხლის ლანგრით მიერთმეოდა მეფეს, რომელსაც ვეღარ გაეგო მეგობრის უსტარი იყო ეს თუ შეტყობინება მტრის შემოსევის შესახებ.

საერთოდ, სიტყვა „მტერს" მხოლოდ ქვეყნის, ანუ სასახლის შიგნით ჰქონდა სემანტიკური აზრი; გარეთ ყველა ძმა და მეგობარი იყო. ითვლებოდა, რომ ქვეყანა მეგობრებით იყო გარემოცული და სისხლი მხოლოდ გაუგებრობის გამო იღვრებოდა.

გაუგებრობა და გაურკვევლობა შიდა სამეფო კარის ბუნებრივი მდგომარეობა აღმოჩნდა. სასახლის საინფორმაციო ცენტრმა დაადგინა განუზღვრელობის თანაფარდობა, რომლის თანახმად შეუძლებელი უნდა ყოფილიყო სასახლის შინაგანი ცხოვრებისა და საგარეო ვითარებათა ერთდროული ცოდნა. რაც უფრო ღრმად იხედებოდა თვალი მეფისა და დარბაზის თანაცხოვრებაში, მით უფრო ძნელად აღიქვამდა გარე სამყაროს; ხოლო ის, ვინც გადიოდა გალავნის გარეთ და ებრძოდა „მეგობრებს", კარგავდა სასახლის წევრთათვის გასაგებ ენაზე მეტყველების უნარს.

დაირღვა დროთა კავშირიც. სასახლის შიგნით დრო იზომებოდა ელემენტარული ინტრიგის ერთეულით, რაც მეფის ერთი ორაზროვანი ღიმილისგან შედგებოდა. გალავნის გარეთ კი დრო ქვეყნის გადასარჩენად დახარჯული ენერგიის შესაბამისად სჩქეფდა. საინფორმაციო ცენტრმა ვერა და ვერ გადო ხიდი დრო-უამის შიდა და გარე განზომილებებს შორის.

ზოგჯერ დარბაზის ერთ ნაჩქარევად ჩატარებულ სხდომას საგარეო ბრძოლის რამდენიმე თვე შეესაბამებოდა, ზოგჯერ პირიქით — ერთი იღბლიანად მოქნეული ხმალი შიდა პოლიტიკური ცხოვრების მთელ წელინაგს უდრიდა.

გამომდინარე აქედან, იწერებოდა ორი ისტორია. ერთი სამეფო კარის ცხოვრების რიტმში და მისი შედეგების შესაბამისად, სადაც ყოველი პოლიტიკური მოვლენა მეფე-დარბაზის ურთიერთობას პასუხობდა, და მეორე, ისტორია, რომელიც სასახლისგან დამოუკიდებლად იქმნებოდა და მოვლენათა თავისთავად მსვლელობას ემყარებოდა.

არავინ იცოდა, საიდან ხვდებოდა სამეფო ცხოვრების მატიანეში მეორე, თვითმძრავი ისტორიის ფურცელი, სადაც შავით თეთრზე ეწერა თუ როგორ ნადგურდებოდა ბედს მინდობილი ქვეყანა „მეგობრების" ხელით. ამ აღმოჩენაზე რეაგირების მიზნით, რომელიმე ისტორიკოსს საჯაროდ სჭრიდნენ თავს, რაც ჩვეულებრივი მევლლისით თავდებოდა სასახლის შიდა ბაღში. ამასობაში ოტია რწყილაძე ღალატობდა თავის ორგანოს, სასწრაფოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადიოდა შვებულებაში და, როგორც კონტრდაზვერვის უფროსი, მინასთან ასწორებდა შინაგან სამსახურს. ეს მას მონანიებაში ეთვლებოდა; ვიდრე შეინყალებდნენ, ღებულობდა ხელფასის ნახევარს კონტრდაზვერვის ბუღალტერიაში, პატიების შემდეგ კი მეფე საჩუქრის სახით უნაზღაურებდა დაკლებულ თანხას.

მეორე, თავისთავადი ისტორია კი ისევ არღვევდა საგანგებოდ შეკრულ მატიანეთა წყობას. ისტორიათა აღრევის გამო, ვინმე მანდილოსანთან განმარტოებისა და განცხრომის წუთებში მეფეს სროლის ხმა და დაჭრილთა კვნესა ჩაესმოდა. ლიპარიტი მაშინვე თავს ანებებდა მიბნედილ ქალს და სასწრაფოდ იძინებდა, რომ ცხადად განაგონი სიზმრად მიეღო. მანდილოსანი რაციით გადასცემდა ოტიას მეფის უეცარი ძილეულის შესახებ, ოტია ამ ინფორმაციას დარბაზს ატყობინებდა და, ვიდრე ლიპარიტ მესამეს ეძინა, ოპოზიციის თავისი კანონპროექტი გამოჰქონდა დასამტკიცებლად. აქ ოტია სასწრაფოდ აღვიძებდა მეფეს და ღალატის ფაქტის წინაშე აყენებდა მას.

ოტიას ორპირობამ ნაყოფი გამოიღო! ოპოზიციის შიშით მეფე ვეღარ იძინებდა და ცხადად აღიქვამდა მისთვის მიუღებელ, მაგრამ ყოვლად სარწმუნო ისტორიის საშინელებებს.

ყოველივე ამან საბოლოოდ თავგზა აურია სასახლეს. ძალი პატრონს ვეღარ სცნობდა! ვერ გაიგებდი, მეფე — დარბაზი ემტერებოდა თუ ესიყვარულებოდა ერთმანეთს. ერთი შეხედვით სპიკერი ოტიას კოცნიდა, თუ დააკვირდებოდი, ეშვები ჰქონდა გადმოყრილი და ცდილობდა, მისთვის ყელი გამოეჭაბა. გაურკვეველი იყო დარბაზის აბმოსფეროც. ვერც ერთ სხდომაზე ვერანაირი დადგენილება ვერ გამოჰქონდათ. კანონპროექტის განხილვის ნაცვლად პარლამენტი მხოლოდ ეჭვებსა და ვარაუდებს გამოთქვამდა. უმთავრესად კი ჭორებით იქცევდა თავს. მოკლედ, ოტიას „მოღანეობამ" ისე ჩახლართა და დაარღვია ისედაც დაძაბულ ურთიერთობათა ქსელი, ყველას ყველაფერი დაავიწყა და ყველა ყველას მიმართ ეჭვებში ჩაადო...

ზემოდან გამაფრთხილებელი უსტარი მოვიდა: „დროზე აღადგინეთ წესრიგი, თორემ კუშრსა და გოგირდს არ დავიშურებთ, ქვას ქვაზე აღარ დავტოვებთ სასახლიდან".

აქ მეფე საგონებელში ჩავარდა. დარბაზი ისევ აირია. ვერა და ვერ შეადგინეს პასუხი ზემდგომთა მიმართ. მემარჯვენეებმა სასახლის დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. დარბაზის შუაგულმა გაჩუმება ამჯობინა. ექსტრემისტებმა კი სასწრაფოდ ფულის შეგროვება დაიწყეს გალავნის გასამაგრებლად და იარაღის შესაძენად.

სწორედ ამ დროს სასახლეში გაჩნდა ფსიქოთერაპევტი ასანი. მან გულდასმით გამოიკვლია საგონებელში ჩავარდნილი მეფე, როცა ის არც ცხადში იყო და არც სიზმარში. სიზმარ-ცხადის ხიდზე ლიპარიტი დაზღვეული აღმოჩნდა ღალატისგან, რაკი ერთდროულად სხდომასაც ესწრებოდა და ძილსაც ახერხებდა.

ასლანმა შეჰფიცა მეფეს, რომ გამოიყვანდა მისთვის მიუღებელი ისტორიის ტრანსიდან და სასახლესაც მოეხსნებოდა მომაკვდავი ქვეყნის სისხლისფერი ფონი.

— ყურადღება! ვიწყებ მკურნალობას! — განაცხადა მან. — რათა წაიშალოს ბრძოლის ყიჟინა და შეწყდეს დაჭრილთა კვნესა, მატიანედან ფურცლების ამოხევა არ კმარა. რაც მეტს ამოხევ, ახალ-ახალი გვერდები გაჩნდება. პირიქით, ყური უნდა მივუგდოთ, უნდა მივესიყვარულოთ ამ ხმებს; ეს ჩვენი სამყაროს ხმებია! მთავარია, გუშმა ისევ მოიძოინს ქვეყანა სასახლის გარეთ. ნუ გეშინია! ბაღში გამოდი. სული მოითქვი! იმოქმედე, იბრძოლე! ეცადე, თვალიც გადაანვდინო გალავანს. იქნებ დაინახო, რა უბედურება ტრიალებს შენს ქვეყანაში, თუკი საერთოდ ქვეყანა ეთქმის მას.

ასლანმა ხმას დაუწია. მისი ნამღერებელი ბუტბუტი უფრო და უფრო შორიდან ესმის ლიპარიტს. ნელ-ნელა ჩაიძირა იგი მედიტაციურ ტრანსში. უნყვეტად გაბმული, გაურკვეველი სიტყვა გალობასავით ჰაერში ირხევა. ფიქრი დაძრწის სასახლის ბნელ ხვეულებში. სიტყვის სინათლეში კი ლიპარიტი თავის თავს ხედავს. ხედავს, როგორ გადის დარბაზში, დარბაზიდან დერეფანში, დერეფნიდან სასახლის ბაღში. მიარღვევს ლურჯ, უზარმაზარ ყოჩივარდებს, უახლოვდება ბაღის კიდეს, მავთულხლართებით დასერილ გალავანს; ისწრაფვის, გავიდეს გარეთ, იხილოს, რა ხდება ქვეყანაზე... მაღლობა უფალს, გაარღვია ეკალბარდები, გადაირბინა ყამრი მინა, მავთულს შეეხო, დენმა დაარტყა, უკან გადმოვარდა, მინა გამოთხარა, ბადის ქვეშ გაძვრა და აი, უკვე გალავანზე მიძვრება, ცოტაც და გადაიხედავს სასახლის მიღმა...

ამ დროს სათვალთვალო კოშკიდან ოტიამ გადმოიხედა, ტყვიამფრქვევი შემოაბრუნა და გალავნის ქონგურზე შემომჯდარი მეფე დაცხრილა.

ლიპარიტს მხარი აეწვა, თვალთ დაუბნელდა, მაგრამ მაინც არ შეჩერებულა. პირიქით, საოცრად შემსუბუქდა, თითქო ფრთა გამოიბა და, კი არ გადაახტა, გადააფრინდა გალავანს.

— დაიჭირეთ! — კედელზე დარბაზის წევრები ამოცოცდნენ. ათასი ხელი დაებღაუჭა თავისი ქვეყნის მაძიებელ მეფეს, მაგრამ ლიპარიტს უკვე ვეღარაფერი შეაჩერებდა! ცეცხლად ავარდნილი გზა მიარბენინებდა წინ და წინ, ნამდვილი ისტორიის დროსა და სივრცეში. ირგვლივ ისევ ქაოსი ტრიალებდა, სისხლი იღვრებოდა, სიბნელე მეფობდა, მაგრამ თვით მეფე უკვე სიცხადის კენ მოძრაობდა, ინტრიგებით მოცული სასახლის შუქჩრდილებიდან მზის სინათლეზე გადიოდა...

მანქანის ფანჯრიდან დანახული მოთხრობა

სანამ ანანურს გასცდები, მანამდე იწყება და მერეც გრძელდება მანქანის ფანჯრიდან დანახული მოთხრობა. მოთხრობა ნაცრისფერი, სევდაგამორეული, სკოლის უჯრედებიან რვეულში ჩასაწერი.

შორს, თითქმის თვალის დონეზე, ოდნავ ლია ცის კარი, ნაცრისფერ მარტყოობას მზის თეთრი შუქი ანათებს. არავინ არ ყოფილა, ვარ მხოლოდ მე და არის

კიდევ დროთა სივრცეში გაჭიმული გზა, ქართლის ცხოვრების გზა, რელიეფის რუხ სიმწვანეს შეხამებული კოშკებით. არავინ არ არის. ვმგზავრობ მარტოდმარტო ისტორიის გაცვეთილი ფურცლებიან ავარდნილ მტვერში... თითქო სკოლის მერხიდან შევცქერი წარსულს, ქარი აშრიალებს და ფურცლავს ისტორიის გვერდებს, მანქანა მიმასრიალებს უხსოვარი დროის სტრიქონზე, მაგრამ სიტყვები სადღაც იკარგებიან, ჩემს გამოოთქმელ სევდაში და ვერ გამირკვევია, ქართლის ცხოვრებაა ეს თუ ჩემი ბავშვობა, თუ არც ერთი და არც მეორე; არის რაღაცა, რაც ძალიან ჩემია და თან არაჩემი, ძალიან ქართულია და თან არაქართული. არის ნაცრისფერი დღე; არის არსებობა; დანთქმული სევდაში; არის მოგონება ისტორიის ნიშანსვეტებით; არის რაღაც მიმზიდველი, ამაღელვებელი, რაღაც დიდისა და ბევრის მთქმელი; არის სწორედ ის, რაც არის განუყრეველი ჩემს მიმართ, მთელი ჩვენი ისტორიის მიმართ; რაც არის თავისთვის და იარსებებს დაუსრულებლად.

„სკუპ და სკუპ“

დოდომ რომ ჩაიდანი შემოდგა ცეცხლზე, სწორედ მაშინ შემოახტა სვიმონ-მეფე ცხენს და გაფრინდა ციხისკენ, რომლის მისაღწევად დრო თითქმის აღარ რჩებოდა, რადგან წყალი უცეტ წამოდუღდა, დიასახლისის კოტიტა თითებმა გახლინა ყავის პაკეტი და კერამიკის ციხე-კოშკი წყვდიადმა მოიცვა. იგრიალა თოფმა, დაიმსხვრა წყვდიადი, დაჭრილი მეფე გადმოეკიდა უნაგირს და დდოოსკენ პირშექცეული, ხრამში გადაეშვა.

ამ დროს დაბრუნდა ისტორიკოსი სამსახურდიან. დაბრუნდა ისევ გულჯავრიანი, მთელ ქვეყანაზე გაბორობტებული. თვალი შეაპარა მოპირდაპირე ფანჯარას, სადაც ჩაპუტკუნებული ქალი კერამიკის ფინჯანში ყავას ასხამდა და აგუგუნდა, აზვირთდა ვნებას მოწყურებული ზღვა და რისხვის ტალღამ შთანთქა ჯერ აქაფებული ქვიშა, შემდეგ ფერადი კენჭების მოზაიკა და ბოლოს შიშველ სხეულთა ნაპირი. ქვის გალავანსაც დააყოლება დესერტად, მაგრამ მზემ ნამით გამოიხედა ღრუბლიდან, ერთი შესცინა ზღვას და ტალღამაც უკან დაიხია. თითო-ოროლა თუ ჩაითრია თავის მორევში, მათ შორის ცხენიდან ჩამოვარდნილი მეფეც, რომელიც ღალატის მსხვერპლად აღინიშნა ისტორიკოსის დავთარში.

დრო უსაბური დაგვიდგა — ვერც წინ მიმავალი და არც მარადისობად შემდგარი. ამ გზადაბნეულ დროს ფეხზე ეკიდა ისტორიკოსიც და მისი დავთარიც, დოდოც და მეფეც. ზღვის მრისხანებაც კი ვერ სჯობნიდა ყავის წამოდუღებას. რა? გადმოდუღებული ზღვა ნაკლებ უბედურებას მოუტანდა გაზქურაში ჩაბუდებულ ხოჭოებს? ტრაგედია ტრაგედიაა, გინდ ზღვისპირეთში ხდებოდეს ის, გინდ მიკროსამყაროში. ტრაგედიაზე უარესია, რომ დაცლილი და გამოცარიელებული ვარ. იმის თავიც არა მაქვს, სვიმონ-მეფე ჭაობიდან ამოვიყვანო, ჩემებურად ავამხედრო და მდევარს მოვაშორო. და მშრალი, ცრემლსდანატრებული თვალით გავიქერი, როგორ მიჰყავთ დატყვევებული მეფე ალამუთის ციხისკენ... გული, რომელიც ტკივილისგან უნდა შეიკუმშოს, იკუმშება მხოლოდ ფიზიოლოგიურად, სისხლის გადადენის მიზნით, ხელი რომელიც ქარქაშიდან უნდა ამოიღოს (დამავიწყდა, რა უნდა ამოიღოს), ჭურჭლის სანმენდ ტილოსავით ჩამოკონწიალებულა მხარზე; ხმა, რომელმაც გულის სიღრმიდან სიტყვა უნდა ამოიტანოს, ტალღადაკარგული რადიოს ხრიალით შშორდება. ინფორმაცია პეპელასავით ხან მოფრინდება, ხან გაფრინდება. ნდობის აღმძვრელი დიქტორი რაღაც წარმოუდგენელს როშავს, თუმცა დალაგებულად და კაი ქართულით თუ ვაი-ქართულით მეტყველებს. მორალის კითხვაც მბეზრდება. ამ გაუთავებელ ჭკუის სწავლებაში აზრს ვეღარ ვხედავ. გაურკვევლობა მძირავს, როგორც ლაფში ჩავარდნილ მხედარს, რომელსაც მიუნიჰაუზენის ტყუილი თუ ამოაგდებს ზემოთ; ტყუილი, რომელსაც ბავშვობიდან შევეზარდე; სასთუმალთან რომ მედო და დაძინების წინ გემრიელად რომ შევექცეოდი, რომ ეს ნახატებიანი, მსხვილშრიფტიანი, უსაყვარლესი სიცრუე ცხადიდან შემპარავად ჩემს სიზმარში გადასულიყო, სიზმარში, რომელიც აგრძელებდა ჩაძინებით შეწყვეტილ სიტყვას.

ო, რა ნეტარებით შესცქეროდა საბანში გახვეული ისტორიკოსი მიმქრალ საძინებელში ჩრდილთა მარაოდ გაშლილ მედეას! მიტოვებულ, მარტოხელა მედეას, რომელმაც იავნანათი მიანაკვდილა ბავშვები და თავისი ჯადოქრული რხევა-სინაზით ღამის გულ-ღვიძლი ამოუტრიალა თვალებდაყვლეფილ ისტორიკოსს, განეკბამ რომ შორეული მეზობლის როლი არგუნა. რა ულმობელია ბედისწერა! იღბალი ხომ კარგია, ჯიგარო?! იღბალი არ არის, რომ შენი სარკმელი მედეას ფანჯრის პირისპირ აღმოჩნდა? თუ ბედისწერას გინდა გაექცე, ბედის საჩუქარსაც შეაქციე ზურგი, გადმოტრიალდი კედლისკენ, გადაშალე „ასავალ-დასავალი“ და გამოტვინდი მამაპაპურად, ვიდრე არ მოგერევა ძილი! ნუ სარგებლობ ბედნიერი შემთხვევით და მოარიდე თვალი სხეულის სიშიშვლეს, თორემ სამართლიანობა გაიძულებს, უბედური შემთხვევითაც ისარგებლო და ვნებით თავბრუდახვეულო ვინმე გადარეულს ჩაუვარდე ბორბლებში, შენდა ჭირად რომ გამოვიდა A პუნქტიდან B პუნქტის კენ. ასეა ეს! ზოგჯერ ტრაგედიაც მოსდევს სიყვარულს... სიყვარულს, ლოზუნგივით რომ ააფრიალებ სცენაზე, თუმც იმ ლოზუნგს უკანა მხრიდან მალულად შეიძლება მიაფსა კიდევაც, როგორც ეს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა გააკეთა უძრაობის ხანაში სასტუმრო „ჭაჭარის“ წინ, სახელდახელოდ შეკერულ ტრიბუნაზე, რომელსაც ზურგის მხრიდან ჩეჩმა ჰქონდა მიდგმული, გენერალური მდივნის შარდის შეუკავებლობის უეცარი შემთხვევისთვის.

ასეთია ქართველი კაცის სტუმარმასპინძლობა. მიუხედავად იმისა, რომ სტუმრისგან ბევრი სიმწარეც გვახსოვს; რომ უმძიმესი, უბნელესი და არცთუ უსისხლო ისტორიის ფატაში ვართ გახვეულნი და რაც უფრო ვცდილობთ განვთავისუფლდეთ, უფრო და უფრო ვიხლართებით ამ ფატალურ ისტორიაში. ასეა-მეთქი, გაიგე! აბა, სცადე და ამოახტუნე საკუთარი თავი მიუნჰაუზენის ჭაობიდან; გადაუხვიე დრამატურგიის

ლიანდაგიდან. დიდი-დიდი, სხვა მატარებელში აღმოჩნდე! რამდენი უნდა იხტუნავო? თუ მამას ვერ ახერხებ, სიტყვით მოტანილს გაიქცე, ბედით თავს დატეხილს როგორ გადაურჩები? და მაინც ვარ, ვარსებობ, ვცოცხლობ, თუნდაც როგორც დაკარგული თავისუფლების სევდა, თუნდაც როგორც ტკივილით დაბინდული ციხე, რომელშიც ჩემი მეფეკა გამომწყვდეული. ან რა შუაშია მეფე? რა შუაშია ის, რომ რა შუაშია მეფე? მე ვამბობ არაფერს, რადგან ვგრძნობ, არაფრის თქმაშია ძაღლის თავი; ზღვამ რომ მიაყარა წამით ქვიშა და მერე ისევ გადარეცხა, ისევ ალაპლაპა რისხვით ანთებულ მზეზე და გამორეყა ის, რასაც ვხედავ, მაგრამ ვერ ვამბობ; რაც აღემატება ჩემს თქმასაც და ფიქრსაც და რასაც ბედი წამდაუწუმს სახეში მახლის. რა შუაშია სამშობლო ან მიუსაფრობა, ან ვინ ვის ემტერება, ან ვინ ვის ეტრფის? „სკუთ და სკუთ, სკუთ და სკუთ, ეურდღელივით დავხტიავარ, ხომ კარგია თამაში, შენც იხტუნე, დათუნა!" მაგრამ სიმღერაც დასრულდა, დასრულდა ხტუნვა თამაშის თემა; სიძულვილში გადაიზარდა სიყვარულის მოტივი, რადგან სიყვარული, რომელსაც დროშასავით ააფრიალებ ხალხთა მასების წინ, შენ აღარ გეკუთვნის და ამტყომ ვერც ვერავისი იქნება. და ტრაგედია დატრიალდება მაშინ, როცა აზრი დაეკარგება ტრაგედიასაც და აღარ იარსებებს იმ უსახელო და უსახურ დროში სევდისმომგვრელი სიცარიელე, როგორც გულიდან გარდასული სიცოცხლის მოგონებათა სივრცე.

დრო

დრო არ არის უწყვეტი ნაკადი, ანმყო თავისით არ გამომდინარეობს წარსულიდან; მე ვარ შუაკაცი ახლანდელსა და გარდასულს შორის; მხოლოდ მე შემიძლია, დროის გაფანტული მონაკვეთები ერთმანეთს გადავაბა; არა იმიტომ, რომ დრო ჩემი შექმნილია, პირიქით — მე ვარ დროის ქმნილება, დრომ გამოკვეთა ჩემი სახე, გამიხსნა გონება, ააძგერა ჩემი გული. დრომ მომიგონა მე, რომ მე მოვიგონო დრო; გავაბა ის უხილავი ძაფი, რომელიც მის მონაკვეთებს სამკაულივით აკინძავს; თუ მე ვიცი, რომ დრო ერთხელ ჩავლილი მდინარეა, რომ შეუძლებელია წარსულის აღდგენა და მაინც აღვადგენ მას, ამით ვაღიარებ, რომ დრო არ არსებობს. რომ არსებობდეს წარსული, განუმეორებელი იქნებოდა; მეხსიერების ვერანაირი ძალა ვერ გააცოცხლებდა მას; მაგრამ სწორედ ის, რომ დრო არ არსებობს, სწორედ ეს არარსებობაა ის უხილავი ძაფი, რომელიც ანმყოს წარსულთან შეაკავშირებს. წარსულის გახსენება დროის არარსებობას ნიშნავს; მოგონება გამოგონებაა, რადგან არაფერი არ ყოფილა, არაფერი არ არის და არც არაფერი იქნება.

დრო მოჩვენებაა. ის არაფერს ათასი სახით აჩვენებს. სხვანაირად შეუძლებელი იქნებოდა რაიმეს გახსენება; თუკი არსებობდა ძველი თბილისი, თუ არ იყო სიზმარი გარდასული ცხოვრება, მაშინ ის დღემდე ვერ მოაღწევდა. მაგრამ რა ვქნა, როცა მოსვენებას არ მაძლევს ვერის უბნის ქუჩა; ქუჩის ზემოთ პატარა სახლი, გისოსებში ჩამჯდარი ფანჯარა. სახლს უკანა მხარე ღია ჰქონდა, ჩემი აივანი მეორე სახლის ყრუ კედლამდე აღწევდა.

მკაფიოდ მახსენდება შუშაბანდი, კედლის პირისპირ, ზემოთ. ფანჯრებიც კი შემიძლია დავთვალო. მარჯვნიდან მეორე სარკმელი იხსნებოდა და იქიდან იცქირებოდა პატარა ბიჭი; ეზოში არასოდეს ჩამოდიოდა, მარტო თვალები, შუბლი და გადახოტრილი თავი მოუჩანდა. უცნაურია! რაც მეტი სიმკვეთრით მახსენდება შუშაბანდი, მით მეტად შევიგრძნობ მეხსიერების დაკარგვას ყრუ კედლის მიმართ. ეს უხსოვარი კედელი ხსოვნით განათებულ შუშაბანდს ესაზღვრება და მასთან კონტრასტის ძალით არსებობს. იქნება სიტყვა „კედელი", უბრალოდ, აღნიშნავს მეხსიერების ამოვარდნას დროის არითმიაში? იმ ბნელ ზოლს, რომელსაც აკეთდა ჩვენი აივანი ერტყმოდა, ზემოდან — შუშაბანდი, ქვემოდან კი თითქმის დახურული ეზო, შუაში ონკანით, ქვეშ შემოდგმული სარეცხის ტაპტი, საიდანაც ფხვნილის ლურჯი ნაკადი მოედინებოდა...

ლიტერატურული გავლენებიდან ვერ გამოვსულვარ. დროა, კითხვას თავი დავანებო და საკუთარ თავს მივხედო, მაგრამ, ვაითუ, თავისთავად არაფერი ვარ? იქნებ რაღაცას წარმოვადგენ კიდევაც, მაგრამ მეშინია, მრცხვენია, ამ რაღაცას შევეხო... და ისევ ლიტერატურულ ცხოვრებას ვუბრუნდები.

ახლაც მეჩვენება, რომ ბავშვობის უბანს იტალიური ნეორეალიზმის შეფერილობა გადაჰკრავს. არადა, ჩემს წარსულს საკუთარი ხიბლიც თავსაყრელი აქვს, მაგრამ ვერ მივდივარ ამ სილამაზესთან; უცხო შეგრძნებათა ნრეზე ვტრიალებ.

ჩემი ქუჩა მელიქიშვილის ქუჩიდან ამოდის. დღის ბოლოა და ვიცი, მამა უნდა ბრუნდებოდეს სამსახურიდან. ჩემს მოლოდინს ეპასუხება ნაბიჯის ხმა და ცისფერი თვალების მზერა შემოსასვლელს ანათებს...

მამა თავისი ძმაკაცებით მწვანე სასადილოში ტრიალებდა. აქეთ ჩემი და დედას სამფლობელო იყო. ფორთოხლისფერი კედელი აბაჟურის შუქს ისე ირეკლავდა, ოთახი ჩაბნელებულიც იყო და განათებულიც... ფანჯარასთან შავი როიალი ელვარებდა. ზედ იყო შემოდგმული რადიო; იქით — სურათი, აქეთ — ორი სანოლი, შუაში — სარკე, რომლის დაყენებაზე და ვითომ მთელი დღე ინვალა.

ჩვენი ნათესავი, უზარმაზარი დათიკო სულ პატარა პეიზაჟებს და პორტრეტებს ხატავდა. დიდი, კლასიკური მხატვრობის კონცენტრატებს ჰგავდა მისი ფერწერა. ნახატი თითქოს ვერ ეტეოდა ჩარჩოში და, კალაპოტიდან გადმომსკდარი, კედელზე ივერებოდა.

ბავშვობის გახსენებას როცა ვიწყებ, არ მშორდება განცდა, რომ ახალს არაფერს ვამბობ, რომ გატკეპნილ ბილიკს მივყვები, ჩემამდე უკვე მრავალჯერ ჩავლილს; თუმცა რა საჭიროა ახალი ბილიკის ძებნა? იქნებ ძველ გზაზე იმას წავაწყდე, რაც მე მჭირდება, რაც ჩემი არსებობის ხსნა და გამართლება იქნება, რადგან ბოლო ათი წლის განმავლობაში ცხოვრებამ იმდენჯერ იცვალა ფერი, გზა საერთოდაც დაკარგე და, სიცოცხლის სათავეს თუ არ დავუბრუნდი, წინ მოძრაობას ვეღარ შეეძლებ.

იქნებ არც არსებობდა ის, რასაც ვიგრნებ? არსებობა ხომ განუმეორებელია და აღდგენას მხოლოდ იმდენად ექვემდებარება, რამდენადაც არარსებულს ერწმის.

ყოფნა-არყოფნის ერთიანი განცდა ავსებს ჩემს მოგონებას, აქცევს მას გამოგონებად და ზოგჯერ ძველმანების სკივრიდან ამომაქვს ის, რაც შიგ არასოდეს ჩამიდია.

ჩემს ქუჩას ბარნოვის ქუჩის მხრიდან სამუსიკო სასწავლებელი ესაზღვრებოდა... ჭირივით მეჯავრებოდა მუსიკა — ბნელ საკლასო ოთახში ინსტრუმენტთან მჯდომი ბებერი ქალი, სიგარეტისგან ჩახლეჩილი, გამყინავი ხმით და რკინის სახაზავით ხელში, რომელსაც არპეჯიოების დაკვრის დროს მაჯაზე მირტყამდა. ჩემი თითების შემყურე პიანინო რაღაც საცოდავ, შეცდომებით სავსე ხმოვანებას გამოსცემდა. პედაგოგის გამყინავი ხმა ტვინს მიბურღავდა. არადა, ვგრძნობდი, სიმშვიდის მომცველ მუსიკასთან მქონდა საქმე; ის მაინც ულერად უწუმრად, თავისთვის ულერდა, მაგრამ მე და ჩემი ნერვებაშლილი მასწავლებელი ვერა და ვერ მივდიოდით იქამდე.

ეს დამტვრეული, მშვიდ-მოუსვენარი თემა დღესაც ჩამესმის, ჩამესმის ხმოვანების გარეშე, უშინაარსოდ... აუწყობელი თავსატეხივით არის ჩადგმული ღრმად, სულში, ოღონდ დროის დინებამ შემოამრგვალა მისი კუთხეები, შეარბილა და ნაშალა მისი დაწყვეტილი ნაკვთები, თუმცა ვერ გაანელა მაჯაზე დარტყმული სახაზავის სიმწარე.

მახსოვს, ერთხელ, გაკვეთილების შემდეგ, ოპერის შენობის წინ ვიდექი, საათს შევცქეროდი — ორს აკლდა თხუთმეტი და ვგრძნობდი, არ შემეძლო მუსიკაზე წასვლა. არ შემეძლო და მორჩა! მაშინ პირველად გავაცდინე გაკვეთილი, გავაცდინე არა შიშის ან სიბრაზის გამო, უბრალოდ, ვიგრძენი, რომ ის, რაც არ შემეძლო, აღარც არსებობდა ჩემთვის — იმ ოთხშაბათ დღეს, ორ საათზე, ჩემს მოლოდინში მყოფმა სამუსიკო სკოლის სასწავლებელმა უცებ შეწყვიტა არსებობა და ქუჩისა და დროის ის მონაკვეთი, როცა არსებული არარსებულად იქცა, სამუდამოდ დამამახსოვრდა.

ოპერის წინ მდგომი დიდი და მრგვალი საათი, ამოზრდილი ტრანსპორტის ტალღებიდან — ეს სურათი თითქოს თავისით არსებობს ჩემს მოგონებაში, რადგან ვერ ვაცნობიერებ იმ სულიერ ძვრას, რომელიც ნელ-ნელა, შეუმჩნევლად მომზადდა სახაზავის დარტყმებისა და პედაგოგის გამყინავი შეძახილებისგან და რამაც უეცრად ამოგლიჯა ჩემი ცხოვრების ფურცლებიდან მუსიკა.

გასული საუკუნის 60-იანი წლების რუსთაველის პროსპექტი იმ ოთხშაბათ დღეს, ორ საათზე, ჩემს წარუშლელ მოგონებად იქცა. ამ მოგონებას, როგორც გარდატეხის ასაკზე ჩამოგდებულ ფარდას, არა აქვს არც პრეისტორია, არც გაგრძელება. ამიტომ ტროლეიბუსის იმ გაჩერებიდან მე ვერსად მივდივარ. არც ის ვიცი, საიდან აღმოვჩნდი ოპერის შენობასთან, დღის ორ საათზე... მინდა ვიფიქრო, რომ სკოლიდან მოვდივარ, ექვსი გაკვეთილის შემდეგ, მაგრამ ის გაკვეთილები შეიძლება სულ სხვა დღის გაკვეთილები აღმოჩნდეს, რადგან დრო თავისით არ უკავშირდება დროს — მე უნდა ვიყო შუაში, მე უნდა გავიხსენო რა ხდებოდა ჩემს თავს, სანამ მუსიკის გაკვეთილს გავაცდენდი.

ესეც უშედეგოა, რადგან არც განცდები გამომდინარეობენ ერთმანეთისგან, ისინიც არსაიდან ჩნდებიან და ისევ არაფერს უბრუნდებიან.

ამიტომ ფიზიკის გაკვეთილიც ჰაერში ჰკიდია, თუმცა მას გარს აკრავს საკლასო ოთახი და წინაც ბნელი დერეფანი უძევს. დერეფანში მოაბიჯებს სკოლის დირექტორი, ნიკოლოზ კიკვიძე და ყურით მოათრევს ჩემს ძმაკაცს, რომელიც ფიზიკის მასწავლებელმა, შოთამ გაკვეთილიდან გამოაგდო. დეკორაციის ცვლილება დაკავშირებულია შოთას ლაბორანტის, ნუგზარის გამოსვლასთან; ნუგზარს, დენის გენერაციის მიზნით, რაღაც მრგვალი, ულვაშებიანი მონყობილობა გამოაქვს. ჰაერში ელჭექის სუნი დგება. ვიღაცა კიენს. მიწიდან ეზოლირებული, შუშის სკამზე შემდგარი ნუგზარი ცხვირიდან ნაპერწკლებს აფრქვევს... დაფაზე რაღაც საინტერესო ხდება. ფორმულები მზესუმზირას მარცვლებივით ითხოვენ ერთმანეთს და ვეღარ ვაჩერებ ფიქრს.

ფიზიკის გაკვეთილიდან ვერ გამოვალ და სახლში ვერ ნავალ, თუ საკუთარი მოგონება არ გავიარე, სადაც შეიძლება მხარი მეცვალოს, და უცებ ათი წლით გვიან, ისევ ჩემს ქუჩაზე აღმოვჩნდე, ჩვენი სახლის კიბეზე; ამ კიბიდან ეზოში ჩავიდე, რომ სულზე მივუსწრო მოღრუბლული ცის უცნაურ გამონათებას; ღრუბელზე წამით შერჩენილ სითეთრეს. სივრცის გახსნას კი არა, სივრცის გადალახვისა და დროის წინასწარ განცდის სიხარულს; თითქოს უცებ საჩუქარივით გაიხსნა და თვალნინ გადაიშალა ჩემი მომავალი ცხოვრება.

მაგრამ ეს სიხარული არ არის სრული. მას სევდაც ახლავს თან. ხილვის თვალისმომჭრელ ელვარებაში ვხედავ და ვერც ვხედავ რეკლამებით მოთამაშე, 21-ე საუკუნის ქალაქს — აყვირებულს, აჭრელებულს სიახლეებით, მშენებლობებით, მაგრამ ოდნავ სახედაკარგულს, ბუნდოვანს. თითქოს არის და აღარც არის ის, რასაც ოდესღაც ერქვა თბილისი, თითქოს იყო და არა იყო რა...

ეროვნული ბიბლიოთეკა



ირაკლი
ციგროშვილი

ველის ყვავილო

ველის ყვავილო, გამკრთალდი, ჩახმი,
ნაერთვა შენი ფერი ირგვლივეთს.
მხოლოდ სიზმარში გნახულობ ახლა,
მხოლოდღა სიზმრის ველზე ბიბინებ...

აისის სისხლო და სულო მთების,
ამოხვალ, ჩახვალ ისევ ნებისად
და შემოდგომის მიწაზე წვები,
ცას უმზერ თეთრი მდუმარებისას.

თავგასულია სოფლის მეველე

თავგასულია სოფლის მეველე,
იგი თემ-სოფლის მთა-ბარს ვერ უვლის
და კარგად ვუწყით —
ვის ჰკვლევს ზერელედ,
სად მიდის მისი გზა უფერული...

იდუმალია, როგორც იქედნე,
არც ცხვარსა მწყემსავს,
არც ბედს ემდურის.
და მიაქვს ფშავის მიწის სიკეთე —
ბარაქა ჩემი მამულ-დედულის.

მიმწუხრს ვერ აკრთობს ძაღლის ნკავნკავი,
არესაც მწუხრისფერი ედება...
რას გვიქადის
ან რას მოასნავებს
მეველის ასე გათავხედება?

იმ დღიდან აქამომდე

კბილით ეკალი გლიჯე,
ორივე ხელით ნარი.
ემაგ წყლულთათვის ძებნე
სალბუნი უებარი...
საგზალი უწილადე
გზაზე შემოგხვდა ვინაც...
ემაგ სიმწრისთვის ძებნე
ნათლის სივრცე და ბინა.
ფოთოლ-ბალახის სითბოს
სიამე ჰქონდა ბევრი...
ემაგ ფერთათვის ძებნე
ფერები ღვთისნიერი.
ხე ცნობადისა ზარდე,
თოვდა და წვიმდა ოდეს...
ემაგ გზისათვის დაშვრი
იმ დღიდან აქამომდე.

უმთვარო ღამის ხმა შხამნარევი

მაფხიზლე ღამის თვალო მრავალო,
უსხეულო ცის წვით და დარდებით...
ძალიან ბევრიც რომ ვივალალო,
დილამდე მაინც არ გათავდები.

სანთელს ვანთებ და სამზეოს ვლოცავ,
ჩემს იქით კიდევ შავი ბრბო არის.
ვინ რას გახდება ამ წუთში, როცა
უდროობაში მხვდები მდუმარი.

მთიებო, მაინც ნუგეშად გსახავთ,
თუმც მესმის ქარის ხმა შხამნარევი.
ჩემი ნაბიჯის მე ვიცი ახლა,
რა გზას ვადგავარ — საით მარები...

●

აღმა-დაღმა მოარული ქარბორბალა ხვივის,
ცისკენ მიაქვს ფოთლები და ნაბუერი თივის.

შემოდგომის მიწურული წვიმაში თოვლს ურევს...
სად განქარდა ის სურვილი, რომ ვერ აისრულე!

არც ღრუბელი დაიწრიტა, არც წყალს დაეძინა,
ნეტარ წუთსაც ისევ უცდი, ვით უცდიდი წინათ.

ბეწვს ჰკიდია ცხოვრება და სიცოცხლე და ეს წრე...
ფუტკარს უვლი, ძროხას მწყემსავ, ხეხილსა სხლავ მეწლეს.

აღმა-დაღმა მოარული ქარბორბალა ხვივის...
სადღაც ახლოს ბობოქრობენ ციკლონები ცივი.

●

ამა თოვლ-სუსხში, შაშვებო,
გეშველებოდათ, ნეტავ, რა,
შიმშილის ელდა სადამდე,
როდემდე უნდა გეტარათ,
რომ არა ჩემი ცირცლები,
თავს სად იგრძნობდით ნეტარად?..

დავსხდეთ, დავნაყრდეთ, მნარიავ

დაიცა, თითოც დავლიოთ,
ჟამი ხომ მაინც არ იცდის.
რა გვრჩება წასაღებელი
ამ მიმქროლავი წამისთვის!
დაიცა, კიდევ მითხარი
ამ წუთისოფლის იგავი...
დღემდე რა გზებზე ვიარეთ,
დღემდე სად აღარ ვიყავით.
სად გვეჩქარება, დავნაყრდეთ,
აბა, რისთვისღა ვჭოჭმანობთ.
წავალწავალა სანუთრომ
რა ფეხი უნდა მოგვჭამოს!..
ნეტავ, სად, როგორ შევხვდებით
ხვალის წყურვილს და ალიონს.
ჩამოვისვენოთ, მნარიავ,
გზისპირზე თითოც დავლიოთ.

გელა
ჩქვანავა

ტელევიზორი

მე-14ˢ კორპუსის ეზოში ბავშვები დილიდანვე ფეხბურთს თამაშობდნენ.

მესამესადარბაზოელი, ნაბახუსევი, უმუშევარი რადიოინჟინერი ვაჟიკო კურცხალია, იგივე „ხუჭუჭა" თავისი ბინის აივანზე იჯდა, მეორე სართულის სიმაღლიდან მოთამაშე ბავშვებს დაჰყურებდა და ეჩვენებოდა, რომ თანდათან ქრებოდა, ოღონდ ძალიან მტკივნეულად — თითქოს მზის გულზე დაგდებული მედუზა იყო და იშრიტებოდა.

კორპუსის ეზოს იქით, სკვერის ბუჩქებიდან ვირთაგვა გამოვარდა და სირბილით წამოვიდა ნაგვის ბუნკერისკენ. თამაშით გართულ ბავშვებს ვირთაგვა არ შეუმჩნევიათ, არადა, სულ ვირთაგვებს იყვნენ დადარაჯებულები — როგორც კი სადმე დალანდავდნენ, კარების მოსანიშნად დადებულ ქვებს დაუშენდნენ ხოლმე.

„დაიწყო!" — გაიფიქრა ვაჟიკომ.

ვაჟიკოს კედლის მეზობლების, მეორესადარბაზოელი ხაზარიების ბინიდან ოჯახის ენერგიული დიასახლისის, მანანას ხმა გამოდიოდა. ის თავის ქმარს, დამიანეს ეჩხუბებოდა.

— აღარ შემიძლია!.. აღარ შემიძლია!.. აღარ შემიძლია!.. — თან ყვიროდა და თან მოთქვამდა მანანა, ისტერიკას არაფერი უკლდა, თვითონ დამიანე კი ჩუმად იყო.

— ლოთი ხარ უკვე, ჩამოყალიბებული ლოთი!.. აღარ შემიძლია!.. შენი ატანა არა მაქვს!.. აღარ შემიძლია!.. — აწივლდა მანანა.

— ხომ არ წაგიჯიკავო? — როგორც იქნა, ამოიღო ხმა დამიანემ.

„როგორც იქნა," — გაეფიქრა ვაჟიკოს.

— მე შენ უპატრონო ხომ არ გგონივარ! — ხმა დაუბოხდა მანანას.

— ... გაფუჭებულ ფირფიტაზე ნემსს რომ წაუჯიკავებენ!.. — მოესმა ვაჟიკოს დამიანეს ხმა.

— პირუტყვო! — ქმრის იუმორმა გული მხოლოდ ოდნავ მოულბო მანანას. — ასე როგორ შეიძლება!..როგორ შეიძლება-მეთქი!.. როგორ!.. როგორ!.. ჩაიხედე ერთი სარკეში, რას გავხარ, რას!!!

„აი, ახლა კი იტყვის!.. აუცილებლად იტყვის! — გაიფიქრა ვაჟიკომ. — აქამდეც უნდა ეთქვა... მიდი, თქვი, შენი ძუძუების ჭირიმე!.."

ხაზარიების ბინიდან ქვითინი მოისმა.

„გამოსვლას ისე მორჩა, რომ არაფერი უთქვამს, — გული დასწყდა ვაჟიკოს. — ეხ-ხ, მანანა, მანანა... არადა, როცა ტირის, მკერდზე იცის ხელის მიდება!.."

— ფსკერისკენ მიდიხარ!.. არა, კი არ მიდიხარ, უკვე იქა ხარ თითქმის! — სლუკუნებდა მანანა.

„გააგრძელა... შეიძლება თქვას" — იმედი მიეცა ვაუიკოს.

— იმას არაფერი გიკლია!.. აი, იმას!

„სმბობს!" — გაიფიქრა ვაუიკომ და თითქმის ისევე ცხადად, როგორც თეორი ციების შემოტევისას, თვალწინ დაუდგა ხაზარიებისა და მისი ბინის გამყოფ კედელზე თითმიშვერილი მანანა.

— ჰო, რას მიყურებ!.. არ მოგეწონა?.. მართალს ვამბობ — არაფერი გიკლია! — ცრემლებით დამბალი ხმა ოდნავ გამოუშრა მანანას.

— თქვა! — ნაიჩურჩული ვაუიკომ. — შეიძლება ითქვას, რომ მე-14ª კორპუსში თითით საჩვენებელი კაცი ვარ!

— გაიგოს მერე!.. — შემცბარი ხმით წამოიძახა მანანამ. — ტელევიზორი გაუყიდია გუშინ... დაბნელებულზე გამოუტანია, მეზობლებს რომ არ დაენახათ. ტაქსი ელოდებოდა თურმე — ტელეფონით გამოუძახებია. ტაქსისტს ფული წინასწარ მოუთხოვია, ამას გინება დაუწყია...

„ესე იგი მთელ კორპუსს სცოდნია, ტელევიზორი რომ გამოვიტანე", — ლაპარაკმა პირი გამოუშრო და ამიტომ ისევ გაფიქრებაზე გადავიდა ვაუიკო.

— ... და შენ?.. შენ რატომ აგინებდი იმ ტაქსისტს?.. ფული თუ არ დაგრჩა, ტაქსიში რას ჯდებოდი?!

— ვა-ა! — გაჭიმა ვაუიკომ და ისევ გაფიქრებაზე გადავიდა, რადგან ამჯერად გამომშრალი ტუჩები ასტკივდა: „ტაქსისტებს, ჩემო დამიანე, არ უნდა ეჩხუბო იმიტომ, რომ ისინი პუტანკებივით არიან: ერთხელ მაინც თუ აუხირდი რომელიმეს, მერე მორჩა, უკვე მთელი ქალაქის ტაქსისტები გიცნობენ!.."

მე-14ª კორპუსის ეზოში ნაგვის დანჯღრეული მანქანა შემოხრიგინდა და, როგორც ყოველთვის, პირველი სადარბაზოს ბუნკერს მიადგა.

— გასაწყეტლები! — აშკარად მენაგვეების მისამართით თქვა მანანამ.

„სამაგიეროდ, ძუძუები გლოცავენ..." — მანანს წყევლას გამოეხმაურა ვაუიკო.

— გოთვერნები! — უკვე ღამის ვაუიკოს თავთან გაისმა თავის აივანზე გამოსული დამიანეს ხმა; ვაუიკომ აივნების გამყოფ ფირფიცრის ტიხარს იქით დამიანეს სუნთქვაც კი იგრძნო. — ხომ ვთქვი მე, ისევ სავსე მანქანით იქნებიან მოსულები–მეთქი... ვერ ეტევა ნაგავი მანქანაში, ფეხით შედგებიან ზედ და ტენინან, ნახევარი მინაზე იყრება. დაცლიან პირველების ბუნკერს, ნავლენ, ორ სააათში დაბრუნდებიან ისევ სავსე მანქანით და მეორეს მიადგებიან... თუ აყროლებაა, ერთხელ აგვაყროლონ, რა იქნება!..

ვაუიკომ მანანას სუნთქვა მანამდეც იგრძნო, სანამ ის ხმას ამოიღებდა — ისიც კი მოეჩვენა, მისი სუნამოს სუნიც ვიგრძენიო. არადა, ვაუიკოს დაკვირვებით, მანანა სუნამოს პირდაპირ დეკოლტეში ისხამდა.

— არ შეაგინო, გაფიცებ ყველაფერს! — ისეთი ლბილი ხმით მიმართა მანანამ ქმარს, თითქოს მანამდე არც ეჩხუბოს.

— ახლავე დაკეტეთ ბუნკერი!.. ნადი, დაცალეთ მანქანა და მერე სამივე ბუნკერის ნაგავის ერთად გაიტანეთ, თორემ მე ვიცი!.. — მენაგვეებს გასძახა დამიანემ. — რამდენჯერ გაგაფრთხილეთ, ნანილ-ნანილ არ წაიღოთ-მეთქი!..

— არ შეაგინო, ჩემ თავს გაფიცებ! — ხმა კიდევ უფრო დაუტკბა მანანას.

„ძუძუები დააფიცე... შენ რომ ამოდენა ძუძუები არ გქონდეს, დამიანე ამდენს არ მოგითმენდა. შენ ძუძუებით დაიმონე დამიანე, ერთი მაგისი დედაც!.." — კინაღამ ხმამაღლა შეიგინა ვაუიკომ.

— დაკეტეთ-მეთქი ბუნკერი, თქვე ახვრებო, ვის ველაპარაკები! — ვაუკაცურად დასჭექა დამიანემ — არ ჩამომიყვანოთ, თორემ ბუნკერის ვირთხებივით გაგიჭეჭყავით თავს!

„ვირთხები!.." — რაღაც უსიამომ და გულისამრევმა გაუკაწრა გონება ვაუიკოს და შიშმა ჟრუანტელად გაბურძგლა.

— დაკეტეთ-მეთქი, თქვენი!.. — დამიანეს არ შეუგინებია, „მტკივაო", ნამოიკვნესა — ალბათ, დროულად უპწკინა მანანამ.

ვაუიკოს ბუნკერის რკინის კარის საკეტის ხმა შემოესმა — მენაგვეები დამიანეს ბრძანებას დამორჩილდნენ.

„შეგიძლია იამაყო შენი ძუძუება ცოლის წინაშე, დამიანე..."

— რომ გაბრაზდნენ და საერთოდ არ მოვიდნენ? — იკითხა მანანამ.

„მენაგვეები აუცილებლად დაბრუნდებიან... შენი ძუძუების ხათრით მოვლენ... მოვლენ, რომ კიდევ ერთხელ შეგავლონ თვალი!"

— ნეტა, ესიავებთან რა ხდება? — იკითხა მანანამ.

— მეოთხეც თუ გოგო ეყოლა, გაგიუდება კაცი.

ვაუიკომ სკვერს იქით, მოპირდაპირე კორპუსს გახედა. მანანას მიერ ნახსენები კაცის ბინის ფანჯრები მოიძია თვალით.

„წამოვდგები და გავივლ-გამოვივლი. მიხვდებიან, რომ მათს აივანზე გამოსვლამდეც აქ ვიყავი და, რაც ჩემზე თქვეს, ყველაფერი გავიგე" — გადაწყვიტა ვაუიკომ, მაგრამ ადგილიდან არ დაძრულა.

— გასაწყვეტლები!.. ჭირი მაგათ!.. — ეზოდან გასულ მანქანას მიაწყევლა მანანამ.

„ძუძუები გლოცავენ!" — ფიქრით გამოეხმაურა ვაუიკო მეზობლის წყევლას.

— ბიჭოს! — თავმიმწონედ თქვა დამიანემ, არადა, სადაც სამართალია, მენაგვეების მადლიერი უნდა ყოფილიყო — რომ არა ისინი, ვინ იცის, შეირიგებდა თუ არა ცოლი საღამომდე მაინც; ახლა კი დამიანეს თავისუფლად შეეძლო, მოფერებოდა თავის მთავარ და უმნიშვნელოვანეს ქონებას — ცოლის მკერდს.

„ჩავახვევლებ!" — გაიფიქრა ვაუიკომ, მაგრამ არ ჩაუხვევლებია.

„ხათრანი ვარ, ანუ კეთილი!" — დანაღვლინდა ვაუიკო.

ხაზარიები სახლში შევიდნენ. ვაუიკომ თვალები დახუჭა — ეს უკვე მესამე შემთხვევა იყო, როცა თავისი ყურით გაიგონა თუ როგორ ეუბნებოდნენ მე-14ª-კორპუსელი ქალები თავიანთ სმას გადაყოლილ ქმრებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენც ვაჟიკოსნაირი გახდებიო.

„არასოდეს დავატყუპებ მედუზას ბეტონზე, როგორც ბავშვობისას ვაკეთებდი ხოლმე — მედუზა ხომ უსუსური არსებაა!" — ნაღვლიანად გაიფიქრა ვაჟიკომ, გაჭირვებით წამოკრიფა სხეული სკამიდან და შინ შელასლასსდა. შინ შესულმა კი ტელევიზორის ეკრანზე არეკლილ საკუთარ ორეულს ჰკიდა თვალი და აღმოაჩინა, რომ ხვანჯარი გახსნილი ჰქონდა. ხვანჯარი შეიკრა და უცებ გული გაუცივდა — სწორედ იმ ადგილას, სადაც მისი ხვანჯარი ირეკლებოდა, ტელევიზორის ეკრანს თითქმის ხვანჯრის სიგრძე ბზარი აჩნდა.

— ო, არა!.. ო, არა!.. ო, არა!.. — გაფუჭებულ ფირფიტასავით მონოტონურ ტონში წარმოთქვამდა ვაჟიკო და ტელევიზორისკენ იწევდა.

მას შემდეგ, რაც დარწმუნდა, რომ ბზარი არ მოჩვენებია, ვაჟიკო კიდევ უფრო დანაღვლიანდა, თუმცა, რომ მოჩვენებოდა, მაშინ უფრო სერიოზულად ინერვიულებდა, რადგან ეს იმის ნიშანი იქნებოდა, რომ თეთრი ციების შემოტევამ გაუმეორა.

ვაჟიკო ზამბარებჩაცვენილ დივანზე ჩამოჯდა და ხაზარიების ბინასთან გამყოფ კედელს მიაშტერა მზერა, ყურში კი დარტყმის ხმა ჩაესმოდა — გუშინ საღამოს, მას შემდეგ, რაც ტაქსი გაექცა და იძულებული გახდა, ტელევიზორი ისევ ბინაში ამოეტანა, გაბრაზებულზე კიბის რკინის მოაჯირს გაჰკრა.

— ნაბოზრებო! — ჩაილაპარაკა ვაჟიკომ ტაქსისტისა და ხაზარიების მისამართითაც და ტელევიზორი „რუბინ ც-202" გულისფანცქალით ჩაროო.

ტელევიზორში სკკპ მერომლიღაც ყრილობას უჩვენებდნენ.

ვაჟიკო მთელი ხუთი წუთი გვერდდან შესცქეროდა ტელევიზორის ეკრანს.

ხუთი წუთის შემდეგ ვაჟიკო დარწმუნდა, რომ ეკრანის ბზარი არ იყო გამჭოლი, ანუ საშიში.

„ნაწილებად გავყიდი", — გაიფიქრა ვაჟიკომ და გადაწყვიტა, გასტრონომში წასულიყო ლუდის ნისიად ასაღებად.

ტელევიზორს ხმა ბოლომდე აუწია.

— აბა, თქვენ იცით, არც ერთი სიტყვა არ გამოგრჩეთ! — თქვა ხაზარიების მისამართით და თავისი დის, ჟუჟუნას მიერ ერთი კვირის წინ ნაყიდ ფლოსტებზე ამაყად ეაიხედა. ფლოსტები იმდენად კარგი იყო, რომ იმით ქუჩაში გასვლისა არავის შერცხვებოდა.

ტელეფონის ზარის ხმა ბინის კართან წამოეწია ვაჟიკოს — მისი და, ჟუჟუნა რეკავდა — საჭმელს გიგზავნი ცოტნეს ხელით და დახვდიო, უთხრა ძმას და იქვე სთხოვა, ცოტნე ცოტა ხნით ფიზიკაში წაამეცადინეო.

— არ მცალია! — აშკარად ემძიმა ვაჟიკოს ფიზიკასა და, საერთოდ, ყველა ტექნიკურ საგანთან მნყრალად მყოფი დისშვილის წამების ყურება.

— რა იქნება, შენი დისშვილისთვის ერთი საათით მაინც მოიცალო?

ვაჟიკომ პაუზა დაიჭირა, მერე პაუზა თანხმობის მანიშნებელ დუმილში გადაეზარდა.

— ტელევიზორს რატომ აყვირებ, რა ხდება? — იკითხა ჟუჟუნამ.

— ახლოს ვდგავარ ტელევიზორთან და გეჩვენება, თითქოს ვაყვირებდე! — მოიტყუა ვაჟიკომ, ყურმილი დაკიდა და ტელევიზორი გამორთო.

— ბედი გქონიათ... ყრილობას სხვა დროს მოგასმენინებთ... თუ ჭკვიანად იქნებით, შეიძლება კონცერტზე ჩართულიც დაგიტოვოთ, იმ ანეკდოტისა არ იყოს... — თქვა ვაჟიკომ კედლის მეზობლების მისამართით და აივანზე გავიდა.

●

ვაჟიკო აივანზე იჯდა და დისშვილის გამოჩენას ელოდებოდა. მას შემდეგ, რაც დამ საჭმელი უხესენა, მართლა მოშივდა.

„ლოთებს არ შივდებათ ხოლმე", — გაიფიქრებდა ეროდადრო.

ხაზარიები მუშად იყვნენ.

„თქვი რამე.... გენაცვალე ძუძუებში!" — გაიფიქრა ვაჟიკომ მანანას მისამართით და ამ დროს ცოტნეც გამოჩნდა — თექვსმეტს მიღწეული, მამამისივით ჩასკვნილი ბიჭი.

ცოტნემ ბიძას შორდანვე დაუქნია თავისუფალი ხელი — მეორეში სპორტული ჩანთა ეჭირა, ჩანთაზე გამოკვეთილი ოვალური გამობერილობა მნახველს აფიქრებინებდა, რომ შიგ ქვაბი იდო. ცოტნე ბავშვებში გაერია და ბურთს გამოედევნა.

„მადლობა ღმერთს, ბორში არ მოაქვს. ბორში რომ იყოს, ჩანთას ასე თამამად არ აპორწიალებდა", — დაასკვნა ვაჟიკომ.

„ტელევიზორს რატომ აყვირებ, რა ხდება?" — ჩაესმა ვაჟიკოს დის გაღიზიანებული თუ გაოცებული ხმა (ან ორივე ერთად) და მიხვდა, ჟუჟუნასთვის ვაჟიკოს რომელიღაც მეზობელს ტელეფონით შეეტყობინებინა, რომ მისმა ძმამ გუშინ საღამოს ტელევიზორი გაიტანა სახლიდან. ვაჟიკო იმასაც მიხვდა, რომ მეზობლებმა არ იცოდნენ თუ მან ტელევიზორი უკან მოაბრუნა.

ცოტნე ყველაფერში მამას ბაძავდა, მამამისივით მხიარული ვინმე იყო და მისალმებისას ხელის მოჭერა და თვალებში ჩახედვა სჩვეოდა.

— ამოდი ახლა, თუ ამოდიხარ! — დაუძახა ვაჟიკომ დისშვილს.

ცოტნემ ბურთს თავი ანება და სადარბაზოსკენ გამოქანდა.

ვაჟიკო დისშვილს აივანზე დახვდა.

— აბა ჰე, ვისაუზმოთ ახლა თუ ვსაუზმობთ, მერე ვიმეცადინოთ, ოღონდ ბეკრი არა, ვარჯიშზე ვარ ნასასვლელი! — თქვა ცოტნემ და აივნიდან ნამდვილი ფეხბურთელივით გადაანიტა, არად, ტენისზე სავარჯიშოდ დადიოდა, ტენისისტები კი არ აწიტებენ, რადგან დახურულ, პარკეტდაგებულ დარბაზში უწევთ ყოფნა.

— რაში უნდა გამეცადინო?

— როგორ თუ რაში?.. ფიზიკაში!

— მარცხენა ხელის წესიც იცი და მარჯვენასიც. მეტი შენ არაფერი გჭირდება ჯერჯერობით! — დინჯად უთხრა ვაჟიკომ. მანამ კი, ანუ სანამ ამას იტყოდა, პაუზაც დაიჭირა.

— ჯოულ-ლენცი და წრედის შეკვრა და მაგისთანები?.. მახსოვს, რა გასაკვირიც უნდა იყოს. აბა, მისმინე...

— ნუ აურიე ყველაფერი ერთმანეთში. ჯოულ-ლენცი არ არის ეგ და, საერთოდაც... გადატანითი მნიშვნელობით გეუბნები! — გააწყვეტინა ვაუიკომ.

— გადატანითი?.. — დაიბნა ცოტნე. — ტენისზე მეუბნები?.. მემარჯვენე ვარ მე, მარცხენათი მიჭირს.

— ხელბურთზე გეუბნები! — რომ ეგონა, ღიმილს ვიორაზროვნებო, სინამდვილეში კიდევ უფრო ინალვლიანებდა ვაუიკო, ალბათ, იმიტომ, რომ შიმშილმა წინანდელზე უფრო შეახსენა თავი.

— აა-ა! — როგორც იქნა, მიხვდა ცოტნე, რასაც გულისხმობდა ვაუიკო და განითლდა.

— შვები, ხო? — არ დაინდო ძმისშვილი ვაუიკომ. — მიდი, საქმეს მიხედე!

ცოტნე სამზარეულოსკენ წავიდა, ვაუიკო აივნაზე დარჩა.

ახლა მედუზა კი არ იყო, ახლა რაღაც სხვა იყო, ოღონდ არ იცოდა, რა. შეიძლება ხამანწკა იყო, რომლის ზვირთსაქცევის კედლებზე მიმაგრებულ ნიჟარაზეც ბავშვობაში არაერთხელ გაუჭრია ფეხი.

ხაზარიები ჩუმად იყვნენ.

არა, ნამდვილად ხამანწკა იყო, საკუთარ ნიჟარაში საიმედოდ შემალული ხამანწკა და გარედან ვიღაცა ხარბად ისრუტავდა, რომ ერთი გემოზე შეეთქვლიფა.

„არასოდეს შევაგინებ ხამანწკას დედას, როგორც არ უნდა გამიჭრას ფეხი — ხამანწკა ხომ უსუსური არსებაა!", — გაიფიქრა ვაუიკომ.

ხაზარიები კი ისევ ჩუმად იყვნენ.

ესმოდა, როგორ შემოხრიგინდა ეზოში ნაგვის მანქანა, და ამ დროს ტელეფონმაც დარეკა.

— შენ აიღე რა, ბიძია, ტუალეტში ვარ მე! — მოისმა ცოტნეს ხმა.

— სახლში ვერ ქენი?! — გაბრაზდა ვაუიკო და ტელეფონისკენ წალასალადა.

— ჰო-ო! — აგრესიულად გაწელა ვაუიკომ.

ჟუჟუნამ, სანამ რამეს იტყოდა, პაუზა დაიჭირა. ის პაუზის დაჭერის დიდოსტატი გახლდათ. ბავშვობიდანვე ასეთი იყო — უფროსებთანაც პაუზას იჭერდა. რამეს რომ შეეკითხებოდნენ, პაუზას ისე ბუნებრივად დაიჭერდა, რომ ამას უტიფრობასა და ყურადღების მიპყრობის პრიმიტიულ სურვილში არ უთვლიდნენ. მერე, ასაკთან ერთად, თანდათან დაიხვეწა და ეს პაუზები ღირსებას სძენდა.

— რეზო მანდ ხომ არ არის? — იკითხა ჟუჟუნამ.

— არა, რაშია საქმე? — გაღიზიანებულის ტონი მაინც ვერ მოიშორა ვაუიკომ.

— ათზე უნდა მოსულიყო სახლში და თორმეტია უკვე, ენერვულობ... ცუდად აქვს სამსახურში საქმე... ძალიან ცუდად.

„უფროსის საყვარელს დაბუღრავდა!" — დაასკვნა ვაუიკომ.

— ქეიფობდნენ რესტორანში და ამას ჰაერში გაუსვრია. უჩივის ვიღაცა, ასთმიანი ბავშვი მყავდა გვერდით, შიშისგან კინაღამ ხელებში ჩამაკვდაო. რა უნდოდა იმ რესტორანში ბავშვთან ერთად?.. ხომ იცი, როგორი აცვენილი ხალხის დადის მანდ? რესტორნის დირექტორიც უფასოდ აქეიფებს მილიციელებს — თქვენი რიდი ექნებათ და აცვენილი ხალხი არ შემოვაო... არა, გეკითხები მე შენ, რა უნდოდა იმ რესტორანში ბავშვთან ერთად?

— როდის მოხდა ეს ამბავი?

— წითელ პარასკევს. რამდენი ვეხვეწე, ნუ წახვალ დასალევად, არ შეიძლება დღეს დალევა-მეთქი, არ დამიჯერა და, ა-ა ბატონო, შედეგი... არ ისვენებს ის მომჩივანი...

— აქამდე რატომ არ მითხარით? — ნაწყენი ხმით იკითხა ვაუიკომ.

— ნეტავი შენ! — იყო ბუნდოვანი პასუხი, — მეშინია, თავს არაფერი მოსწიოს... ხომ იცი, შარშან მაგათმა თანამშრომელმა, სამსახურიდან რომ დაითხოვეს, პირდაპირ უფროსის კაბინეტში რომ მოიკლა თავი?.. აი, იმან, ახალგაზრდა ბიჭი რომ იყო, მაიორი... შენ რომ პაგონი დაახიე ვითომ ხუმრობით, დანიძლავებული ვარ ბიჭებთან მაგარ პურ-მარილზე, რომ პაგონს აგახევო და იმან მოგითმინა და ის პაგონი გაჩუქა...

— აქამდე რატომ არ მითხარით?

— ცხრის ნახევარზე წავიდა, დავფიქსირდები სამსახურში, შემოვლაზე მივდივარ, ვეტყვი, სახლში მოვალ და მერე ვაუიკოსთან წავიდეთ — ერთი კარგად შევაფუცხუნოთო. თორმეტია უკვე და არ ჩანს... გავთავდი ქალი ნერვულობით, არ შემიძლია...

ამ დროს სააბაზანოში რაღაც გასკდა.

— ნათურა აფეთქდა, ამის დედა ვატირე! — დაიძახა ცოტნემ.

— სად აფეთქდა? — იკითხა ჟუჟუნამ.

— სააბაზანოში.

— გუშინწნინ გამოვცვალეს... სახლი ხომ გუშინწნინ დგილაგე თუ იმის წინ?.. ნერვულობისგან აღარა ვარ, ყველაფერი მავიწყდება!

— ალბათ, არ დაუჭირე კარგად, იცის ხოლმე.

— ეს ცუდის ნიშანია! — თქვა ჟუჟუნამ მცირე პაუზის შემდეგ.

ვაუიკომაც პაუზა დაიჭირა. როცა პაუზას იჭერდა, ისე გამოსდიოდა, თითქოს დას აჯავრებდა.

კარზე ზარმა დარეკა.

— კარზე დარეკა ვინმემ? — იკითხა ჟუჟუნამ.

— მიდი, გააღე, ზედა მეზობელი იქნება ან ქვედა. სააბაზანოში იქნებოდა ისიც და, ნათურის გასკდომის ხმა რომ გაიგო, ამოირბინა... დედაშენს ჰყავს ყველა მეზობელი გაფრთხილებული — მიმიხედეთ ჩემს ძმასო! — ჟუჟუნას გასაგონად საჭიროზე ხმამაღლა გასძახა ვაუიკომ ცოტნეს.

— გეყოფა! — დაისისინა ჟუჟუნამ.

კარში ვაუიკოს სამოქალაქო ფორმაში გამოწყობილი მილიციელი სიძე იდგა — უბნის ამაყი ინსპექტორი.

— ვერა ხართ, ხომ იცი, ეს მეოთოხმეტეაელები! — კარიდანვე დაიბუხუნა რეზომ. — გაგიჟდით ყველა?

— რეზომ მოვიდა?.. მეც გამოვალ! — თქვა ჟუჟუნამ.

— დაეტიე მანდ! — მოუჭრა ვაუიკომ და ყურმილი დაკიდა.

რეზომ, დივანზე დაჯდა თუ არა, ჩვეულებისამებრ,

ხელის განაფული მოძრაობით ქამარზე დაკიდებული პისტოლეტის ბუდე შეისწორა.

„პისტოლეტი თუ აქვს, ესე იგი, არ მოუხსნიათ და არც ჩამოუქვეითებიათ... ისე, სამსახურიდან რომ გაანთავისუფლონ, სიცოცხლის ბოლომდე დაჯდომისას მაინც წელისკენ მიჰქონდეს იქნება ხელი, თითქოს პისტოლეტს ისწორებსო!..” — გაიფიქრა ვაჟიკომ და ამ დროს ისევ დარეკა ტელეფონმა.

ჟუჟუნა ამჯერად უპასუხოდ ალაპარაკდა.

— რეზოს არ უთხრა თუ ის ამბავი იცი... თვითონ თუ არ გითხრა, შენ არაფერი აგრძნობინო. გამაფრთხილა, არ უთხრაო...

— ჰო, — თქვა ვაჟიკომ და ყურმილი დაკიდა.

— შენ ხომ არ უყვიროდი მენაგვეებს? — ჰკითხა რეზომ ვაჟიკოს და თვალებში ჩახედა. — საჩივარია ზეპირი შემოსული სახლმმართველობიდან, მუშაობის საშუალებას გვისპობენო... ტელევიზორის ეკრანს რა სჭირს?

— გადმომივარდა და გაიბზარა, მაგრამ იმუშავებს...

— შენ უყვიროდი?

— არა! — თქვა ვაჟიკომ.

— ნადი, ლუდი ამოიტანე, — დაასაქმა რეზომ შვილი. — ვინ უყვიროდა და აგინებდა იმ დედაატრერებულ მენაგვეებს, ამიხსენი თუ კაცი ხარ!

— მე რა ვიცი! — მხრები აიჩეჩა ვაჟიკომ.

— რას ჰქვია, არ იცი! შენს აივანს ადებენ ხელს — იქიდან იყოო! — არ დაუჯერა სიძემ, პისტოლეტის ბუდე უკან, გავიკენ გააცურა, შარვლის ჯიბიდან სამმანეთიანი ამოიღო, შვილს გაუნდოდა და ხელით ანიშნა, ოთხი ბოთლი ლუდი ამოიტანეო.

— ხურდა ჩემია? — უიმედოდ იკითხა ცოტნემ და, მამამ თვალები რომ გადაუბრიალა, ნიშნისმოგებით გაიღიმა — თითქოს ხუმრობით, მამის გასაბრაზებლად მოეთხოვოს ხურდა.

— აბა, შენს აივანს რატომ ადებენ ხელს?

— რას ქვია, ჩემს აივანს ადებენ? — ამჯერად ვაჟიკომ ჩახედა სიძეს თვალებში და, რომ დარნმუნდა, არ ტყუოდა, აივნისკენ გაქანდა.

დაძახება არც დასჭირვებია — პირველი სადარბაზოს ბუნკერთან მომუშავე მენაგვეებმა ვაჟიკოს მზერა იგრძენს და ამოიხედეს. რეზო მათ ხელით დაეკითხა, ეს ხომ არ იყო (ვაჟიკოზე), თქვენ რომ გაგინებდათო. მენაგვეებმა უარის ნიშნად ერთდროულად გადააქნიეს თავი.

რეზო გაბრაზდა.

— უხ თქვე... თქვე...

— მენაგვეებო! — წაეშველა ვაჟიკო.

— „ჟიგულიოვსკი” თუ არ იქნა, რომელი ამოვიტანო? — ამოსძახა მამას სადარბაზოდან გამოსულმა ცოტნემ.

რეზომ თვალები გადაუბრიალა — აქაოდა, მენაგვეების თანდასწრებით რას მეკითხებიო.

— დებილია ეს შობელძაღლი!.. ლუდს იღებს ქრთამადო, იფიქრებენ... ვინ უყვიროდა თუ კაცი ხარ?

— მე რა ვიცი.

— ქალთან ერთად იყოო, მითხრეს. მე ვიფიქრე, ვაჟიკოს ქალი მოუყვანია სახლში, ჟუჟუნამ რომ მიუსწროს, ხომ გაგიყდება-მეთქი და სულ სირბილით მოვედი აქ... შკაფში ხომ არ დამალე?

— არა, ტუმბოჩკაში.

— უხ, მე ამათი!.. — ზიზღით გახედა რეზომ მენაგვეებს. — ვინ უყვიროდა მაინც, არ იტყვი?

— ვიბოზო?

— ვიბოზოს მოგცემ მე შენ!

— სიძე ბატონს ბაუმარჯოს! — მეზობელი აივნიდან დამიანე ხაზარიამ გამოყო თავი. — მე ვუყვიროდი...

— საყვირალი იყო, ბატონო, და უყვიროდა! — მანანამაც გამოყო ქმრის იქიდან თავი. — მოდიან აქ... სავსე მანქანით, ნახევარი ძირს უცვივათ მერე... ხომ შეიძლება, ერთიანად გაიტანონ სამივე ბუნკერი და არა ნაწილ-ნაწილ... ჯერ სხვაგან აივსებიან და მერე ჩვენთან მოეთრევიან. ზანგები ხომ არა ვართ, ბოლოს და ბოლოს!

— მასეა! — თქვა ვაჟიკომ. — საყვირალიცაა და მეტიც!.. ზანგები ხომ არ ვართ!

— გადმოდი ერთი თუ კაცი ხარ... ლუდს ამოიტანს ბავშვი და ჩავარტყათ, — უთხრა რეზომ დამიანეს.

— ზაკუსკა ნამოვიღო? — ისე ოპერატიულად შეაგება დამიანემ, თითქოს წინასწარვე იცოდა, რომ დაპატიჟებდნენ.

— ნამოიღოს? — ვაჟიკოს ჰკითხა რეზომ.

— არ გვინდა, გვაქვს. ჟუჟუნამ გამომიგზავნა რალაცები, — თქვა ვაჟიკომ; მოეჩვენა, რომ მანანა რეზოს, ცოტა არ იყოს, ეპრანჭებოდა და გაბრაზდა.

„ხომ არ ვეჭვიანობ!” — გაიფიქრა მან.

— აბა, ერთად გადავიდეთ ნაშუადღევსო, რომ მითხრა? — ცოლის საქციელმა სერიოზულად დააბნია რეზო. — გადამრევს ეს ქალი!

— არაყი? — იკითხა დამიანემ.

— აპ-აპ! — უარის ნიშნად ხელი გაასავსავა რეზომ და მოპირდაპირე კორპუსს გახედა. — რა ხდება გივი ესიავასთან, ხომ არ იცით?

— ჯერ არაფერი. დავრეკეთ და წუთი წუთზე ველოდებითო, გვითხრეს, — უპასუხა მანანამ.

— მოდი ახლა, თუ მოდიხარ! — შინაურულად დაუცაცხანა დამიანეს რეზომ.

— ცეცხლივით ქალია! — აღნიშნა რეზომ, როცა ოთახში შებრუნდნენ. — როგორ გაჰყვა ასეთ სირს?

— რატომ, კარგი კაცია, თუ გაუგებ — გაგიგებს! — გულწრფელად გამოექომაგა ვაჟიკო დამიანეს, თვითონაც ვერ გაიგო, რატომ.

— არ იკადრებს კაცი, თორემ მაგ ქალის დათრევას ბევრი არაფერი უნდა... რა ძუძუები აქვს!

— გაანებე სხვის ძუძუებს თავი — შენსას მიხედე! — გაბრაზდა ვაჟიკო.

— რას ქვია, ჩემსას მივხედო?! — გაოცებისგან პისტოლეტის შესწორება დაავიწყდა ტახტზე ჩამომჯდარ სიძეს.

— ოქმი უნდა შეადგინო? — სიტყვა ბანზე აუგდო ვაჟიკომ.

— ვაჟიკო! — მოისმა აივნიდან მანანას ხმა.

აივნისკენ წასულ ვაჟიკოს სიძეც უკან მიჰყვა.

მანანას ხელში ორი, ქალალდის ხელსახოცგადა-

ფარებული თეფში ეჭირა და იცინოდა.

— მოაშორე, თუ ქალი ხარ, მანდედან... მენაგვეებმა არ დაინახონ, ქრთამიაო იფიქრებენ! — ესროლა მანანას რეზომ.

მანანამ თეფშები დაუშვა, მოაჯირს ქვემოთ დაიკავა და, როცა მიხვდა, ასეთ მდგომარეობაში საკმაოდ ბრიყვულად გამოვიყურებიო, ბავშვივით გაწითლდა. გაწითლებული მანანას დანახვაზე ვაჟიკოს რაღაც თბილი ჩაეღვარა გულში.

მენაგვეებს ეგონათ, რომ რეზო მათ უცინოდა (არადა, მანანას უცინოდა), და მათაც გაიცინეს: იმითაც კმაყოფილები ჩანდნენ, რომ უბნის ინსპექტორმა მათი გამლანძღავი გვარიანად შეაფუცხუნა.

— დამიანე სადაა, არ მოდის? — იკითხა რეზომ.

— აკი წამოვიდა, არ მოსულა?

— საჭმელი ოხრადა გვაქვს, არ გვინდა, — უთხრა ვაჟიკომ მანანას და თავი დაუკრა გამომშვიდობების ნიშნად.

— ეწყინება დამიანეს... — თქვა მანანამ და წავიდა.

— გენაცვალე ძუძუებში! — დაიჩურჩულა რეზომ და მენაგვეების დასანახად სერიოზული დაიჭირა, აქაოდა, თქვენს საჩივარზე რეაგირებას ვახდენო.

— ოხ, რა ძ... — დაინყო რეზომ, მაგრამ სათქმელი შუაზე გაუწყდა, რადგან ოთახში მორცხვად მოღიმარი დამიანე იდგა.

ვაჟიკო მენაგვეებისკენ იხედებოდა და დამიანე არ დაუნახავს.

— ...ძძიებაშია საქმე! — იპოვა გამოსავალი რეზომ.

— რომელი საქმე? — ვერ გაიგო ვაჟიკომ.

— ჩემი საქმე? — იკითხა აივანზე გამოსულმა დამიანემ. — ვაკაკუნე და ვერ გაიგეთ, ჰოდა, ბეზპარდონნა შემოვედი...

— არა, კაცო, სხვა საქმეზე ვლაპარაკობდით მე და ვაჟიკო! — წარბიც არ შეტოკებია რეზოს. — ვინახოთ უნდა მენაგვეებს, რომ რეაგირებას ვახდენ... ეგ არის და ეგ!

— ესე იგი, ძიებაშია, არა? — სიძეს დაეკითხა ვაჟიკო. — აი, ამაშია საქმე... მე კი მეგონა, ძიებაში არ გადასცემდნენ.

— გადასცეს და რა გინდა ქნა! — გამოეპასუხა რეზო და ცოლისძმას მადლიერი მზერა ესროლა.

— ზაკუსკა არ გადმოუწოდებია მანანას?.. რას შვრება ამდენი ხანი, ვაჟიკოს გადააწოდე-მეთქი! — თქვა დამიანემ.

— მოიცა თუ კაცი ხარ. ქეიფს კი არ ვაპირებთ. დავლევთ ლუდს, ვითომ რეაგირებას ვახდენ და მორჩა! — თქვა რეზომ. — გავაბრუნეთ ზაკუსკა უკან.

— არ უნდა გაგებრუნებინათ! — აშკარად ქეიფის ხასიათზე იყო დამიანე.

ცოტნეც გამოჩნდა პარკით ხელში. პარკიდან ლუდის ბოთლები ილანდებოდა.

— დამალე, შე უპატრონო, რას გამივისტავკე ყველაფერი მენაგვეების დასანახად! — ხმამაღლა თქმას მოერიდა და მოგუდულად დაისისინა რეზომ, სიბრაზისგან ათუთუხდა — ლამის ჭიპზე გამსკდარიყო.

— არაყიც დააბარე? — ლუდის ბოთლებს შორის არაყის ბოთლებიც დალანდა ვაჟიკომ და ათუთუხებულ სიძეს სიყვარულით შეხედა.

— მე მივეცი არყის ფული! — თქვა დამიანემ და ქათქათა კბილები გამოაჩინა. — მალაზიაში გადავედი და...

— არ უნდა გექნა! — გააწყვეტინა რეზომ. — ყველაფერს ხედავენ მენაგვეები... თქვენ მენაგვეები, რახან მენაგვეები არიან, სულელები ხომ არ გგონიათ?.. ისედაც ძიებაში მაქვს საქმე?

— რა საქმე? — ვერ გაიგო დამიანემ.

— ისე ვამბობ, — თქვა რეზომ და ოდნავ აღელდა.

„ახლა პისტოლეტს შეისწორებს", — გაიფიქრა ვაჟიკომ.

რეზომ თავი სინანულით გადააქნია და პისტოლეტი შეისწორა, როგორც მაშინ სჩვეოდა, როცა ჯდებოდა, ან, ფეხზე თუ იდგა, როცა აღელდებოდა.

●

— ჩვენ რომ დღეს შეგვყარა, იმ გრძნობას გაუმარჯოს! — მორიგი სადღეგრძელო წარმოთქვა რეზომ და არაყიანი ჭიქა თავს ზემოთ ასწია, — როგორც მნიშვნელოვანი სადღეგრძელოს წარმოთქმისას სჩვეოდა.

— მენაგვეების სადღეგრძელოა? — გაიხუმრა ვაჟიკომ.

— მენაგვეები რა შუაშია? — აზრზე ვერ მოვიდა რეზო.

— იმათ დაგვასხოდნიაკეს! — მილიციელი სიძის გასაბრაზებლად ძველბიჭური ჟარგონი იხმარა ვაჟიკომ.

— ეხ-ხ, აელებო! — თავი სინანულით გადააქნია რეზომ.

— რომელებო? — დაიბნა დამიანე.

— მეთოთხმეტეაელებო! — აუხსნა ვაჟიკომ.

დამიანე წამოდგა, კედელთან მივიდა და დააკაკუნა.

— ტაინიკს ეძებ? — გაეხუმრა რეზო.

— მალასოლნი კიტრინო, არ ინატრე?.. ჰოდა, მოვატანინებ ახლავე, — უპასუხა დამიანემ და აივნისკენ წავიდა.

— აი, ამაშია საქმე! — თქვა ვაჟიკომ დამიანეს აივანზე გასვლის შემდეგ.

— რაში? — ჩაეკითხა რეზო.

— ძძძიებაში... ვიხუმრე, ვა-ა!

— არ შეიძლება მეზობლის ქალზე ასეთი რაღაცები... არ უნდა იკადრო! — გულწრფელად მოინანია ნეღანდელი ამჩატება რეზომ. — არ ყოფილა ცუდი კაცი! — დამიანეზე თქვა.

— მილიციის სადღეგრძელო არ გამაგონო ოღონდ! — თქვა ვაჟიკომ და ტელევიზორზე ჩამოდებული სიძის პისტოლეტს გახედა.

— მიდი ერთი, თუ კაცი ხარ, კიტრის მეტი არაფერი მოიტანოს და, ბარემ, ამ ადგომაზე, ტუალეტშიც დაკიდე ნათურა. სამზარეულოში მოხსენი.

— სადარბაზოში მოვხსნი... რას ქვია „ადგომაზე?"

— გადარაო გინდა დიანა ვარდანია და სხვა მე-

ზობლები?

— ჟუჟუნამ დაკიდა გუშინნინ და მაქვს უფლება... ისლა მაკლია, ამ ნაბოზრებს ვუნათო გზა ჩემი ხარ-ჯოთ!.. ბრაუნავს ჟუჟუნა თავის ლოთ ძმაზე, კინჩხი არ მოიტეხოს სინინელეშიო...

— შენ მეტი არ დალიო!

— რას მელაპარაკები!

— მაშინ ძუძუებზე არ წამოგცდეს რამე!.. უშნოდ გიჟუჟუნებდა თვალები, როცა უყურებდი!

— ვის?.. მე თუ შენ?! — სერიოზულად გაბრაზდა ვაჟიკო, — კაჟდი პო მერე სვოეი ისპორჩენნოსტი!

— ნუ მირტყამ აქ დოინჯებს! — წამოისროლა რეზომ, თუმცა ვაჟიკოს სულაც არ შემოურტყამს დოინჯი. ეს ჟუჟუნამ იცოდა დოინჯის შემორტყმა, როცა ქმარს უბრაზდებოდა და, აქედან გამომდინარე, რეზო ყველას, ვინც კი მას გაუბრაზდებოდა, „ნუ მირტყამ აქ დოინ-ჯებსო", ეუბნებოდა. ყველაზე ხშირად კი ამ ტერმინს მოყვარესთან ხმარობდა, შეიძლება იმიტომ, რომ ვა-ჟიკო და ჟუჟუნა ძალიან ჰგავდნენ ერთმანეთს.

ვაჟიკომ მანანას მიერ გადმოწოდებული სამი თეფ-შიდან ორი, ხელსახოცგადაფარებული, უკანვე დაა-ბრუნებინა დამიანეს. ისე კი, ძალიან აინტერესებდა, რა ეწყო იმ ხელმეორედ მონოდებულ თეფშებზე.

— გასინჯეთ რა ესენი, ჩემი გაკეთებულია, — თქვა მანანამ და ხელსახოცგადაფარული თეფშები შეათა-მაშა ხელში.

ვაჟიკოს მოეჩვენა, რომ მანანას ძუძუებიც მისი პატრონის მიერ ხელში შეთამაშებულ თეფშებს აჰყვა რიტმში — თითქოს თეფშები სასწორის პინები იყო.

„მეწყება!" — გაიფიქრა ვაჟიკომ და ტანში უსიამოდ გასცრა.

— რა გავსინჯოთ? — მართლა აინტერესებდა, რა ეწყო თეფშებზე.

— აი, ესენი! — თეფშები ამჯერადაც შეათამაშა მანანამ, მაგრამ ძუძუები თეფშებს არ აყოლია.

„არ დამწყებია!" — შვებით ამოისუნთქვა ვაჟიკომ და შუბლიდან ოფლი მოიწმინდა.

— ვინაა მერე მაგის მჭამელი. გაფუჭდება ტყუი-ლად, — თქვა მან. გული დასწყდა, რომ მაინც ვერ გაიგო, თეფშებზე რა ეწყო, და, კიდევ ერთხელ რომ არ გაქცეოდა თვალი მეზობლის მკერდისკენ, ოთახში მიბრუნდა.

„ქალია და სულელია. ქმარიც სულელი ჰყავს და ამიტომ ორჯერ სულელია... ყველა დიდძუძუება ქალი მასეა — გიყდებიან, ისე მოწონთ, როცა ძუძუებზე უყ-ურებენ, აღიგზნებიან..." — ისევ მანანაზე ფიქრობდა ვაჟიკო, როცა სადარბაზოში ნათურას ხსნიდა.

რეზოს ტელევიზორი ჩაერთო. ლეონიდ ილიას ძე შემაჯაბებელ სიტყვას ამბობდა პირის წკლაპუნით.

„რაც ბრეჟნევს მედლები აქვს ის ისიც, რაც მკერ-დზე არ ეტევა, მანანას მკერდი ხომ ყველას დაიტევდა? — გაიფიქრა ვაჟიკომ, როცა სადარბაზოში მოხსნილ ნათურას სააბაზანაში კიდებდა. — ანეკდოტივითაა... ხომ იყო ერთ დროს მოდაში ანეკდოტი, ბრეჟნევმა მკერდის გასაფართოებლად პლასტიკური ოპერაცია გაიკეთა, რომ მედლები დატეოდაო... გადავაკეთებ: ბრეჟნევმა თქვა, პლასტიკური ოპერაცია რათ მინდა, მანანა ხაზარია მომიყვანეთ და ჩემს მედალთმტ-ვირთველად გავამწესებ საჭურველთმტვირთველის პონტში, იმისი მკერდი ნაღდად დაიტევს ჩემს ყველა მედალსო, და გავუშვებ ამ ანეკდოტს ხოდში... იატაკე-ბენ მეზობლები მაშინათვე... აბა, ის კარგია, ფსკერის ლოთს რომ მეძახის!.. ფსკერზე ლოქო გამიგია მე... კბილი კბილის წილ თუ როგორაა, რომ ამბობენ?.."

ვაჟიკო ხელს რომ იბანდა, ნათურა გასკდა. ერთი ნამსხვრევი კეფაში მოხვდა.

„მომეზღო უხამსი ფიქრებისთვის!" — გაიფიქრა ვაჟიკომ და სააბაზანოდან გამოვარდა.

ჟუჟუნას გარეცხილ-გაუთოებული პერანგის საყე-ლო სისხლით დაესვარა და ხასიათი მოეშხამა. კეფაზე არაყში დასველებული ცხვირსახოცი დაადეს.

— ეს რა თარსი დღეა! — წაიბურტყუნა.

— სადარბაზოდან რომ ჩამოხსენი ნათურა, იმიტომ აფეთქდა. ასეა — არამი ლუკმა არ შეგერგება! — გაეხ-უმრა რეზო.

— არა, სხვა რაღაცისთვის! — არ გაამხილა, რისთვის. — სულ ჟუჟუნამ უნდა დაკიდოს ნათურა სადარბაზოში?.. ერთხელ მაინც შეინუხონ თავი, სხვის ხარჯზე რომ უყვართ ყველაფერი!..

ვაჟიკომ პერანგი გაიხადა და სუფრას წელზევით შიშველი მიუჯდა.

— ტელევიზორი ფეთქდება! — მიაყვირა რეზომ.

ტელევიზორის ეკრანი შიგნიდან მოყვითალო სქელი კვამლით იფარებოდა.

— დაწექით! — იყვირა ვაჟიკომ.

რეზომ და დამიანემ მაგიდის ქვეშ დურთეს თავი.

— შეგეშინდათ, არა? — დასცინა ვაჟიკომ და ტელ-ევიზორი გამორთო.

— მართლა აფეთქდებოდა? — იკითხა მაგიდის ქვეშიდან რეზოზე ადრე გამომძვრალმა დამიანემ.

— გამორიცხულია! — გულგრილად მიუგო ვა-ჟიკომ.

— აბა, გაგვაპამპულე? — არ დაიჯერა რეზომ და ტელევიზორზე შემოდებულ პისტოლეტს შეხედა. — მოიტა აქ ჩემი ფიშტო, თუ კაცი ხარ!

— დამიანეე! — მოისმა აივნიდან მანანას ხმა. — ხომ მშვიდობაა, დამიანე?

— ძიებაშია საქმე! — ვერ გათვალა და დამიანეს აივანზე გასულმადე წამოისროლა ვაჟიკომ.

— რა საქმე? — ისევ ოთახში შემობრუნდა აივანზე გასული დამიანე.

— რა და... ჯერ ერთი, ნათურა აფეთქდა, მერე მეორე, ეს ტელევიზორი აფეთქდა კინაღამ... — არ დაიბნა ვაჟიკო.

— აბა, არ აფეთქდებოდაო? — პისტოლეტი ბუდი-ანად შარვლის ჯიბეში ჩაიდო რეზომ.

— სიტყვაზე ვამბობ!

— დამიანეე! — მუსიკალურად გაწელა მანანამ და ვაჟიკოს ფეხისწვერებზე შემდგარი ბალერინა დაუდგა თვალწინ.

„იწყება," — გაიფიქრა მან.

რეზომ წაქცეული ჭიქა წამოაყენა და დაქცეულ არაყს ვაჟიკოს კეფიდან აღებული ცხვირსახოცი მიუ-მარჯვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მიცვალებულების არ გვითქვამს... რამ დაგვავიწყა! — დანაღვლიანდა ის.

— ჰოდა, მაგათმა განაწყენებულმა სულებმა ააფეთქეს ხომ ყველაფერი ერთმანეთის მიყოლებით?

— ნუ ხარ შენ ასეთ ამბებში ურწმუნო!

— ურწმუნო ვარ, არა?.. აბა, წითელ...

ოთახში დამიანე შემოვიდა, ხვანჯარი შეხსნილი ჰქონდა.

„ბივანზე ხომ არ დაიცლებოდა?.. ესე იგი, დამეწყო!" — გაიფიქრა ვაჟიკომ და თვალები დახუჭა.

— მაღალია გაგხსნია! — თქვა რეზომ და თვალდახუჭულ ცოლისძმას ცხვირსახოცი დააფინა კეფაზე.

— თავისით იხსნება ეს ოხერი!.. სიჩუმეა ისევ გივი ნარსიასთან.

ვაჟიკომ შვებით ამოისუნთქა.

— რა ნითელიო, რას ამბობდი? — ეჭვი გაუკრთა თვალებში რეზოს.

— აუ, რა შეგეშინდათ! — სიტყვა ბანზე აუგდო ვაჟიკომ. დამიანეს საერთოდ არ ედო ფერი სახეზე.

— რა გეშველება აწი უტელევიზოროდ? — თითქოს უთანაგრძნო დამიანემ და ეშმაკურად გაიღიმა ქათქათა კბილების გამოჩენით. — აი, „რობინზონ კრუზოში" რომაა, ზღვას რომ უყურებენ ცარიელი ჩარჩოდან, ვითომ ტელევიზორს უყურებდნენ, და კრუზოა თუ კარუზო თუთიყუთს რომ ეუბნება, ისევ ის კინო გადის, გუშინ რომ იყოო... აპიატ ბრა მორე...

— ტელევიზორი არ არის იქ, კინოთეატრი აქვს ვითომ მოწყობილი, — შეუსწორა ვაჟიკომ.

— აუ, რა ქალი თამაშობს პარასკევას!.. კასიუს კლეის ცოლი ყოფილა, — თქვა რეზომ.

პარასკევას ხსენებაზე რეზოს თავისივე მიქარული გაახსენდა, წითელ პარასკევს ჩადენილი.

— აბა, ბიჭო, რა ძუძუები აქვს! — კასიუს კლეის ცოლის მკერდის გახსენებაზე მოზრდილი ნერწყვი გადაეყლაპა დამიანეს.

რეზომ კი მოულოდნელობისგან ნერწყვი ვერ გადაყლაპა და სასულეში გადასცდა. ხველებ-ხველებითა და სიცილით გაძუნძულდა სააბაზანოსკენ.

— ფრთხილად იყავი, ნამსხვრევები ყრია მანდ! — დაადევნა ვაჟიკომ.

— თუ იცი, რა მიკვირს? — განაგრძო დამიანემ! — ბოქსიორია კაცი, სასიკვდილო დარტყმა აქვს. ერთი რომ შემოგკრას, სულს გაგაფრთხობინებს...

— ჩემს მტერს მაგის ხელი! — წააქეზა ვაჟიკომ. იმის მოლოდინში იყო, რომ კედლის მეზობელი კიდევ იტყოდა რაღაც ისეთს, რაც რეზოს კიდევ ერთხელ გადააცდენინებდა მოულოდნელობისგან ნერწყვს სასულეში. — კედელს გაიტანს ერთი დარტყმით.

— შეიძლება, — თავისი ბინის კედლისკენ გაიხედა დამიანემ.

— აქ რომ თხელი კედლებია, იმათ თავისუფლად გაიტანს!

რეზოც არ გამოდიოდა სააბაზანოდან — ისიც მოლოდინში იყო ვაჟიკოს მსგავსად.

— ჰოდა, ასეთი ძალა აქვს მკლავებში, გინდა მარცხენაში, გინდა მარჯვენაში... ორივე ხელს თანაბრად ხმარობსო...

— ჯოულ-ლენჩი! — ანგარიშმიუცემლად წამოისროლა ვაჟიკომ.

— რაო?

— არაფერი, ფიზიკა გამახსენდა... მერე?

— მერე არც არაფერი... ასეთი ძალა აქვს და იმის ცოლს კი ძუძუები ისეთი ასხია, უხმარი გეგონები, ქალიშვილის... თითქოს ბუზიც არ დაჯდომოდეს ზედ!.. მარტო მაგ ქალს კი არა, ყველა მსახიობს თითქმის. არ ეფერებიან ძუძუებზე ქმრები თუ რა არის, ვერ გავიგე ვერაფრით!

— ჰაიტ, შე წუწკო! — დაუცაცხანა ვაჟიკომ.

— გრიმს იკეთებენ! — სააბაზანოდან ისროლა მოლოდინგაცრუებულმა რეზომ.

„ასეთი ძუძუება ცოლის პატრონს სხვისი ძუძუებისკენ გაურბის თვალი!.. ალბათ, იმდენი სრისა, რომ ფორმა დაუკარგა"... — გაიფიქრა ვაჟიკომ და თვალწინ მანანა დაუდგა — შიშველი, ჭიპამდე ჩამოდღლეზილი ძუძუებით.

„ვცოდავ!" — ამოიოხრა ვაჟიკომ და ოთახში დაკიდებული ნათურისკენ აიხედა, მაგრამ ნათურა ჩამქრალი იყო და არ გასკდებოდა.

— მოდი, იცით, რას გაუმარჯოს?.. აფეთქებას გაუმარჯოს... აი, ზოგჯერ რომ აფეთქდები, იმას გაუმარჯოს... — წამოიწყო ვაჟიკომ.

— მიცვალებულების თქვი, კაცო! — სააბაზანოდან დაიძახა რეზომ.

— ჰოდა, მკვდარი რომ არ ეგონო ვინმეს, უნდა აფეთქდე ზოგჯერ... თავი უნდა შეახსენო საკუთარ თავს, — ისევ თავისი გარეკა ვაჟიკომ. — ჰაერში მაინც უნდა გაისროლო ზოგჯერ, თუნდაც იმიტომ, რომ სხვას არ ესროლო, იმას, ვისთვისაც სასროლია...

— რა თქვი? — იკითხა ოთახში შემოსულმა რეზომ — წელსზევით შიშველი იყო და ბანჯგვლებზე წყლის წვეთები მარგალიტებივით დაჰკიდებოდა. — რაო, რა გასროლაო?

— გადატანითი მნიშვნელობით ვამბობ, — უპასუხა ვაჟიკომ.

— მიცვალებულების თქვი, კაცო... სადაა, თუ კაცი ხარ, პირსახოცი?

— იქვეა!

რეზო ისე გაქანდა სააბაზანოსკენ, თითქოს „იქვე" კონკრეტული ადგილი ყოფილიყო.

— სველი იყო ეგ ნაგიჟარი, თუ მომეჩვენა? — გულის კანკალით დაეკითხა ვაჟიკო დამიანეს.

— დასცხა, ალბათ, და წყალი შეესხა... ძალიან მაგარი რაღაცა თქვი — თავი უნდა შეახსენო შენ თავსო...

ვაჟიკომ შვებით ამოისუნთქა და ზუსტად ამ დროს საიდანღაც გამომტყვრალი რობინზონ კრუზო რეზოს სკამზე დაჯდა.

„დაინყო!" — ჭიქა გაუვარდა ხელიდან ვაჟიკოს.

— რა მოხდა? — ჩაესმა ვაჟიკოს სიძის ხმა.

— არაფერი, ჭიქა გაუვარდა, — უპასუხა დამიანემ.

— აი, აი!.. მიცვალებულების-მეთქი, რომ ვამბობ და არ მიჯერებთ... იმიტომაც სწორედ!.. სანამ მიცვალებულებისას არ იტყვი, ყოველთვის დაგექცევა სასმელი ან ჭიქა გაგივარდება ხელიდან და რატომ არ გჯერათ!

— გაისვრის მაგი თოფს, თუ ბიჭი იქნა... გივი ნარსიაზე ვამბობ. დაპირებულია — თოფს გავისვრიო! — არც გაუგია დამიანეს, რობინზონ კრუზოს თუთიყუშმა რომ ჩაუნისკარტა შემელოტებულ თავზე.

— გაფორმებული თუ აქვს ეგ თოფი!

„ძაღლი ძაღლია, გინდ შენი იყოს და გინდა სხვისი!" — გაუელვა თავში ვაჟიკოს.

რობინზონ კრუზოს თუთიყუშმა დამიანეს რაღაცა უთხრა ინგლისურად.

„პარასკევას თავი დაანებე და შენს ცოლს მიხედეო, უთხრა, — მიხვდა ინგლისურის უცოდინარი ვაჟიკო და ჭერისკენ ალაპყრო მზერა. — არ აფეთქდება... ჩამქრალ ნათურას რა ჯანდაბა ააფეთქებს!.. ისე კი ვირთხებს თუთიყუშები ჯობია!.."

●

ვაჟიკო კურცხალია ტელეფონის ზარმა გამოაღვიძა.

„გავყიდი ტელეფონის ნომრს!.. — გაიფიქრა მან. — გავყიდი... იწივლოს და იკივლოს მერე ჟუჟუნამ, რამდენიც უნდა!"

— რა იყო, ჟუჟუნა? — ლამის ჩაჰყვირა ყურმილში ვაჟიკომ.

ჟუჟუნამ პაუზა დაიჭირა.

— კარგადა ვარ მე! — შედარებით მშვიდად თქვა ვაჟიკომ.

— ცოტნე რომელ საათზე წამოვიდა შენგან? — იკითხა ჟუჟუნამ.

— რა ხდება?

— ვგრძნობ, რომ რაღაც მოხდა... შეიძლება ქალთან იყო... არა, შეიძლება კი არა, ნამდვილად ქალთან იყო!

— ვინ, რეზო?

— რეზო რა შუაშია, ცოტნეზე ვამბობ... დედის გული ყოველთვის გრძნობს, როცა ასეთი რაღაცა ხდება...

ვაჟიკომ ამოიოხრა.

— კანონზომიერია! — მალევე იპოვა გამოსავალი მან.

ჟუჟუნა დუმდა. ალბათ, მასაც, როგორც ვაჟიკოს, მამა მოაგონდა, რომელიც შექმნილი ცხოვრებისეული პრობლემების გაანალიზების შემდეგ, „კანონზომიერიაო", იტყოდა ხოლმე.

ჟუჟუნა ისევ დუმდა.

— ზედმეტად ემოციური ხარ! — დაარღვია დუმილი ვაჟიკომ.

— რაღაც სხვანაირად ლაპარაკობ.

— როგორ სხვანაირად?

— ადამიანურად... შენც ქალი ხომ არ გყავს მოყვანილი?

ამჯერად პაუზა ვაჟიკომ დაიჭირა.

— დანეტი და დაიძინე! — უხეშად თქვა მან, რომ ზედმეტად ადამიანური არ ყოფილიყო. — გადაკარი ასი გრამი და ყველაფერი კარგად იქნება!

ჟუჟუნამ ყურმილი დადო.

ვაჟიკოს საათისთვის არ შეუხედავს — გუმანით გრძნობდა, რომ შუაღამეს კარგად გადაცილებული იყო. თავისი პირველი ქალი გაახსენდა და ისიც, როგორ გადაუსვა ქალმა დაკმაყოფილებულ ვაჟიკოს თავზე ხელი და მერე გულშიც ჩაიკრა დედაშვილურად.

ვაჟიკოს დიდი ხნის წინ მივიწყებული თავისი პირველი ქალის სახე ამოუტიტვლიდა გონებაში, ძალიან ცხადად, თითქოს მის წინ იდგა — ლამის იყო, თავისი ხუჭუჭა და ჭაღარა თავი შეუშვირა ვაჟიკომ მოჩვენებას და, მომეფერეო, უთხრა.

— დიდი ძუძუები ჰქონდა იმასაც... მანანასავით დიდი ძუძუები!.. არ ვიტყოდი უარს... — თქვა ვაჟიკომ.

ამ სიტყვების შემდეგ ნათურის ანთებისა შეეშინდა და სიგარეტის მოსაწევად აივანზე გავიდა.

„ხაზარიებს, ალბათ, აივნის კარი გამოეღებული აქვთ და ჩემი სიგარეტის სუნსაც იგრძნობენ... მანანა იგრძნობს", — ვაჟიკო მარტოობის გრძნობამ დათრგუნა.

აივნის მოაჯირზე თაგვმა გადაირბინა.

„ინყება? — საკუთარ თავს დაეკითხა ვაჟიკო და შიშმა შეიპყრო. — თუთიყუში ჯობდა!.."

ნაგვის ბუნკერიდან შენყვილებული ვირთაგვების წრიპინი მოისმა.

„კაუდი... პო მერე სვიი ისპორჩენნსტი... ქალი მინდა და იმიტომ მეჩვენება, რომ ის ვირთხები ბუღრაობდნენ თითქოს... არადა, ლოთებს ქალები არ უნდებათ... იცის თუ არა მანანამ, რომ ლოთებს ქალები არ უნდებათ?.."

კიდევ ერთმა თავვმა გაიშლიგინა მოაჯირზე.

„პისტოლეტი რომ მქონდეს, ჰაერში გავისროდი!"

ვაჟიკოს მის მიერ ორი წლის წინ გაყიდული მამისეული პისტოლეტი გაახსენდა. ვირთაგვების წრიპინი რომ არ ესმინა, ოთახში შევიდა. გარედან შემოჭერილ სკვერის ობოლი ლამპიონის შუქზე ტელევიზორის ეკრანის ბზარი უცნაურად ბზინავდა.

სკვერს იქით მდგარი კორპუსიდან თოფის გასროლის ხმა მოისმა.

— ბიჭია, ბიჭი! — იყვირა ვიღაცამ ნამთვრალევი ხმით.

ვაჟიკო კურცხალიამ, მეტსახელად „ხუჭუჭამ", შარვალი ამოიცვა და წელსზევით შიშველმა ტელევიზორს დაავლო ხელი.

მხოლოდ ბუნკერის კართან შეისვენა და ტელევიზორი ფრთხილად დადო ძირს. ვირთაგვები ისევ წრიპინებდნენ.

— რა იყო ასეთი გაუთავებელი! — გაიკვირვა ვაჟიკომ და ბუნკერის კარი გააღო.

ვირთაგვები კისრისტეხით გამოცვივდნენ ბუნკერიდან, ვაჟიკოს ფეხთან გაიშლიგინეს და ტელევიზორის ეკრანს შეასკდნენ.

„არ მეჩვენება, ნამდვილი ვირთხებია!" — გაიფიქრა ვაჟიკომ, ტელევიზორს ხელი დაავლო და ბუნკერში შეიტანა.

ვაჟიკომ ტელევიზორი ეკრანით ზევით, ბუნკერში ნაგვის ჩამოსაყრელი აზბესტის მილის ქვემოთ დადო, ბუნკერის კარი მიკეტა, ეზოში გამოვიდა და კორპუსს ახედა.

მე-14^ კორპუსს პატისონად ეძინა.

ვაჟიკომ იმ ოთხი ქვიდან რომლებსაც ფეხბურთის

მოთამაშე ბავშვები კარების მოსანიშნად იყენებდნენ, ორი ყველაზე დიდები ამოარჩია და სადარბაზოში შევიდა. ლიფტი არ გამოუძახებია, ზედმეტ ხმაურს მოერიდა. მეექვსე ბოლო სართულამდე ფეხით აიარა, იქ ნაგვის გადასაყრელთან მივიდა, რკინის სარკმელი გამოაღო, აზებსტის მილში ქვანანი ხელი შეყო და გაირინდა.

„ის ანეკდოტი რომაა, ქმარი მეცხრე სართულის აივნიდან რომ გადმოდგება, ხელში თავისი, სარეცხივით გადმოკონჩნიალებული ცოლი რომ უჭირავს და ეუბნება, აი, ჩემო ცოლო, ჩვენმა მეზობელმა მე-14 ბინიდან თავისი ცოლი აბაზანაში ჩაახრჩო, მე-14-მ კიდევ მოწამლა, 54-მ უარესი — დანით მოკლა, 67-მ — მაცივარში ჩაამწყვდია და გაყინა, მე კი ყველაზე ჰუმანური ვარ და ამიტომ უბრალოდ გიშვებო და მარილა გაუშვებს ხელს... ამ ანეკდოტს გავაგრძელებ — ქალი მთელი ძალით დაეჭარცხება ასფალტს, მაგრამ გადარჩება, რადგან ის მანანა ხაზარია იყო და მკერდით დაეცა-მეთქი, და გავუშვებ ამ ანეკდოტს ხოდში... მაშინვე აიტაცებენ ჩათლახი მეზობლები... აბა, ის კარგი იყო, ლოთიაო, რომ გაყვიროდა ჩემზე!..”

ვაჟიკო კურცხალიამ ქვას ხელი უშვა და შედეგს დაელოდა.

შედეგს არ დაუყოვნებია — ტელევიზორის ეკრანის აფეთქების ხმამ არა მარტო სადარბაზო, მთელი მე-14 კორპუსი გააყრუა.

ვაჟიკომ მეორე, სათადარიგო ქვასაც ბუნკერში გადაუძახა და კისრისტეხით დაეშვა კიბეზე. მანამდე უნდა მოესწრო შინ შესვლა, სანამ დამფრთხალი მეზობლები გარეთ გამოეფინებოდნენ.

„ესეც ასე... ანი დაიწყოს! რაც უნდა, ის დაიწყოს, გინდა ვირთხები და გინდა თუთიყუშები!.. — გაეფიქრებოდა გზადაგზა ვაჟიკოს. — გიჟი ნარსია კი მალადეც, გააკეთა ბიჭი, როგორც იქნა, თუ რომელიმე მეზობელს არ დაემსგავსა, როცა გაიზრდება!.. ჩათლახები არიან მეზობლები, საერთოდ... მაგარი ჩათლახები!.. ერთ ნაბიჯზეც ვერ ენდობი კაცი!..”

გაფუჭებული საქმე

აუტანლად ცხელოდა. სიცხეს ყველა და ყველაფერი მოეთენთა. ბებერი მსხლის ხიდან ჩამოცვენილ გადამწიფებულ ნაყოფს დასეული ფუტკრებიც თითქოს უხალისოდ ზუზუნებდნენ.

სამი მუშა მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მიერ ქალაქიდან ოც კილომეტრში ნაყიდ ძველთაძველ, კარგად შენახულ ოდას ზლიდა. ფიცრებს (ცარცით ნომრავდნენ და სატვირთო „ზილ”-ის ძარაზე აწყობდნენ. ზოგჯერ რომელიმე მათგანს ფუტკარი დაჯდებოდა და ისიც მაშინვე გინებას იწყებდა. ოდა სახლის გვერდით ახალგაშენებული, გამოუწყობელი ქვის სახლი იდგა. სახლის პატრონები ქალაქში ცხოვრობდნენ. ეზო მოუვლელი იყო.

მუშები ოფლად იღვრებოდნენ. სატვირთოს შოფერმა, შუახნის, ჩასკვნილმა ამირანმა, ფუტკრების ბზუილი რომ ნერვებზე ზლიდა, გადაწყვიტა, მდინარეზე საბანაოდ წასულიყო.

სოფელი პატარა იყო, კანტორაც, მედპუნქტიც და სკოლაც ხის სახლებში განელაგებინათ. თითქმის ყველა ეზოში იდგა ყვითლად და მწვანედ შეღებილი სკები. ისინიც სახლებივით მოუვლელები და სახურავის თუნუქდაჟანგებუული იყვნენ.

ამირანი ამ სოფელმა სანტიმენტალურ განწყობაზე დააყენა. რადგან ბავშვობა მოაგონა, რომელიც დაახლოებით ასეთ სოფელში [illegible] კანტარებინა, მაგრამ მის სოფელში ჭის წყალი უფრო გემრიელი [illegible] ეგო ლა სულ ახლ[illegible] [illegible]ბინდვილი ოდინარეც ჩაუდიოდა. ამ სოფლის მდინარე კი წყალმარჩხი იყო და ცოტათი მღვრე. ამირანი მეც დარწმუნდა, რომ მდინარეში, რომელსაც ღელე უფრო ეთქმოდა, ბავშვობის გასახსენებლად გემოზე ვერ იჭყუმპალავებდა, ამიტომ პერანგი, მელოტი თავი რომ არ გადახურებოდა, თავზე შემოიხვია, ფეხსაცმელები გაიხადა, ფრთხილად შევიდა მუხლამდე წყალში, ნაპირთან ახლოს მოხერხებული ლოდი ამოარჩია და ზედ ჩამოჯდა. ამის შემდეგ ამირანს თავისი ბაბუა მოაგონდა. ბაბუა ხანჯალს ატარებდა, ყანაშიც კი ხანჯლით მიდიოდა, იქიდან ღამიანად ბრუნდებოდა, ნავახშმეკს ფეხებს თბილი წყლით სავსე სპილენძის ძველებურ ტაშტში ჩაყრიდა, წყალს კი ძმარს უმატებდა — წნევას შეელისო.

მდინარის ნაპირთან ახლოს ნაღვლიანთვალება ხბო დგებათ. ხბოს წყუროდა, მაგრამ თოკი მეჭხერ ბუჩქს წამოსდებოდა და ხბო წყლამდე ვერ აღწევდა. ორჯერ თუ სამჯერ ამირანსაც შებღავლა, თითქოს დახმარებას სთხოვდა.

ამირანი ფიქრებით თავის ოთხი წლის წინ გარდაცვლილ ცოლს გადასნვდა. ცოლიც იმ სოფლიდან იყო, სადაც ამირანის ბაბუა და ბებია ცხოვრობდნენ. როცა სოფლის ქალები მდინარეზე საბანაოდ მიდიოდნენ, საგუშაგოდ ყოველთვის ომარის ცოლს დასვამდნენ ხოლმე. ომარის ცოლი მაშინ, ისევე, როგორც თვითონ ომარი, ბავშვი იყო. ომარი სხვა ბიჭებთან ერთად გუშაგად გამწესებულთ თავის მომავალ ცოლს ჯიბის სარკეზე არეკლილი მზის სხივებით აწვალებდა, ის კი საპასუხოდ ქვებს ისროდა. მაშინ ამირანი ეჭვადაც ვერ გაივლებდა, რომ ის ბიჭივით მუდამ მუხლებგადატყავებული გოგო მისი ცოლი გახდებოდა.

ხბომ ისევ დაიბღავლა. ამირანმა ცივი ლუდი ინატრა. ქალაქიდან წამოსვლის წინ მუშებს შესთავაზა, ლუდი წავიღოთო, მაგრამ მათ თავი შეიკავეს, ალბათ, ფული არ ჰქონდათ და იმიტომ. ამირანი ამას ახლა მიხვდა და არ დასწყდა. ჩემი ფულით მეყიდა ლუდი, მუშებისთვისაც მადლი იქნებოდაო, გაიფიქრა მან.

ამ დროს მდინარეს სუფთად გაპარსული, ცქვიტი, კოხტა და მონესრიგებული ჩია ტანის მოხუცი მოადგა. იმ სიცხეში გრძელსახელოებინი პერანგი ეცვა. მოხუცმა ქვაზე წამოკოსებული ზორბა ამირანი ისეთი თვალით შეათვალიერა, თითქოს მისი ნახვა ძალიან გახარებოდეს.

— თქვენია ეს ხბო? — ჰკითხა ამირანმა და თავზე ყაბალახივით შემოხვეული პერანგის ბოლოებით სახიდან ოფლი მოიწმინდა. — წყურია, ეტყობა, ძალიან...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა, ჩემი არ არის, მაგრამ ნყალს დავალევინებ, — უპასუხა მოხუცმა და ხბოს სასხვათაშორისოდ გადახედა. — საქმეზე ვარ მოსული... იმ ოდის შიფერი, თქვენ რომ შლით, მე ვიყიდე ოდის პატრონისგან... ჭასთან რომ აწყვია, ისინი. ვიცოდი, რომ უნდა მოსულიყავით, და გუშინ ავხადე... ყველაფერს რომ დატვირთავთ, ზევიდან შიფერს დავაწყობ და სახლამდე მიმატანინეთ. არ დაგიკარგავთ პატივისცემას... მუშებს უკვე მოველაპარაკე. შიფერმა თუ წაგაღებინა, შიფერს ხუთ წუთში დავაწყობთ მანქანაში, რაკი საქმე წინ წაგვიგდე და სახლი სახურავგადახდილი დაგვახვედრეო. ჯერ კოჭებს დავაწყობთო და მერე ზევიდან შიფერსო...

— რა კოჭებს? — გააწყვეტინა ამირანმა.

— დაჭიანებული რომაა და თქვენ არ მიგაქვთ, იმათ, — პირმოთნე ღიმილად დაიღვარა მოხუცი. — ღვინო მაქვს ისეთი...

იმის ნიშნად, რომ ღვინოს მაინცდამაინც დახარბებული არ იყო, ამირანმა ამოიოხრა.

— არ დაგიკარგავთ პატივისცემას... — დაიბნა მოხუცი. შოფერს ღვინის ხათრით ადვილად გადმოვიბირებო, ეგონა და, მოლოდინი რომ გაუმტყუნდა, შეცბა.

მოხუცმა ამირანს ვილაცა მოაგონა თავისი ბავშვობის სოფლიდან, მაგრამ, ვინ, ვერ გაიხსენა.

— ჯანდაბას კოჭები. მომპარავენ იმ შიფერს აქაურები, — თავი მოისაწყლა მოხუცმა.

— აბა, შენ სადაური ხარ?

— იმ გორას იქით რომ სოფელია, იქიდან, — თხემ-მოტიტვლებულ გორას მიშვერილი ხელი მთელ სიგრძეზე ბაჯიმა მოხუცმა. — სამი კილომეტრი ვექნებათ ზედმეტი გასავლელი, მეტი კი არა!.. აქაური სკოლის დირექტორი ვარ მე.

ამირანმა სოფელს, რამდენადაც შეეძლო, თვალი მოავლო.

— აქაურებში გაწყდა დირექტორები, მეზობელი სოფლიდან რომ არ მოეყვანათ, თუ რა არის?

— ჩემი დაარსებულია ის სკოლა! — ამირანის შენიშვნა იწყინა მოხუცმა. — აქაური ვიყავი მეც.

— ჩაესიძეთ, ალბათ, იქაურებს, — მაშინვე მიუხვდა ამირანი.

— ბიჭი გარდაეცვალა ჩემს სიმამრს. კაცი არ დარჩა ჩემს ოჯახში და გადმოდი ჩემთანო, მთხოვა და გადავედი... ის ოდა, თქვენ რომ მიგაქვთ, ბაბუაჩემის ბიძაშვილის აშენებულია... ცხენიც არავის ჰყავს ჩვენს სოფელში, თორემ ცხენით გადავიტანდი იმ შიფერს. ტრაქტორი კიდევ, ჩემდა ჭირად, გაფუჭდა.

მოხუცმა ისევ მაამებლურად გაიღიმა.

— მუშები დაღამებამდე თუ მორჩებიან საქმეს, წავიღებ, — თქვა ამირანმა მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ.

— ბავშვს გავაგზავნი ახლავე და ცოლს გავაფრთხილებ, ცხელი სადილი დაგვახვედროს, — თქვა მოხუცმა. — ისე, ბანაობა თუ გინდათ, აქედან სამას მეტრში საბანაოა მოწყობილი. ღრმაა წყალი. არავინ ბანაობდეს იქნება ახლა იქ. ასიცხებულზე აქაურები საბანაოდ არ დადიან...

— თქვენებურები? — ხუმრობის გუნებაზე დადგა ამირანი.

— ვინ ჩვენებურები?

— თქვენი სოფლელები თუ ბანაობენ ასიცხებულზე?

— არც ჩვენებურები. სოფლად ასიცხებულზე არ ბანაობენ-მეთქი, იმის თქმა მინდოდა. ქალაქში სულ ბანაობენ ზღვაზე, დღის ნებისმიერ მონაკვეთში, — მოთმინებით აუხსნა მოხუცმა. — არ დაგიკარგავთ პატივისცემას. აქ თუ არ დალევთ პირადად თქვენ, იქით გაგატანთ ღვინოს.

აშკარა იყო, რომ მოხუცს ფული არ ჰქონდა და პურ-მარილით უნდოდა გასამრჯელოს გადახდა. მოხუციც მიხვდა, რომ ამირანმა გასამრჯელოს ნატურით ანაზღაურების პერსპექტივა იგუმანა და მორცხვად გაიღიმა. ამ დროს ბოჩოლა მიუახლოვდა და შარვლის ტოტი დაუსუნა.

— ახლავე გავაგზავნი ბავშვს ჩემთან სახლში! — თქვა მოხუცმა და, იმის შიშით, რომ ამირანს დანაპირები არ გადაეთქვა, მაშინვე წასასვლელად მოემზადა.

— არ გვეცლება ჩვენ პურ-მარილისთვის! — ცივად თქვა ამირანმა.

— გაგატანთ! — ისევ წასასვლელად გაიქაჩა მოხუცი. — არ დაგტოვებთ ნაწყენს!..

— სამ კილომეტრზე მეტი იქნება თქვენ სახლამდე, აქედანვე ვიცი! — ისევ უკან მოახედა მოხუცი ამირანმა.

— არ არის, შვილიშვილებს გეფიცებით! — მეტი დამაჯერებლობისთვის გულზე დაიბაგუნა ხელი მოხუცმა და მაშინვე წავიდა.

— სამი კი არა, ექვსი ზედმეტი კილომეტრი გამოდის. სამი იქით და სამიც აქეთ! — შენიშნა ამირანმა, მაგრამ მისი ნათქვამი მოხუცს არ გაუგია ან არ შეიმჩნია, თუ გაიგო.

მოხუცის წასვლის შემდეგ ამირანს ცივი ღვინო მოუნდა. ამ სოფელში ყველა ერთმანეთის ნათესავი ყოფილაო, დაასკვნა და, ფეხზე წამოდგა თუ არა, ხბომ მაშინვე მიაბაღავლა და ამირანის ფეხსაცმელებისკენ დააღირა.

ნაპირამდე ერთი ნაბიჯიღა აშორებდა, რომ ფეხი აუსხლტა. თავი ძლივს შეიკავა, ცოტაც და, წყალში მოადენდა ტყაპანს. მაინც გვარიანად დასველდა. ხბოს თავისი წინდა პირდაპირ პირიდან გამოსტაცა. გამწარებულზე კინაღამ წინდი ჩასცხო, მაგრამ თავი შეიკავა და თოკიც გამოუწთავისუფლა. ხბო მდინარესთან მისვლას არ აპირებდა, ამირანმა ხელის აქშევით მიდენა მდინარის ნაპირამდე, მაგრამ ხბოს წყლისკენ არც გაუხედავს.

— ერთი თქვენი დარტყმული დედაც!... — შეიგინა ამირანმა და თავისი მანქანისკენ გასწია, მაგრამ ოციოდ ნაბიჯში შედგა, იყოყმანა და საბანაოდ წასვლა გადაწყვიტა.

— სამასი მეტრი იქნება იქამდეო... ჰოდა, სამას მეტრზე მეტი თუ იქნა, ესე იგი, იმ სამ კილომეტრშიც მომატყუა და ჩემს ფეხებს წავუღებ შიფერს! — დაასკვნა ამირანმა.

საბანაო სოფლის განაპირა სახლიდან ორმოცდაათ ნაბიჯში აღმოაჩინა. მისი ვარაუდით, თითქმის ნახევარი

კილომეტრი გამოევლო, სანამ აქამდე მოვიდოდა.

საბანაო ადგილთან ძელსკამებიანი გრძელი მაგიდა გაემართათ. ყვარებიათ აქაურებს ქეიფიო, გიგიჩქარა ამირანმა და მხოლოდ ახლა გაახსენდა, რომ მუხლებამდე ღია ფერის ნიფხავი ეცვა. ნიფხავი დასველდებოდა თუ არა, ყველაფერი გამოუჩნდებოდა. მაგრამ, რაკი ირგვლივ ვერავინ დალანდა, გადაწყვიტა, მაინც ებანავა. ტანსაცმელი ყოველი შემთხვევისთვის ნაპირთან ახლოს დაანყო და წყალში შეეიდა.

წყალი მკერდამდე სწვდებოდა. ამირანმა ზედიზედ ორჯერ ჩაყვინთა და ერთბაშად გახალისდა. დიდი ხნის წინათ, ჯერ კიდევ მისი ცოლის სიცოცხლეში ნანახი სიზმარი მოაგონდა — თითქოს სხვა, უფრო სწორად კი, ახლა რომ იყო, იმ სოფელში ბაბუას სახლს ეძებდა და ვერ პოულობდა, ვიღაც უხილავი კი ეუბნებოდა, ქვრივი ხარო და არ იჯერებდა. ზოგჯერ თავსგადასახდენი ამბები დიდი ხნით ადრე ესიზმრებოდა ამირანს... ან, შეიძლება, არც დასიზმრებია და მოეჩვენა, რომ დაესიზმრა. ისე კი, თავისი ბავშვობის სოფელს სიზმრებში ხშირად ნახულობდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ცოლი გარდაეცვალა.

ამირანი ზურგზე გაწვა, წყალში პარაშუტივით დაბერილი ნიფხავი შეათვალიერა, შემდეგ კი ნიფხვიდან გარკვევით გამოლანდულ საკუთარ ღირსებასაც გადასნვდა მზერით და კმაყოფილი ღიმილი დასცდა. ცაზე ღრუბლის ნასახიც არ ჩანდა. ამირანმა თვალები დახუჭა და გაირინდა. ცოტა ხანში ვიღაცის დაჟინებული მზერა იგრძნო და თვალები გაახილა.

ნაპირზე მისი ნაცნობი მოხუცი იდგა და ღიმილით დასცქეროდა.

— კარგია, ხომ? — გონზე მოსვლა არ აცალა მოხუცმა. — რა ჯობია სოფელს ზაფხულობით! მისწრებაა პირდაპირ!.. არა, ქალაქში, ზღვაზეც კარგია, მით უმეტეს, რომ შიშველი რუსის ქალები ოხრად ყრიან პლაჟებზე. რა ჯობია...

ამირანს ფეხი აუსხლტა და წყალში ჩაყურყუმალავდა, ამიტომ მოხუცის ბოლო სიტყვები ვერ გაიგონა.

— რა ჯობია კარგად ჩათქვირებულ რუსის ქალს, მაგრამ მტკანარი წყალი სულ სხვაა! — მოხუცი ზუსტად მიხვდა, რა ვერ გაიგო მისი ნათქვამიდან წყალში ჩაყურყუმალავებულმა ამირანმა. — ორ საათში მოვრჩებით საქმესო, მუშებმა. ბავშვიც გავაგზავნე ჩემთან სახლში. ღვინოც ჩააციონ-მეთქი, დავაბარე.

— მსუქანი ქალები გყვარებიათ, — უპასუხა ამირანმა. — სამი იქით და სამიც აქეთ, სულ ექვსი კილომეტრი გამოდის! — მაზანდის ასანვეად კი არ უთქვამს, იმაზე მიანიშნა მოხუცს, რომ მატყუარა კლიენტებს ვერ იტანდა.

— ოთხი გამოვა, ბატონო, არც კი! — მაშინვე შეაგება მოხუცმა. — ჩვენი სოფლიდან მოკლეზე გახვალთ ტრასაზე, უკან დაბრუნება არ დაგჭირდებათ. ერთი კილომეტრიც არ იქნება. მე გამოგყვებით.

— რომელი სოფელი უფროა თქვენი — ეს, გამზრდელი, თუ ის, ჩვენიო, რომ თქვით? — ახლა განგებ ჩაყვინთა ამირანმა და კარგა ხანს დარჩა წყლის ქვეშ.

— ეხ-ხ! — ამოიოხრა მოხუცმა და რაღაც ისეთის სათქმელად მოემზადა, რასაც გულში დარდად დაატარებდა, მაგრამ ამირანმა ისევ ჩაყვინთა, ამჯერად მცირე ხნით.

— იმ სოფელზე, „ჩვენი სოფელი"-მეთქი, ვამბობ, ამ სოფელს, „ჩემს სოფელს" ვეძახი, — თქვა მოხუცმა.

ამირანმა მისი ნათქვამიდან ბევრი ვერაფერი გაიგო, მაგრამ არაფერი უკითხავს.

— კარგი სოფელია, თქვა ბოლოს, დასევდიანებული მოხუცი ისევ ლაპარაკის გუნებაზე რომ მოეყვანა. — ის სოფელი ამას ჯობია?

— როგორ გითხრათ... — დაიწყო და იმის მოლოდინში, რომ ამირანი ისევ ჩაყვინთავდა, სათქმელი არ გაადგრძელა.

— რა გქვიათ თქვენ?.. მე ამირანი მქვია.

— ვიცი, რომ ამირანი გქვიათ, მუშებმა მითხრეს. კოსმანი ვარ მე, სკოლის დირექტორი... ესე იგი, მოვრიგდით, ხომ?

ამირანმა კითხვაზე ისეთი დუმილით უპასუხა, თანხმობასაც რომ არ ნიშნავდა მაინც დამაინც — სიამოვნებდა რატომღაც ამ მოხუცის გაურკვევლობაში ყოლა. წყლიდან ამოვიდა. ლაჯებშუა ამოწებებული ნიფხავი შეისწორა, მკერდის ბანჯგვლებიდან წყალი ხელისგულებით ჩამოწურა და ბუჩქებისკენ გაიხედა.

— შეეტრიალდები მე, — თქვა მოხუცმა და მაშინვე შეტრიალდა.

ამირანმა ნიფხავი დინჯად დაწურა, ქვაზე დააფინა და შარვალი ამოიცვა.

— არ მინდა, სველი ნიფხავი ჩავიცვა... ანთება მაქვს, პროსტატის! — აუხსნა მოხუცს.

— უჰ, არ მითხრათ, მეც მაგან არ გამათავა? — უპასუხა მოხუცმა. — ბავშვობაში ამ მდინარეზე ვეგდე და სულ სველი ნიფხვით დავდიოდი, ჰოდა, გამიხსენა სიბერეში. თქვენც მასე იქნებოდით, ოღონდ ზღვაზე...

— ჰო, — უპასუხა ამირანმა და მაგიდის ჩრდილში წამოწვა. — ხე უნდა დაგერგოთ აქ... თუმცა, თქვენ რა... აქაურებზე ვამბობ.

— ეჰ, ხეც იყო აქ და ტყეც. მოჭრეს ხეები და მოაკლდა მდინარესაც წყალი. წყაროებიც დაშრა. წინათ აქ წყალი ისეთი ღრმა იყო, აწეულ ხელს უფარავდა კაცს. ქალების საბანაო ცალკე იყო, კაცების — ცალკე. ახლაც ცალ-ცალკე ბანაობენ კაცები და ქალები. ზღვაზე რომ არის, ისე კი არაა ჩვენთან.

— რას ამბობთ? — ყალბად გაიოცა ამირანმა.

— შვილშვილებს ვფიცავარ! — უპასუხა მოხუცმა, ამირანის გვერდით დაჯდა. ჯიბიდან ამოღებული თუთუნის ქისა და გაზეთი ძელსკამზე დაანყო და პაპიროსის გაკეთებას შეუდგა. — აქაურები იმ სოფლის ქალების საყურებლად მივდიოდით და პირიქით — ისინი ჩვენი სოფლის ქალების საყურებლად მოდიოდნენ. ძველ დროზე ვლაპარაკობ, თორემ ახლა შიშველი ქალის ნახვა არავის უკვირს... ის კი არადა, თქვენსას ვიყავი ამასწინათ, ყველაფერი უჩანთ ქალებს კაბის შიგნით, მალე ნიფხვებს მკლავზე გადაიკიდებენ, ოფიციანტები რომ გადაიკიდებენ ხელსახოცებს, და ისე ივლიან... ჰოდა, ერთმანეთის ქალების საყურებლად დავდიოდით-მეთქი, გეუბნებოდით...

— აბა, თქვენი სოფლისას ხომ არ შეხედავდით! — ჩაურთო ამირანმა. — მაინც ამერია... ეს იყო მაშინ

თქვენი სოფელი, ხომ?.. ისე არეულად ამბობთ, „ჩემი" და „ჩვენიო", რომ...

მოხუცმა ამირანს ეჭვით გადმოხედა და პირისკენ დასასველებლად წაღებული პაპიროსი შუა გზიდან უკან მოაბრუნა.

— მერე? — დაუყვავა ამირანმა. — როგორ ითმენდით, „თქვენს" ქალებს რომ უყურებდნენ „სხვები?.." მეც გამიკეთეთ ერთი პაპიროსი, თუ შეიძლება. იშვიათად ვეწევი, მაგრამ ახლა მომინდა... ნატურალურია?

— აბა რა!.. აა, ბატონო, თქვენ თვითონ დანერწყეთ მაშინ! — თუთუნის გასინჯვის სურვილი დაახლოების სურვილში ჩამოართვა მოხუცმა ამირანს. — უსასუქოა ეს თუთუნი, რომ იცოდეთ!

— როგორ ითმენდით-მეთქი? — შეახსენა ამირანმა და პაპიროსის ქაღალდს ენა ფრთხილად აუსვა.

— რას ქვია, ვითმენდით!.. თუ წავასხრებდით ან წაგვასხრებდნენ, არ ვზოგავდით ერთმანეთს. რამდენს გატეხია თავი, რომ იცოდეთ. ერთხელ მეც გამიტეხეს, მაგრამ სულ სხვანაირად.

— როგორ სხვანაირად? — თავი შეუთვალიერა მოხუცს ამირანმა, მაგრამ საგულისხმოს ვერაფერს მიაგნო.

მოხუცმა მოულოდნელად მოდური, ძვირიანი სანთებელა დაადრო ჯიბიდან, ჯერ ამირანს მოაკიდებინა პაპიროსზე, მერე თავისას მოუკიდა და თუთუნის ქისა ჯიბეში ჩაიდო.

— ჩემმა ბიჭმა გამომიგზავნა ეს სანთებელა მოსკოვიდან... პირველ ნაფაზს მთლიანად ნუ გადაყლაპავთ, მიუჭვეველზე დაგახველებთ... როგორია?

ამირანი ისევ წამოწვა და ფრთხილად დაარტყა ნაფაზი.

— მაგარია! — გაურკვევლად თქვა მან და მოხუცმაც ვერ გაიგო, თუთუნის სიმაგრეზე მიანიშნა თუ კარგ გემოზე.

— ხომ კარგია? — ვერ მოითმინა მოუხცმა. — უსასუქოა. ასეთს ეწეოდნენ ძველები და იყვნენ კაჟივით.

— თქვენც კაჟივითა ხართ, თმაც არ გაკლიათ თავზე. მე კიდევ, ხომ ხედავთ, რა დღეში ვარ?.. ქვა არც მე დამკლებია, მაგრამ მაინც გავმელოტდი.

მოხუცმა, იმით გაამაყებულმა, რომ ყოჩაღად გამოიყურებოდა, ეშმაკურად ჩაიცინა.

— ჩემმა ცოლმა ჩამარტყა ქვა! — თვქა მან და შეიცადა, რომ ამირანი კიდევ უფრო დაეინტრიგებინა.

— ვინ ჩაგარტყათ? — მოსალოდნელზე უფრო დაინტრიგდა ამირანი.

— კი არ ჩამარტყა — მომარტყა. შორიდან ისროლა. მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ჩემი ცოლი. ბავშვები ვიყავით... საგუშაგოდ დასვამდნენ ხოლმე ქალები ჩემს ცოლს, როცა ბანაობდნენ. ტყე იყო ირგვლივ... ჰოდა, შეგვამჩნია ერთხელ, როგორ მივიბარებოდით ხოხვით ქალების საყურებლად, და ქვა გვესროლა. მაინცდამაინც მე მომხვდა ის ქვა... მართალი გითხრათ, ჩემი ცოლის სანახავად უფრო მივდიოდი... მიყვარდა მაშინაც.

— უყურე შენ! — თქვა ამირანმა.

— ვერაფრით შევაყვარე მანამდე თავი. ჰოდა, საავადმყოფოში რომ დამაწვინეს, ასე შევუთვალე, მოვიდეს და მინახულოს, თორემ ფანჯრიდან გადავხტები-მეთქი.

— გინახულათ?

— მინახულია და შევუყვარდი.

ამირანმა თვალები დახუჭა.

— ქალაქელებს ჭკონიათ, მოსაწყენია სოფელიო, არადა, იმდენი რაღაცა ხდება აქ, ვარუშე თვალისთვის შეუმჩნეველი და უმნიშვნელო თითქოს, მაგრამ საინტერესო მაინც... თითქოს არაფერი ხდება და სინამდვილეში ხდება და მერე როგორ ხდება!.. — გაზეპირებულივით წარმოთქვა მოხუცმა.

ამირანმა თვალები გაახილა.

— აქაც ქალების საბანაო იყო ძველ დროში, — თქვა მოხუცმა. — ხომ არ მოგაწყინეთ თავი?

— პირიქით! — უპასუხა ამირანმა. — თქვენი მეუღლე ხომ...

— ცოცხალია! — მიუხვდა მოხუცი. — ბიჭია რუსეთში გადახვეწილი, იმაზე ნერვულობს და ამან მოტეხა ცოტათი, თორემ ჩემზე ყოჩაღად იყო. ჩამოდი და ქალაქში დაგასახლებ-მეთქი, ვეუბნები ჩემს ბიჭს, მაგრამ არ შვრება. მიეჩვია უკვე იქაურობას...

— საინტერესოა! — თქვა ამირანმა.

— რაა საინტერესო?

— არაფერი... ისე ვთქვი ჩემთვის! — პაპიროსი მოისროლა ამირანმა.

— ურჩები არიან ბიჭები, განერვიულებენ ძალიან!.. ასე არ არის?

— ბიჭი არა მყავს. გოგოები ყავს.

— გოგო ჯობია, ის უკეთესად მოგხედავს. ბიჭიც კარგია, მაგრამ სისხლს გიშრობს მთელი ცხოვრება. ახალგაზრდა კაცი ხართ, მოასწრებთ კიდევ.

— რა უნდა მოვასწრო?

— რა და ბიჭი! — მოჭრილად თქვა მოხუცმა.

— უკვე ვერ მოვასწრებ!

— რატომ, კაცო?.. პროსტატიტი?

— არა!.. გვიანია უკვე! — გაურკვევლად უპასუხა ამირანმა.

მანქანის დაპიპინების ხმა გაისმა.

— ის ვაჟი იქნება... მუზეუმის დირექტორის მოადგილე, — ივარაუდა ამირანმა. — რა ქვია?.. სახელი დამავიწყდა...

— გურამ მამიევიჩი ქვიაო, მუშებმა. იმაზე ამბობთ?

— ჰო.

— ვაჟნის ეძახიან?

— არა, მე შევარქვი, ვაჟნი უჭირავს და იმიტომ.

— ის ხომ არაფერს იტყვის შიფერის გადატანაზე? — შეშფოთდა მოხუცი. — ღვინოს დავალევინებ.

— არა მგონია. ბოლომდე არც დაესწრება ოდის დაშლას. ტრასაზე რომ სოფელია, იქ ჰყავს ნათესავები და იმათთან წავა და გზაზე დაგვხვდება.

— თუ დარჩა?

— თუ დარჩა, მე მოველაპარაკები, — თქვა ამირანმა და წამოდგა. ქვაზე დაფენილ ნიფხავთან მივიდა და დაფერთხა.

— თუ ვაჟნია და კანონების მიმდევარი, უარი არ გვითხრას!

ამირანს უნდოდა, მოხუცისთვის აეხსნა, რომ

„ვაუნი" კანონების მიმდევარს არ ნიშნავდა, მაგრამ დაეზარა. შარვალი შეიხსნა თუ არა, მოხუცი მაშინვე შეტრიალდა.

— არ დაგვიჭერს, აბა, ვაუნის ის მამიევიჩი? — იკითხა მოხუცმა.

— თუ დაჭერინე, ვაუნის ყველა დაგიჭერს, — უპასუხა ამირანმა და ნიფხავი ხვნეშით ამოიცვა.

●

მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორის მოადგილე, მამიევიჩი „ჟიგულის" საჭესთან იჯდა და „ზილ"-ის ქვეშ შემძვრალ ამირანს თავისი მანქანის ფარებით უნათებდა. მამიევიჩის გვერდით ერთი ახალგაზრდა მუშა მოკალთებულიყო, მეორე მამიევიჩის უკან თვლემდა, მესამე, ასაკოვანი „ზილ"-თან აყუდებულიყო და დროდადრო ასლოკინებდა.

— რა არიან მაინც ეს შოფრები! — თქვა მამიევიჩის გვერდით მჯდომმა ახალგაზრდა მუშამ და უფროსს გადახედა, ზედმეტი ლაპარაკით თავი ხომ არ მოვაწყინეო. — ისე დავიღალეთ იმ ოდის დაშლაზე, რომ მეტი არ შეიძლება. თითქოს არაფერიო, მაგრამ სიქა გაგვძვრა, ფიცრები გვიცვიოდა ხელიდან... ეს კიდევ იდგა მინისტრივით და გვიყურებდა, ერთი არ წაუკრავს ხელი...

— ვაუნია! — შენიშნა მამიევიჩმა და სიგარეტს მოუკიდა.

— ჰოდა, ეგდოს ახლა მანქანის ქვეშ და მარტომ იწვალოს!

— შენ შენი იტირე, ამ შუაღამეს შუა ტრასაზე რომ ხარ გაჭედილი!.. ჩვენ რომ გვევაუნა, იმისთვის დაეჭირა ვაუნი, შიფერი რომ წაგაღებინათ და, კი არ მოგიხმარათ, გიხმარათ ერთი კარგად!

— აუ-უ! — შეიცხადასავით მუშამ და ეს მერამდენედ, ამჯერადაც უმედეგოდ, გაექცა თვალი მამიევიჩის პერანგის ჯიბეში ჩადებული სიგარეტის კოლოფისკენ. — ისეთი აფერისტი იყო, მეტი არ შეიძლება. წყაროზე ჩაგიყვანს და წყალს არ დაგალევინებსო, რომ იტყვიან, ისეთი იყო. სულ ჩვენ დაგვატვირთვინა, რაც კი რამე ჰქონდა წასაღები. გაპურმარილებთო და მუავე ღვინო გამოგვიტანა. ქათამს დავაკვლევინებო და ცარიელ მჭადზე და ლობიოზე გადაგვატარა. ცოლი ჰყავდა — ჯოჯოხეთის მაშხალა — კაცი ის იყო ოჯახში. ისე გვიყურებდა, ლუკმა მეჩხირებოდა ყელში... აუ, რას ჰგავდა. მაგისთანა ქალთან როგორ დაწვება თავმოყვარე კაცი!

— კი, მაგრამ დიფერი სად ჩაარტყა?

— მოკლეზე გადაგიყვანთ, პირდაპირ ტრასაზე გახვალთო, იმ აფერისტმა. დანგრეული გზით გვატარა, ტანკს გაუჭირდებოდა გავლა. ქვაზე დაარტყა. არაფერი უჭირს, ქალაქამდე ჩაგვიყვანსო, ამ ვაუნიმ, მაგრამ ჩემი ფეხები!

მამიევიჩმა თავი გადაყო მანქანიდან.

— როგორ არის საქმე, უფროსო? — გასძახა ამირანს.

ამირანმა არაფერი უპასუხა.

— სუფთა შოფერია! — ჩაილაპარაკა ახალგაზრდა მუშამ, უფროსისთვის სიგარეტი უნდა ეთხოვა, მაგრამ ამასობაში ამირანი მანქანის ქვეშიდან გამოძვრა და მამიევიჩმა ისევ ფანჯარაში გაყო თავი.

— წადით თქვენ, მე ამალამ აქ დავრჩები, — უთხრა ამირანმა მამიევიჩს. — დილით დიფერის კრიშკა წამომიღეთ და ზეთიც. ჩვენს გარაჟში გამოიარეთ და იქ მოგცემენ.

— რომელ „ჩვენ" გარაჟში? — იკითხა მამიევიჩმა.

— ჩემს გარაჟში! — სიბრაზე არ დაიმჩნია ამირანმა.

— აბა, მეტი რომელ გარაჟზე უნდა მეთქვა?..

— ცოდვა ხარ, კაცო, აქ სად უნდა დაიძინო? — შეიცოდა მამიევიჩმა. — გაის ბიჭებს გავაფრთხილებ, მანქანას მიხედეთ-მეთქი, თუმანს ვაჩუქებ და ეყოფათ.

— მიჩვეული ვარ, ნახევარი ცხოვრება მანქანაში მძინავს. დალნაბოიშიკი ვიყავი, — უპასუხა ამირანმა და თავისი მანქანისკენ წავიდა.

— ის აფერისტი ბერიკაცი არ მოცუნცულდეს, თორემ თავისი მუავე ღვინის საფასურში კიდევ დატყუებს ამ სულელს რაღაცას, — თქვა ახალგაზრდა მუშამ.

— კარგი ახლა!.. ეს რა ბოღმიანი ყოფილხარ! — დაუცაცხანა მამიევიჩმა, ჯიბიდან სიგარეტის კოლოფი ამოიღო და ერთი ღერი მიანოდა. — საიდან უნდა გაიგოს, რომ აქ გავიჭედეთ!

— არ იცნობთ, მამიევიჩ, იმ მოხუცს და იმიტომ ამბობთ!.. ისეთი აფერისტია, ისეთი!.. ერთნაირები არიან ეს გლეხები. მიგრძნობდა გული, რომ რაღაცაში იყო საქმე; ტრაქტორი არ გყავთ სოფელში, იმას წაალებინე, რაღა ჩვენ მოგვადექი-მეთქი. გაფუჭებულია ტრაქტორიო და ზედ ცხვირწინ გადაგვიჭრა გზა იმის სოფელში რომ შევედით, კინაღამ გაგვასალებინა თავი. ესო, ეტყობა, ახლახან შეაკეთესო... ვჭამეთ ჩვენც და არაფერი ვუთხარით. თურქე სადა ხარ!.. აფერისტი რომ არის, იმიტომ არ წაუღს, ალბათ, არ გამიკვირდება, რომ ის შიფერი ნაყიდი არ ჰქონდეს და ისე წაელოს...

— მუავე იყო ღვინოო, იძახი და ფეხზე ვერ დგახართ! — შენიშნა მამიევიჩმა. — ყველაზე უფრო შენ ხარ გუნებაზე მოსული!

— აბა, იმას, მთვრალი რომ მივიდეს, ცოლი არ შეუშვებს სახლში! — სატვირთო მანქანასთან აყუდებულ მუშაზე მიანიშნა ახალგაზრდამ.

— ერთი საათი ვერ დაგტოვებთ კაცი მარტო, საქმეა ეს?! — ჩაილაპარაკა გაბრაზებულმა მამიევიჩმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევან ზარიძე

●

ამოივლიან საყდრის გზაზე
დარდით მთვრალები
და უპატრონო საფლავებთან
ჩრდილებს დაყრიან.
ვერ შეეჩვევა ქარის ყუნწზე
სივრცის კონნიალს
თვალი, რომლისთვის უშენობა
დღესაც ახია.
ტკივილს აითრევს უშენობა
კოჭლი ფეხივით,
დუმილით ხარობს, თითქოს
ბედის კვირაძალია,
მესმის ძახილი საყდრის გზაზე
დაღლილი ფიქრის,
რომ შენთან მოსვლა
გვიანია ახლა ძალიან...

შემოგავედრებ სიცოცხლეს, ქარო

როცა ტკივილი უკვე ჩვევაა
და გულს ახარებს ყოველთვის მცირე
შემოგავედრებ სიცოცხლეს, ქარო,
შემომეხვიე და გამაცინე.

მხოლოდ შენ იცი, როგორ დავუსხლტე
ხმელ ტოტებივით ღამის მარწუხებს,
შემოგავედრებ სიცოცხლეს, ქარო,
შენ ჩამეხუტე და გამაყუჩე.

ᲪᲘᲡᲙᲝᲠᲜᲘ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

როცა ზურგს უკან ჩამოიტოვებ
ხევში ჩაჩეხილ ნისლის ნარჩენებს,
მეც წამიყვანე და საქართველო
შენი მხრებიდან ერთხელ მაჩვენე...

როცა ტკივილი უკვე ჩვევაა
და გულს ახარებს ყოველთვის მცირე,
შემოგავედრებ სიცოცხლეს, ქარო,
შემომეხვიე და გამაცინე.

●

აი, მზეც ჩავა მისუსტებული,
გამახსენდებით ორივე, ალბათ,
და ცას ღრუბლები შავი ხელებით
შემოახევენ მოჩითულ კაბას.

ზურგის ქარია, ვდგავარ უძრავად,
ამიყოლიებს ბედის უკუსვლა
და ეს ტკივილიც სულის კედელზე
ჰგავს გამოუთლელ სევდის ჩუქურთმას.

●

როდესაც კაკლის
მზის სხივებით
დაკემსილ ჩრდილში
ქარი ჩურჩულით
მიყვებოდა
მოგონილ ამბავს,
არავინ ჩანდა,
მარტოობა კოცნიდა
ქუჩას,
მერცხალი მკერდით ეხებოდა
მზის გადასავარდნს,
მოგონებები ქვის ღობეებს
ეკიდათ მხრებზე,
როგორც ხვლიკების სამალავი
მტვრიანი ხავსი,
და საიდანღაც,
მოუსვლელი თითქოს გზებიდან,
ჩუმი საღამო
მოდიოდა
ფიქრებით სავსე.
სოფლის ბავშვებმა
მოიხადეს მზე ქუდებივით
და ორღობეში

ურიამულით გადაინივლეს,
ღამემ სიბნელე ამოიღო
გულის ჯიბიდან
და ვარსკვლავებიც
დაემსგავსნენ მთვარის წიწილებს;
მერე კი სევდამ
გაიზმორა საშინელ ხმებით
და მოვიდა დრო
შენთან მოსვლის,
შენთან შეხვედრის.

●

ხმელი ცაცხვიდან ჩამოვა ქარი,
კარზე კაკუნით დააფრთხობს ჭინკებს,
ჩამოსხდებიან სულები ტახტზე
და მიურტყამენ ერთმანეთს ჭიქებს.
ფიქრს გავაგზავნი შორიდან სოფელს
და იქ დახვდება ერთგული ძაღლი,
ის კი დაყნოსავს სიცარიელეს,
ჩაუანგულ ჭიშკარს შეაღებს ძალით.
მიუალერსებს ძაღლს ხის კარებთან
ჩუმი სიბნელე, მიბმული თოკით,
ატირდებიან ორივე ერთად
და ცამდე ავა ცრემლების ორთქლი.
ხმელი ცაცხვიდან ჩამოვა ქარი,
კარზე კაკუნით დააფრთხობს ჭინკებს,
ჩამოსხდებიან სულები ტახტზე
და მიურტყამენ ერთმანეთს ჭიქებს.

●

მთვარეს ეჭირა გამხმარი ხელით
ჯვარგატეხილი საფლავის ჩრდილი,
ფიქრის დახოკილ სახეს წამლობდა
ქარის ხმაური და ღამე გრილი.

მქონია სენი თანდაყოლილი:
ოცნება, ფიქრი, განმარტოება,
სითბომ კი გულში ჩაიაპრილა,
მარტო დამტოვა სევდის რტოებთან.

მხოლოდ ლექსებმა იციან კარგად
უხორცო განცდის დაპატრონება,
შენ მომანიჭე დღეს ასე ადრე
მეტად უიღბლო კაცის წოდება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ გადარჩება ლოდინით ბედი,
დაეძინება სევდის საღათას,
აი, თენდება და მთვარეს კუდი
ხვლიკივით სძვრება ჩემს ფანჯარასთან.

●

იმალებოდა ფოთლებში მთვარე,
ჭოტის კივილზე ღამე ბღაოდა
და ხსოვნის ჩრდილი კაცის სიმაღლე
წამოსულიყო სასაფლაოდან.

მუხლის თავებზე ჭინჭრის ნაკბილარს
ძლივს იამებდა ალაზნის პირას,
მერე ფიქრებში ებლანდებოდა
სულის ზეიმი — აღდგომის დილა.

გურამ ქუთათელაძე ნატურმორტი ნიღბით, 1973 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირმა
ხურცია-ანდრიაძე

ამნეზია

„მთელი საქართველო მშვენიერ წალკოტს წარმოადგენს... მომხიბლა ქართულმა ხელოვნებამ, გამოფენამ... ქართველი განსაკუთრებით პატივისმცემელია მანდილოსნისა (და, როგორც ვიცით, ასეთ პატივისცემას აღმოსავლეთში ქალი მოკლებულია). აქ მის სურვილს ხშირად უსიტყვოდ ემორჩილებიან. საკმარისია, ქალმა მანდილი ჩააგდოს სამკვდრო-სასიცოცხლოდ შებმულთა შორის, რომ ჩხუბი მყისვე შეწყვიტონ, თითქოს რაღაც ზეციური შუამავალი ჩაერია".

— ეს როდის იყო?! — მეცხრამეტე საუკუნის ფრანგი არქეოლოგის, ბარონ დე-ბაის შთაბეჭდილების გაზიარებით არასამთავრობო ორგანიზაციის „ვიხსნათ ქალების" ხელმძღვანელთან ნატამ თავი ვერ მოინონა. განსაკუთრებით სიტყვები „ზეციური შუამავალი" ეხამუშა ბატონ ედუს მოდურ სმენას თუ გემოვნებას.

— დღეს საზოგადოებას ზეციური შუამავალი კი არა, ერთობ მიწიერი, ხორციელი, აქტიური ქალი სჭირდება... ახლა სულ სხვა დროა... ახალი საუკუნე. ახალი სიტყვაა საჭირო, სიტყვა — ჯერ ართქმული. თქვენ კი ამ დრომოჭმული სტრიქონებით აპირებთ თანამედროვე ნოველის დაწყებას... დროს კი არ უნდა ჩამორჩეთ, ფეხდაფეხ უნდა მიჰყვეთ; უკან, წარსულში კი არა, მომავლისკენ უნდა იხედებოდეთ. დაიხსომეთ და სხვებსაც აუხსენით, კაცობრიობა წინსვლის წყურვილმა გადაარჩინა. მისი პროგრესული მონაპოვარია, რომ თქვენ ცხოვრობთ ქალთა უფლებების ახალ ეპოქაში... ისარგებლეთ და სხვებსაც ასნავლეთ ამ დროით სარგებლობა, — სიკეთე სურდა ბატონ ედუს ახალგაზრდა, მომხიბვლელი, ნიჭიერი გოგონასთვის, რომელსაც, მისი აზრით, ვერ გაეგო, რამდენის მიღწევა შეიძლებოდა ასეთ ნაყოფიერ ხანაში. ცდილობდა, არც მკაცრად, მაგრამ არც მთლად რბილად ეთქვა სათქმელი. ეს მისი სტილი იყო...

ბატონ ედუს არც ასაკოვანი ეთქმოდა, არც ახალგაზრდა... არც შნოიანი, არც უშნო... არც მაღალი, არც დაბალი... არც მსუქანი, არც გამხდარი... არც ჭკვიანი, არც უჭკუო... არც ღვინო, არც წყალი... ასე უამრავი „არც"-ით შემკულ-დაჯილდოებულს ღიმილიც კი თითქოს ჰქონდა და არც ჰქონდა. და ამ ნაქონ-არნაქონ თუ, როგორც ნატა იტყოდა, „დათრეინინგებული" ღიმილით არცთუ ისე ხშირად უმე-

ორრბდა ხელქვეითებს: არ დაგავინყდეთ, ფულს რაში გვიხდიან და რამდენსო. ამჯერადაც შეახსენა:

— თქვენი ნოველა იმ შემთხვევაში დაიბეჭდება ჩვენი ორგანიზაციის წიგნში, გაპიარდება და მაღალ ჰონორარსაც მიიღებთ, თუ კარგად აუხსნით ქალებს, რომ უნდა გააქტიურდნენ... მეტად გამოჩნდნენ საზოგადოებრივ ასპარეზზე... მიმოიხედეთ ირგვლივ, ნახეთ, რამდენი უმუშევარი ქალია...

ნატას მართლა ვერფერი გაეგო. გონებაში ექოგადაყლაპულივით იმეორებდა ხელმძღვანელის მრავალისმთქმელ სიტყვებს...

— უმუშევარი ქალი... მხოლოდ ქალი? — როგორც იქნა, ამოიდგა ენა, — ნეტავ, სად არის სამუშაო ადგილები ქალებისთვის?

— მთავარია, სურვილი გაუღვივდეთ... მერე ბედსაც ცდიან და დასაქმდებიან. თქვენ ხომ მოინდომეთ და იშოვეთ სამსახური. ახლა შეეცადეთ, არ დაკარგოთ. აბა, წარმატებას გისურვებთ.

გოგონა, ის-ის იყო, გასასვლელი კარი უნდა გაეღო, რომ შეაჩერეს...

— მოითმინეთ, — ედუს გაყინული მზერა გაულღვა. — იმისთვის, რომ გაარკვიოთ როგორ ირღვევა საქართველოში ქალთა უფლებები, სახლში გამომწყვდეულ დიასახლისებს გაესაუბრეთ... ორშაბათიდან კი ორგანიზაციის სხვა თანამშრომლებთან ერთად აუცილებლად დაესწრით მოწვეული უცხოელი ექსპერტის ლექციებს, ასე საქმეს გაიიოლებთ.

●

ნატა პირველი მიდის სემინარზე. მარტოა — ცარიელი სკამებით და სავსე ფიქრებით დახუნძლული... რა ოპტიმისტური განწყობით დაიწყო სამსახური... ახლა კი ამ ორგანიზაციაში მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი სასწორზეა. არადა, ამ მაცდური კარიერის გამო გუგაზეც კი თქვა უარი და მის მიერ შემოთავაზებულ ალტერნატიულ სამსახურზეც მეგობრის ჟურნალში. გუგამ კი კატეგორიულად დაუსვა საკითხი: ან მე, ან ეგ შენი უცნაურად აქტიური ქალების საზოგადოებაო! ნუთუ მთელი ცხოვრება მხოლოდ სასტიკი არჩევანი-არადანაა? გუგას არც ინგა მოსწონდა, ნატას ახალშეძენილი მეგობარი, ვისი დახმარებითაც სამსახური დაიწყო... რაღა ამ გადარეულ გოგოს მიაქირავა ბინა ჩვენმა კარის მეზობელმო, ნუხდნენ და არჩევანს უწუნებდნენ ერთადერთ ქალიშვილს დედა და მამაც. მაგრამ მშობლების კონსერვატული დამოკიდებულება შვილებთან ცნობილია. სხვაა, როცა შენივე თანატოლი, რომელიც გიყვარს, არ იზიარებს შენს აზრს. არადა, რა მომხიბვლელად გამოიყურებოდა, რასაც ინგა სთავაზობდა. ოცდაორი წლის პერსპექტიული ახალგაზრდა ქალი, უმაღლესი განათლებით, ფლობ ინგლისურ ენას და კომპიუტერს, წერ მშვენიერ ლექსებს და მოთხრობებს; სწორედ შენნაირი გოგონები გვჭირდება ორგანიზაციაში, სადაც უჩვეულოდ მაღალი ხელფასებიაო. ინგას სულაც არ ანაღვლებდა, რას ფიქრობდნენ მასზე სხვები. თავად თავს ბედნიერ ადამიანად რაცხდა, ჰქონდა მაღალანაზღაურებადი სამსახური საინტერესო დავალებით — როგორც აშუქებს მედია გენდერულ პრობლემებს. ჰყავდა საყვარელი, „მეგობარი ბიჭი", რომელიც, მართალია, მის ცოლად შერთვას არ აპირებდა, რადგან პირად ოჯახურ ბედნიერებას ქართული ტრადიციული გაგებით ეკიდებოდა, და ეს ინგამაც კარგად იცოდა. მაგრამ მერე რა? ბედნიერება ხომ აწმყოთი ტკბობააო. გუგას კი მიაჩნდა, ამ ქალმა თავად გამოუტანა საკუთარ თავს მარტოობის დაუნდობელი განაჩენიო...

აი, ისიც... სილიკონით დაბერილი ტუჩების პრანჭვით შემოდის დარბაზში. ნატას ახალ შენაძენს უწვენებს... შარფია... მყვირალა ფერებით. სტილი დაცულია, — გაეღიმება ნატას და ინგას უკან ენერგიულად მომავალ იზას მიესალმება.

... ბედნიერ ქალად მიიჩნევდა თავს იზაც, რომელსაც სიახლისკენ სწრაფვამ და მაძიებლობის სურვილმა ორი ქმარი გამოაცვლევინა. ორივე კარგი იყო, მაგრამ მესამე უკეთესიაო, ამბობდა. მეოთხე კიდევ უკეთესი იქნებაო, ეხუმრებოდნენ მეგობრები.

ქალმა პირად ცხოვრებასთან ერთად კარიერაც უნდა მოინეოსო, ამას უნერგავდა თავის ერთადერთ ქალიშვილს პირველი ქმრისგან, რომელიც პაპა-ბებიასთან ცხოვრობდა...

დარბაზი ნელ-ნელა ივსებოდა. ნატასთან ახლოს დასხდნენ ორგანიზაციის დანარჩენი თანამშრომლებიც: ნათია, ნონა და ნაირა.

ნათია ქალთა იმ კატეგორიას მიეკუთვნებოდა, რომლებიც თვლიან, რომ თვითრეალიზაციისთვის მხოლოდ ოჯახური ასპარეზი არ კმარა. აქტიური ხასიათი, ნიჭი და სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომი მას უფლებას არ აძლევდა, სახლში მჯდარიყო. ასე იმ ადამიანს ვემსგავსები, ვინც ტალანტებს მინაში ფლავდაო... მის ქმარს კი ნათიას ბრძნული აზრები სასაცილოდ არ ჰყოფნიდა. ის ხშირად უმეორებდა მეუღლეს: კაცები მუსულმანები ყოფილან, რამდენიმე ცოლს ერთდროულად სვამენ სახლში, მე კი ერთიც ვერ დამიმორჩილებიაო.

ნათიასთვის თავსატეხი გაეჩინა ედუს ახალ დავალებას თემაზე — რელიგია და ქალთა სექსუალური თავისუფლება. დროის პუსლის შემტყობარ ედუს ხომ მუდამ უხვად მოეპოვებოდა მოწნინავე იდეები...

ბევრს არ ლაპარაკობდა საკუთარ თავზე ოცდათვრამეტი წლის მარტოხელა დედა, ნონა. პროფესიით ფარმაცევტი ოჯახის დაგეგმარების საკითხებზე მუშაობდა.

ნაირას არატრადიციულ ოჯახში გააქტიურებულიყო ასევე არატრადიციული ლოზუნგი „ქალი — საზოგადოებას, მამაკაცი — ოჯახს". პროფესიონალი ფსიქოლოგი ქალებზე ოჯახური ძალადობის ფაქტებს იკვლევდა. მის ერთადერთ ქალიშვილს კი, რომელიც სახლში მუდამ მძინარე ხვდებოდა, ნაირას უმუშევარი მეუღლე ზრდიდა. ედუს ხშირად უხდებოდა ხელქვეითის დამშვიდება, არა უშავს, შვილის აღზრდაზე არანაკლებ სასარგებლო საქმეს აკეთებთო.

... დარბაზში ხმაურმა იმატა. რეპორტიორები ფოტოაპარატებს აჩხაკუნებდნენ.

— აბა, გამოიცანი, ქალია თუ კაცი? — ნატა გააოცა მამაკაცური მოკლე ვარცხნილობით და გრძელი ნაბი-

ჯებით მომავალმა ქალმა — ედუს საპატიო სტუმარმა სარამ.

— რამ მნიშვნელობა აქვს? — გახალისდა ნათია, — სქესი სარა...

— სქესი სარა... ასე მივმართო?

— რატომაც არა...

— გა-მა-რჯ-ობა. — უცხო ინტონაციით ჩამომარცვლა უცხო სტუმარმა.

— გამოთქმა არაფერია, დამახინჯებული გამარჯვებაა უფრო მძიმე გადასატანი, — გაახსენდა ნატას მსგავს შემთხვევაზე გუგას ნათქვამი.

გამოცდილმა ექსპერტმა გენდერულ საკითხებში გამოუცდელი ქართველი ქალების განსწავლა დაიწყო:

— გენდერული თანასწორობა ნიშნავს ქალისა და მამაკაცის თანასწორობას. ის ჯერ კიდევ ანტიკურ საბერძნეთში იღება სათავეს, დღეს კი გლობალურ ხასიათს ატარებს. ბევრი ქვეყანა ამ საკითხს სახელმწიფო დონეზე აყენებს. გამონაკლისი არც საქართველო უნდა იყოს. თამარის, ხოშაქის, კრავაის (აქ ცოტა ნაიფორრილებს) და სხვათა სამმობლოში, შეუძლებელია, ქალი მხოლოდ დიასახლისობას დასჯერდეს და საზოგადოებრივი ასპარეზი არ დაიპყროს...

— ყოჩაღ ედუს, — ფიქრი გაუკრთა ნატას. — ის სარას უტარებს თრეინინგს, სარა კი ჩვენ.

მოულოდნელად დარბაზში ოპოზიციურმა აზრმა გაიჟღერა:

— რატომ არის დიასახლისობა დასაძრახი? ყოველი ქალი თავის გზას ირჩევს... აბა, ის უფრო კარგია, კაცი უმუშევარი იყოს, ქალი კი სამსახურსა და რესტორნებში დადიოდეს...

— როგორც ჩანს, ჟურნალისტების შესარჩევ ქასტინგზე შეცდომა დაუშვეს... ამას აქ რა უნდა? — ინგას ირონიით აღმოდებულმა მზერამ დიქტოფონმომარჯვებულ გოგოსს ლოყები აუწითლა.

— ორგანიზაცია „ვიხსნათ ქალები" შორს დგას ფემინისტური იდეალებისგან, — არ შეიმჩნია სარამ. — ჩვენი მიზანია, დავეხმაროთ ქართველ ქალს, გახდეს უფრო აქტიური და სრულად გამოავლენოს საკუთარი უნაკლო შესაძლებლობანი.

საბედნიეროდ, ის დრო წავიდა, როცა ყველა ქალი უუფლებო იყო და საშინლად იჩაგრებოდა...

— მაპატიეთ, უნდა გაგაწყვეტინოთ, — უკანასკნელად აქტიურობდა შემოპარული ჟურნალისტი. — სადღაც, იქნებ, მართლაც იჩაგრებოდნენ ქალები... სადღაც, იქნებ, იძულებით ჩადრებს ახევდნენ... იქნებ, კოცონზეც ნვავდნენ მათ, მაგრამ ჩვენ რა შუაში ვართ... მსგავს რამეს საქართველოში მხოლოდ უცხოელი დამპყრობლები სჩადიოდნენ... და, საერთოდ, სხვა ქვეყნებში რომ შუასაუკუნეოობრივ აზროვნებაში ჩამორჩენილობას ეკუთვნის, ჩვენში შუა საუკუნეებში ოქროს ხანა გვქონდა...

— ოქროს ხანა გქონდათ... მაგრამ დღეს? დაბალ კულტურულ ერებში ქალის პატენციალი გამოუყენებელი რჩება. საქართველოში ასე არ უნდა ხდებოდეს. გამოიყენეთ თქვენი ნიჭი...

სხვათა შორის, თქვენში არც „ოქროს ხანაში" და არც სხვა ეპოქაში ოჯახში ქალებს ქორწინებამდე და მას მერეც არ ეენებოდათ თავისუფალი სიყვარულის უფლება. ასეთ ქალებს ყველგან დევნიდნენ.

ასევე, დღემდე ჯვრისწერისას სასულიერო პირი პირდაპირ მოგინოდებთ: თავი ოჯახისა არის ქმარი. ცოლებო, დაემორჩილეთ ქმრებს... ეს რას ნიშნავს?

მე მიმაჩნია, რომ საზოგადოებრივი აზრი უნდა შეიცვალოს და ქალის მიმართ უფრო ლოიალური გახდეს...

განა შეიძლება, ოცდაათ წელს გადაცილებულმა ქალმა, თუ გათხოვებას ვერ ახერხებს, რაღაც ძველმოდური, დრომოჭმული ტრადიციების გამო დედობაზე უარი თქვას?

— გენდერული თანასწორობა ამასაც გულისხმობს? — გულწრფელად გაუკვირდა ნატას.

— გენდერული თანასწორობა გულისხმობს ქალისა და მამაკაცის თანაბარ უფლებებს ყველგან და ყველაფერში. რაც დასაშვებია კაცებისთვის, ის დასაშვები უნდა იყოს ქალებისთვისაც.

— კიდევ კარგი, ის აქ არ არის... მას ამაზე თავისი მყარი აზრი აქვს, — კვლავ გუგა ახსენდება ნატას და მისი სიტყვები — როდესაც კაცი ცოლს ღალატობს, მართალია, არც ეს არის ნორმალური, მაგრამ ამით კაცი მხოლოდ ცოლს შეურაცხყოფს, ხოლო ქმრის მოღალატე ქალი კი საკუთარ შვილებს და მშობლებსაც...

— მაგრამ ბოლო დროს ზოგიერთი ტრადიციული შეხედულებისა და ღირებულების შეცვლა შეინიშნება, — ბოლო სიტყვა ედუმ წარმოთქვა და ციხფერ პერანგზე ქამელეონივით ჭრელი და ცვალებადი ჰალსტუხი გაისწორა. მას და მის სტუმარს ერთნაირმა ღიმილმა გაუპოთ ბაგეები.

სარას ვიზიტმა რამდენიმე დღეს გასტანა. დღეებმა საათებივით, საათებმა წუთებივით, წუთებმა წამებივით ჩაიქროლეს. „ვიხსნათ ქალების" საპატიო სტუმარი აღფრთოვანებას ვერ ფარავს. მისი ლექციების შედეგად ბევრი ქართველი ქალი იტყვის:

— ჩემში ღირებულების გადაფასება მოხდა. თანამედროვე ქალს არ შეიძლება, სჯეროდეს იმ ლეგენდის, თითქოს ის მამაკაცის ნეკინისგან შექმნეს.

ამგვარ წარმატებას არავინ მოელოდა. სარა იმ გენერალივით გრძნობდა თავს, რომელმაც ბრძოლის ველი უომრად განვლო და გამარჯვება ისე მოიპოვა.

ამ გამარჯვებაში ლომის წილი ედუსი იყო.

●

ნატა კი ეძებს ნაღმს, გასანაღმს...

ომობდა... მარტოდმარტო. მონინააღმდეგეც თავად იყო და წინააღმდეგიც. ბრძოლის ველი მაცდურად გაშლილიყო. ზღაპრულს, ჯადოსნურს უფრო ჰგავდა და ჯერ არნახულ გამარჯვებას პირდებოდა. ირგვლივ ყურისმაამებელი სიჩუმე და არაბუნებრივი სიმშვიდე გამეფებულიყო. არავინ ჩანდა ძეხორციელი. მიზანთან ისე ახლოს იყო, მაგრამ უეცარმა შეტყობინებამ ვითარება შეცვალა... ველზე სადღაც ნაღმია და შეიძლება, სწორედ იმ დროს, იმ წამს აფეთქდეს, როცა სრულიად არ ელოდებიო... ახლა თამაშის წესი უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეცვალოს... მაგრამ ამას დრო სჭირდება. ნატას კი კომპიუტერთან დიდხანს სათამამშოდ არ სცალია. ნოველა აქვს დასაწერი... ამ საამარი ველივით დანალმური, ასაფეთქებლად გამზადებული...

ელექტრონულ ფოსტას ათვალიერებს. ედუს წერილს ნახავს. ქალბატონი სარა ზეგ მიემგზავრება, ხვალ კი მეტეხი და ნარიყალა უნდა დავათვალიერებინოთ და შეგიძლიათ, წამოგვყვეთო...

მეტეხი, შუშანიკის საფლავი და სარა? — ამაზე კი კარგად იქნებიკებდა ის — ფიქრი გუგასკენ გაუსხლტება — შუშანიკის დროს სარა რომ ყოფილიყო, ხომ აღარ გვექნებოდა იაკობ ცურტაველის ჰაგიოგრაფიული ნაწარმოები; დაჩაგრული ქალების დიდი ქომაგი რა დღეს დააყრიდა ვარსქენს?!

●

„ეძიებდეთ უპირველესად სასუფეველს ცისას და სხვა ყოველივე შეგეძინოთ თქვენ".

ადამიანი გაკვალულ გზაზე სიარულის ნაცვლად, უდაბნოში ხეტიალს რომ არ ამჯობინებდეს, მადლის ნაცვლად ცოდვას რომ არ ენაფებოდეს, ბედნიერებას — ზეციურსაც და მიწიერს — უფრო იოლად მოიპოვებდა...

მეტეხის ტაძარში მოძღვარი ქადაგებს. მრევლი სულგანაბულია.

— ხელოვნების ეს დიადი ნიმუში მეცამეტე საუკუნეშია აგებული, — ეზურჩულება ედუ საპატიო სტუმარს და ულიმის. პასუხად იდენტური ღიმილია და ცივი ხვლიკისფერი მზერა.

— ეს ზეციური მამის სახლია... „კლდესა ზედა აღმართული" — მოძღვრის გუმბათისკენ აღმართულ მზერას ტაძრისფერი ედება — „და ჯოჯოხეთის ბჭენი მას ვერ მოერევიან..."

მოძღვარს არ უსმენს ედუ. არ სცალია.

ნატა მაცხოვრის ხატთან მიდის... ეამბორება.

— სახარებისეული სიუჟეტი მუდმივად მეორდება, ვიღაც ისევ და ისევ ბაძავს იუდას, ამბორით ყიდის უფალს, — ქადაგებას განაგრძობს მოძღვარი — ჩვენ კი ჯვარცმული ავაზაკივით შევთხოვთ ძეღვთისას:

„მომიხსენე მე, უფალო, ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა..."

შემკრთალი ნატა ანგარიშმიუცემლად იმეორებს შეწყალებული კაცობრიობის სიმბოლოდ ქცეულ ლოცვას.

მერე სტუმარ-მასპინძელი ტაძარს სტოვებს.

— ცხოვრებაში გზა ბევრია, მაგრამ უფალთან მისასვლელი — მხოლოდ ერთი. გახსოვდეთ, რაც უნდა შორს წარგიტაცოთ წუთისოფელმა, ყოველი ღონე იხმარეთ, მოიკრიბეთ უკანასკნელი ძალა და, როგორც ძე-შეცთომილი, დაუბრუნდით მშობელი მამის წიაღს, — ნატას სული წვდება ქადაგების უკანასკნელი სიტყვები.

●

ნატა მეწამულ კარს ეძებს... თეთრი ჯვრით. იპოვის. ჯვართან სამზერია, საიდანაც გარესამყარო მოჩანს... ვინ მოდის, ვინ მიდის, ვინ წავა... ვის გაუღონ, ვის არა. თუმცა აქ კარს ყველას უღებენ. ნატასაც გაუღეს და შინაც შეიპატიჟეს.

უკვირს სიჩუმე და წესრიგი.

— ოთხი სკოლაშია, სამი — საბავშვო ბაღში... — მიუხვდება მასპინძელი.

ნატა პირდაპირ საქმეზე გადადის და დიქტოფონს ჩართავს. ეშინია, მრავალშვილიან დედას მნიშვნელოვანი დრო არ წაართვას. ისედაც ეუხერხულება, რადგან ქალმა სთხოვა, კითხვები ელექტრონული ფოსტით მომაწოდეთ და პასუხს თქვენს იმეილზე გამოგიგზავნითო, მან კი უპასუხა, ინტერვიუ-ინკუბატს ინტერვიუ-დიალოგი მირჩევნიაო...

— რას საქმიანობს თქვენი ორგანიზაცია „ვიხსნათ ქალები"? — პირველ კითხვას ინტერვიუირებული სვამს.

— ჩვენი ორგანიზაციის მიზანია, გააქტიუროს ქალი, უფრო მეტად ჩართოს ის საზოგადოებრივ ცხოვრებაში...

— და სამუშაო ადგილებით უზრუნველყოფთ?

— არა... ჯერ ქართველი ქალის ცნობიერება უნდა შეიცვალოს... — გაუბედავად ამბობს ნატა და იქვე დასძენს, — როგორ ფიქრობთ, თავისუფალია თუ არა დღეს ქალი საქართველოში, დაცულია თუ არა მისი უფლებები?

— დღეს, სამწუხაროდ, არავისი უფლებები არ არის დაცული...

— მიგაჩნიათ თუ არა, რომ ქალი და მამაკაცი თანაბარი უფლებებით სარგებლობენ? — კითხვას ცვლის ნატა.

— ეს პრობლემა საქართველოში არასოდეს მდგარა. ამაზე საუბარი ღია კარის მტვრევას ჰგავს. არსებობენ ქვეყნები, სადაც სილამაზე უპირატესობად არ ითვლება, რადგან ყველა ლამაზიაო... ქალისა და მამაკაცის თანასწორობაზე საუბარი უადგილოა იმ ქვეყანაში, სადაც ჯერ კიდევ როდის ინერებოდა „ლეკვი ლომისა სწორია"...

— მაგრამ დღეს რომ ქალები ნაკლებად ჩანან საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე?

— ფრანგი, გერმანელი, იტალიელი, ავსტრალიელი, ჰოლანდიელი ქალების უმრავლესობა შეშფოთებულია, რომ ქვეყნის ალმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებაში აბსოლუტური უმრავლესობა მამაკაცებია, მაგრამ ქართველ ქალს ეს ნაკლებად ანაღვლებს. ქალისა და მამაკაცის თანასწორობა თანამედროვე საზოგადოებაში მიჩნეულია დემოკრატიის ერთ-ერთ ძირითად მახასიათებლად... საქართველოში კი რა ხდება?

— ამ კითხვამ ერთი ჩემი ბავშვობისდროინდელი ლექსი გამახსენა. მასში შექებულია მამაკაცური პროფესიის ქალი: მძღოლი, ტრაქტორისტი, დამკვრელი ბრიგადირი... ბოლო სტრიქონები კი ასე ყღერს: „ქალი არის მუშა, ქალი არის ხარაგი და, ძვირფასო ქალებო, მომილოცავს რვა მარტი". როგორც ჩანს, კომუნისტებიც ფიქრობდნენ საზოგადოებაში გენდერ-ბალანსზე. მაგრამ დღემდე ვერსად მოხერხდა სავალდებულო საჯარო სამსახურში ქალისა და მამაკაცის თანაბარი განვევა, რადგან ყველაფერში თანასწორობის

ხელოვნური მოთხოვნა ზოგჯერ აბსურდამდე მიდის.

— როგორ გგონიათ, დღეს ოჯახში შეეყუეული ქალი უფრო თავისუფალია თუ საზოგადო მოღვაწე?

— არ მესმის, რა საჭიროა ასეთი დაპირისპირება?! ერთის ან მეორის კატეგორიული მიზეზთა იმ-თავითვე გამორიცხავს თავისუფლებას... თანაც განა რამდენ ქალს დაასაქმებს თქვენი მაღალანაზღაურებადი ენჯო?! არც მე და არც ჩემი მეგობრები და, საერთოდ, არც ერთი ქალი თუ კაცი არ ვიტყოდით უარს დღეს კარგ სამსახურზე, მაგრამ, როგორც ჩანს, თქვენი ორგანიზაციის მიზნებში ეს არ შედის. სხვა რამ კი ტრადიციული ცხოვრების წესით მცხოვრებ ქართველ ქალს, ეფიქრობ, არ სჭირდება. ხოლო იქ, სადაც ტრადიციები შეცვლილია, დიდი ხანია ეკლესიას და მოძღვარს ფსიქოთერაპევტი ჩაენაცვლა.

შემდეგ კითხვას კი აღტაცების სიტყვები ცვლის:

— რა ლამაზები არიან, ერთიმეორეზე უკეთესები...

სახლში ქოშინით შემოცვენილი ბავშვები სტუმარმასპინძელს საუბარს აწყვეტინებენ... მეთოთხმეტე სართულზე ფეხით ამოვედითო... სიჩუმე ისე ერთბაშად იმსხვრევა, როგორც ნატას წარმოდგენა მრავალშვილიანი დედის მძიმე ხვედრზე. ოჯახის ყველაზე ენერგიული წევრები — თვალხატული გოგობიჭები, სათითაოდ ესალმებიან და ეცნობიან დაბნეულ სტუმარს.

— მე მართა ვარ, — ერთი შეხედვით ეტყობა უფროსობა გონიერთვალება გოგონას. — მამამ, პირველ ქალიშვილს ყველაზე საქმიანი ქალის სახელი უნდა დავარქვაო.

— მე თამარი ვარ, წმინდა თამარივით შეიყვარე ლოცვაო — მამა მეუბნება.

— მეც მამამ დამარქვა სახელი — პეტრე. ნანატრი ვაჟი კლდესავით უნდა იდგეს სარწმუნოებაზეო.

— პავლე, — თავს უკრავს ოქროსქოჩრიანი ბიჭი. — მეც ჩემს ძმასავით მოციქულთა თავის სახელი მქვია.

— მე კი იოანე, უფლის საყვარელი მოწაფის სახელი.

ნატასაც სურდა ერთ დროს, ცნობილი წმინდანის სახელი რქმეოდა, მაგრამ მღვდელმა უთხრა, შეგიძლია, საკუთარი ღვაწლით განადიდო შენი სახელიო. ეს დიდი ხნის წინათ იყო. ახლა ისევ დაწყდა გული...

— ქეთევანი, — მორცხვად, მხოლოდ თვალებით ულიმის პატარა გოგო. — მისი მფარველი წმინდანი სარწმუნოებისთვის წამებული დედოფალია, რომელმაც მთელი ევროპა გააოცა თავგანწირვით, — ეშველებიან პატარა დაიკოს უფროსები.

— აქ სამშობლო არ დაუკარგავთ! — ფიქრი ეამება სტუმარს, როგორც შორეული გადასახლებიდან დაბრუნებულს, რომელსაც შინ ყველაფერი უცვლელი დახვდა...

— ცოტნე, ილია, — ერთმანეთს ასწრებენ ტყუპები და ოთახიდან გარბიან, თან ვეება სარკმელზე დაკიდულ პრიალა ფარდას უნებურად გაიყოლებენ. მოშიშვლებული მინებიდან ოთახში უხვად შემოიჭრება სითბო და სინათლე, ისევე, როგორც ნატას სულში.

— ცოტნე, ილია... ამ სახელების გამო მათ ხმამაღალ სიტყვას ვერ ვუბედავ, არადა, ხშირად მაბრაზებენ, — დატუქსვის კილოთი ამბობს დედა და, დაბრძანდითო, ხელით სავარძლისკენ მიუთითებს სტუმარს, რომელიც კვლავ სხივჩამდგარ სარკმელს შეჰყურებს.

რა ახლოს არის აქედან ზეცა... ისე ხელშესახები... ისე უბრალო... როგორც ხანდახან ბედნიერება...

— ბედნიერი ხართ?..

— ბევრი ფიქრობს, ბედნიერებისკენ გზა თავად უნდა გაიკვლიოს, მე კი გაკვალულ გზას მივუყვები... და ვმადლობ უფალს.

— არ გიჭირთ ამდენი ბავშვის აღზრდა?

— როდესაც ერთი ან ორი შვილი გყავს, გგონია, რომ ყველაფერს, რაც სჭირდებათ, შენ — მშობელი აძლევ, სამი-ოთხი შვილის შემდეგ კი ხვდები, რომ ეს ყოველივე შენს ძალებს აღემატება და ხილული ხდება უხილავი ხელი, ცხადად გრძნობ მის შემწეობას...

— კმაყოფილი ხართ მხოლოდ ქალი-მეუღლის, ქალი-დედის სტატუსით?

— სხვას უკეთესს მთავაზობთ?

— დედა ლექსებს წერს, — შემოიძახებს ოთახში მართა, რომელსაც უკვე დაუპურებია უმცროსი დაძმები და ახლა მათთვის ინგლისური ენის სამეცადინო კომპაქტდისკი უნდა ჩართოს.

— დარჩა განა რამე სათქმელი? — გაიფიქრებს ნატა. დიასახლისი კი, თითქოს ფიქრს მიუხვდაო:

— სათქმელს რა გამოლევს... ყველას თავისი აქვს... ზოგის სათქმელს დრო გადაიტანს, ზოგი სათქმელი დროს გადაიტანს...

— ესე იგი, ლექსებითაც ახერხებთ თვითრეალიზაციას?

— რა გითხრათ, ჩემს ლექსებში ვშილებისადმი ჩემი სათქმელია.

— სხვა თემებზე არ წერთ?

— სხვაზე სხვები დაწერენ...

— დიდი მადლობა, ქალბატონო ზეიკო, საინტერესო საუბრისთვის...

— ზეიკო მოფერებით შემარქვა მამამ... ზენობია მქვია.

ზენობია... როგორ უყვარდა მასაც ბავშვობაში... ნატა სავარძლიდან დაფეთებული წამოიჭრება, თითქოს მძინარე, დროზე ადრე მომართული მაღვიძარას ზარმა გამოაფხიზლაო. მერე ზარი მართლა დარეკავს. ეს გუგაა. დაბადების დღეს ულოცავს ნატას მობილურით... გაახსენდა. თურმე ჯერ კიდევ შეიძლება ყველაფრის გამოსწორება. უხარია... სადა ხარო, ეკითხება ბიჭი. ვერ ეტყვის, დაცინვის ეშინია. საკუთარ დაბადების დღეზე გენდერზე სასაუბროდ მიდიხარ, თანაც შვიდი შვილის დედასთანო... მერე დაგირეკავო, უპასუხებს.

— ზენობია... „ქართლის ცხოვრებიდან" მახსოვს... მაპატიეთ, ახლა უნდა გავიქცე, — გასასვლელის ძებნაში ფეხები კართან მძინედდაშვებულ მენამულ ფარდებში გაეხლართება, ფიქრები — მენამული ისტორიის მძიმე ზვირთებში...

— იქნებ დარჩეთ, გოგონებმა ხაჭაპური მოგვარონ, — სთხოვს ზენობია.

www.nplg.gov.ge

— არა, გმადლობთ. სხვა დროს იყოს. რაღაც მაქვს დასანერი. ძალიან მეჩქარება, — უკვე კიბიდან გასძახებს ტრადიციულ მასპინძელს. სულმოუთქმელად ჩარბის. საფეხურები ისეთი სისწრაფით ამორბიან ქვემოდან ზემოთ, როგორც ასწლეულები მის გონებაში.

ეჩქარება. ზენობიასთან ეჩქარება, ოღონდ სხვასთან. უნდა დაწეროს, ოღონდ სხვა და არა ის, რასაც ედუ სთხოვს. თავისთვის უნდა დაწეროს, თავისი მეს გადასარჩენად. ედუსთვისაც დაწერს ვინმე რამეს. ნატა კი მაოლოდ იტყვის: იყო ედუ და არც იყოო... იყო მედროვეთათვის, მაგრამ მემატიანისთვის არაო. ისტორიისთვის არც ასი ედუა არაფერი, თუნდაც ერთ ზენობიას თან შედარებული.

ნატა შეისვენებს. საფეხურებიც ცხრებიან, დგებიან. ფანჯასვლა იქვე მთავრდება, სადაც ალმასვლა უნდა დაიწყოს. იქვეა ზენობიაც...

●

მხოლოდ და მხოლოდ ჯვარცმული ღმერთკაცის ამბავი შემორჩენია მის დაბინდულ მეხსიერებას და ლოცვა ჯვრიდან:

„— ღმერთო, ღმერთო ჩემო, რაისათვის დამიტევებ მე?"

ნატიფი თითებით გედის ყელიდან ვერცხლის ძეწკვზე დაკიდულ ფირუზისფერ ლუსკუმას მოიხსნის, სათუთად გახსნის და ხავერდოვანი მიწის საამო სურნელს შეიგრძნობს... ეს სიწმინდეა — დაკარგული მიწის ნაწილი. ამ ჯადოსნურმა მიწამ გამოსტაცა მდინარე არაქსის მახრჩობელა ტალღებს, ჯოჯოხეთის ფსკერისაკენ რომ მიაქანებდნენ დაუნდობლად...

მაგრამ ვინ უსახსოვრა ეს ავგაროზი? ვინ მიიყვანა იმ ადგილას, იმ ქალის საფლავთან, რომელსაც მაცხოვრის კკართი ისე ჩაებღუჭა, თითქოს სურდა, სამუდამოდ ჩაემარხა გულში გადარჩენის საიდუმლო. ვინ აიღო იმ ადგილიდან და ვინ ჩაუყარა ეს დიდი მინა ამ პატარა ავგაროზში? რა ძალა ჰქონდა მას ასეთი, ახლა თავისთან რომ ეწეოდა?

... ვინ უამბო ღმერთზე, რომელიც ქვეყნად ადამიანად მოვიდა ადამიანთა გადასარჩენად, მათ კი ჯვარს აცვეს...

ის ახსოვს მხოლოდ, ამ ამბის შემდეგ სხვა ქალად იქცა. თითქოს მისი გონება, სული, გული რაღაც ახლისთვის ემზადებოდა, რაღაც დიდი თავგანწირვისთვის...

მაგრამ მერე, მერე რა მოხდა? აქ წყდება ყოველი... ნუთუ დანარჩენი არაქსის მღვრიე ტალღებს უნდა გაჰყოლოდა, მის ნყალს წარეხოცა სამუდამოდ...

მეთევზეები არაფერს აკლებენ... იმ მზიან დილას ისეთი გრძნობით წამოვედით სათევზაოდ, თითქოს ოქროს თევზი უნდა დაგვეჭირაო და... შენც გიპოვეთ... დაჭრილი... სისხლისა და მეხსიერებისგან დაცლილი... თავდაპირველად ჩვენ წმამლობდით, ახლა კი შენ კურნავ ჩვენს ავადმყოფებს... მართლა ზღაპრიდან მოგვევლინე...

მაინც ვერ ისვენებს... ნეტავ, ვინა ვარ? — სულს უწვავს ფიქრი და ჩუმი ლოცვა:

„— უფალო, რად მიმატოვე?"

ვიცი, ყოველივე ძვირფასია, რასაც გვჩუქნი: თვალისჩინი, ყურთასმენა, მეტყველების უნარი, მრთელი სხეული... მაგრამ მეხსიერება ყველაზე ძვირფასი საუნჯე ყოფილა...

არ გყვედრი, უფალო, მაგრამ თვალისჩინისაც დავთმობდი, სილამაზესაც, სიმდიდრესაც (თუმცა უპოვარი ვარ), ყველაფერს, ყველაფერს, ოღონდ კი მეხსიერება დამებრუნებინა...

შემზარავია, როცა არ იცი, ვის მემკვიდრეს ატარებ საკუთარ სხეულში...

უბედურია ყრმა მეხსიერებაწართმეული დედის ნიაღში.

განწირულია, მომავალი არა აქვს შვილს მშობელი მამის სიყვარულის, წინაპრების ხსოვნის გარეშე...

საბრალოა დედა, რომელსაც არ ახსოვს საკუთარი შვილის მამა...

დამაბრუნე მასთან, უფალო...

ის კი, უნუგეშო დარდს მიცემული, ერთ დროს სახელგანთქმული, არნახული სილამაზისა და ძალღონის მქონე ჭაბუკი, ახლა უღონოდ, უპატიოდ, უსიყვარულოდ, უმემკვიდრეოდ დარჩენილი, იმ ადგილზე, სადაც პირველად შეხვდა გულისსწორს, სადაც შეჰპირდა, გაგიფრთხილდებიო, ვით ძვირფას ჭურჭელს (ვერ გაუფრთხილდა), მიწაზე დამხობილი უცრემლოდ და უხმოდ გოდებს... თითქმის შეუძლებელს — სასნაულს ითხოვს.

ამ მიწაზე კი სასნაულებს რა გამოლევს, რადგან ეს მიწაა თავად სასნაული... ქრისტეს შობიდან ჯერ საუკუნეც არ გასულა, აქ კი ცხოვრობს მთელს სამყაროში ცნობილი მაღალი კულტურის, განათლების და განსწავლულობის მქონე ერი. სწორედ ამიტომ ის იმსახურებს მეტ სინათლეს, სიყვარულს, ახალ სიცოცხლეს... სწორედ ამიტომ კაცობრიობის ზეციური შუამავალი — ყოვლადწმინდა ქალწული მარიამი მას შეიფარებს თავისი მადლიანი კალთის ქვეშ...

●

— სად არის ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა? — მთრთოლარე ხმით ჰკითხავს გადამრჩენელ მეთევზეებს უცხო ასული.

— იბერთა ქვეყანას უწოდებენ ასე... მაგრამ...

— უნდა წავიდე.

უნდა წავიდეს. არა, დაბრუნდეს, უნდა დაბრუნდეს...

გარიჟრაჟისას დაადგება გზას, შორად სავალს. დრო ჩამწვარი სანთელივით განილევა, მანძილი კი არა. ჯერ დღეებს ითვლის, მერე ღამეებს, მერე საკუთარ ნაბიჯებს უცხო მიწაზე, მერე ჩვილისას — დამძიმებული საშოს კედლებზე... დაითმენს სიცივეს, სიცხეს, წვიმას, ქარს, შიმშილს, წყურვილს, ტკივილს, ტირილს. მაგრამ ხანდახან ქალური სისუსტე მაინც სძლევს და დაცრეცილ ბაგეებს უპობს მწველი ლოცვა: „უფალო, რად მიმატოვე?.." და კვლავ დაუსრულებელი სვლა ცხოვრების მიზნისაკენ.

— საიი არის იბერია? — გზად მწყემსი შემოხვდება, დაკარგული ცხვრის ძებნით დამაშვრალი...

— აქედან იწყება იბერია... ეს ჯავახეთის მთებია,

— მზისფერ კომბალს გაიდებს ამ მთებივით გაშლილ მხრებზე მეცხვარე.

ბედნიერებისგან სული უგუბდება, იმ ნისლივით — ჯავახეთის მთათა წვერზე...

ფეხშიშველი გაუდგება დარჩენილ გზას. შეციებული მზეზე ფიქრით თბება.

თავფარავნის ტბასთან შეისვენებს. გააოცებს ლურჯი ტბის თავზე ღამის წყვდიადში აღმოცისკრებული მზის ხილვა. ...მეთევზეები თავფარავნულ თევზს სთავაზობენ... კვლავ მეთევზეები და გაცხადებული მომავალი:

„მეთევზეთა ბაგეთაგან მოეფინება კაცობრიობას ქრისტეს ნათელი...”

— კვართამდე შორია?

— კვართი მცხეთაშია, იბერთა სატახტო ქალაქში, მეფის წალკოტში.

... მეფის წალკოტში მეფის ძე დგას მუხლმოყრით და სასნაულს ელის... ახლა სასახლის კარიბჭეს მოსდგომია ეს სასნაული...

მგზავრობით დამაშვრალი ქალი ლიბანის ნაძვს გაჰყურებს და სჭვრეტს მომავალს. კვიპაროსის ქვეშ ახოვანი ჭაბუკი მოაბიჯებს. მგზავრს წამით თვალთ უბნელდება. ეს წამი საუკუნეს ჰგავს. მაგრამ ხომ არ არსებობს ქვეყნად წყვდიადი, რომელსაც სინათლე ვერ გააპობს. კვლავ მზის სხივი ჩაუდგება ასულს თვალებში და გონებაშიც მზიურდება წარსული...

უნდა დაიკივლოს... ისე ძლიერად, როგორც არასდროს.

ასე არც მაშინ უკივლია, როცა ძვირფასმა ხელმა ხანჯალი ჩასცა და მდინარის ტალღებს მისცა...

ახსენდება... ყველაფერი ახსენდება, რაც უნებურად გამოსტაცა გულმა გონებას.

ახსენდება იბერთა ხელმწიფის, ფარსმან პირველის ვაჟი რადამისტი, სხვა ქვეყნებშიც კი განთქმული მეცნიერებათა და ხელოვნების დარგთა ცოდნით, რომაელთა დახმარებით ასული მეზობელი სომხეთის ტახტზე... მერე ცეცხლმოდებული სასახლე და აჯანყებული სომხები, განდევნილი ხელმწიფე და მასთან მისი დედოფალი ზენობია...

გაშმაგებული მდევარი და დაფეთებული ცხენების ქროლა... მერე მუდარა, თავდაპირველად უფლისა, შემდგომ კი საყვარელი მეუღლის ნინაშე:

— ნუ ჩაუგდებ მტერს ჩემს თავს... ნუ შეალახვინებ დედოფლის პატივს... ამარიდე ეს განსაცდელი...

— ეს არ მოხდება, ორივენი დავიხოცებით. — ღირსეული მეფის ღირსეული პასუხი.

— შენ უნდა გადარჩე. მე კი... აი, ჩემი ხანჯალი... შერცხვენილ სიცოცხლეს სიკვდილი მიჯობს... შენ მარტო უკეთ შეძლებ თავის დაღნევას...

— ამას ნუ მთხოვ, ჩემო დედოფალო...

— გემუდარები, ჩემო ხელმწიფევ...

შემდეგ სიჩუმე... იმგვარი, ყოველთვის რაღაცას რომ მოასნავებს...

ძვირფასი ხელი უნაზეს წელზე დაკიდულ ხანჯალს შემოხსნის და წამით შეშდება... მდინარე არაქსი ქაფმორეული მოღმუის და ელოდება უძვირფასეს ნადავლს... დედოფლის სმენას გადარჩენილი ხელმწიფის რაშის ფლოქვთა თქარუნი და მდინარის ავი ტალღების ზათქი ერთდროულად ჩაესმის...

გმადლობ, უფალო...

... გმადლობ, უფალო.

მას რამდენიმე ნაბიჯი აშორებს და ციცაბოდ დაშვებული კიბე.

ფიქრები ხარობენ:

რა ბედნიერებაა, როდესაც იცი, ვინ ხარ! როდესაც იცი, რა უამბო ძვირფას პირმშოს დიდ ნინაპრებზე.

გმადლობ, უფალო, რომ არ გასწირე ღვთისმშობლის ნილხვედრი მადლიანი მიწის მემკვიდრე უგვანობისთვის.

რა ბედნიერებაა. მე ხომ...

და სივრცეს აპობს კივილად ქცეული ჩურჩული, დროს — მისი ექო:

... ზენობია ვარ!

გურამ ქუთათელაძე ინტერიერში, 1976 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობერტ მესხი

„სონეტები ზარდახშიდან"

ნოსტალგიური

(სადაფის სონეტი)

რას ველი, ნეტავ, ანდა რისი მეიმედება?!.
(იყო ვარდები, ვარდზე მეტი იყო ეკალი!..)
ჭრაჭუნობს ფეხქვეშ წუხანდელი თოვლი სპეკალი
და შორს, ღრუბლებთან, გაწოლილან თეთრი ქედები.

რითი მგავს თოვლი? — არც სახლი აქვს, აღარც სარდაფი,
მოჰყვება ისიც თმაგაწეწილ ქართან წოწიალს...
ჩემი ტკივილი დაკარგული ზღვების ძოწია,
თოვლის ტკივილი — გაბზარული მთვარის სადაფი.

ვიცი, ტალღების მონატრებას გადავაკვდები;
მეფობს ზამთარი გათოშილი სახის ნაკვთებით,
არ ჩანს მწვერვალთა, ცადაწვდილთა, დასალიერი...

იქნებ სიკვდილი ამდაგვარი სწორედ ბედია,
ოჰ, ღმერთო ჩემო, რა ნაცნობი სამკუთხედია —
ამადეუსი, სანამლავი და სალიერი.

დაგვიანებული

(მარგალიტის სონეტი)

რამ დამასიზმრა შორეული გეთსიმანია,
მოხეტიალე საზანდარი, ბრძენი ლაო-ძი?!.
დამასაფლავეთ ნიუარების სასაფლაოზე,
სადაც პალმების დაღვრემილი ხეივანია.

როგორ მიყვარდი, სანატრელო, როგორ... ო, ნეტა
ულალმა აისმა უფერული ზეცა გაღადროს;
ხედავ, გრძნობებშიც გამოგიტყდი, მაგრამ რაღა დროს, —
ვეღარ მოგწვდება ჩემი ხმა და ჩემი სონეტი.

ვიცი, ოდესმე მომიგონებ... უფრო ადრე კი
მიწის სიმძიმე შემომიმტვრევს ფიცრებს გადრეკილს,
ჩამეშლებიან საღილეში ხმელი ხავსები...

მოვა მაისი ვარდისფერი მარგალიტებით,
შემაგროვებენ ქალწულები თხელი თითებით
და ფაიფურის ლარნაკებში მომათავსებენ.

მეჯლისზე

(გიშრის სონეტი)

სძინავთ სასახლის პალატებში შიშველ მადონებს,
დუმს როიალი — მჭვირვალი და ნაფეტიშარი.
ოჰ, ყოველივე თქვენს მშვენებას უიადონებს,
როგორ გიხდებათ ყელი — ბროლი, ხალი — გიშერი.

ხვალ სასახლეში უჩვეულო კარნავალია —
ვალსით, ვუალით, ხავერდებით... იქნებ არც იცით,
ირგვლივ რამდენი მოშურნე და ავი თვალია,
შემოგყურებენ მოშიშვლებულ მხრებზე ლაციცით.

მძლავრობს ვნებათა, აწყვეტილთა, ორომტრიალი
და ლალისფერი ბოკალების ისმის წკრიალი;
ფრთხილად, მათ შორის შხამიანი ვერცხლის თასია...

მაგრამ არ ვიცი, გამოგიწვდით იმ თასს რომელი,
თუკი უთქვენოდ თუნდაც წამით ყოფნა მომელის,
იცოდეთ, ისიც ფუჭია და ჩალის ფასია.

ჯადოსნური წამოსასხამი

(ალმასის სონეტი)

როგორც ლამაზმანს ზომიერი ფერუმარილი,
უხდება ცისთვალს ცისარტყელას მკრთალი კონტური,
თუმცა ცისთვალი რა ხანია გვიმზერს მომდურლის
სველი მზერით და... იცრიცება ბოლო არილიც.

აჰ, მერამდენედ ჩურჩულებენ უკვე ჩემი და
შენი ჩრდილები თოლიაზე, ზღვაზე, პალმაზე...
უნათებთ მთვარე — მოპარული ერთ დროს ალმასი
ბაგრატოვანთა მოოჭვილი დიადემიდან.

და დიდხანს, დიდხანს ჩურჩულებენ ასე ჩრდილები,
ვიდრე ტევრები ერთიანად დაითრთვილება,
ვიდრე აისის ქუთუთოთა ნაზი ხამხამი

ციალს ალმასის დააცხრობს და დაიყოლიებს...
აწ კი უცნობი ნაპირისკენ მიაქვთ თოლიებს
ეს ღამე — ჩვენი ჯადოსნური წამოსასხამი.

გაზაფხულის ბუნიობა

(ზურმუხტის სონეტი)

ირინას

თითქოს უცხო ვარ სამშობლოში და უცხოეთის
ზეცა მხურავს და ქარი მხუთავს შარახვეტია;
მწვანე ზურმუხტი ამ ტყეების ამულეტია,
ამოუცნობი კაეშანი — ნაღდი პოეტის.

ისევ შორს არის დედულეთი... და, ვით დარაბას
ღიად დარჩენილს, აწყდებიან მწუხრის მწერები, —
წავალ და... ვიღაც ჩემს საფლავსაც მოეფერება,
წავალ და... ვიღაც გადურჩება დავიდარაბას!..

ვაგლახ! — ნაპირთან ხავსიანი გზები ოხრავენ,
დუმს ოწინარი, მოხუცივით წელში მოხრილი...
ვკითხულობ: ხანაც გალაკტიონს, ხანაც — „ულისეს...”

მომდევს ღრუბელი, დაჭერილი წვიმის ქამანდით;
დღემდე ვინახავ საიდუმლოს, შენ რომ გამანდე,
და ველი ასე ბუნიობას გაზაფხულისას.

რობერტ მესხი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უდაბნოში

(იაგუნდის სონეტი)

სხვა ოაზისის გამოჩენას უკვე არ ველი,
ხუთავს ბარხანებს დასიცხული ქარის წეზარი;
ო, იქნებ ზეცის დაფიონზე მკვდრების მზეც არი
და გამჭვირვალე ანგელოზიც — ჩემი მფარველი.

არა მწამს სიზმრის, დავიჯერე ვერცა რა ცხადის
და, რადგან ქვეყნად ყოველივე არის ამაო,
ეს შეცოდებაც მომიტევე, წმინდა მამაო,
დავიჭრი ვენებს, ვით პოეტი შეურაცხადი.

დაე, მფარველმა ანგელოზმა, თუ მოუნდება,
დააწახნაგოს გაბნეული იაგუნდები,
გაავლოს სილის უდაბნოზე სისხლის ტიხარი...

მე გავფრინდები უცხო ხმით და უცხო აურით,
სადაც ტალღები აწყდებიან ნაპირს ხმაურით,
სადაც მკვდრების მზე სამუდამოდ გადაიხარა.

გურამ ქუთათელაძე ფიროსმანი და პიკასო, 1977 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციცი
გურიელი

მარადისობაში დამარხული მზე

ნოველა

მარტია. ყინვიანი ქარი შლეგიანივით დაჰქრის ნაძვებში და წიწვებისგან დასერილი ლოყები უხურს. დღისით აჭყაპებული თოვლი ისევ იყინება ქუჩის კიდეებზე და იშვიათ გამვლელს აფრთხობს მისი ცივი სილაპლაპე.

ღამის გადატყდომამდე იზნიქებიან წელში ბებერი ნაძვები. აღარ ჩანს ცის ფერი. სხვენში მოწყობილი, პატარა ოთახის სარკმლიდან გადაჰყურებს მღვრიე ბინდში ჩაძირულ დებრენეცს ახალგაზრდა კაცი. სიცივე და უიმედო, უმოძრაო უილაჯობა თრგუნავს, ფიქრი არ ანებებს თავს. საფიქრალი კი, იცოცხლე, ბევრი აქვს: — თეატრალური დასის დაშლის შემდეგ უმუშევრად დარჩენილს მსახიობობა აუხდენელ ოცნებად დარჩა, თუმცა ღმერთისგან სულ გაწირული არ ყოფილა — ქუჩაში დარჩენილს მფარველ ანგელოზად თეატრის მოლარე, ღარიბი ქვრივი ფოვვამი გამოუჩნდა, შეიკედლა და სხვენზე ამ პატარა, ცივ ოთახში დააბინავა.

ლოგინზე მოიკუნტა. ლამპის ყვითელი შუქის ციმციმიც შეციენულივით ცახცახებდა უშპალერო კედელზე. ფიქრმა და სიმარტოვემ დაღალა. საკმაო დრო გასულიყო. სიჩუმის ფლოქვებით გადათქერილი, ყინვიანი და უმთვარო ღამე იტანჯებოდა ამბიონის ლოცვაში. უვარსკვლავობა უშლიდა ხელს იმის წარმოდგენაში, როგორ ამოცურდებოდა ცისკრის სხივებში ოქროცურვილი სიმშვიდე — ბოდლერის „სევდიანი ოაზისივით" გარინდული ახალი დღის მოლოდინში.

მაშინ, მსახიობობის ჟინით აღტკინებული, თექვსმეტი წლისა, ფეხით ჩამოვიდა პეშტში, თეატრს ადვილად მიაგნო — ძებნა არ დასჭირვებია. წვიმდა. ცხენიან-მეეტლეებინაად გაწუწული ეტლები თეატრის შენობასთან ხროვდებოდნენ, უამინდობის მიუხედავად, წარმოდგენაზე დასასწრები ხალხის რაოდენობა მატულობდა. ერთი ამისი ტოლი ბიჭი ეგებებოდა მოსულებს და, რაკიღა ეტლი გათავისუფლდებოდა, მკვირცხლად მიარბენინებდა ცხენებს თეატრის შენობის უკანა ფარდულში. წარმოდგენის დაწყების დრო ახლოვდებოდა. ხალხი ჯერ შეთხელდა, მალე კი ქუჩაში კაცისშვილის ჭაჭანებაც აღარ იყო. ნახევრად მბჟუტავი ლამპიონის ქვეშ ატუზულმა აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. ლანჩაგათხელებული ფეხსაცმლიდან სველი სიცივე უსიამოვნო ჟრიალად უძვრებოდა ძვალ-რბილში.

მერე იმ ფარდულისკენ გასწია. კოცონს მიფიცხებული მეეტლეების ხორხოცი გარეთ გამოდიოდა, მათი სილუეტები მინაზე მოცეკვავე სილუეტებად გართხმულიყვნენ. ფარდულში წეკოს, ოფლიანი ცხენების, ნაკელის და არაყის სუნით გაჟღენთილი ჰაერი იდგა. შიგნით შესულისთვის ყურადღება არავის მიუქცევია. მოძებნა ის თავისხელა ბიჭი, ცეცხლისფერთმიანი და გრძელხელება, დიდი შარვლის ფართხუნით რომ არიგებდა ჩალას ბაგაში.

— გამარჯობა, ძმობილო! — ხელი გაუწოდა, — მე შანდორი ვარ, სალკ-სენტ მარტონიდან, სალაპარაკო მაქვს შენთან!..

ბიჭმა ახედ-დახედა, ჩალა დაყარა, ხელები ფართხუნა შარვალზე ჩამოიწმინდა და, ღონივრად ჩამოართვა.

— გაგიმარჯოს! — ცოტა გაოცებული კი აფახულებდა მწვანე თვალებს, ალბათ, იმას თუ ფიქრობდა: ნეტავ, ვინ არის და რა უნდაო?.. თქმით კი ეს უთხრა: — იქით წავიდეთ, ხელს არავინ შეგვიშლის!.. — და ფარდულის კუთხისკენ გაუძღვა.

ხის გადანაჭრებზე ჩამოსხდნენ. შანდორი მოუყვა ბავშვობიდან ნალოლიავებ ოცნებაზე, მოუყვა, როგორ ჩამოვიდა დასში მუშაობის სურვილით, მაგრამ ისეთი არავინ ჰყავდა, ვინც სცენაზე მოხვედრაში დაეხმარებოდა.

ცხვირპაჭუა, ჭორფლიანმა და მწვანეთვალება ბიჭმა გულთან მიიტანა შანდორის გაჭირვება, ჩემთან ერთად იმუშავეო — შესთავაზა. დასში უცბად მოხვედრა მართლა შეუძლებელი იყო, მეტი გზაც არ ჩანდა და დათანხმდა. საღამოობით ცხენების მომვლელად მუშაობდა, დღის განმავლობაში კი გულმოდგინედ დაათრევდა სასცენო დეკორაციებს, ხშირად მოხერხებულად დაარბენინებდა ლუდით სავსე, პირზე ქაფმომდგარ კათხებს მსახიობებისთვის. როცა თეატრი იცლებოდა, ოქროსფრად აბრდღვიალებულ ბროლის ჭაღებს აქრობდნენ. ძვირფასსუნამონაპკურები ქალბატონიები აბრეშუმის შარიშურით კავალრებთან ერთად ტოვებდნენ თეატრს. კულისებშიც აღარ ისმოდა ჩამიჩუში — ეს მსახიობ ქალებს აცილებდა, მეგზურობას უწევდა უკაცრიელ ქუჩებში განუყრელ ფანაართან ერთად. გადიოდა დრო. მერე და მერე, როცა მთელმა თეატრმა გულით შეიყვარა მკვირცხლი, დაუზარელი ახალგაზრდა, რეჟისორები მისთვის მეორეხარისხოვან, უმნიშვნელო როლებსაც იმეტებდნენ, თუმცა ასეთი ბედნიერება იშვიათი ხილი იყო. თავისუფალი დრო, იცოცხლე — თავზე საყრელად ჰქონდა და ისიც რომელიმე მსახიობის საგრიმიოროში, ან გარდერობში, ან სულაც ფოგაშის სალაროში მოყუჩებული თავდავიწყებით ნერდა ლექსებს.

... ცივი ქარი წივილით აფრიალებდა ფიფქების სიმსუბუქეს კორიანტელად. ღამის გადატყდომამდე იზნიქებოდნენ წელში ბებერი ნაძვები. ღამპის ყვითელი შუქი საიდუმლო ჩრდილებად ციმციმებდა უშპალერო კედლებზე. გაყინულ ფეხის თითებს ვეღარ უთბობდა ქვრივი ფოგაშის ნაწყალობევი, ალაგ-ალაგ ჩრჩილით დაჭმული შალის პლედი. ტკინში თავისთავად ლაგდებოდნენ ნიტყვები.

იბადებოდა ლექსი ცივ, უმოძრაო უილაჯობაში და გამარჯვების რწმენას მატებდა.

დრო იყო ცუდი. მძიმე და აუტანელი...

საზღვარი აღარ ჰქონდა ჰაბსბურგების თარეშს მადიარებზე. ხალხს ყელში ჰქონდა ამოსული დამცირება. ღირსებიანმეგიბნებულ, ადამიანობაგათელილ ერს შურრისიებით აბორგებული სისხლი ავად მოღრიალე ზვირთებადქცეული ზღვას ამსგავსებდა.

ჯერ სიოს შარიშური ჩურჩულად მოედო ქუჩებს, უბნებს, მოედნებს, მერე გადაეუნთა ქალაქიდან ქალაქში და დიდ-პატარიანად ყველა რევოლუციიაზე ალაპარაკდა. ჩურჩული თანდათან ძლიერდებოდა, ხმა უბოხდებოდა და მძაფრი ბიძგებით აზანზარებდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ქვეყანას. ასეთ დროს შანდორი წერდა პატარა და მოწყენილ ოთახში, უკიდურესად გაჭირვებული. დღე დღეს მისდევდა, ხსნა არსაიდან იყო. ქირის და პურის ფულზე ფიქრმა გული გაუწვრილა. როდემდე შეიძლებოდა ქვრივს დასნეული ჩაიზე და ძეხვზე; მართალია, ქვრივი კეთილი იყო და ლუკმას უყოფდა, მაგრამ ხომ ყველაფერს აქვს საზღვარი?! ბევრი ფიქრის შემდეგ გადაწყვიტა, რეეულში შეეტანა ლექსები და „კრებული" შეეტანი ჩაეტანა გასაყიდად. თუ გაყიდდა — ფოგაშს ქირასაც გადაუხდიდა და ერთი-ორი დღით პურის ფულიც გაუჩნდებოდა, თუ არადა, ან სიცივე მოკლავდა, ან შიმშილი.

რამდენიმე დღე თავაუღებლად, გაყინული თითუბით წერდა „კრებულს"; ამ რეეულზე ამყარებდა სამომავლო გეგმებსა და იმედებს. ჩიბუხის კვამლით გაბოლილ ოთახში საღამო ხანს კეთილმა, ფაშფაშა დიასახლისმა მოუკაკუნა და ოდნავ შემტკბარი ჩაი და ყველიანი ბუტერბროდი შეაწოდა.

... ჩაის ჭიქაზე ითბობდა ხელებს... დედ-მამასთან უგემრიელეს ჩაის მიირთმევდა. განსაკუთრებული ოსტატობით იცოდა დედამ პიტნის, ასკილის, მოცვის, ანწლის, ცაცხვისა და კრაზანის ნაყენის დაყენება. მოენატრა სახლი, მშობლები. მთელი ბავშვობა ამოუტიტვიდდა — ზუსტად ახალ წელს — 1823 წლის 1 იანვარს გაუწერნია დედას, ავადმყოფობის გამო ძუძუ ვერ მიუცია და მამა, იშტვან პეტროვიჩი არ დაბნეულა — გამზრდელ ძიძად უნგრელი ქალი — კურუცი აუყვანია.

დედა, წარმოშობით სლოვაკელი, უსათნოესი, გამრჯე და სასიამოვნო გარეგნობის ქალი, არანაირ სამუშაოს არ თაკილობდა. ოჯახის სარჩენად ყველანაირ უკიდურესობაზე მიდიოდა. თუმცა მდიდარ ნათესავებთან მრეცხავად ან სახლის დასალაგებლად მისულს დაყვედრებული ლუკმა ყელში ეჩხირებოდა.

მამა ყასაბი იყო. იშტვან პეტროვიჩი მარიასთან ერთად ეწეოდა ოჯახის ჭაპანს, ნელებზე ფეხის დადგმით მიაღწიეს კიდეკე იმას, რომ სიღარიბის კლანჭებიდან თავი დაიხსნეს.

შანდორი ბავშვობიდანვე აოცებდა ყველას გონიერებით, ნიჭით და სიბეჯითით. თოთხმეტი წლისა თავისუფლად ფლობდა უნგრულის გარდა ლათინურ, გერმანულ და ფრანგულ ენებს. ყველაფერი კარგად მიდიოდა. სკოლის სრული კურსის დამთავრების შემდეგ კი ყველას გასაოცრად დაჰკრა ფეხი და ეს თითით საჩვენებელი, უნესიერესი ბავშვი სახლიდან გაიპარა, რადგან მსახიობობაზე ოცნებობდა. „უნგრეთის თეატრში" მოეწყო მსახიობად. განრისხებულმა იშტვან პეტროვიჩმა თავნებობა ძვირად დაუსვა ვაჟს და თეატრიდან ძალით წამოათარია. ამის შემდეგ ყველაფერი შეიცვალა. ის მამის ტლანქი ძალის მარწუხებში იტანჯებოდა, თავისუფალი, დამოუკიდებელი ცხოვრება სწყუროდა და აკი კიდეკე დატოვა მშობლიური სახლკარი, საკუთარი სურვილით ჯარისკაცად ჩაეწერა. ფიზიკურად სუსტმა ვერ იგუა ყაზარმული ცხოვრების

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმკაცრე. სპარტანულმა ყოფამ მალე საშინელი დაღი დაჩნინა მის ჯანმრთელობას. გახდა, გაიცრიცა, ღონე წაერთვა და სამხედრო კომისიამ უვარგისად სცნო — ჭლექით დაავადებული ჯარიდან დაითხოვეს.

ისევ ბედის ძიება. გზები, გზები, გზები... ისევ თეატრი, ისევ მარცხი... მერე ისევ ჯარი, ისევ თეატრი... დიდხანს ვერსად იკიდებდა ფეხს, ყველაფერთან ერთად საშინლად თრგუნავდა უფულობა. გახვრეტილი გროშის პატრონი არ იყო, გაცრეცილ-გახეხებული დაკემსილობები სიბრალულს იწვევდა ადამიანებში. სახლ-კარი ენატრებოდა, მაგრამ საკუთარი სიამაყე შინ დაბრუნების ნებას არ აძლევდა. სასოწარკვეთაში ჩავარდნილიც კი წერდა.

წერდა თავდავიწყებით, სველი ჯარისკაცებით გაძეძგილ, ოფლის სუნით სავსე ყაზარმის მბჟუტავ სინათლეზე.

წერდა საავადმყოფოებშიც, სადაც ჭლექით ფილტვებდახრილი ავადმყოფები სისხლიან ნახველში იხრჩობოდნენ... წერდა ყველანაირ ამინდში, მშიერი, გაყინული, ტიტველი, უიმედო და უფულო...

ბედნიერი იყო მაინც — ხელნაწერი ფურცლები დაუბეჭდავად ვრცელდებოდა ხალხში, სიმღერებად იტაცებდნენ — არც იცოდნენ ავტორის ვინაობა.

პირველი ლექსები უნგრეთის გავლენიანმა ჟურნალმა „ათენეუმმა" გამოუქვეყნა პეტროვიჩის ფსევდონიმით 1842 წელს, მერე კი უკვე ქვეყნდებოდა ფსევდონიმით „პეტეფი". მამის ნინაპრები სერბი პეტროვიჩები — უნგრულად პეტეფები ყოფილან.

ლაბაკს, უძონელსა და ავადმყოფს ცნობილი მწერლების გვერდით არც ახსენებდნენ, ცივად ეპყრობოდა საზოგადოება და ამ დამოკიდებულებით თითქოს ხაზს უსვამდა პოეტის უკიდურესად დუხჭირ მდგომარეობას. ასე ცხოვრობდა ყველასგან გარიყული, გაუხეშებული უცხოობით დაბნეული.

ფიქრები ფანჯარას მომსკდარმა თოვლიანმა ქარმა გააწყვეტინა. ის ღამე ძილ-ღვიძილში გაატარა, ვერა და ვერ გაითბო ჩონჩხად ქცეული სხეული. ბორგვა-წრიალში შემოათენდა. ადრიანად წამოხტა. ხტუნვა-ხტუნვით ჩაიცვა. ძველ პალტოში შეძვრა, ყელზე დაძენძილი კანმე შემოიხვია და ერთადერთ და უღალატო მეგობარ პაკს მიადგა. პაკი მშვენივრად იცნობდა და არც ცდილა მის შეჩერებას — უსიტყვოდ დაიტოვა შავით თეთრზე ნაწერი ვალდებულება: — „თუ შანდორ პეტეფი 45 დღის განმავლობაში არ გადაუხდის თავის დიასახლისს ბინის ქირას — 150 ფორინტს, მაშინ მე — ალბერტ პაკი, პასუხს ვაგებ ამ ფულზე".

დიდად დალხენილი არც ალბერტი იყო, ნახევარი ფორინტიც კი არ უჭყაოდა ჯიბეში, მაინც უყოყმანოდ მოუწერა ხელი ვალდებულებაზე. მერე ორივემ ერთად ჩამიიარა დებრენეცში მცხოვრები ამხანაგები.

იყო ხვევნა-კოცნა, გამომშვიდობების სევდა და უკეთესი მომავლის იმედი, არც დარიგებები მოჰკლებია, მერე გარეგნობაც დაუწუნეს — რა გიგავს შენ მგზავრისასო! — და საიდანღაც გააჩინეს ტილოს ჩანთა, რომელშიც ერთი პური, ნაჭრებად დაჭრილი ღორის ქონი ჩაუწყეს და ხელშიც დიდი ჯოხი დააჭერინეს — ვინიცობაა გზად მანანწალა ქოფაკები გადაწყდომოდნენ, ადვილად მოიგერიებდა.

ამის მერე კიდევ ერთხელ გადაეხვია ბიჭებს, ყელზე დაძენძილი კანმე შეისწორა და ფეხით დაადგა გზას პეშტისკენ.

ქარბუქი მძვინვარებდა. ფარღალალა შარვალი და ძველი პალტო ლამის ზედ შეჰყინვოდა. კუჭგამხმარი, ავადმყოფი, მაგრამ სულით გაუტეხელი ოცდაერთი წლის ახალგაზრდა მაინც ბედნიერად მიიწევდა წინ — მძვინვარე ქარბუქში მკერდს ლექსების რვეული უთბობდა. ალაგ-ალაგ თოვლით დაფარულ ყინულებზე უსხლტებოდა ფეხი, წაქცეული დგებოდა, ისევ იქცეოდა, მაინც მიიწევდა წინ... მიიწევდა იმ იმედით, რომ დაიბრუნებდა ბედნიერ გაზაფხულებს. ლაჟვარდისფერი ოცნების წვიმად ჩამოეღვრებოდა სიცოცხლის თაღებს სინამდვილედ ქცეული ნატვრა.

მის მბერძოლ სულს ფარ-ხმალის დაყრა არ სურდა. გზად შემხვედრ დუქნებში ცოტას დაისვენებდა, ბიჭების გამოტანებულ საგზალს — ღორის ქონს გალოღნიდა, ცოტა თვალსაც მოატყუებდა, მერე მოსულიერებულ-გამძოძინებული ისევ თოვლის კორიანტელს შეერეოდა.

ასე წვალებით ჩავიდა პეშტში. თუმცა აქაც დიდად არავის სჭირდებოდა ჩამოფლეთილი, სიღარიბის ელჩივით მოარული მსახიობი კაცი. როცა ყველა იმედი გადაეწურა, გადაწყვიტა, უკიდურესობისთვის მიემართა — პირდაპირ შესულიყო უნგრეთში ცნობილ, სახელგანთქმულ პოეტ ვერეშმარტისთან.

ვერეშმარტი გულისყურით მოეკიდა პეტეფის გასაჭირს. აღფრთოვანებული შესცქეროდა მის ანთებულ თვალებს, და გრძნობდა, როგორი დამანგრეველი ძალის ქარიშხალი ბობოქრობდა ჭაბუკი პოეტის გულში, ეჭვი არ იყო — იქიდან უიმედო პასუხით არ უნდა გამოსულიყო. მართლაც — ვერეშმარტი მიხაილ გადაწყვიტა, რაიმე საქველმოქმედო აქციით გადაერჩინა წყალნაღები ბიჭი. სულ რამდენიმე დღის შემდეგ საზოგადოება „ეროვნული წრის" კრებაზე გაიტანა პოეტის საკითხი. მისი ბედი დახურულ კრებას უნდა გადაეწყვიტა. პეტეფი ნერვულად დადიოდა წინ და უკან, დერეფანში ვეღარ ეტეოდა, ვერ ნარმოედგინა, მეწარმეებს და ხელოსნებს მისთვის რამის გაკეთება თუ შეეძლოთ. სხდომა დიდხანს მიმდინარეობდა. მოთმინებადაკარგულმა, კარის ჭუჭრუტანიდან შევიჭყიტებიო, გადაწყვიტა. იმისთანა კამათი იყო, რომ იქაურობის ბული ასდიოდა. ბოლოს ერთ-ერთი წამოდგა და გამოაცხადა: — მკერავი გამპარ ტოტი! — მან ჯიბიდან სამოცი ფორინტი ამოიღო და მაგიდაზე დადო. — ამ ფულს წიგნის გამოსაცემად ვიძლევი!

მერე სხვა მეწარმეებიც შეიშმუშნენ, აწრიალდნენ, ჯიბეებიდან სქელი საფულეები ამოაძვრინეს, სულ ტკიცინ-ტკიცინა ფორინტები ამოაფრიალეს და მალე მაგიდაზე ფულის გროვა გაჩნდა. კარზე გასაღების ჭრილს მიკრული თვალს არ უჯერებდა; როცა ვერეშმარტი წამოდგა და კარისკენ გამოემართა, გული ლამის საგულედან ამოუვარდა.

დერეფანში გამოსული ვერეშმარტი გულიანად გადაეხვია აცახცახებულ პეტეფის, წრემაც დიდი ზეიმით გადასცა ფული, ბედნიერების ცრემლი უბრწყინავდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალზე... იმ დღესვე 150 ფორინტი სასწრაფოდ გაუგზავნა დებრენეცში ალბერტ პაკს — ქვრივი დიასახლისისთვის ბინის ქირის გადასახდელად. მწუხარება სიხარულმა შეუცვალა. მალე ლექსების კრებული გამოსცა, წიგნი ისე აიტაცა საზოგადოებამ და ისეთი ხმაურიანი გამოდგა — რაღა მეხი გავარდნილიყოს...

მაგრამ ლექსებს მდევნელებიც გამოუჩნდნენ, ვერაფრით ეგუებოდნენ პეტეფის პოეტურ ასპარეზზე გამოსვლას, ეს არ იყო უბრალო მოსვლა — ლიტერატურულ წრეებში, სალონებში და, თქვენ წარმოიდგინეთ, სასაუზმეებშიც კი განიხილავდნენ და იზეპირებდნენ მის ლექსებს.

ათას რვაას ოთხმოცდახუთის ზამთრის მიწურულს, როცა ნაზამთრალი, გრძნობაგაუხეშებული ბუნება სველი სინელდით ელამეზება საგაზაფხულოდ მოცახცახე ალვებს — ბედნიერება ეწვია. ერთ-ერთ სალიტერატურო სალონში მისი ლექსების თაყვანისმცემლებს პოეზიის საღამო მოეწყოთ.

კუთხის მაგიდასთან სიფრიფანა, თეთრი, ნუშისთვალება ქალიშვილი იჯდა, ხელში მისი კრებული ეჭირა და ეღიმოდა. ეს ანგელოზივით გოგონა — მდიდარი ბარონის ქალიშვილი ბერტა მედნინსკაია აღმოჩნდა. გაცნობისას ხელი უთრთოდა, თვალები უბრწყინავდა.

ნაზი, სალონური ფლირტი სერიოზულ გრძნობაში გადაიზარდა. ერთმანეთს ჩუმად ხვდებოდნენ. შანდორი ეტლით ჩადიოდა გიოდიოლაში, სადაც ბერტა ცხოვრობდა. სეირნობდნენ ვარდების ხეივანში, იყო საუბრები პოეზიაზე, სიყვარულზე, სიცოცხლეზე...

აბრეშუმის კაბის შარიშურით და ვარდების შეუდარებელი სურნელით გაბრუებული შანდორი უფრო და უფრო ღრმად ეშვებოდა თავდავიწყების მორევში. მორიდებით გაკეთებული ხელკავი ცეცხლს უკიდებდა. გრძნობით გათანგული სანუკვარი ქალის ჩახუტება სწყიოდა. სურდა, თავი ჩაერგო მის ქათქათა, სინორჩით მფშვინავ დეკოლტეში და გარინდულიყო. თავდავიწყებამდე შეყვარებული ზედიზედ წერდა ლექსებს. პეშტსა და გიოდიოლას შორის წინ და უკან სიარულისას იქმნებოდა უმშვენიერესი სტრიქონები, რომელსაც შემდგომ „სიყვარულის მარგალიტების ციკლი" უწოდა.

კვირა დღე ახლოვდებოდა. ამ შეხვედრაზე ბერტასთვის ხელი უნდა ეთხოვა.

პაპანაქაცხა სიცხე ბუღად ადენილი მიჰყვებოდა ღორღიან გზაზე რახრახით მიმავალ ეტლს, რომელშიც სატრფოსთან შეხვედრის სიხარულით ატაცებული პეტეფი იჯდა. დროდადრო ცხვირსახოცით იმშრალებდა სახეს. გზა მეჩხერ ტყეზე გადიოდა. ჭრიჭინების ჭრიჭინი გულისგამაწვრილებელ ფონად გასდევდა ეტლის ბორბლების რახუნს.

როგორც იქნა, გაილია მტვრიანი შარა და გამოჩნდა ბარონის მამული მთელი თავისი დიდებულებით. ეტლი ვარდების ხეივანთან გაჩერდა. ის იყო, ეტლიდან გადმოვიდა, რომ ხეივნიდან ბერტას მოსამსახურე კატრინა გამოძვრა და მოახსენა, ქალბატონი მამასთან ერთად პეშტში წავიდა და ბატონ პოეტს დაუბარა, არ ვიცი როდის დაკბრუნდებიო.

ეს ამბავი კარგად არ ენიშნა. გამშრალ-გოაცებული და გულდამძიმებული დაბრუნდა უკან. აქეთობისას გზა საშინლად აუტანელი გამოდგა. ხეებიც კი აღარ ეჩვენებოდა ისეთი ლამაზი, თითქოს სიმწვანესაც დაჰკარგოდა ფერი და გამოხუნებული ფოთლები ისეთი სიხასხასიათ ვეღარ გამოიყურებოდნენ. ახლაღა იგრძნო, როგორი ალხიანი ალმურმოდებით და მეტისმეტად ბინიერი უბრალოებით უახლოვდებოდნენ აგვისტოს დღეები ფერიგაცვლებას.

გიოდიოლაში აღარც ჩასულა. მერე წერილობით გაუგზავნა ბერტას მამას მოკრძალებული თხოვნა — მისთვის ქალიშვილი მიეთხოვებინა. პასუხი მოკლე, გულისსმომკვლელი და შეურაცხმყოფელი იყო — „არც მსახიობს და არც პოეტს ქალიშვილს არ მივათხოვებ. ამის ნებას ჩემი წინაპრები არ მაძლევენ!"

სატრფომაც სხვისი პირით შეუთვალა უარი. გაოგნებულს ვერ გაეგო, რას ნიშნავდა ის სინაზე, იმ ტკბილი ამბორის გემო ტუჩებზე? დაპირებები, დაპირებები... თითქოს სიცოცხლე მხოლოდ მასთან უნდოდა, თაფლივით ჩამტკბარი ეკვროდა, ცახცახით ეუბნებოდა მიყვარხარო!..

საშინელ ტკივილს გრძნობდა. თითქოს მუსტანგებს დაეფლითათ ველური სიგიჟით სული და ნაფლოქვარებიდან სისხლი სდიოდა... დაცარიელდა. ცხოვრება ცხოვრებას აღარ ჰგავდა, ისევ ლექსებში ეძებდა შვებას — მწარე ირონიით აღნერდა უნგრელ არისტოკრატთა ცხოვრებას. კრიტიკა აუჯანყდა. დაიწყო დევნა, შევინრობა, მშობლიური ადგილებიდანაც მეხის გავარდნასავით მოუვიდა — ისედაც გაკოტრებული ოჯახის ავლა-დიდება ადიდებულ დუნაის გაუტაცია. ბევრი მეგობარი განზე გაუდგა, ზურგი აქცია... საშინელ დღეში ჩავარდა. ისევ ძიება, ისევ ყველაფრის ახლიდან დაწყება. პოლიცია თვალს არ აშორებდა, გამომცემლობამაც უარი განუცხადა ჟურნალის გამოცემაზე. მეტი გზა არ იყო, სადმე უნდა გაერიდებინა თავი, დამალვოდა რეაქციონერებს და ნადკاროინი წასვლა გადაწყვიტა.

საცხოვრებლად ერთ სუფთა, მყუდრო და იაფ სასტუმროში მოეწყო, აუცილებლად სჭირდებოდა მშვიდი გარემო, რაღაც სხვა, ახალი და უცხო. ოთახის აივანი ქუჩის გადაღმა ლამაზ ბაღს გადაჰყურებდა. იდგა 1846 წლის 6 სექტემბერი. შანდორი აივანზე იჯდა. დახუთულ ჰაერს ბაღიდან მონაბერი ნიავი ებრძოდა. ის თან მოეკიდა მკერდს იგრილებდა, თან მზერას ირთობდა ბაღში მოსეირნეების თვალიერებით. ერთ-ერთ სკამზე ჩამომჯდარ ულამაზეს ქალიშვილს მოჰკრა თვალი. შანდორი სუნთქვაშეკერული წამოდგა, სასტუმროს კიბე ჩაირბინა და აფორიაქებული ბაღში შევიდა. ქალიშვილის სილამაზემ თითქოს ბურანიდან გამოაფხიზლაო, ისევ იგრძნო ძარღვებში ძალუმად სისხლის ჩქერაილი. გული საგულეს აღარ ჰქონდა. აი, მაშინ კი უთხრა თავს, რომ ის ცოცხალია და რომ სამყარო ნამდვილად არსებობს! ქალიშვილი მასთან შედარებით მთლად ბავშვი იყო. ყველაფერზე ეტყობოდა, შეძლებული ოჯახის შვილი უნდა ყოფილიყო. ოცდასამი წლის ჭაბუკს არ გაძნელებია თვრამეტი წლის იულია სენდრეის გაცნობა, რომელიც გრაფის მამულების მოურავის — იგნაც

სენდრეის — ქალიშვილი აღმოჩნდა.

იულიას ბავშვურად აღაფრთოვანებდა ის, რომ პოეტის მუზად იქცა. მათი სიყვარულის ამბავი თანდათან მოედო ქალაქს და მშვენიერი იულიას მამის ყურამდეც მივიდა. იგნაც სენდრეი სიბრაზისგან ცოფებს ყრიდა. მამას იმედი ჰქონდა, რომ ეს მისი ნებიერი ასულის მხოლოდ გატაცება იყო. იმის გაფიქრებაზეც კი ძრწოდა, რომ პეტეფი მისი ქალიშვილის მეუღლე უნდა გამხდარიყო, ღმერთს ეხვენებოდა — ქალიშვილი გადამრჩინეო!

მშვენიერი იულია კი დაკეკლუცოობდა თავისი წრის ხალხში და ცნობილი პოეტის შეყვარებულის ტიტული ერთობ პატივმოყვარული გრძნობებით ავსებდა. გული ჩიტივით შეუფრთხიალდებოდა, როცა საპაქარლამოში ნუგბარის საყიდლად შესულს, მკერავთან ან სულაც ბაღში მოსეირნეს ზურგს უკან ესმოდა ჟრუანტელის მომგვრელი ჩურჩული: — „შეხედეთ, შეხედეთ, ეს ხომ ის არის — პეტეფის მუზა, მშვენიერი იულია!" აი, მაშინ უნდა გენახათ, რა სიამაყით ივსებოდა — ლოყები აეფაკლებოდა, ცხვირს აიბზეკდა, რას არ გაიღებდა, რომ ხალხის ყურადღება მიეპყრო, რაც შეიძლება დიდხანს ყოფილიყო საზოგადოების მაღალ ფენებში საუბრის და ჭორაობის მიზეზი.

„რა საუცხოოა — იყო პოეტის ოცნება, აღაფრთოვანებდე, შთააგონებდე მას და დარჩე წარსულის ბრწყინვალე შარავანდედში" — ჩაუწერია იულიას დღიურებში. გამძვინვარებული მამა ვერაფერს უხერხებდა თავნება ქალიშვილს. მათზე ყველგან და ყველა ლაპარაკობდა. ქორწინებას ქალაქი მოუსვენარი მოლოდინით ელოდა. მართლაც, ამ ურთიერთობის რაღაც ათიოდე თვის თავზე — 1847 წლის 5 აგვისტოს გამოქვეყნდა განცხადებები ნიშნობის შესახებ, რასაც 8 სექტემბერს ქორწილიც მოჰყვა.

სენდრეის ოჯახიდან ეკლესიაში მხოლოდ დედა და და მივიდნენ. ისინი ძვირფასი ტანსაცმლით და მბრწყინავი სამკაულებით მკვეთრად გამოირჩეოდნენ დანარჩენი სტუმრებისგან. გაბრაზებულმა მამამ წყვილს გაბედნიერება არ მიუღოცა.

იულია მეცხრე ცაზე იყო. თეთრი პირბადიდან გამოკრთოდა ბედნიერებით მბრწყინავი თვალების ნაპერწკალი. ულვაშნაკეპილი, ძვალტყავა შანდორი დიდი გულმოდგინებით ცდილობდა ჯვრისწერის რიტუალისთვის შესაფერისი სერიოზულობით მოქცეულიყო. ნიავს შორს მიჰქონდა ერდიოდის სასახლის სამლოცველოში ჩამოკრული ზარების ხმა. ყველაფერი ისეთი ლამაზი იყო, ისეთი გამორჩეული... ცერემონიალის დამთავრებისთანავე პეტეფიმ ხელში აიტაცა საყვარელი, საოცნებო პანაწინა მეუღლე და ციმციმ ჩააბრძანა ულამაზესი ყვავილნნულებით მორთულ ეტლში. მან წინასწარ იზრუნა თაფლობის თვეზე — ერთ-ერთი მეგობრის საქორწინო საჩუქარს — სახლს სოფელ კოლტოსში სიურპრიზად უნახავდა საოცნებო ქალს. ახალჯვარდაწერილი ბუხრიან ოთახში ტკბილეული, ათასი ნუგბარით და საუკეთესო ღვინით დამშვენებული სუფრა ელოდათ.

ერთმანეთს ჩახუტებული წყვილი ყვავილებით დახუნძლულმა ეტლმა სახლს რომ მიაყენა, ეზოში უკვე ელოდნენ. ცეკვა-თამაშით და სიმღერებით გამოეგებნენ. ულოცავდნენ და კოცნიდნენ: მალე ყველა გაიკრიფა და მარტონი აღმოჩნდნენ სანთლებით გადაბრდღვიალებულ ოთახებში, სადაც სანოვაგით დატვირთული მაგიდა და სიყვარულის დაგვირგვინების მომლოდინე უშველებელი, ფითქინა და ფაფუკი საწოლი ელოდათ...

შანდორს ღრმა, მხურვალე სიყვარულით უყვარდა იულია. უძღვნიდა ულამაზეს ლექსებს. სიყვარულით გაბრუებულებმა ვერც კი გაიგეს, როგორ გაილია დრო, თაფლის ქილასავით ამოთავდა თაფლობისთვე, ამასობაში კი ქვეყანას რევოლუცია უახლოვდებოდა.

ბარიკადებაღმართული ქალაქი სისხლიანი ქუჩებით ელოდა იმედიან მომავალს. შანდორი უკვე ძალიან შეუძლოდ გრძნობდა თავს, ჩუმი სიცხე თანგავდა, თითქოს ფილტვებს რაღაც უჭამდა, მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც ბარიკადებზე დაბობღავდა, ახალგაზრდობა მასში რევოლუციის პოეტს ხედავდა. გამარჯვების რწმენამ დაანერინა „ეროვნული სიმღერა". ხან რომელ ბარიკადზე ეგებებოდნენ ჟივილ-ხივილით, ხან რომელზე, იულია კი იჯდა და ელოდა. აღიზიანებდა სიმარტოვე, არეულობა ქვეყანაში. ვეღარ ეგუებოდა იმ ამბავს, რომ ახლა ქვეყნის ბედი და რევოლუციური ამბები იყო უმთავრესი თემა. აღარც სალოსური საღამოები, აღარც შეხვედრები — ვიღას ახსოვდა კეკლუცი იულია, საკუთარი ქმარიც კი დღე და ღამ ბარიკადებზე დაბღოტიალებდა ან სტამბაში გარბოდა, სახლი აღარც კი ახსოვდა. მართალია, რევოლუციურმა არმიამ მტერი დაამარცხა, მოვლენები მაინც სწრაფად და გასაოცრად იცვლებოდა. ავსტრიის მონარქმა ნიკოლოზ პირველს სთხოვა დახმარება. რუსი იმპერატორი განაფფული იყო პოლონელი და კაკკასიელი მცირე ერების დამონებაში და არც ავსტრიელი მონარქი გაუწბილებია.

ეროვნული თავისუფლებისთვის ბრძოლაში ეროვნული უმცირესობები, ხორვატები და სლავები ერთსულოვნად ედგნენ გვერდში უნგრელებს. ავსტრიელებმა გაიძვერობას მიმართეს, იმდენი მოახერხეს, რომ სლავები მადიარების წინააღმდეგ აამხედრეს. ცბიერმა ნიკოლოზ პირველმა, ვითომდა მოძმე სლავების დახმარების მიზნით აჯანყების ჩასაქრობად ფელდმარშალ პასკევიჩის არმია გააგზავნა. ღმერთის წყრომასავით მაშინ ჩამოუსწრეს, როცა უნგრელები ავსტრიის ჯარს ამარცხებდნენ და ბუდაპეშტი ისევ ჰაბსბურგებმა დაიპყრეს.

... ისევ დამარცხება. საშინელი განცდა იყო, მაგრამ იმედი?! — იმედი არ კვდებოდა! ხსნა საიდანმე უნდა გამოჩენილიყო! და მართლაც, რევოლუციაში მონაწილე პოლონელმა არტილერიის გენერალმა ბემმა შეძლო, თავი მოეყარა გაბნეული არმიისთვის. რკინი ღირსეული წინამძღოლი გამოჩნდა, ახლა მის ნიშანსღა ელოდნენ.

როცა ბემმა პეტეფი პირადად გაიცნო, პირდაპირ აღფრთოვანდა მისი პიროვნებით, პოეზიით, პატრიოტიზმით... უკიდურესად უფრთხილდებოდა მის გამოჩენას ფრონტის წინა ხაზზე, მაგრამ პეტეფი თავისი ცხენით იქ ჩნდებოდა, სადაც ყველაზე ძალიან ჭირდა...

ერთხელ, როცა მონინააღმდეგე ბანაკები „ის-

ვენებდნენ" — რაც ახალი იერიშისთვის მზადებას ნიშნავდა — პეტეფი ბემმთან ერთად ყაზარმაში იჯდა, საყვარელ ჩიბუხს აბოლებდა და მომავალი საბრძოლო მოქმედების ნიუანსებს არჩევდა — იულიას ბარათი გადასცეს: — „ვნუხვარ, ძვირფასო! შეტყობინებაა სალკ-სენტ-მარტინიდან, რომ ტიფით ავადმყოფ მამაშენს შენი ნახვა მოუთხოვია. დღესვე უნდა გაემგზავრო. შენი იულია".

აჩქარებით გამოემშვიდობა მეგობრებს. იულიას უკვე გამზადებული ჰქონდა სამგზავრო ჩანთა, საგზალი, სახლთან კი ეტლი ელოდა.

მარტის თვის ცივი ქარი ზუზუნებდა, ძვალ-რბილში უძვრებოდა და უსიამოვნოდ აყრიალებდა. „უნდა ჩავუსწრო, უნდა ჩავუსწრო..." ბორბლების ხმაურს უერთდებოდა ფიქრი. საღამოხანს ჩავიდა სალკ-სენტ-მარტინში. პარმაღზე გაცრეცილი დედის აჩრდილი გამოეგება. გაოცებული, შიშით გაფართოებული თვალებით შესცქეროდა დედას. ძლივს იცნო საწოლში ჩაკარგული მამა. სადღაც გამქრალიყო ჯან-ღონით სავსე კაცი. შუბლზე ნიალვრად ჩამოსდიოდა ოფლი, მის ბებერ თვალებში აღარ კეკესავდა სიცისფრე, თითქოს ღიღილოები ჩათრთვილულიყვნენ ფოსოებში. ლოგინში გულწრფელობაში ჩანავლებული სიჯიუტე ფეთქავდა სინდისის ქენჯნად. შანდორმა შეანჯღრია: — რას დაგიკარგავს იმედი, ისევ წამოდგებიო!..

— იმედი?!. უფერულია იმედი!.. — ამოიჩურჩულეს ტუჩებმა, ღიღილოსფრად ჩათრთვილული თვალებიდან კი გაცრეცილი მოწყენა იყურებოდა.

მამა 1849 წლის 21 მარტს გარდაიცვალა. ცხედარი საგვარეულო სასაფლაოზე დაკრძალეს.

ციოდა. გათხრილ საფლავში შავად პირდაღებული სიცარიელე იცდიდა. ნოტიო ბელტები მძიმე ბრგანუნით ავსებდნენ სამარეს... ღიღილოსფრად ჩათრთვილული, მკვდარი თვალების სიცისფრე ედგა თვალწინ... უცნაურად აყრიალებდა. ძვლების მტვრევა და ციება ეწყებოდა. გადაწყვიტა დედასთან დარჩენილიყო. ავადმყოფობამ ერთიანად მოკუნტა და კიდევაც ჩაანვინა.

დედა გულმოდგინედ უვლიდა. ორიოდე კვირაზე მეტხანს ვერ გაჩერდა მაინც ლოგინში. ამბები მოსდიოდა ბემმის არმიაზე და გული იქით მიუნევდა, მაგრამ არც დედა ემეტებოდა დასატოვებლად. მარიაც ძლიერ სისუსტეს უჩიოდა.

ქვეყანაში გაზაფხული ზლიდა ფრთებს. ძალიან უყვარდა წელიწადის ეს დრო. აღფრთოვანებული შეჰყურებდა ბუნების ცვლილებას და რტოებზე ტკივილიანი გადასკდომის სიხარულს ზეიმობდა... შორს ცაზე მოჩანდნენ სამშობლოში დაბრუნებული წეროები, რომლებსაც ნისკარტებით მოჰქონდათ დაუნერელი ნერილების სუფთა ფურცლებივით ჟინი გადმოფრენისა. უხაროდა, მაგრამ გარემოს გაფურჩქნასთან ერთად მისი ავადმყოფობაც ძლიერდებოდა, თითქოს ათასი ჭია ერთად ხრავდა, ბეჭები ეწვოდა, ხველა მატულობდა, თავბრუ ეხვეოდა და ხელისუგლებიც ერთთავად ოფლიანი ჰქონდა.

გაზაფხული იდგა, ცხოვრებაში კი კვლავ ფერშეცვლილი გაცრეცილობით მიედინებოდა მარადისობის მდინარე... ავისმომასწავებელი ყრანტალით ირეოდნენ ეზოს თავზე ყვავები... გრძნობდა, რაღაც ხდებოდა მის თავს და არც შემცდარა, — 17 მაისს ქოლერაშეყრილი მარია გარდაიცვალა. მამის გვერდით დააასაფლავა დედა. ნაავადმყოფარი, ამდენი უბედურებით შერყეული და გამოფიტული დაუბრუნდა ბემმის არმიას, რომელიც გადამწყვეტი ბრძოლისთვის ემზადებოდა.

თენდებოდა 1849 წლის 31 ივლისი. პეტეფი ხედავდა, როგორ ხვდებოდა ყელგამოღადრული განთიადი ამაოების ფეხით გათელილ დაფნის გვირგვინებს.

შეგეშვარის ველზე გამაყრუებლად და ავისმომასწავებლად გრუხუნებდნენ ზარბაზნები...

შეტევაზე გადასულ, ძალამკრებილ მადიარებს ძილგატეხილი პეტეფიც შეუერთდა.

ილვრებოდა სისხლი. ობლად დარჩენილი ბავშვების ცრემლივით სუფთა სახეები მოლივლივებდნენ სისხლის მდინარეში.

ზურგიდან წამოსულმა ცხენოსანმა კაზაკებმა საბოლოოდ გატეხეს მადიარები. პეტეფი, ერთიანად ოფლში გაწუნული თავდაუზოგავად იბრძოდა. უცებ მკერდში საშინელი ტკივილი იგრძნო... თითქოს ჭრილობაში უშველებელი კოცონი გიზგიზებსო, ისე ეწვოდა შიგნეული... თვალგაშტერებული აჰყურებდა ცას... ჰაერი აღარ ჰყოფნიდა ჭლექიან ფილტვებს... თითქოს ცის ფერის დამახსოვრება უნდოდა, მაგრამ თვალები ეხუჭებოდა, ეცრემლებოდა...

დროის შეგრძნებადაკარგულმა იგრძნო, როგორ ხვეტავდნენ დახოცილ მადიარებს და უშველებელ, შავად ხახადაღებულ უზარმაზარ საფლაში ყრიდნენ.

სულთმობრძავს მხოლოდ მაშინ შეეშინდა, როცა ისიც იქით გადაუძახეს და ზემოდანაც მკვდრები დააყარეს...

გამხმარ პირში ჩასდიოდა მიწასთან ერთად აზელილი სისხლი.

თანდათან შავდებოდა მისი მზე და აზროვნებას მტანჯავ ბურთად დაცობოდა ბინძური ღალატით გათელილი ერთგულება...

მაინც უსაზღვროდ ბედნიერი იყო.

საკუთარ ხალხთან ერთად იმარხებოდა ქვეყნისთვის ზვარაკად შეწირული...

შავდებოდა მისი წილი მეწამულისფერი მზე...

ნელ-ნელა უამდებოდა ჭრილობა...

ცოცხლადდამარხულს იმქვეყნიურობისკენ გადასასვლელი ბილიკით ოქროსფერი თავთუხებით განათებულ მინდორზე ხელგაშლილი მამა ისევ ძველებური სიცისფრით ანთებული თვალებით ელოდა...

იქით მიდიოდა და გაუბედურებული სამშობლოს ხვალინდელი დღის დარდი რჩებოდა...

თანდათან დაბნელდა. უკვე შავი მზე ჩაჰყურებდა მარადისობაში გარდამავალი პოეტის თვალებში გაყინნულ იმედს...

შეგეშვარის მხრჩოლავ ველზე კი აკანკალებული, წაბლისფერი ცხენი განნირული ჭიხვინით ამაოდ დაეძებდა საყვარელ პატრონს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგდა ყოტრიკაძე

ჩივა

ყბა ღვინის თასივით უჭირავს ხელში და ეუბნება:

— ჩაიგდე ხმა, იდიოტო!

— რა გინდა? თუ დალიე, შეირგე!

— რა?

— შენი დედა!..

წყვილი სილა და აურზაური, შიში, კრძალვა, და უთქმელობა, დუმილი, მხოლოდ დუმილი.

— ყორაღად იყავი, დეიდა ჩივა. ახლა გმართებს გაძლება და სიმტკიცე.

გულმოსული ტირილი აბრუებს იქაურობას. დუდღუნებენ მამაკაცები, ცვედანი ხარები, ჩურჩულით ყვებიან იმაზე, თუ როგორ მოხდა ყოველივე:

ჩხუბი, სმა და აყალმაყალი. გადაზულუქება და გადათრობა, ბახუსი, ვნების ჭირვეულობა. სისხლის მატება და წყურვილი... ძარღვიანი შიმშილი.

ფლირტი, კარტი, ნაგება, მოგება

კარტი — ნაგება,

ფლირტი — მოგება

კარტი — მოგება

ფლირტი — ნაგება

ეს არის ცხოვრება... ნაგება-მოგება.

კარგია, როდესაც საინტერესო ცხოვრება გაქვს და სიკვდილიც მას დაემსგავსება. უნდა გაგიმართლოს, რომ ისე მოკვდე, ყველა აალაპარაკო, ააყეფო... ან, სულ ცოტა, აატირო მაინც. ცხოვრება მელოდიას ჰგავს. ისეთია, როგორსაც დავწერთ ან უკვე დაგვიწერია. დაბადების წამიდან ვმწერლობთ და ვასწორებთ, მერე ისევ ვუბრუნდებით ძველს, მერე ისევ ვასწორებთ და ასე გარბის ხოლმე 50 წელი, სულ რაღაც 50 წელი. მივხვდებით, რომ გვიჭირს სიარული, სახსრებიც გვაწუხებს და მალებში მარილები გვეჩხირება, წნევა გვინევს, ფეხები გვისივდება. ჰაერი ძველებურად ველარ ავსებს ფილტვებს.

ჩივა კდემამოსილი ქალბატონია, ნაქარგებიან კაბაში გამოწყობილი, რეცხვისგან დამდნარი მკლავებით და კარგად დატკიცინებული მომცრო საყელოთი. გონიერი ძაღლის თვალებით, ჩამუქებული ქუთუთოებით, დაღლილი კისრით, დაბალი ხარისხის კბილების ხიდით და ხელში წიგნით. ეს სანდომიანი დედაქალი მუდმივად საფიქრალშია, თან საქმეს უნაცვლებს და ერთთავად დაკავებულია. კიბე-ნაოჭები ჭრიან სახეს. იშვიათი, კოხტად გადავარცხნილი და დაჩოქილი ცხვარივით ბოლომოკეცილი თმა. ნახარში ხორცივით დაპატარავებული მხრები, გეგონებათ, ძალა აღარ აქვთო. ბურთივით ჩამრგვალებული კეფა, ფეხებში მილსადენებივით ჩალაგებული ძარღვებით. მკერდი კუნთში ჩაჩუტული. გაწვდილი ხელები, შიშველი ხელები.

ატირებული დედა, უშვილობა... გაუსაძლისი ტკივილი.

არია კარგი ბიჭია, არავის არაფერს უშავებს, მუშაობს, შრომობს, არჩენს, ხელს აფარებს, არ ქურდობს, არ ვაჭრობს, წამალს არ იკეთებს, არ...

მისი უმცროსი ძმა, — უნდილა უსაქმურია, ცოტას იკეთებს, ცოტას სვამს, ცოტას აშავებს, კიდეც სნავლობს, კიდეც ცხოვრობს...

დედა არ არის ბედნიერი, დედას ძალიან უჭირს, შეეგუოს ამგვარ ყოფას, არც არია მოსწონს თავისი ცხოვრებით და არც უნდილა გულღვარძლიანი.

ერთმანეთი ზღვაზე გაიცნეს, სიგიჟემდე უყვარდათ, უნდოდათ დღის და ღამის გაყოფა, ესურვილებოდათ, ენატრებოდათ, სჯეროდათ და სწამდათ. ავსებდნენ ერთმანეთს.

გოგონა კონკიას ეტლს დაემსგავსა, გაიბერა, გაიბერა და გეგონებოდათ, გასკდებაო, დაბადა ტყუპი გოგონები. შეიესო ოჯახი, ლამაზად და ხალისიანად. გაჭირვება — უღვთო და დაუნდობელი — ჩაერია, აჭორა იქაურობა და აზილა. გოგონა ბიჭისთვის ისევე გაცივდა, როგორც ბიჭი გოგონასთვის. სიცივე გამეფდა, თოვლის დედოფლის გული გაიზარდა და გაიესო. კი და არა. ერთმანეთს შეხვდნენ, გაისაუბრეს, მოითათბირეს, გადაწყდა, რომ მამას უნდა ერჩინა ოჯახი. ბევრი ეძებეს, დიდი მისთვის პატარა აღმოჩნდა, და აირჩია ცუდში ყველაზე უარესი. წავიდა დარაჯად ბორდელში — იმ ალაგას სცოდავდნენ არა მარტო ქალები, გოგონები და მდედრები, არამედ მამაკაცები, კაცები და მამრებიც. ანაწყენებდნენ ღმერთს.

მოკიდა ქეჩოში ხელი, სახე გაულამაზა, ცხვირი დაუმუხრუჭა, ბილები გაუმეჩხერა ყანაში ნახეკრად აღებული მოსავალივით. ქამარი დარაჯაცუნა, დაიფურთხა და გაიფიქრა: „ღმერთო, მაპატიე", მაგრამ მე აქ სხვაგვარად გამანადგურებენ.

— გამარჯობა, ჯანი!

— გამარჯობა, ზარა!

— როგორა ხარ!

— ვარ რა, რა ამბავია? ბოზობენ?

— ჰა, ჰა!

— მაგათი დედა, შეხედე, როგორ დათვრა, გამტყვრალია და გადახდა არ უნდა.

●

— ჯანი, მიშველე, ფულს არ იხდის!

— მოვალ, მოვალ. ეჰ, ნეტავ, ჩემი გოგონები რას შვებიან, — გაიფიქრა ბიჭმა და დანაღვლიანდა.

— არ გადავიხდი, მყვლეფთ, თქვენი?

— გამარჯობა! რა ხდება?

— იცი რა, ძმაო, ეხლა არ მაქვს და ხვალ მოვიტან!

— თავი დახარა, თვალებით თითქოს ფეხსაცმელებს იხდიდა, ისე ანერვიულდა.

— ხვალ რვაზე გელოდები, იცოდე!

— კარგი, ძმა ხარ!

ეჰ, ჩემებს, ალბათ, სძინავთ, მაგრამ როგორ ახერხებს ნუციკო, რომ სულ გალვიძებული მხვდება, დილის ხუთ ან ექვს საათზეც კი. ვუყვარვარ. ბედნიერებაა, როდესაც ასე ვინმეს უყვარხარ და იცი, რომ მუდმივად ასე იქნება მანამ, სანამ საერთოდაც იარსებებს. არა, ჩვენ რაღაცები არ გვესმის ერთმანეთისა, ქალია და იმიტომ, მაგრამ არ ჰგავს სხვებს. ცოტა ქალია და ბევრი საყვარელი, ბევრი დედა, ბევრი მეუღლე. როგორ მომენატრა...

ნეტავ, რატომ ვუყვარვარ? რა მოსწონს ჩემში? მაინც ვუყვარვარ. გაცნობიერებული გრძნობა უბრალოდ ლტოლვაა, თავდაპირველად სიყვარულს ქმნის შთაბეჭდილება, მერე ურთიერთობა, ბოლოს კი წვალება, ერთი ულელი.

მიჰყავს გლეხს ხარ-კამეჩი, ხან ხარი ეხმარება ტვირთის ზიდვაში, ხანაც კამეჩი. მძიმედ მიდიან. თავდაპირველად უფრო უჭირთ, სანამ ფეხს არ აუწყობენ. ერთმანეთს ეჯახებიან კიდეც, მერე კი, როდესაც რიტმი რიტმს ემსგავსება, უკვე იოლდება სიმძიმის ტარება.

დღეები ერთმანეთს განვრთნილი ცხენებივით დასდევენ. ერთ მნკრივად აკინძული მძივები ილანდებიან ჩვენი სულებიდან, დღეები გვავსებენ და გვაცარიელებენ, ისინი არიან ჩვენი და ჩვენ ვართ მათი. განუყოფელი და ფერსავსე ფარდაგი, რომელიც ჩვენი ხელით იქარგება, რომლის არც ერთი მტკაველი არ შეივსება უჩვენოდ.

საოცარი რამ არის ფერი, რა ფერადაც დაფერავ, ხშირად იმ ფერის არ გამოდის ხოლმე ნახატი, ხან იცვლის გარეგნობას, ხანაც, უბრალოდ, დროით გადახუნდება და გაუფერულდება ძველი, ნარმავალი ან სულაც არარსებული და ჩვენს გონებაში მოქსოვილ-მოქარგული, დახატულ-დანერილი, სასურველი, სანატრელი და აუხდენელი.

რატომ არ ასწავლიან სკოლებში ცხოვრებას?

შებრძანდით საკლასო ოთახში, დღეს ცხოვრების გაკვეთილი გვაქვს!

აუთვისებელი და დაკარგული...

ზოგჯერ, როდესაც გეგონია, რომ უკვე გავიზარდეთ, პატარები ალარ ვართ და ეს არის წუთი აღსარებისა. მომენტი, როდესაც ახალ ცხოვრებას ვეწაფებით, მაშინვე გვიპყრობს შიში და გამოუცდელობის შეგრძნება.

თევზები აკვარიუმში ცურავენ, მათ არაფრის ეშინიათ. იმიტომ, რომ არავინ არაფერს ეკითხება და, რომც ჰკითხოს, პირში წყალი აქვთ დაგუბებული და ვერაფერს პასუხობენ. მათ უშიშრობას გიფისას თუ შეადრის კაცი, ცურავენ ხან სუფთა, ხანაც ბინძურ მორევში.

კარგი მოცურავეები ვართ ადამიანები!

ფლირტი, კარტი, წაგება, მოგება

კარტი — წაგება,

ფლირტი — მოგება

კარტი — მოგება

ფლირტი — წაგება

ეს არის ცხოვრება... წაგება-მოგება.

მიდის სახლში ძალიან დაღლილი, ტრანსპორტის ფულიც არა აქვს, მაგრამ ისე ჩქარობს, გეგონებათ, სადმე აგვიანდება, შეხვედრაზე პარლამენტში ან სამინისტროში. მოკლედ, გაქცეული ნაბიჯები მიდიან შინისკენ, სადაც განათებული ოთახის ბინადარი სულმოუთქმელად ელის და თვალებდაჭყეტილი და

ყურებდაცქვეტილი ელოდება ფეხის ხმას, ძალიან ნაცნობს, ძალიან საყვარელს და ჩქარს. ეს ფეხის წყვილი მოძრაობა არასდროს აერევა სხვათა სვლაში, ეს ფეხის ხმა მისთვის ყველაფერია, მეორე დღის დასაწყისი, საყვარელი მეუღლის ვიზიტი, თბილი და მხურვალე კოცნა, ანთებული და ბედნიერი თვალები. ძლიერი ხელებით მოკეცილი სხეული, სველი თმა, მხურვალება და დაუფარავი ვნება. ეს არის ის, რაც მისი ფეხის ხმას იტევს, და კიდევ ძალიან ბევრ რამეს, რასაც ვერ ჩამოთვლის ფიქრისას, უბრალოდ, ელის და ყველაზე შთამბეჭდავ მომენტებს იხსენებს ან წიგნს გადმოიღებს ერთი ყაჩაღის შესახებ, რომელიც მის მეუღლეს საოცრად უყვარს, მაგრამ ისიც არ იცის, მერამდენედ კითხულობს ირინე ამ ნაწარმოებს, მისი მოყოლილი სიამოვნებს, თავად წიგნის კითხვაზე მეტადაც კი. იმიტომ, რომ, როდესაც ჯანი ამ მშვენიერ ნაწარმოებს კითხულობს მართალ ადამიანზე, თვალები აენთება ხოლმე და სულ მისნაირობაზე ოცნებობს. ადამიანი კი ოცნებისას ისეთი სუფთაა, ისეთი მარტოსული, რომ იმ წამს მის გვერდით, საყვარელი ადამიანი თუ არა, ვინ უნდა იყოს?..

მოვიდა...

დილაა საოცრად მშვიდი. არავინაა განმკითხავი და გასაკითხი. ჰაერი დაიცვილა, დაინამა, ცა აითქვიფა კვერცხისაგულივით, მოეხენა და მალევე გადაიღო.

ადგნენ, ჩაიცვეს, ისაუზმეს, ბავშვები გაასეირნეს, იცხოვრეს, იდარდეს, იყვნენ და არსებობით არავის აწუხებდნენ.

ხარ-კამეჩი გაუდგა გზას, წინ დიდი ქვა შემოხვდათ, შუა არ გაწყვიტეს უღელი, ხარმა ეცადა, მოეხნა ქვა, მაგრამ რას შესძლებდა, ფეხი ტალახში დაეფლო, ნაიქცა და კამეჩიც ჩაიყოლა. ახლა დგანან ორთავე, დათხვრილები ტალახითა და შლამით, ცრემლებს მუჭა-მუჭა ღვრიან და გული ადუღებული ქვაბივით უთუხთუხებთ. ჯერ ერთმანეთს აკვირდებიან, მერე საკუთარ თავებს დახედავენ, არც წყალია ირგვლივ, არც მდინარე, ილუპება ნახირი...

აკვარიუმში ირევიან ათასგვარი თევზები, ფერებისა და ზომების მიხედვით, მდედრები და მამრები, ფეხმძიმეები, უშვილოები და ბერწები.

ბოლო ზოგჯერ ცხოვრების თავია და თავი კიდევ ბოლო, რას გაუგებ ამ ამღვრეულ, უთესლო ცხოვრებას. შეშინებული თვალები ფართოდებიან, დიდდებიან და მდედრდებიან, უნაყოფონი ხდებიან. ბედნიერი თვალები ინაბებიან, იცინიან, ნაოჭებად სკდებიან და ხელდებიან. გასახელებლად მამრდებიან, სევდიანი თვალები მუქდებიან, გუგები გამოღამდებიან, ცრემლებს ჩაიყენებენ წყლის გუბედ, მერე ადიდდებიან და ნაპირს გადმოვლენ მოუხელთებელი მდინარის მსგავსად. ყველა ადამიანს აქვს თვალები ბედნიერი, სევდიანი და შეშინებული. ნეტავ, რატომ ვგავართ ასე ძალიან თვალებით ცხოვრებას.

— ჯანი, როგორ ხარ, ბიჭო?

— რა მიშავს, ძია ოთარ. თქვენ როგორ ბრძანდებით?

— კარგად, გეთაყვა!

— ძია ოთარ, როგორ არის პატარა ოთო?

— კარგად, შვილო, შენი პატარები რას შვებიან?

— დასასვენებლად გავუშვი სოფელში, მენტარებიან...

— მუშაობ?

— ჰო, ვმუშაობ. — უცებ საშინლად მოინყინა და თავი დახარა.

— იმუშაო უნდა, ბიძია, აბა, ისე როგორ იქნება. ჯანი, ჯანი მოგცეს ღმერთმა და ღონე, კაი ბიჭი ხარ!

ჯანი ძინ შევიდა და ამ სიკარიელეში იგრძნო, როგორ მონატრება სახლი. ჩემები სად არიან? ეჰ, ნეტავ, ირინე მაინც არ წასულიყო. ეზოში გაიარ-გამოიარა. ღრმად ჩაისუნთქა სუფთა, ნოტიო ჰაერი, ცოლის კოცნასავით ეამა. ის ჩემთან არ! ამ ჰაერივით ვგრძნობ! გაიფიქრა და განაგრძო გზა ქუჩისკენ.

— ჯანი, როგორ ხარ?

— არა მიშავს.

— შენი ცოლი როგორ არის?

— კარგად, დასასვენებლად გავუშვი.

— ჰო, — თქვა და ნაიბარბაცა.

— რა იყო? — შეცბა და დააშტერდა.

ყბა ღვინის თასივით უჭირავს ხელში და ეუბნება:

— რა გინდა? თუ დალიე, შეირგე!

— შენს ცოლს სხვა უყვარს!

— რა?

— შენი დედა!..

წყვილი სილა და აურზაური, შიში, კრძალვა და უთქმელობა, დუმილი, მხდალი დუმილი.

— ჯანი, შენს ცოლს სხვა უყვარს!

— შენი!.. — სასოწარკვეთილმა დაიღრიალა და ბორდიურს ჩაახუტა გადამთვრალი ნაცნობი.

მალევე მოვიდა სასწრაფო, წაიყვანეს, ხერხემალში გაწყვეტილა. რაღა ეშველებაო, ამბობდნენ ქუჩაში.

ჩივა სასაფლაოს წმენდს, სულ მთლად დაანკრიალა, ყვავილები გასხლა და გაალამაზა. გააკოხტავა ყველაფერი მისებურად. მერე ილოცა და წამოვიდა შინისკენ. სადაც უნდილა დახვდა.

წლებმა ერთმანეთი დაჭამეს, ყველაფერი თითქოს დრმ გადასასლა, მაგრამ...

ირინეს გოგონები დაიზარდნენ, ანასტასია და ბარბარე, წმინდანთა სახელები დაურქმევიათ, ლამაზი და გონიერი ბავშვები არიან; მამა ახლახანს დაბრუნდა ხანგრძლივი შვებულებიდან.

ტასიკოს, ანუ ანასტასიას, რომელიც ახლა 17 წლის არის, უნდილა უყვარს, რატომღაც ეს თავზეხელაღებული და უჭინო. უნდილას ნდომით დაღარული თვალები მეტყველებენ სურვილზე. არა ფარულსა და უხილავზე, არამედ კარგად ნაცნობზე და ნაფიქრალზე.

— სალამი, როგორ ხარ?

— არა მიშავს, შენ?

— გუშინ რატომ არ ჩამოხვედი ჩემთან? იმდენი გეძახე.

— მამა გამოუშვეს.

— მართლა? — ჩაიცინა და დაბადა კბილები ტუჩებმა.

— ჰო, ჭლექის ნიშნები აქვს, არ ვიცი, როგორ იქნება საქმე.

„არა უშავს. ჯერ სად არის"; — გაიფიქრა უნდილამ

და გაილოკა ქვედა ბაგე.

— დღეს მნახავ?

— არ ვიცი, რომ გაიგოს...

მიდის უნდილა სახლში და უხარია. ყველაფერი ისე აეწყო, როგორც სურდა, მისი ცხოვრება საბოლოოდ იმ აზრს დაიბრუნებს, რაც წლების წინათ დაკარგა. შინ დედა ხვდება.

— გაიგებდი, ჯანი დაბრუნდა.

— ჰო, მერე რა? — ღიმილით მიუგო.

— შვილო, თავს რაიმე არ აუტეხო, ხომ იცი, მთლად მართალი არიაც არ იყო.

— აბა, ახლა ჩაიგდე ხმა?

— ღმერთო, მიშველე! — დაიყვირა და კბილები სიმწრით ააღრჭიალა, ხელების ძარღვები დაბერა... სისხლი თითქოს აუდუღდა, ისე აჩუხჩუხდა.

— ეგ უნდა გამნარდეს!

— არა, შვილო! თავს დაიღუპავ.

მანქანა ააგრიალა, საბურავებმა შავ-თეთრი ნახატი დააგვირისტეს ასფალტზე. აქოშინებული მიადგა სახლს. გოგონამ გადმოიხედა და სიყვარულის თვალები მიაპყრო. „ამოდი, უნდილა, მამას უნდა შენთან ლაპარაკი".

— გამარჯობა, ვაჟკაცო!

დუმილით ხვდება სასიძო.

— გამარჯობა-მეთქი!

— სალამი!

ავადმყოფი ლოგინზე წევს და დროდადრო სისხლს აფურთხებს.

— მე არ მინდოდა შენი ძმის მოკვლა, უნდილა. თავი მომაკვლევინა. ჩემს ხატს შეეხო. იცოდე, ტასოს რომ რაიმე მოუვიდეს, შენაც არ გაცოცხლებ და თავსაც მოვიკლავ. და, თუკი შენი გრძნობა მართალია, აქ ვარ, შენს გვერდით, ჩემი დიდი ოჯახით.

უნდილა გააოცა მტრის სიშიშვლემ, მომაკვდავის მამაცობამ. ახლა სულ სხვა თვალით შეხედა ტასოს. ლურჯთვალა მზეთუნახავის უმანკო სინაზეს.

— რატომ არ მიჩივლეთ მაშინ?

— ჩვენ მომჩივანი ხალხი არ ვართ და იმიტომ!

— მაინც მომაგნეს აძაღლებულებმა, მაგრამ ჩვენ კაცურად უნდა მოვრიგდეთ, ასეა?!

— ვნახოთ...

მიდის უნდილა და თითქოს მხარზე ძმის აჩრდილი აზის, თითქოს ცხოვრება უქმად ეპარება უკანა კარიდან.

ყრუ ძილით სძინავს, მოდის მასთან ძმან და ეუბნება:

— პატარავ, შეეშვი.

— როგორ?

— შეიყვარე მტერი შენი და ცხონდები სამარადისოდ.

— გიყვარს ტასიკო?

— ჰო, მიყვარს.

— იარე, იარე და უკან არ მოიხედო, — უთხრა და თითქოს სადღაც მიანიშნა, — აი, იქითო.

დღეს უნდილა და ტასო ქორწინდებიან.

— შენს ცოლს სხვა უყვარს! უნდილ.

— ჩაიგდე ხმა, იდიოტო! წყვილი სილა და მოურჩენელი ტკივილი.

— ღმერთო, მიშველე, — დაიყვირა ჩივამ და კბილები სიმწრით ააღრჭიალა, მაჯებში ძარღვები დაბერა, სისხლი თითქოს აუდუღდაო.

ჩივა სასაფლაოს წმენდს, სულ მთლად დაანკრიალა, ყვავილები გასხლა და გაალამაზა. ყველაფერი მისებურად გააკოხტავა. მერე ყველა ლოცვა დაატარა და წამოვიდა შინისკენ, სადაც ანასტასია დახვდა.

ფლირტი, კარტი, წაგება, მოგება

ცხოვრება, — ეს არის წაგება-მოგება.

გურამ ქუთათელაძე

ფიროსმანი და თბილისი, 1977 წ.

ანა ყალანდაძე

ბოლომდე მადლიერი ვიქნები ჩემი ბედის და ჩემი მკითხველის...

ქალბატონ **ანა კალანდაძეს** ესაუბრება ჟურნალისტი ***მარიკა კახაძე***

...1946 წელია, 25 მაისი. მწერალთა სასახლეში 22 წლის ანა კალანდაძე თავის ლექსებს კითხულობს; დარბაზი სავსეა, სულგანაბული უსმენენ... „ამ დღიდან იწყება ქართული ლირიკის აღორძინება და ვაჟა-ფშაველას შემდეგ პირველი დიდი პოეტი მოგვევლინა. მას აქვს მეტად ორიგინალური რელიგიური მსოფლმხედველობა, სრულიად ახალი პოეტური მეტყველება". — იტყვის გერონტი ქიქოძე ახალგაზრდა პოეტის ლექსების მოსმენის შემდეგ.

ქალბატონ ანას, კარგა ხანია, მინიჭებული აქვს უმაღლესი პრემია — ქართველი ხალხის ულევი სიყვარული, და მაინც, ეფიქრობთ, სასიამოვნოა იმის გაცნობიერება, რომ სულ ცოტა ხნის წინათ მას საქართველოში უკვე პოპულარული „საპას" პრემია მიენიჭა ლიტერატურაში შეტანილი დიდი ღვაწლისთვის. ვულოცავთ ქალბატონ ანას ამ ღირსეულ ჯილდოს და მკითხველს ვთავაზობთ პოეტთან ინტერვიუს.

— ქალბატონო ანა, მაშინ, 22 წლის ასაკში, თუ ვრძნობდით ან იქნებ იცოდით კიდეც, რომ თქვენი ლექსები უკვდავი გახდებოდა?

— ნება მიბოძეთ, სულითა და გულით მივულოცო „ცისკრის" პირველი ორი ნომრის გამოსვლა ჟურნალის რედაქტორს, ბატონ ზაურ კალანდიას, ჟურნალის მთელ შემოქმედებით კოლექტივს და, უპირველეს ყოვლისა, ქართველ მკითხველს.

ქართველი მწერლების სახელით უღრმეს მადლობას მოვახსენებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია II-ს ამ საშვილიშვილო საქმეში გაწეული ღვაწლისთვის. ეს ნომრები ჟურნალის კვლავ ქვეყნის სამსახურში ჩაყენების საწინდარი იყოს!

რაც შეეხება ჩემს ლექსებს, გმადლობთ ასეთი მაღალი შეფასებისთვის, — გულწრფელად გეტყვით, უბრალოდ, მივყვებოდი ცხოვრებისეულ დინებას და ჩემს შთაგონებას!

— ქალბატონო ანა, თქვენი ერთ-ერთი ცნობილი და ყველასთვის საყვარელი ლექსი „მოდიოდა ნინო მთებით" 1945 წელს გაქვთ დაწერილი. ეს ის დროა, როდესაც საბჭოთა კავშირი ფაშისტურ

გერმანიაზე გამარჯვების ზეიმობს და პოეზიაში, ლიტერატურაში, დრამატურგიასა და, საერთოდ, ხელოვნებაში დიადი საბჭოეთის ქება-დიდება კონიუნუქტურული თემაა. გარდა ამისა, ათეისტური იდეოლოგიის სახელმწიფოში — საბჭოთა იმპერიაში ღვთის რწმენა იკრძალებოდა, იდევნებოდა და ისჯებოდა... იმ რთულ დროში არ შეგეშინდათ, ასე თამამად, ხმამაღლა, ლექსად გედიდებინათ უფალი და წმინდა ნინო საქართველოს განმანათლებელი?

— ამ კითხვაზე პასუხს ცოტა შორიდან დავიწყებ. ოთხმოციან წლებში თბილისში გაიხსნა (უკეთ, აღდგა!) სასულიერო აკადემია. მქონდა პატივი, დავსწრებოდი ამ ღირსსახსოვარ მოვლენას. სიტყვით გამოსულები თითქმის ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ შორეულ ნარსულში სასულიერო სემინარიის გაუქმების შემდეგ მისი როლი იკისრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და ეს ნამდვილად ასე იყო: საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერები გვიკითხავდნენ ლექციებს, — გვაცნობდნენ ჩვენს უდიდეს ისტორიას, აღვივებდნენ ჩვენში მამულიშვილობის თესლს და გვამდიდრებდნენ სულიერი ღირებულებებით. ეს დიდებული ადამიანები (კ. კეკელიძე, ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა, ნ. ბერძენიშვილი, ს. ჯანაშია, შ. ნუცუბიძე...) გვატარებდნენ ისტორიის ქარტეხილებში და „სიძნელეს გზისას" გვიადვილებდნენ.

ფილოლოგიის ფაკულტეტის მეორე კურსიდან გადავედი კავკასიურ ენათა განყოფილებაზე (კავკასიურ ენათა კათედრა 1933 წელს დაარსდა უნივერსიტეტში აკად. არნ. ჩიქობავას ხელმძღვანელობით). კავკასიურ ენათა ხიბლსა და სურნელს ისიც ემატებოდა, რომ აქ გაძლიერებულად ასწავლიდნენ ძველ ქართულ ენას და იმ დროს, როდესაც ბიბლიისა და სახარების უბრალოდ ხსენებაც კი წარმოუდგენელი იყო, ჩვენ, 18-19 ნლის ყმაწვილებს, ხელთ გვეპყრა ეს დიდებული წიგნები, რომელთა გარეშეც წარმოუდგენელი იყო ძველი ქართული ენის შესწავლა (ეს წიგნებიც ამ მიზნით იყო ნებადართული, როგორც ჩანს, ამ განყოფილების მესვეურთა უდიდესი ძალისხმევის შედეგად!).

უნივერსიტეტში სრულდ ვეზიარე ძველი ქართული ენისა და ლიტერატურის მადლს, გამიცხოველდა ინტერესი მშობლიური ქვეყნის ისტორიისადმი. უმდიდრესმა საენთმეცნიერო და საისტორიო ლიტერატურამ... მსოფლიოს უძველესი ხალხების ცხოვრებაში „ჩამახედა", — ჩემი ფიქრები თავს ევლებოდა ურარტუს ქვაბებს, ხეთების სამკვიდროს, მითანის სამეფოს და ფეხდაფეხ მიჰყვებოდა პელასგებს, რომლებიც უკვე „მკვიდრდებოდნენ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე". ძველი ქართველი ინსა და უძველესი ყოფის მძაფრი სურნელი თავისებურად ასაზრდოებდა ჩემს პოეტურ წარმოსახვას.

ასე შეიქმნა ჩემი სამყარო, ასე გახდა უძველესი ცივილიზაცია, ძველი და ახალი აღმეძინა წიგნები ჩემი ცხოვრებისა და შემოქმედების მარადიული თანამგზავრები. და, როცა უიდეობისა და აპოლიტიკურობის გამო გამაკრიტიკეს (ჩათვალეს, რომ ჩემი თემატიკით კარგად არ ვიყავი ჩაბმული დიდი საბჭოეთის მშენებლობის ფერხულში), უნივერსიტეტის მაშინდელმა რექტორმა, ბატონმა ნიკო კეცხოველმა, ნამდვილი გმირობა ჩაიდინა — პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღო და ჩვეული პირდაპირობით საჯაროდ განაცხადა: რაც პოეტ ქალს უნივერსიტეტმა ასწავლა, მანაც ის დაგვიბრუნაო.

თქვენ მეკითხებით, მეშინოდა თუ არა? მართალი გითხრათ, ჩემს ასაკში ეს არ მეფიქრებოდა, — ეს ხომ ჩემი ცხოვრება იყო და მე მას ისე ვიღებდი, როგორც უზენაესმა მარგუნა წილად და კიდევ, ყოველთვის მყავდა ქომაგი, ერთგული მკითხველის სახით, რომლის უანგარო, „შეუპპოვარმა" სიყვარულმა ბევრი დაუმსახურებელი ლანძღვა, ტკივილი და იმედგაცრუებულობა გადამატანინა, ამის გამო მე ბოლომდე მადლიერი ვიქნები ჩემი ბედისა და ჩემი მკითხველის!

— *მთელს თქვენს შემოქმედებას ლეიტმოტივად მიყვება რელიგიური თემა, რომელიც სამშობლოს სიყვარულთან არის გადაჯაჭვული და გაიგივებული. თამაზ ჭილაძეს თქვენზე უთქვამს: „პოეტი უძველესი ქართული ჰიმნოგრაფიის ტრადიციებს აგრძელებს. მისი ლექსებიდან ჩვენს დღევანდელობაში გადმოდის საგალობლის იდუმალი მუსიკა..." მსგავსი შეფასებები არ დაუშურებიათ სხვა სახელოვან მწერლებს, პოეტებს, მეცნიერებს, საზოგადოებას. თქვენ ისეთ ლექსებს ქმნიდით, თითქოს საბჭოთა პერიოდში არც კი გიცხოვრიათ... როგორ გადაურჩით აკრძალული პოეტების სიაში მოხვედრას?*

— ვერ გადავურჩი! ნინასწარ მინდა ბოდიში მოვუთადო მკითხველს იმისთვის, რომ საკმაოდ ხშირად მიწევს ამ ამბების გახსენება.

დიდი სამამულო ომი ახალი დამთავრებული იყო. 1946 წლის 25 მაისს ჩემი ლექსების კითხვის საღამო მოეწყო მწერალთა კავშირში. საღამო მოაწყო პოეზიის სექციამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა პოეტი და მთარგმნელი, რუსთველოლოგი კონსტანტინე ჭიჭინაძე. საღამოს უძღვებოდა მწერალთა კავშირის მაშინდელი თავმჯდომარე სიმონ ჩიქოვანი. ამ საღამოს შესახებ გაზეთი „ლიტერატურა და ხელოვნება" (რედ. გ. ნატროშვილი) იუწყებოდა, ახალგაზრდა პოეტს მოულოდნელად მოუხდა გამოსვლა მრავალრიცხოვანი აუდიტორიის წინაშეო. ხალხის სმენაზე კი იმან გამოიწვია, რომ ლექსები ადრევე გავრცელდა ხელნაწერებით...

როგორი ძნელი წარმოსადგენიც უნდა იყოს, კითხვის დამთავრების შემდეგ აზრთა ჩვეულებრივი გაცვლა-გამოცვლა არ ყოფილა, ლაპარაკი იყო მხოლოდ იმაზე, რაც შეიძლება მალე გამოცემულიყო ჩემი პირველი წიგნი (ფორმატზეც კი იყო ლაპარაკი. მახსოვს, ბევრი იმ აზრისა იყო, რომ წიგნს... უბის წიგნაკის სახე უნდა ჰქონოდა...). აქვე მინდა აღვნიშნო, რომ კითხვის დამთავრებისთანავე ჩემთან პირველი მოვიდა დიდებული პოეტი და ადამიანი, ბატონი ალექსანდრე აბაშელი და ხელზე მემთხვია... 22 წლისა გახლდით, სახელმწიფო გამოცდებიც კი არ მქონდა ჩაბარებული.

საღამოს შემდეგ გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნებაში" (რედ. გ. ნატროშვილი) და ჟურნალ

„მნათობში" (რედ. ალ. მაშაშვილი) გამოქვეყნდა ჩემი ოცდაათი ლექსი.

იმავე წლის აგვისტოში დაამუშავეს ლენინგრადის ლიტერატურული ჟურნალები „ზვეზდა" და „ლენინგრადი" უიდეო და აპოლიტიკური ნაწარმოებების გამოქვეყნებისთვის. უფროსი თაობის რამდენიმე ქართველ მწერალთან ერთად მეც აღმოვჩნდი კრიტიკის ქარცეცხლში. ჩემმა პირველმა კრებულმა, რომელიც „რაც შეიძლება მალე უნდა გამოცემულიყო", მთელი შვიდი წლით დაიგვიანა! ის მხოლოდ 1953 წელს გამოიცა და მხოლოდ 50 ლექსი შევიდა. ამ 50 ლექსმაც დიდი ცვლილებები განიცადა (რა თქმა უნდა, ჩემთან შეუთანხმებლად!). მახსოვს, ერთმა ახალგაზრდა ქალმა მითხრა: თქვენს პირველ კრებულში შეტანილი ლექსების უმეტესობა... გავრცელებული ხელნაწერების მიხედვით ჩავასწორეო.

ბატონმა სიმონ ჩიქოვანმა მირჩია, შემდგომ კრებულში რამდენიმე ლექსი (რომლებიც პირველ კრებულში არ შეიტანეს) უსათაუროდ გამომქვეყნებინა — სათაურები თვალში ხვდებათ და აფეთებთო! უსათაუროდ გამოქვეყნდა: „ლოცულობს გველი", „ხატებთან შვენი დახრილი წამით", „აღარავინ აღარ მიყვარს" და სხვ. ამ გადასახედიდან რომ ვფიქრობ, ეს გონივრული კომპრომისები იყო; ამ კომპრომისებმა (მაშინდელი ათეისტური მსოფლმხედველობისთვის შეუფერებელ) ლექსს შეუნარჩუნა არსებობა. მრავალთაგან ერთ ფაქტსაც გავიხსენებ: წლების შემდეგ, როცა რეპრესიების ტალღამ გადაიარა, უცნობმა მკითხველებმა შემახსენეს, ლექსში „მოდიოდა ნინო მთებით" აღმედგინა ვიღაცის მიერ ამოღებული სტროფი: *„მიეძინა, ერთწალოტში მიეძინა და ფშატებმა მზისგან მოუჩრდილეს. ო, ეს ვინ არი, გამოცხადდა მგ ზავრის წინა? — ნუ გეშინინ! — მიუგებდა იესო..."* სხვათა შორის... მკითხველები მაშინ გადაწერილ ჩემს ლექსებს დღესაც მჩუქნიან!

— *უფრო ხშირად პოეტებს „დემონები" ჰყავთ, რომლებიც აღმოდებული ენებების ქარცეცხლში დაატარებენ მათ... შემდეგ ენებების თარეშით გათანგულები ლექსად აღმოთქვამენ აღსარებას და სულიერ კათარზისს განიცდიან... თქვენს პოეზიაში საეროდ არ არის მინიერი ენება, ეროტიკული განცდები, პირადი ლირიკული აღსარება... ზედმეტ სითამამედ ნუ ჩამიცალით, ჩვეულებრივი, მინიერი სიყვარული, გაგაცეცხა თქვენს გულს, სულს და გონებას არასოდეს გაჰკარებია? ნუთუ მხოლოდ სამშობლო და ღმერთია...*

— როდესაც ჩემს „გულსა და გონებას ჩვეულებრივი, მინიერი სიყვარული, გაგაცეცხა დაეუფლა", სწორედ მაშინ შეიქმნა ლექსები: „ლოცულობს გველი", „ხატებთან შვენი დახრილი წამით", და სხვ. ისინი სწორედ ამ „ციური, ძლიერი ბერკეტის" წყალობით იქმნებოდნენ" მართლაცდა როგორ მოხდა? რამ გამოიწვია ეს? ვერაფერს გეტყვით! ჭეშმარიტად, შეუცნობელ არიან გზანი უფლისანი!

— **„ნინოს, თამარის, ქეთევანის სანუკვარი სამება ანათებს შენი პოეზიიდან. მათთან ერთად ანთებ სანთელს ერის საკურთხეველზე". — თქვა თქვენზე კონსტანტინე გამსახურდიამ. ქართული პოეზიის დედოფალი გინოდეს მწერლებმა და ხალხმა და თქვენს ლექსებზე თაობები იზრდებიან. ესოდენ დიდი სიყვარულის დამსახურება ღვთიური ჯილდოა, დიდი ნიჭის დაფასება თუ ორივე ერთად?**

— იმედი მაქვს, არავინ იფიქრებს, თავს უკადრისს ვკადრებდე (განდიდების მანია საერთოდ უცხოა ჩემი ბუნებისათვის!), მაგრამ მეც თქვენსავით არანაკლებ მაოცებს მკითხველის, ხალხის მარად მდგრადი და წარუვალი ნათელი სულისა, რაც ქართველ კაცში, ქართველ მკითხველში იმთავითვეა კოდირებული ზენაარის მიერ! დღიდან ჩემი სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისა დღემდე მის თანაგრძნობას ვგრძნობ, იგი კვლავ ჩემთან არის „დარსა თუ ავდარში", დღემდე მხარში მიდგას და... მიცავს „სამყაროს გადახურებისაგან!" ორმოცდაათი წლის შემდეგაც რომ ის სიყვარულია შენი პოეზიის მიმართ, შეიძლება ითქვას, გაუხუნარიც, ესეც მხოლოდ მის უნიკალურ ბუნებაზე მეტყველებსო, ხშირად უთქვამთ ჩემთვის! დიახ, მკითხველის, ხალხის გაუხუნარი სიყვარულია ის ღვთიური ჯილდო, რომლის უმადლესი ცისქვეშეთში არაფერია შემოქმედისთვის (უმადურობა იქნება ჩემგან, არ მოვიგონო ჩემთვისაც უცნობი ის რუსი ეროვნების ქალბატონიც, რომელსაც ერთი ჩვენი (ასევე ჩემთვის უცხო) თანამემამულისთვის უთხოვია ჩემი კრებული. ხომ წარმოგიდგენიათ, რა მომივიდოდა იმ შუა ლენინგრადში თქვენი სახელისა და გვარის გაგონებისასო, მითხრა მან, როდესაც მომინახულა და ლენინგრადელი ქალბატონისთვის ჩემი რუსული კრებული მთხოვა)!!!

— *და ბოლოს, ქალბატონო ანა, თქვენ მოღვაწეობდით საბჭოთა საქართველოში, მოღვაწეობთ თავისუფალ, დემოკრატიულ საქართველოში; 21-ე საუკუნის დამდეგს რას ეტყვით თქვენს სამშობლოს, ერს, რა გტკივათ და რა გეიმედებათ?*

— ყოველთვის მეიმედებოდა და კვლავაც მეიმედება ქართველი კაცის მართალი და ამაყი ბუნება, მისი მარად ფხიზელი გონება! იგი არასოდეს დაუშვებს, ვინმემ „ფეხქვეშ გამოგვაცალოს ჩვენი მინა-წყალი და ქვეყანა ნასაყდრალს დაამსგავსოს! უდიდესი და უმდიდრესი ტრადიციების მქონე ერი არასოდეს ჩაიძირება განურჩევლობის ზღვაში!

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲐᲮᲚᲐ ᲒᲔᲠᲝᲑᲐ ᲙᲐᲜᲫᲗᲔᲚᲘᲡ ᲣᲜᲓᲐ...

ᲐᲠᲥᲘᲛᲐᲜᲓᲠᲘᲢ ᲨᲘᲝᲡ (ᲒᲐᲒᲠᲘᲭᲘᲫᲔ) ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲝᲜ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ ***ᲒᲕᲐᲜᲪᲐ ᲐᲒᲚᲐᲫᲐᲙᲔ***

რამდენიმე წელია შავნაბადას მამათა მონასტერი ახალგაზრდებისთვის საყვარელ სავანედ იქცა, სავანედ, სადაც ქაოსისა და სასონარკვეთისგან თავგზააბნეულ გულებს მამა შიოს მართალი სიტყვა და მამობრივი სითბო ღვთის რწმენას ა ზარავს და იმედს უსახავს. ყოველივე ამის გამო გადავწყვიტეთ, საკუთარი თვალით გვენახა შავნაბადას სავანე და გაესაუბრებოდით არქიმანდრიტ შიოს. მამა შიომ და მორჩილმა მამა გიორგიმ გულლიად და სტუმრმომყვრულად გვიმასპინძლეს.

უპირველეს ყოვლისა, მონასტრის ისტორიით დავინტერესდით. სოფელ ზემო თელეთში შემორჩენილია გვიანი შუა საუკუნეების მცირე დარბაზული ეკლესია, 1832 წელს აშენებულია სამრეკლო, ქართული და სომხური წარწერებით — მოკლე ინფორმაციას გვანვდის ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ქართული მართლმადიდებლურიეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ, ისევე, როგორც ბევრ სხვა ქართულ ეკლესია-მონასტერს, შავნაბადას ეკლესიასაც ძმიმე დრო დაუდგა. 1830-იანი წლებიდან აქ მოვდელმსახურება გრიგორიანმა ტერტერებმა განაგრძეს და ახლომდებარე სოფლებიც (კუმისი, კოდა, მარაბდა...) მათი მრევი გახდა — ეკლესიაში შესულთ გვიმარტავს მამა გიორგი და დასძენს: 1992 წლიდან აქ მამა შიო მოღვაწეობს, მან აღადგინა ბერთა მონასტერი და თავისი მუხლჩაუხრელი შრომით შექმნა, რასაც კი ხედავთ... სანახავი კი მართლაც ბევრი რამ დაგეხვეთა. წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია მოიხატა ფრესკებით, გრიგორიანული სამრეკლო, რომლის გადაკეთება და მოხატვაც იგეგმებოდა, 2001 წლის მიწისძვრამ იმდენად დაა ზიანა, რომ შეუძლებელი გახდა მისი აღდგენა და მის ადგილზე ახალი სამრეკლო აშენდა. მამათა სენაკებს შორიდან შევავლეთ მზერა. მარხვის დღეებში ბევრი ამოდის ჩვენთან დროებით საცხოვრებლად და საღეღანად, — ამბობს მამა გიორგი. სენაკების გვერდით უწმინდესისა და უნეტარესის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის რეზიდენციაა. იგი მოსასვენებელი, სასტუმრო და სამუშაო ოთახებისგან შედგება. რეზიდენციას უწმინდესი ნელინადში რამდენჯერმე სტუმრობს, აქ დაინერა მისი ბოლო ეპისტოლეც — პასუხობს ჩვენს შეკითხვებს მამა გიორგი და მონასტრის სათავსოების დასათვალიერებლად მივყავართ. დიდი და მცირე სატრაპეზო, კლდეში გამოთხრილი საკუთნო და მარანი, რომელთაც ცალ მხარეს მე-18 საუკუნეში აშენებული კედელი აკრავს. სატრაპეზოში შავ დაფაზე თეთრი ასოებით გამოყვანილია წარწერა: მონასტერში პოლიტიკაურ და სპორტულ თემებზე საუბარი აკრძალულია!

ეზოში მამები ფუხფუხებენ. ისინი უელიან საქონელს, ფუტკარს. ბოსტანი სათუთად არის შემოსაზღვრული. წვიმის წყალი, რომელიც 50-ტონიან რეზერვუარში გროვდება, სარწყავად გამოიყენება. ახლად გაჭრილ ტერასაზე 100 ტონის საერთო ტევადობის 55 ჭურჭი ჩაყრილი. მონასტერს ზვრები ეახეთში აქვს შესყიდული. აქ ისხმება და მოსკოვში გასაყიდად გადის თეთრი და შავი ღვინო „შავნაბადა", მალე დაიწყება კონიაკის წარმოებაც...

მამა გიორგი სასტუმრო ოთახისკენ მიგვიძღვის. მამა შიო უკვე გველოდება სტუმართან, კომპოზიტორ იაკობ ბობოხიძესთან ერთად. კურთხევას გვაძლევს და ჩვენი საუბარიც იწყება.

— მამა შიო, ორიოდ სიტყვით თქვენი ბიოგრაფიის შესახებ.

— ერისკაცობაში ალექსანდრე მერქვა. დავიბადე 1950 წელს. დავამთავრე თბილისის სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტი. 38 წლის ასაკში მოვინათლე და ერთი წლის შემდეგ უკვე აქ ვიყავი. 1991 წელს ბერად აღვიკვეცე. 1992 წლის ბზობას მოვდელად მაკურთხეს. 1997 წლის გიორგობას (6 მაისს) იღუმენი გავხდი. 2000 წელს — არქიმანდრიტი.

— ჩვენ დავათვალიერეთ შავნაბადას კომპლექსი. როგორც ვიცით, თქვენ სხვა მშენებლობებსაც უდგახართ სათავეში.

— დიახ, სამონასტრო კომპლექსებს ვაშენებთ ყაზბეგის რაიონის სოფელ დარიალაში და ნითელ ხიდთან.

— 70-წლიანი კომუნისტური რეჟიმის შემდეგ ამგვარი კერების შექმნას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. საზოგადოების დიდი ნაწილი დაინტერესებულია მართლმადიდებლობის გაძლიერებით და ხშირად ამაყობს მიღწეული წარმატებებით. როგორ ფიქრობთ, ადამიანები დაუბრუნდნენ რწმენას?

— არა, ასე არ ვფიქრობ; ჩვენს საზოგადოებაში ჯერ მხოლოდ რწმენის წინაპირობა შეიქმნა და ჩვენი, ეკლესიის ვალია გავაძლიეროთ ტენდენცია და ადამიანებს ჭეშმარიტი რწმენისკენ ნავუძღვეთ.

— შავნაბადას მონასტერს მლოცველი და მეგობარი ბევრი ჰყავს. მაშ, რატომ მოილტვიან ადამიანები და, მათ შორის, უმეტესად ახალგაზრდები თქვენკენ?

— აქ ამოსვლის შემდეგ ბევრმა გააცნობიერა, რომ საკუთარი სულის ნავსაყუდელი იპოვა და სამუდამოდ გადაწყვიტა აქ დარჩენა. მაგრამ ადამიანების უმეტესობა რაღაც ფარულ, მათთვის უცნობ სურვილს და ინტერესს ამოჰყავს აქ. მართლმადიდებლობა ქართველთა გენეტიკაშია ჩადებული, ჩვენ ბიბლიური სურნელის ხალხი ვართ და ეკლესიამ სწორედ ეს მარცვალ-მარცვალ გაფანტული რწმენა უნდა გააღვიძოს და გაამთლიანოს ადამიანთა ცნობიერებაში.

— რამდენადაც ვიცით, თქვენთან ხშირად აფრქვევენ თავს მშობლების მზრუნველობას მოკლეული ბავშვები, ბევრ ახალგაზრდას, რომელიც ნარკოტიკზე იყო დამოკიდებული, დაეხმართ ამ მძიმე სენის დაძლევაში. როგორ შესძლეთ?

— ნარკოტიკების შესახებ ბევრი არაფერი ვიცოდი,

მაგრამ ყველაზე მთავარი, რაც ამ სენისგან გატანჯულ ახალგაზრდებს აკლიათ, მოფერება და თბილი სიტყვაა. ისინი ხომ საკუთარმოჯახშიც გარიყა და საზოგადოებამაც. მათ გულწრფელი საუბარი და მამობრივი ზრუნვა სჭირდებათ. გარდა ამისა, დისციპლინა და შრომის თერაპია საუკეთესო მკურნალია. როგორც ხედავთ, აქ უსაქმოდ არავინ არის...

— თქვენ არერიდებით ადამიანებთან ურთიერთობას, საზოგადოებრივ პრობლემებზემსჯელობას და ცდილობთ შავნაბადას კომპლექსს აქტიური საზოგადოებრივი ფუნქციაც მიანიჭოთ. არადა, საზოგადოებაში ბერთა ცხოვრება და ბერთა საკანე ხშირად მოიაზრება, როგორც გზა საერო ცხოვრებისგან განდგომისა.

— ჩემი იდეალი გრიგოლ ხანძთელია, კაცი ზეციისა და ანგელოზი მიწისა. ბერობა გზაა ღმერთთან მიახლების და, იმავდროულად, გზა მოღვაწეობის. ბერის და მორჩილის ცნება ხშირად ცუდად ესმის საზოგადოებას. მე კი ვიტყოდი: *„ბერობითაა ვაჟკაცობა გამოსათქმელი...”* შავნაბადას ახლებური როლი და დანიშნულება გვინდა შევძინოთ. ყველა ცნება ცვდება დროთა განმავლობაში და ხელახლა უნდა დამკვიდრდეს. შავნაბადა ახალი ცნება უნდა გახდეს, ახალი მეომარი საზოგადოების სამსახურში. ლეგენდა მოგვითხრობს, რომ ერთ-ერთი ბრძოლის დროს შავ ნაბადში გამოწყობილი მეომარი მიუძღოდა ქართველებს. ბრძოლის დასრულების შემდეგ მეომრებმა შავნაბდიანში წმინდა გიორგი ამოიცნეს. ასე ეწოდა ამ ადგილს შავნაბადა და აშენდა წმინდა გიორგის ეკლესია... ლეგენდა უნდა გაცოცხლდეს რეალობაში...

— თქვენ ლექსებსაც წერთ, პოეზიის და, საერთოდ, ხელოვნების დიდი მოყვარული ხართ. როგორ წარმოგიდგენიათ ეკლესიის და ხელოვნების ურთიერთობა, თანასაქმიანობა?

— პირველი ლექსი 28 წლის ასაკში დავწერე. ბერად შედგომის შემდეგ ჩემი მსოფლმხედველობა შეიცვალა, ახლებური შეხედულებები გამიჩნდა. მე ისინი ფურცელზე გადავიტანე ლექსად. ჩემი ლექსები ჩემი ფიქრებია, თქვენ მათში იპოვით პასუხებს თქვენს ყველა შეკითხვაზე. როდესაც საქართველოს კათოლიკოს- პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მომინონა ჩემი ნაღვაწი, გავბედე და კრებულის სახე მივეცი მათ. *„მეტყოდი, მამავ...”* — ასე დავასათაურე კრებული. მასში მე ვესაუბრები ჩემს მამას, ჩემს პატრიარქს და ჩვენს დიდ მამას, ღმერთს...

მწერლობამ და, საერთოდ, ქართულმა კულტურამ უდიდესი როლი შეასრულა ქართველი ერის გადარჩენაში. როდესაც ეკლესია წაართვეს ქართველებს, მწერლობა გახდა ეკლესია. ჩვენთვის მწერლობა ბრძოლა იყო, ბრძოლა თავისუფლებისთვის. ჩვენი თავი, ჩვენი გონი ღმერთს ეკუთვნის. ***თავის-უფლება*** არის იქ, სადაც ვრცელდება ღმერთის უფლება. ქართული კულტურა თავისუფლებისთვის, მამულისთვის ბრძოლის ასპარეზი იყო. ღმერთშია მამული. ჩვენ ან მამულს გვართმევდნენ, ან ჩვენ თავს ართმევდნენ მამულს... ეს დღესაც ასეა. ეკლესიამ და ხელოვნებამ გვერდიგვერდ უნდა იბრძოლონ მამულისთვის.

— რამდენადაც ვიცით, უახლოეს მომავალში პატრიარქის ლოცვა-კურთხევით საინტერესო პროექტის განხორციელებას აპირებთ ხელოვნების წარმომადგენლებთან ერთად.

— დიახ, სულ მალე ამოქმედდება სტუდია, რომელიც დოკუმენტურ ფილმებზე იმუშავებს.

— ბავშვები ჩვენი ცხოვრების მომავალი და იმედია. მშობლებს ძალიან გვინდა, აღვზარდოთ შვილები სრულფასოვან ადამიანებად, რათა ისინი ჩვენზე უკეთესები იყვნენ და აღარგამიმეორონ ჩვენი შეცდომები. თქვენ როგორ ფიქრობთ, რა პრობლემები ახლავს დღეს მომავალი თაობის აღზრდას, რას ურჩევდით მშობლებს და პატარებს?

— ბავშვი მაგალითით იზრდება. თუ მშობლები ეკლესიურები არიან, შვილები სწორად გაიზრდებიან. ოჯახი პატარა ეკლესიაად უნდა იქცეს. გარდა ამისა, ჩვენ, მამების თაობა, უნდა დავფიქრდეთ იმ ღირებულებებზე, რაც შეილახა დღევანდელ საზოგადოებაში და რისი გამოსწორებაც აუცილებელია. საზოგადოება, სადაც ოჯახი, შრომა, განათლება, ადამიანური ურთიერთობები, ზნეობა... ღირებულებებს აღარწარმოადგენს, დასალუპავად არის განწირული. დაუფიქრებელი და გალაღებული ცხოვრება დაუცველს ხდის ადამიანს. ამ საკითხებზე ფიქრი ბავშვობიდანვე უნდა ვასწავლოთ ჩვენს შვილებს.

— როგორც ვიცით, თქვენ სპავშვლიტერატურაშიც აპირებთ კალმის მოსინჯვას.

— რამდენიმე წლის წინათ უწმინდესმა და უნეტარესმა მთხოვა ზღაპრების დაწერა ბავშვებისთვის. მე უკვე მზად მაქვს ლექსად გამოთქმული ზღაპრების ერთი ნაწილი, რომელსაც მალე იხილავს „ცისკრის” მკითხველი, ამიტომ თავს არ შეგანყენთ მის შესახებ საუბრით. მხოლოდ ერთს ვიტყვი: ზღაპარი თავად ბავშვია, მისი სამყარო, მისი ცხოვრება. ბავშვისთვის მხოლოდ საუკეთესო უნდა იყოს განკუთვნილი. მე შეეეცდები, ჯადოსნურ ქარგასთან ერთად ზღაპრებში ისეთი რამ ჩავდო, რაც ბატარებს ყველა იმ საკითხზე დაადფიქრებს, რაც მათი მომავალი ცხოვრების არსი უნდა გახდეს. ეს უნდა იყოს ფიქრი ჩვენს წარსულზე, მომავალზე. ჩვენ უნდა ვუთხრათ ბატარებს, რომ ძილი დასრულდა და გამოღვიძება გვეღირსება ან ახლა, ან აღარასოდეს...

მადლობას ვუხდით მამა შიოს გულითადი საუბრისთვის და ვემშვიდობებით. შავნაბადას მთიდან დედაქალაქის საუცხოო ხედი გვეშლება თვალწინ. მოფუსფუსე სამყარო ერთობ შორეული და, იმავდროულად, ძალიან ახლობელია აქედან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არქიმანდრიტი შიო (გაბრიჭიძე)

•

... ახლა ბერობა ხანძთელის უნდა,
არა სილაჩრის, არა სიშიშვლის,
არა მღვიმეში მოკალათების
ან რუდუნებით დაცდა სიკვდილის,

არამედ მისვლა პატრონად ერის,
მამად, მომვლელად თავის ჯილაგის,
ახლა ბერებად ლომები გვინდა,
რომ ხიდი დადონ ციდან მიწამდის!

ზღვა ცაა ქართველთა სალარო

პატრიარქს

ზღაპარი დავწერო! — მიბრძანე,
მიბრძანე, — ზღაპარი მიზანი...
ზღვა დავხნა, დავთესო, მოვიმკო, —
ბრძენთათვის საზრდელი მითხარი!

ზღვას დავხნავ, დავთესავ, მოვიმკი...
ზღვა ცაა ქართველთა სალარო,
გინდა, რომ შვილები გამრავლდნენ,
აავსონ იმედით სამყარო!..

ზღვას დავხნავ, დავთესავ, მოვიმკი,
მოსავალს ზღვად ვაქცევ, გამაგრდი!
დღესაა, თუ იყო ოდესმე,
ქართველი კლდესავით მაგარი!..

ქართული ბარძიმით, ფეშხუმი*
უფალმა ბეთლემით ინება!
— მსოფლიოს ქართველად მოქცევა
იწყება!
იწყება!
იწყება!

იწყება, ცხოვრება იწყება!
მთავრდება ბავშვური თამაში!
ქართველი იღვიძებს, იღვიძებს!
თენდება! ესაა მთავარი!

მეტყოდი, მამავ...

ვინც რას აკეთებს,
საკუთარ თავს უკეთებს, შვილო,
მეტყოდი, მამავ!

და სიკეთისკენ წაქეზების
ეს შეძახილი
დამდევდა მუდამ,
მაძლევდა ძალას...

ვინც რას აკეთებს,
საკუთარ თავს უკეთებს, მამავ,
და როგორც ბავშვი
ეწაფება მშობლიურ ანბანს.

მეც ამ ანბანურ შეგონებას
ვიყენებ თვალწინ,
და ჩემი ერის
მშენებლობის ტაძართან ვდგავარ...

ვდგავარ ლოცვასთან,
ვდგავარ მადლთან,
ვაშენებ სართულს,
შთამომავლობას
ჩემი გულის ვაძლევ სიმართლეს.

* ქართული ბარძიმ-ფეშხუმი — ამ შემთხვევაში იგულისხმება რაჭის ერისთავ შოშიტას მიერ ბეთლემის მაცხოვრის შობის ტაძრისადმი (პალესტინა) შეწირული ბარძიმი და ფეშხუმი, რომელზეც მესამე ათასწლეულის პირველი შობის წირვა აღევლინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მადლობა, მამავ,
ჩემი სულის განვართვისათვის,
თავი გადასდე,
შრომა, მადლი არ დაინანე...

მეც შენს მაგალითს ვცდილობ მივყვე,
უყი გავტეხო,
გავხედნო დროის ბედაური,
ზეცას ავხედო.

მართალ თვალებით მივაჩერდე
შთამომავლობას,
შთამომავლობის ცხონებისთვის
ღამე ვათენო!

შავნაბადას მთა სხვისთვის მთაა, ჩვენთვის სავანე

შავნაბადას მთა სხვისთვის მთაა,
ჩვენთვის სავანე,
სავანე ღმერთთან მიახლების,
თვალის ახელის,

სავანე მზესთან დასახლების,
დროსთან დადგომის,
სავანე ჩვენი ამაღლების,
ჩვენი აღდგომის...

ჩვენი ცხონების
უბერებელ რითმებთან ყოფნა,
აწმყოში მოსვლა წარსულისა
და მომავალის.

საქართველოსთან შეერთების
მკვიდრი იდეა,
და საქართველოს ცად აღმასვლა
მსოფლიოს თვალში...

შავნაბადაა საქართველოს
სული ალალი.
შავნაბადაა ცხონების და
რწმენის სიმბოლო,

შავნაბადაა ჩვენთვის მადლი
და აღმაფრენა
და შავნაბადას აღმშენებლად
გვინდა ვიცხოვროთ...

გვინდა ვიცხოვროთ
მსოფლიოზე მზრუნველ მამებად,
მსოფლიოს მოვლით,
პატრონობით გვინდა ვიცხოვროთ!

გვსურს კაცთა შორის
სათნოების გამოღვიძება,
სხვაც ვაცხონოთ და
ჩვენი სულიც გვინდა ვიცხონოთ...

დაიზრდებიან კვლავაც ალგეთს
ლომის ბოკვრები,
კვლავაც აღსდგება
დამარხული იბერთ დიდება,

კვლავაც აღსდგება
დარღვეული ჩვენი ერთობა
და საქართველო
გაიზრდება და გადიდდება...

რამხელა ყოფილხარ, გავოცდი

გიორგი შიოლაშვილს

გულში კადნიერად
ხმალი გამიტარე
და ჩემს ცხოვრებას
ტოტივით ჩამოტყდი!

თვალი ამიცრემლე!
ვნახე, მყვარებიხარ!
და ვერ მოგიარე! —
დანაშაულში გამოვტყდი!

ცაში ავიხედე,
გულში ჩავიხედე,
რამხელა ყოფილხარ,
გავოცდი!

სანამდე ხარ

ს.ბ-ს.

უნდა დადგე საკუთარზე,
ტკივილებზე უფრო მაღლა...
უნდა მართო უფლის მადლით
ოჯახი და ეს ქვეყანა...

უნდა მართო, მაგრამ ისე,
არ ითხოვდე გასამრჯელოს,
შთამომავალს უშენებდე
მომავალის საქართველოს!

სადაცა ხარ, უნდა იყო
მტრისთვის რისხვა,
ძმისთვის გული!
სადაცა ხარ, იქ მოიწყო
შენი სულის გაზაფხული,

სანამდე ხარ, უნდა მწყემსო
დამალული გულში სითბო,
შენი წილი ვაზი დარგო,
შენი წილი ჯვარი ზიდო!

მოგონებები დაძრწიან ახლოს...

გარეთ გრიგალი იკლებს ქვეყანას,
შიგ გულში გველი ცივად ფათურობს,
გესლის სიმძაფრით შევღმუი სხეულს
და მინდა სულ მთლად მიმოვანგრიო...

მოგონებები დაძრწიან ახლოს,
თან-თან უმატებს სიცივე ხარხარს...
და უსასრულო უფსკრული აღებს
საშინელ ხახას!

საით გავექცე ამ უკუღმართ ბედს,
რომ მოვაშუშო მკერდში იარა!
რამდენი დელგმა ციდან გადმოსკდა,
იმდენმა ჩემზე გადაიარა!

შეხვედრა...

დედის ხელით,
მამის ხელით
ნაფერები,
ნაფერები
თვითონ ღმერთის გულისათვის,
ღმერთისაგან ნასესხები...

მყუდრო ბინა —
მშობლის მკერდი,
ირგვლივ ბაღი
— მეშვიდე ცა!

როგორც მგელი,
როგორც მგელი,
დამშეული ისე მეცა!

შენ არ წახვედი

გიგა დათუაშვილს

ვკითხულობ ახლა,
დაფანტული აზრებით...
გიგას...

შვილი-ზვარაკის
მზიან სახეს
და ღვთიურ თვალებს —

...დაბრძენებული,
ძველი კაცის
იერს ვადარებ...

...უსასრულობა
მოდის თითქოს
ცის გადაღმიდან.

სიყვარულისკენ
და ღვანლისკენ
ლტოლვას გვაძალებს!...

შენ არ წახვედი! —
მხოლოდ გული
გადაგვიხსენი

და აამაღლე
შენი სული
და შენი სახე...

დაგვანახვე, რომ
მომავალში
გმირები გვინდა ...

ქვეყანას შველა...
სიყვარულით
რომ უნდა გაძღე...

შენ არ წახვედი!
შენ აქ დარჩი!..
და გახსნილ ფარდას —

რაღაც ფაქიზი
ძალისხმევით
ამოეფარე...

შენ სული იყავ,
უხეშობა
არ გიყვარდა და...

... და შენი სახე
ამბორივით
შემოგვაპარე...

შენ არ წახვედი!
— ჩვენს სულში ხარ
მოსიარულე!

ახალი დროის
დასაწყისად
მოჭირნახულედ!

ადონის სამარაჯისი

ერთი შემთხვევა

ეოლუ ხრისოსპილიოტისის ეკლესიისკენ მიემართებოდა.

სიტყვა „მიემართებოდა", ყოველივე იმასთან შედარებით, რაც ახალწლის წინა ღამეს ხდებოდა, საუკეთესოდ შეიძლება ჩაითვალოს. ყოველ ნაბიჯს თან სდევდა შეჯახება ქუჩაში გვერდით ჩამვლელთან. ხალხის რაოდენობა სულ უფრო და უფრო მატულობდა. ნაბიჯი ნაბიჯს მოსდევდა...

გაჩახჩახებულ ქუჩებში ათასობით ათენელი ირეოდა. ახალი წლის მოლოდინში ყველას სახე უბრწყინავდა. საჩუქრებით დატვირთულები ერთმანეთს ტრადიციულად მიმართავდნენ: „ბედნიერ ახალ წელს გისურვებთ!" იმ ღამეს ყველგან ეს ოთხი სიტყვა ისმოდა. ყველას ეს ეკერა პირზე, ყველა მაღაზიის ვიტრინაზე — იქნებოდა ეს ყვავილებისა თუ ხორცის მაღაზია — ასეთ წარწერას ნაიკითხავდით.

ვისის ქუჩაზე ჩაიარა. უცებ ძალიან დაამძიმა საკუთარმა წონამ და საჩუქრებმა...

ეოლუმ გზა განაგრძო... მიდიოდა... ბოლოს „1.000.000. სათამაშოს" მაღაზიასთან შეჩერდა.

„1.000.000. სათამაშოს" მაღაზიაში იმდენი ხალხი ირეოდა, ისეთი ხმაური იყო, რომ ცოტა ხნით სადღაც კუთხეში მიიყუჟა და შესვლას ვერ ბედავდა. ბოლოს, როცა მაღაზიაში ხალხმა იკლო, გადაწყვიტა, შესულიყო. გადადგა ერთი ნაბიჯი...

— უკაცრავად, — უთხრა ერთ ძალიან ახალგაზრდა, უმშვენიერეს, შავგვრემან გამყიდველს, — უკაცრავად, ქალიშვილო...

— გისმენთ, ბატონო, — უპასუხა გოგონამ და გაუღიმა.

— ოჰ, მაპატიეთ...

— არა უშავს, ეგ არაფერი! მაშ ასე, სათამაშოები?

— დიახ, რამდენიმე სათამაშო მინდა...

— რამდენიმე? მაინც რამდენი? რამდენი ბავშვი გყავთ?

— ხუთი.

— ხუთი?! უკვე ხუთი შვილი გყავთ?

— უკვე? ეგ რას ნიშნავს? ნუთუ იმის თქმა გინდათ, რომ არ მეტყობა?

— ა... დიახ, სწორედ მაგის! საერთოდ არ გეტყობათ, ასეთი ახალგაზრდა და უკვე ხუთი შვილი!

— ახალგაზრდა! — გაეცინა. მისი ღიმილი ცოტა სევდანარევი იყო.

გოგონასკენ ისე გადაიხარა, თითქოს მისთვის რაღაც საიდუმლოს გამხელა სურდა.

— ორმოცდაორის! არა, არ გეხუმრებით, ორმოცდაორის!

— მე არაფერი ვიცი... არც არაფრის მჯერა... ვიცი მხოლოდ ის, რასაც ვხედავ! ახლა სათამაშოებს დავუბრუნდეთ. ხუთი ბავშვი, ესე იგი, ხუთი სათამაშო. ხომ ასეა?

— დიახ...

— ძალიან კარგი! დავიწყოთ თავიდან — ნომერი ერთი: ვაჟიშვილი?!

— ოჰ, დიახ, გამოიცანით!

— თორმეტი წლის.

— ოჰ, ძალიან გთხოვთ! თქვენ საშიში ხართ!

— კარგი, ნუ აზვიადებთ! სჯობია, საქმეს მივხედოთ. მაშ ასე, ბიჭუნა თორმეტი წლის...

— დაგეხმარებით!

— რატომაც არა? თქვენ უკეთ იცით შვილის გემოვნება.

— აი, ის მანქანა.

— ეს?

— არა, მეორე, თქვენს მარჯვნივ. დიდი, წითელი...

— ა, ტუმბოიანზე ამბობთ?

— ტუმბოიანზე?

— დიახ, ტუმბოიანი. სახანძრო მანქანაა.

— ესე იგი, ტუმბოიანი... და მაინც რისი გაკეთება შეუძლია?

— სწრაფად დადის. აქვს საყვირი, მოციმციმე წითელი შუქები და ვიდრე მოძრაობს, ირგვლივ წყალს ასხამს.

— რას მეუბნებით? ამდენი რამე შეუძლია?

— ეჭვი გეპარებათ? აი, შეხედეთ და დარწმუნდებით!

გოგონამ მანქანა აიღო, დაქოქა და მოზაიკიან იატაკზე დადო. მანქანა საოცარი სისწრაფით გაქანდა, ჩაირთო სირენები, აციმციმდა წითელი შუქები და...

— საკმარისია, სრულიად საკმარისია! — თქვა და სახანძრო მანქანა ხელში აიღო, — ვფიქრობ, სულაც არ არის საჭირო ჩვენი დასველება, — დასძინა და გაეცინა.

გოგონამაც გაიცინა. რიგში მდგომ კლიენტებსაც სიცილი აუტყდათ.

ეოლუს გვერდით მდგომ ფაშფაშა ქალბატონს ფეხსაცმელმა ძალიან მოუჭირა. იფიქრა, გავიხდიო და ამ დროს უნებლიეთ ფეხი ეოლუს კოჭში მოარტყა.

ქალისთვის არაფერი უთქვამს, არც დაუწუწუნია, რადგან, ჯერ ერთი, საახალწლო სამზადისში იყვნენ, მეორეც, ძალიან ბედნიერი და კმაყოფილი იყო თავისი პირველივე შენაძენით.

— უზომოდ მომწონს!

— ესე იგი, ბიჭსაც მოეწონება, — უპასუხა გოგონამ, — ჰო, მართლა, რა ჰქვია?

— ალექსანდროსი.

— ალექსანდროსი!

— დიახ, ალექსანდროსი! ოლონდ, მიაქციეთ ყურადღება — ალექსანდროსი და არა ალექსი ან რამე ამდაგვარი...

— გეთანხმებით; სახელებს ერთი ხუთად ვამოკლებთ ხოლმე.

— ვამოკლებთ!

— ვატყობ, გაღიზიანებთ.

— არა, საერთოდ არა! უბრალოდ ძალიან „ვამოკლებთ"... გოგონას გაეცინა.

— მოდი, თქვენს მეორე ვაჟიშვილზე გადავიდეთ...

— ამჯერადაც გამოიცანით! დიახ, ბიჭია, 10 წლის დიმიტროსი.

— მშვენიერია. მეორეც ბიჭი...

— რატომ, განა ცუდია?

— ოჰ, არა! — გოგონა მისკენ გადაიხარა და უთხრა: მე სამი თვის წინ გავთხოვდი და ახლა ველოდებით... და, იცით რა? ჩვენ ორივეს ბიჭი გვინდა!

თქვა და კვლავ სათამაშოებს დაუბრუნდა. აიღო ყვითელ-მწვანე ტანკი, აჩვენა.

— ეს სათამაშო გაჭრილი ვაშლივით ჰგავს ნამდვილს. მისი ლულა მარჯვნივაც ტრიალდება და მარცხნივაც, ქვევითაც და ზევითაც... და კიდევ...

— არა, არა! — გააწყვეტინა გოგონას, — ჩემი ბავშვები... არ მინდა... რომ ჩემმა ბავშვებმა... აქედანვე... არ მინდა, ჩემმა ბავშვებმა აქედანვე ისწავლონ „ომობანა..."

გოგონამ შეხედა, თუმცა არაფერი უთქვამს. თითქოს რაღაც ჩრდილმა გაურბინა თვალებში და ღიმ წაბლისფერი რამდენიმე წამით მუქმა ყავისფერმა შეცვალა.

— აი, ეს... როგორ მოგწონთ? — ჭკთხა და ახლა თვითმფრინავზე მიუთითა, თან დაამატა: — სამგზიაროა!

დაქოქა; თვითმფრინავი ჯერ მოზაიკის იატაკზე გაგორდა, მერე კი პაერში აფრინდა.

— კარგი, ამ თვითმფრინავს ნავუღებ, — თქვა და ჰაერშივე დაიჭირა.

გოგონამ ეს საჩუქარი სახანძრო მანქანის გვერდით დადო.

— ხუთიდან ორის საკითხი მოვაგვარეთ. — თქვა მან.

— ხო, „შევამოკლეთ".

— აი, დაგიჭირეთ! სულ ახლახანს რა თქვით? თქვენ თვითონ?

— შემეშალა, ვეცდები სხვა დროს აღარ „ვიფილოსოფოსო".

— მესამე საჩუქარზე გადავიდეთ.

— დაგღალეთ? — უთხრა გოგონას.

— დამღალეთ? რას ამბობთ? მეც ხომ თქვენთან ერთად ვიზიარებ ამ სიხარულს. როდესაც წარმოვიდგენ, რომ სახლში ხუთი ჰატარა ველოდებათ! სულ მალე ახალი ნელია!.. ხუთი ბავშვი, ხუთი! ფართოდ გახელილი გაბრწყინებული თვალებით, გულფანცქალებულები...

— გადავიდეთ მესამეზე... ბიჭი!

— ოჰ, არა, ამჯერად უკვე ცდებით. ახლა ჩვენი ერთადერთი და უსაყვარლესი გოგონას ჯერია. არტემისი!

— რა ხნის არის?

— შვიდი ნლის.

— შვიდის!.. ესე იგი, წელს პირველად წავიდა სკოლაში?

— დიახ.

— აი, ეს თოჯინა... აბა, შეხედეთ, რას იტყვით? ათასნაირი თოჯინა არსებობს, ისევე, როგორც ადამიანი, მაგრამ შეხედეთ, როგორი თოჯინა ავარჩიე თქვენი პანია არტემისისთვის, რომელიც წელს პირველკლასელი გახდა...

თოჯინამ სიარული დაიწყო, ახელდა და ხუჭავდა თვალებს; იხრებოდა ხან წინ, ხან უკან; მერე ყველაფერს თავიდან იწყებდა.

— არტემისს ამ თოჯინას ნავუღებ, — თქვა ხმამაღლა.

— ძალიან მიხარია, რომ მოგენონათ.

— ახლა კი ტყუპებისთვის...

— ტყუპები?

— რასაკვირველია! ხუთი ნლისანი.

— და მათ ჰქვიათ...

— სტავროსი და ლეონიდასი.

— სტავროსი და ლეონიდასი... — თქვა გოგონამ და ახლა მარცხნივ გაწყობილ თაროს დაუწყო თვალიერება.

— შეხედეთ! აი, იქით, თქვენს მარჯვნივ... აი, ის მაკაკა.

გოგონამ გაბრაზებულმა გახედა:

— ძალიან გთხოვთ, დაუკვირდით, რას ამბობთ!

— ვერ მიგიხვდით. ასეთი რა ვთქვი?

— „აი, ის მაკაკა!"

— არ მესმის, განა მაკაკა არ არის?

— არა, ბატონო, მაკაკა არ არის! მაიმუნის ერთ-ერთი ჯიშია... ეს შიმპანზეა!

— აი, თურმე!.. ოჰ, მაპატიეთ!

— ეს ჩემი შიმპანზეა, შეხედეთ! მობრძანდით ცოტა ახლოს და შეხედეთ!

გამყიდველმა შიმპანზე აიღო და კაცს მხარზე შემოასვა. მიამუნი ყურთან ააცოცდა და სალტოების კეთებას მოჰყვა.

გაეცინა. გოგონამაც გაიღიმა. ირგვლივ ყველა იცინოდა.

— კარგი, იყოს შიმპანზე. ამას სტავროსს ნავუღებ.

— ახლა კი ლეონიდასის ჯერია. აი, მისთვის ის ბზრიალა. იტყვით, ჩვეულებრივი საჩუქარიაო, ძალიან ჩვეულებრივი... მაგრამ მთლად ეგრე არაა. ეს სულაც არ არის უბრალო ბზრიალა, ერთი ჩვეულებრივი ნივთი... სათამაშო, რომელსაც თქვენ უყურებთ, პერპეტუმმობილეა! ერთი დაქოქვა საკმარისია და მთელი დღე გაუჩერებლად ბზრიალებს.

გოგონამ ბზრიალა დაატრიალა.

— არ არის საჭირო, — თქვა და გააჩერა, — მომწონს და ავიღებ. გარდა ამისა, თქვენ უკვე მოიპოვეთ ჩემი ნდობა.

— ძალიან, ძალიან, ძალიან დიდი მადლობა.

— მაშ ასე, დავამთავრეთ!

— მართლა!

— დიახ, ხუთი ბავშვი — ხუთი საჩუქარი.

— და თქვენი მეუღლე?

— სათამაშო? ოჰ, არა! ანასთვის საუკეთესო საჩუქარი ყვავილებია. მას ყვავილებს მივართმევ. წითელ, მუქ წითელ მიხაკებს.

— წითელ მიხაკებს?! როგორც მაშინ, როდესაც...

— დიახ, თითქოს ჯერ კიდევ ის დრო იყოს, როდესაც... როდესაც ერთმანეთი შეგვიყვარდა!

უცებ გოგონამ ხმამაღლა დაიყვირა:

— ბატონო, ქორწინების ბეჭედი არ გიკეთიათ? თუმცა, რა თქმა უნდა, როდესაც სახლიდან შორს მიდიხართ, ქორწინების ბეჭედი განუხებთ, ხელს გიშლით...

— ნამდვილად მახვილი თვალი გაქვთ. არაფერი გამოგეპარებთ!

— მეორეჯერ აღარ განახოთ ქორწინების ბეჭდის გარეშე, თორემ... გაგიმართლათ, რომ ახლა დღესას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წაულია!

— პირობას გაძლევთ, ასე აღარ მოვიქცევი... წელს!

გოგონას გაეცინა. მუქარით დაუქნია კალამი, ანგარიშის გამოსაწერად ხელში რომ მოემარჯვებინა. მერე თანხა გამოთვალა და ქვითარი გადასცა.

— ბედნიერ ახალ წელიწადს გისურვებთ. — უთხრა გოგონამ.

— მეც ასევე, გისურვებთ ბედნიერ ახალ წელს!

გაუმარილა, ტაქსი მალე გამოჩნდა. სათამაშოების პარკები მანქანაში შეაწყო. „პატისიოს ქუჩაზე", — უთხრა მძღოლს. სიგარეტს მოუკიდა, ფანჯარა ცოტაზე ჩამონია, სკამის საზურგეს მიეყრდნო...

— ხვალ ახალი წელია! — წამოიწყო შუახნის სათვალიანმა მძღოლმა.

— დიახ, ახალია წელია, — გაეპასუხა ეს, თან თოჯინის პარკი შეასწორა.

— როგორ არის საქმე? — ჰკითხა მძღოლს.

— აბა, როგორ იქნება? ეს დღეებია, თითქოს რაღაცა ხდება... უფრო კი, არც არაფერი...

— არა?

— რა თქმა უნდა, არა! უამრავი საკუთარი მანქანა დადის უკვე. ეს აფუჭებს ხალხს. ვერ ხედავთ, რამდენი მანქანაა? ამას ისიც ემატება, რომ ყველას ტაქსის მძღოლობა მოეგუნება...

— მართალი ხართ. ეს საგზაო მოძრაობა... ამდენი ჯარიმა...

— ეგ იქით იყოს! ძველი ამბავია. მთვარეულებივით ვართ — მთელ ღამეს საჭესთან ვატარებთ.

— დიდი ხანია?

— დიდი ხანი? „დიდი ხანი" რომელია — მარტში ოცდაკამეტი წელი შესრულდება.

— მთელი სიცოცხლეა!..

— ჯანმრთელად მაინც ვიყოთ და მშვიდობა ნუ მოგვეშალოს!

— დიახ, მშვიდობა!..

— სათამაშოები თქვენი პატარებისთვის მიგაქვთ?

— დიახ.

— რამდენი გყავთ?

— ხუთი.

— ყორაღ! ღმერთმა გაგიზარდოთ!

— გმადლობთ!

— ჩვენ ორი გვყავს — ორივე ბიჭი. ერთი სანაოსნო ჯარში მსახურობს, მეორე...

ქუჩაში განუწყვეტლივ ასიგნალებდნენ მანქანები.

— ამერიკის მოედანი... ცოტათი შეანელეთ... ყვავილებს ვიყიდი.

— ყვავილებს? სახლისთვის?

— დიახ, ჩემი მეუღლისთვის.

— ტენედუზე დაგელოდებით. მოედანზე გაჩერება შეუძლებელია.

— კარგი, ტენედუზე... არ დავიგვიანებ.

გადმოვიდა, ყვავილების მაღაზიისკენ გაიქცა, პატისიოს ქუჩაზე იყიდა მიხაკები, ნითელი მიხაკები...

ტაქსისკენ მიმავალმა მაღაზიის ვიტრინაში გამოდგმული ღვინოები დაინახა. შევიდა, რაღაც მწკლარტე ღვინო იყიდა.

— ახლა კი პირდაპირ სახლში! — უთხრა მძღოლს.

— პირდაპირ სახლში!.. რომ იცოდეთ, რა კარგად მესმის თქვენი! სახლში ხომ მოუთმენლად გელიან! წარმომიდგენია, თქვენც ერთი სული გაქვთ, როდის დაბრუნდებით!

სამი-ოთხი წუთით დუმილი ჩამოვარდა.

— მეორე ქუჩა მარჯვნივ, მარჯვნიდან მესამე კარი. ცალკე სახლი.

ტაქსმა პატისიოსკენ შეუხვია. ეოლუმ გასაღები ამოიღო, კარი გააღო. პარკები ჰოლში შეიტანა... სინათლე აანთო. სინათლე აკაშკაშდა ოთახში. გადიოდა ერთი ოთახიდან მეორეში და ყველგან შუქს ანთებდა. ყველაფერი განათდა და მთელი სახალი აჩახჩახდა...

რადიოს ბოლომდე აუწია — სახლი ხმაურით აივსო... მხიარული ხმებით.

ორ ვაზაში ჩანყობილი მუქი ნითელი მიხაკები ირგვლივ სურნელს აფრქვევდნენ. ერთი ვაზა მაგიდაზე იდო, მეორე — ბუფეტში. სახლი ნითელ მიხაკებში ჩაიძირა...

მერე შვიდი ჭიქა გამოიღო, ღვინო გახსნა და შვიდივეში დაასხა...

— ესეც ასე, — თქვა მან, — მე და ანა — ორი, ხუთი ბავშვი — ესეც შვიდი.

სახანძრო მანქანა დაქოქა და ისიც საოცარი სისწრაფით გაგორდა პარკეტზე. სირენები ჩაერთო ნამდვილ სახანძროსავით. ციმციმებდნენ ნითელი შუქები...

დაქოქა თვითმფრინავიც, რომელიც ჯერ პარკეტზე გაგორდა და შემდეგ ზემოთ აფრინდა...

მერე თოჯინა მომართა, რომელმაც სიარული დაიწყო. თვალებს ხან ხუჭავდა, ხან ახელდა. წინ და უკან იხრებოდა...

მომართული შიმპანზე მხარზე შეისვა. მაიმუნი ზემოთ ააცოცდა და სალტოების კეთებას მოჰყვა...

ახლა ბზრიალა დაქოქა და ისიც დატრიალდა... დაბზრიალდა...

— სინამდვილეში, ხომ ასე არ არის ჩემი საქმე, — თქვა მან, — არადა, სწორედ ასე იქნებოდა, სხვაგვარად რომ წარმართულიყო ყველაფერი... მართლაც შვიდნი ვიქნებოდით... მე და ანა — ორი და ხუთი ბავშვი — სულ შვიდი! — ახლა, რა თქმა უნდა, შვიდი არა ვართ. ახლა ვარ... მხოლოდ ერთი!

თავისი ჭიქა აიღო, სხვებზე მიაჭახუნა — „ბედნიერ ახალ წელს გისურვებთ!" — თქვა ხმამაღლა. ცარიელ სახლში ხმა უცნაურად გაისმა. „ბედნიერ ახალ წელს გისურვებთ", — გაიმეორა კიდევ უფრო ხმამაღლა. მეტი აღარაფერი უთქვამს. ერთი ყლუპი ღვინო მოსვა... იდგა დიდი ოთახისა და დიდი ოცნებების შუაგულში. ეს იყო საჩუქარი, რომელიც საახალწლოდ საკუთარ თავს გაუკეთა, რათა შეექმნა ილუზია, რომ მარტო არ იყო. იდგა დიდი ოთახისა და დიდი ილუზიის შუაგულში ჩაძირული, რომელსაც ღვინოსავით ყლუპ-ყლუპად უსინჯავდა გემოს. მაგიდას და ბუფეტს ნითელი მიხაკები ამშვენებდა; მაგიდაზე ღვინო და ჭიქა ეწყო; რადიოდან ისმოდა დიქტორის ხმა, რომელიც იუწყებოდა, რომ შუაღამე უკვე დამდგარიყო; მარცხნივ, პარკეტზე სახანძრო მანქანა დაქროდა გაუჩერებლად; ეოლუს მხარზე მოკალათებული შიმპანზე სალტოებს აკეთებდა განუწყვეტლივ; ბზრიალა გამუდმებით ბრუნავდა. მთელი ოთახი სინათლეში ჩაძირულიყო; სახლი სინათლისგან ჩახჩახებდა...

მთელს სახლში თვალისმომჭრელი შუქი იდგა, მის გულში კი...

ბერძნულიდან თარგმნა **ანი უძილაურმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

Димитри Гулиа

დიმიტრი
გულია

აფხაზები, არსებითად, იგივე ქართველები არიან...

ჩემს წიგნზე — „აფხაზეთის ისტორია"

აფხაზები მუდამ ცხოვრობდნენ ქართველებთან ისტორიული და კულტურული თანაცხოვრებით...

დიმიტრი გულია

საქართველოს მდიდარი ისტორიის ღრმად დამუშავებისთვის, როგორც ცნობილია, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, მისი ცალკეული ნაწილების ისტორიის შედგენას. უპირველეს ყოვლისა, ალბათ, ეს ეხება აფხაზეთს, რომელიც ყოველთვის იყო საქართველოს განუყოფელი ნაწილი, ცხოვრობდა მასთან ერთად მთელი ისტორიის განმავლობაში, ერთი ცხოვრებით, ორგანულად მონაწილეობდა ქართული კულტურისა და სახელმწიფოებრიობის შექმნაში და არსებით როლს თამაშობდა ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის, ცალკეული ქართველური ტომებისა და მხარეების ერთიან, ძლიერ ქართულ ნაციონალურ სახელმწიფოდ გაერთიანებისთვის ბრძოლაში.

მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ დღემდე არა გვაქვს წიგნები, რომლებიც რამდენადმე მაინც სრულად და დამაკმაყოფილებლად გააშუქებდა აფხაზეთის ისტორიას. ამავდროულად, ბევრი მათგანი, რაც დაწერილა ამ საკითხის შესახებ, ყოველგვარ კრიტიკაზე დაბლა დგას. ჩემი ერთი ნაშრომიც ამ უკანასკნელთა რიცხვს მიეკუთვნება.

დაახლოებით ოცდაათი წლის წინათ, რადგან ვიცოდი, რომ „აფხაზეთს დღემდე არა აქვს თუნდაც მოკლე, მაგრამ მთლიანი დალაგებული ისტორია," ამ სტრიქონების ავტორმა პირველად განახორციელა საპასუხისმგებლო მცდელობა, შეექმნა შესაბამისი თხზულება ჩვენი მხარის ისტორიულ წარსულზე. ამის შედეგად დღის სინათლე იხილა ჩემმა წიგნმა „აფხაზეთის ისტორია" (ტომი I, თბილისი, 1925 წელი).

„ჩვენ გადავწყვიტეთ, — წერდა ავტორი, — მოგვეგროვებინა ჩვენს ხელთ არსებული ყველა ასე თუ ისე ფასეული ცნობა აფხაზეთის ისტორიის შესახებ, თუდაც შეკვეცილი სახით, მიგვეცა მათთვის კრიტიკული განმარტება, რომელიც უმთავრესად დაეყრდნობოდა აფხაზური ენის მონაცემებს, შიგადაშიგ შეგვევსო აუცილებელი განმარტებებით, ადგილებში კი ახალი ცნობებით,

რომელთაც ვიპოვიდით სოხუმში საჭირო ლიტერატურის სიმწირისდა მიუხედავად" (გვ. 9). შემდეგ: „იმედია, ეს ნაშრომი იქნება პირველი ქვა, ნასროლი სამეცნიერო გულგრილობის მშვიდ სიწყნარეში და გამოიწვევს ძალთა მოზღვავებას კავკასიის ნაციონისა და კულტურის ისტორიების ამოცანათა შემუშავებაში" (გვ. 14.).

ასეთი იყო სტიმული, რომელმაც გამამხნევა მეტად ძნელი სამუშაოსთვის და რომლის დაძლევაც შეუძლებელი იყო მხოლოდ ერთი ისეთი რიგითი მუშაკისთვისაც კი, როგორიც „აფხაზეთის ისტორიის" პირველი ავტორია. ეს საქმე დღემდე შეუსრულებელი რჩება, ვინაიდან აფხაზეთის ჭეშმარიტად მარქსისტული ისტორიის შექმნის საქმე მომავლის განსაკუთრებულად დიდი მნიშვნელობის აქტუალურ ამოცანას წარმოადგენს, რომლის გადასაწყვეტად მას შემდგომ ყველა ხელსაყრელი პირობაა შექმნილი.

დიდი ხნის წინათ მთელ რიგ მიზეზთა გამო ჩემი ხელიდან გამოვიდა თავის ნანამძღვარებსა და დასკვნებში არეული - არამარქსისტული, ანტიმეცნიერული, ფაქტობრივი და მეთოდოლოგიური ხასიათის შეცდომებით სავსე ნაშრომი.

როგორც შესავლიდან ჩანს, მე თითქოსდა მესმოდა, რომ „სუფლაც არა არის საჭირო, ყოველთვის ენდო ცნობებს, ნასესხებს არა პირველი, არამედ მეათე ხელიდან, თანაც საფუძვლიანი კრიტიკული შემოწმების გარეშე, ასევე, ზოგიერთი... მწერლის ნაწარმოებსაც, რომლებიც ცნობილი წინასწარაკვიატებული იდეებით ხელმძღვანელობენ". და მაინც ვენდობოდი მათ, ეს კი, სულ ცოტა, გულუბრყვილობა იყო ჩემი მხრიდან. სინამდვილეში, ბევრი თავისი უმეცარი ნაჯღაბნით იმ ვაჭრებმა, მოგზაურებმა თუ უცხო სახელმწიფოების საიდუმლო აგენტებმა, ჩვენს მხარეში სხვადასხვა დროს ჩამობარგებულებმა, ჩვენთვის ამუამად უკვე გასაგები, მაგრამ თავიანთი განსაკუთრებული მოსაზრებებითა და მიზნებით ისეთი სიმართლესმოკლეებული (დაუჯერებელი) ცნობები დაახვავეს, როგორიც არის შუახაბამ და საარაკო ამბები ენაზე, ისტორიაზე, ტოპონიმიკაზე, წეს-ჩვეულებაზე, ადგილობრივ ტომთა ეთნოგენეზზე, უბრალოდ, „იმდენად ანენ-დანენეს, დაამახინჯეს, გააბუნდოვნეს" ეს ყველაფერი, რომ, როგორც ამავე შესავალში ითქვა, „საზიანოდ მოიქცნენ, სარგებლის ნაცვლად შექმნეს დომხალი" (გვ. 8).

აფხაზეთის არქეოლოგიური მასალების სრულმა უქონლობამ, რომლითაც ხასიათდებოდა მაშინ ისტორიულ მასალაში ერთი მნიშვნელოვანი ხარვეზი, ასევე სპეციალურად მომზადებული კადრების არარსებობამ, განაპირობა ის, რომ „არა მარტო მინაში დამარხული სიძველეები, არამედ მიწის ზედაპირზე შესასნაველად ხელმისაწვდომი ძეგლები" რჩებოდა გაუთვალისწინებელი, აღუსუხსავი და აღმაშფოთებელი (შეუწყნარებელი) დუმილის მდგომარეობაში იმყოფებოდნენ.

ამ ყველაფრის გამო აფხაზთა ისტორია რჩებოდა იმდენად უმნიშვნელოდ გაშუქებული, იმდენად დამახინჯებული, რომ ავტორს უფლება ჰქონდა, გაეკეთებინა ასეთი დასკვნა: „მეცნიერებმა კიდევ ათეული წლები უნდა იმუშაონ, რათა ოდნავ მაინც მიუახლოვდნენ ჭეშმარიტებას".

მაგრამ არის საქმის მეორე მხარე, რომელსაც შეუძლებელია ჰქონდეს გამართლება, განა მხოლოდ ჩემ მიერ მიღებული გადაწყვეტილება — მივცე დავიწყებას უმნიფარი ჩემი ქმნილება, საფუძველშივე მერყეობისა და მანკიერებისა გამო, რაც აგვირგვინებს მას. ლაპარაკია იმაზე, რომ ნაშრომის დაწერიდან თითქმის მთელი სამი ათეული წლის განმავლობაში ავტორს ერთხელაც არ უცდია, კრიტიკულად გადაეხედა და გამოსულიყო იმ სერიოზული შეცდომებისა და ფალსიფიკაციის უარყოფით, რომლებიც ბლომად არის ჩემს ნიგნში „აფხაზეთის ისტორია", თუმცაღა ჩემთვის ეს შეცდომები უკვე დიდი ხანია ნათელია და გაცნობიერებული.

მაგრამ, ამბობენ, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. და აი, დღეს გადავწყვიტე, ბოლოს და ბოლოს, ვილაპარაკო, თუნდაც დიდი ხნის გულზრახვის ნაწილობრივი ხორცშესხმის წესით, ჩემი ნაწარმოების მანკიერებებზე და აფხაზეთის ისტორიაში ჯერ კიდევ არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის გზებზე.

მთავარი პრობლემა, რომლის ირგვლივაც იგება მთელი ჩემი „ისტორია...", არის აფხაზეთის ეთნოგენეზის პრობლემა, ხოლო ძირითადი ავტორისეული თეზისი, მრავალგზის და განსხვავებული ფორმით ჯიუტად რომ მეორდება ნიგნის მრავალ გვერდზე, ეფუძნება შიშველ და, რასაკვირველია, არასნორ მტკიცებულებებს ჩვენი შორეული წინაპრების აფრიკული წარმოშობის შესახებ.

ჩემი გამართლების სახით თუ არა, ისტორიული ცნობის წესით მაინც უნდა ვთქვა, რომ ამ მხრივაც, როგორც ბევრ სხვა აფხაზთმცოდნეობის საკითხში, ჩვენ, კერძოდ მეც, სამწუხაროდ, ვერ გავექეცით ნიკო მარის ანტიმარქსისტული კონცეფციის წარმოუდგენლად მავნე გავლენას, რომლის საერთო ლინგვისტური თეორიის აბსურდულობა ჩვენთვის ნათელი გახდა მხოლოდ მაშინ, როცა გენიალური ი. ბ. სტალინის შრომებმა ენათმცოდნეობის საკითხებზე დღის შუქი ინიცა.

ჩემს წიგნში მე გავშალე აფხაზების წარმოშობის მცდარი ეთიოპური ჰიპოთეთიკა და ყოველ ნაბიჯზე ხაზს ვუსვამდი იმას, რომ „აფხაზები და მათი წინაპრები ენიოხები, არსებითად -კოლხები, არიან ეგვიპტიდან, უმთავრესად აბისინიიდან გამოსულები" (გვ. 9). ამასთან, მე ვეყრდნობოდი ათასნაირ ლეგენდასა და თქმულებას და აფხაზური ენის შეუმოწმებელ მონაცემებს, ისიც — უფრო ხშირად მხოლოდ ნაწვეტებს სხვისი შრომებიდან, რომლებიც, როგორც მე მიმაჩნდა, თითქოს „ემთხვევა ჰეროდოტეს გადმოცემებს კოლხების გამოსვლაზე ეგვიპტიდან, საერთოდ აფრიკიდან" (გვ. 12). ჩემთვის ნაკლებად ცნობილ „გერმანელ მეცნიერთა ახალ შრომებზე" საეჭვო დასკვნებით და სხვა წვრილ-წვრილ მკვლევარებზე დაყრდნობით მე ვუშვებდი, რომ ძველი ეგვიპტის დამპყრობელ ჰიკსოსებს ეგვიპტელებს შორის ხშირი შეჯახებების

გამო ეგვიპტელებისა და ეთიოპელების ნაწილი უნდა გაესახლებინათ მათ ქვეყანაში და მის გარეუბნებში — ამიერკავკასიის მოსაზღვრე მხარეში... ამ გადასახლებულ ტყვეთა წინაპრები შეიძლება ყოფილიყვნენ ნაწილობრივ ის კოლხებიც, რომელთა ეგვიპტური წარმომავლობა ჰეროდოტესთვის უეჭველი იყო" (გვ. 13). მე ასევე ვამტკიცებდი აფხაზების ნათესაობას სემიტებთან და ქამიტებთან, გამოვდიოდი რა „სემიტური და იაფეტური ენების ნათესაობიდან".

ა. ნ. გრენის მსჯელობებტან შეხებისას, რომელიც ჩემამდე ოცდაათი წლით ადრე ამბობდა, აფხაზურ ენაში არსებული პრეფიქსები, როგორც ენის მახასიათებელი თვისება, მიუთითებს აფხაზურ-ჩერქეზული ენების ქამიტურთან კავშირზეო, და აკეთებდა დამატებით მითითებებს ანალოგიურ მოვლენაზე ერთ-ერთში ხეთური ენებიდან, მე ვწერდი: „თუ ქრისტეშობამდე მე-14 საუკუნის ათასსლეულში მცირე აზიის უძველეს ენაში არსებობდა კლასობრივი პრეფიქსები, მაშინ, ჩვენი აზრით, შეიძლება არა მარტო მიტანური ენა, არამედ ხუთური ენა განვიხილოთ, როგორც ხიდი ეგვიპტესა და აფხაზეთს (კოლხეთს) შორის" (გვ. 20). შემდეგ მე მივდიოდი მტკიცებამდე, რომ აფხაზურ ენას თავისი ფონეტიკით აქვს მსგავსება სამხრეთ აფრიკის დანარჩენი ტომების — ბუშმენებისა და ბოტენტოტების — ენებთან (გვ. 32).

საჭირო არ არის, ყურადღება შევაჩეროთ ნაშრომში არსებულ ფსევდომეცნიერულ, ხშირ შემთხვევაში, უაზრო ეტიმოლოგიურ ხრიკებსა და ლინგვისტურ ანალოგიებზე. საკმარისია ითქვას, რომ შემთხვევითი და შორეული თანახმიერობა საკმარისი აღმოჩნდა, რათა იპოვო იგივეობრივი კავშირი სახელწოდება „აბისინია"-სა (აბასია) და ჩვენი მხარის ადგილობრივ სახელდებას „აპსნი"-ს შორის, რომლის ეტიმოლოგია შეიძლება აიხსნას მხოლოდ აფხაზურიდან გამომდინარე: „სულის ქვეყანა" ან, უფრო სწორად, წყლიანი ქვეყანა, ნყალთა ქვეყანა" (ქვეყნისთვის, რომელიც მდებარეობს საჰარას გვერდით, არამომთხოვნ, პირველყოფილ ადამიანს თითქოსდა არ შეეძლო ეს ეთქვა). იქამდეც კი მიდიოდა, რომ ამტკიცებდა: ფორმები „აბხაზ"-ი... და „აბხაზია"... სავსებით უსუსურია და უნდა შეიცვალონ ერთადერთი სწორი ფორმით „აბას"... „აბასეც" და „აბასია" (გვ. 95).

ცნობილია, რომ ენის საშუალებათა შეზღუდულობას ადგილთა დიდძალი სახელწოდებების გამო, გარდაუვალად მივყავართ ბევრ უნებლიე დამთხვევასთან ტოპონიმიკაში, ერთმანეთთან ყოველგვარი გენეტიკური კავშირის გარეშე. ასეთ უნებლიე დამთხვევებს უნდა მივაწეროთ ჩემს მიერ მოტანილი გეოგრაფიული სახელების დიდი უმრავლესობა, ეთქვათ, ისეთესბია, როგორიცა არის ტბა ხოპი აბისინიაში და სოფელი ხუაპი აფხაზეთში და ა.შ.

მივყვეთ ავტორს. აი, კიდევ ერთი მაგალითი ჩემი დაუმტკიცებელი მსჯელობებისა.

ავტორი თავის მტკიცებულებას აგებს შემდეგნაირად. შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს აბორიგენები კოლხები იყვნენ. შემდეგ მათ უწოდებენ ენიოსებს, რადგანაც ენიოსები არსით იგივე კოლხები არიან, წაართვეს რა ბატონობა პირველებს, სახელწოდება (და არა ხალხი) „კოლხები" ქრება ისტორიის ჰორიზონტიდან. შემდეგ კოლხეთის ახალი მბრძანებლები იშორებენ უცხოელების მიერ მათი მეკობრული ცხოვრების წესის გამო მიცემულ მეტსახელს ენიოსი-მეელეები (დაახლოებით ჩვენი წელთაღრიცხვის დადგომიდან), და იწყებენ განსაკუთრებული, ნამდვილი საკუთარი სახელების „აბაზგები", „აბსილები" და სხვ. ტარების. დაბოლოს, „ერთი ხალხი ამ ტომებიდან, ე.ი. „კოლხთა", ლაზები თითქოსდა ბერძნების დახმარებით ღებულობენ პირველობას და კოლხეთი იცვლება სახელწოდებით ლაზიკა (ჩვენი წელთაღრიცხვის შემდეგ). მერე ეს მბრძანებლობა გადადის აბაზგებთან (აფხაზეთის ხელში), და ქვეყანა, ყოფილი კოლხეთი, ხოლო შემდგომში ლაზიკა დასანყისს აძლევს სახელწოდებას აფხაზეთი, მოგვიანებით კი აფხაზეთისა და საქართველოს ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებით ინოდება იმერეთად (მე-10 საუკუნის შემდეგ).

დავუშვათ, რომ ეს ყველაფერი ჭეშმარიტებაა, მაგრამ ისმის შეკითხვა, როგორ ხდება ხოლმე ესოდენ არსებითი მნიშვნელობის საქმეები მსოფლიოში ასე უბრალოდ და ადვილად? სად არის ფაქტები, რომლებიც დაამტკიცებდა ყოველივე ამას? სად არის ის შინაგანი მამოძრავებელი ძალა, ის გადამწყვეტი ფაქტორი და შესასწავლი საგნის კონკრეტული თავისებურებანი, რომლებიც განაპირობებს ყოველი ქვეყნის ისტორიული განვითარების საერთო კანონზომიერებასა და თავისთავადობის თვისებებს?

ავტორს ვერ გაურკვევია ტომთა ნარმოქმნისა და კონსოლიდაციის სურათი, ერთის მეორეზე გაბატონების ნამდვილი მიზეზი (რასაც, სხვათა შორის, ასე გაზვიადებული მნიშვნელობა ენიჭება), არ არკვევს სახელმწიფოებრიობის წარმოშობის დროის პირობებსა და ხასიათს, ეთნიკური ცვალებადობის მიზეზებს და ა.შ.

დიახ, ყველაზე კარდინალური საკითხების გადაწყვეტისას ჩვენ ვხედავთ გამარტივებას, ისტორიზმის პრინციპის არარსებობას, უდროოობას, ურთიერთგამომრიცხავ დასკვნებსა და ვარაუდებს, დაუმტკიცებლობასა და სქემატიზმს.

წიგნი არ იძლევა მშრომელთა — ხალხთა მატერიალური და სულიერი სიმდიდრის ძირითადი შემქმნელების — ყოფა-ცხოვრების ისტორიებს. მკითხველი ვერ იგრძნობს სოციალურ-ეკონომიკური ანალიზების მცდელობასაც კი პირველყოფილ თემური წყობილების, მონათმფლობელობის, ფეოდალიზმის და ა.შ. პერიოდებზე, წარმოდგენა არა აქვს სოციალურ-ეკონომიკურ ფორმაციებზე. არც ერთი სიტყვა კლასებზე და კლასთა ბრძოლებზე, თუმცა თითქოს კარგა ხანია უკვე ცნობილია მარქსიზმის ანბანური ჭეშმარიტებიდან იმის შესახებ, რომ „ისტორია ყველა წინა საზოგადოებისა არის კლასთა ბრძოლის ისტორია".

ამრიგად, ხალხი და მისი შემადგენელი კლასები არამცთუ მდუმარებენ, არამედ საერთოდ არ არიან და მთელი პოლიტიკური ისტორია დაყვანილია — ისიც ფრაგმენტული ცნობებისა და საზღაპრო თქმულებების საფუძველზე — მხოლოდ და მხოლოდ სამეფო

პირთა და სარდალთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღწერაზე.

წიგნი უხვად არის გაჯერებული საფუძველშივე მცდარი მსჯელობებით. ასე მაგალითად, აქ ნათქვამია: „კოლხეთის მცხოვრებლებში ჩვენ ვერ ვხედავთ ქართველურ ტომებს... ჩვენ არანაირი საფუძველი არა გვაქვს, მათში (ე.ი. კოლხებში) ვხედავდეთ ქართველური რასის ტომებს" (გვ. 85).

აქ იმ კულტურული გავლენების ჩამონათვალით შემოვიფარგლოთ, რომლებიც მოქმედებდნენ აფხაზეთში, უმთავრესად მე-5 საუკუნიდან მე-16 საუკუნის ქრისტიანულ ერამდე: პირველი პერიოდი — ბიზანტიური ზეგავლენა; მეორე პერიოდი თითქმის მე-10 საუკუნიდან — კულტურის ერთობლივი შემოქმედება ქართველებთან ერთიანობაში; მესამე ეპოქა მე-12 საუკუნიდან — გენუეზური გავლენები აფხაზურ-ქართველური კულტურის როლის შესანარჩუნებლად; მეოთხე — თურქული გავლენის პერიოდი, რომელიც ასი წლის წინ რუსულმა ჰეგემონიამ შეცვალა (გვ. 142-143). „აფხაზები, როგორც სანაპირო ბინადარნი, რომელთაც ზღვისიქითურ ბევრ კულტურულ მოსახლეობასთან ჰქონდათ ურთიერთობა, უმთავრესად ცივილიზებულ ბერძნებთან, მეზობელ მცხოვრებთა შორის კულტურის გამავრცელებლებს წარმოადგენდნენ" (გვ. 143-144).

ქალაქ სოხუმის ისტორიაზე მსჯელობისას, ვწერ, რომ გენუელებისა და ვენეციელების დროს ჩვენი „სანაპირო გაივსო მდიდარი ვაჭრებისა და ნარჩინებული ადამიანების მრავალრიცხოვანი ვილებით, რომელთაც აქ საუცხოო ბაღები გააშენეს..." (გვ. 105). ქართულ ხიდს მდინარე ბესლეთზე, დაუფიქრებლად ვუწოდებ ვენეციურს. სოფელ ლიხნზე ვამბობ, რომ იგი ქრისტეშობამდე მე-7 საუკუნეში ბერძენმა კოლონიალისტებმა დააფუძნეს. შემდგომში მითრიდატემ დაიპყრო, მერე კი რომაელთა სამფლობელოში შევიდა (გვ. 154). პირველი აფხაზი მეფეებიც კი, ლეონ I-მდე, ყველანი ბერძნული წარმოშობისანი იყვნენ (გვ. 208).

ამასთან ერთად მე ვწერდი: „ჩვენს ამჟამინდელ წიგნში გარკვეული საფუძველი გვაქვს ვილაპარაკოთ აფხაზების ისტორიულ ნათესაობაზე" სხვა ქართველურ ტომებთან, რომ არ „ გამოვრიცხავთ ვარაუდს აფხაზური ენის თუნდაც შორეულ ნათესაობაზე" ქართველთა, მეგრელთა, ლაზთა და სვანთა ენებთან (გვ. 240). ზღვა ცდომილებასა და მარცხში იძირება ჭეშმარიტების ის გაელვებანი, რომლებიც ნიადაგ გვხვდება წიგნში, რადგან ერთ მერცხალს გაზაფხული არ მოჰყავს. მათ რიცხვს მიეკუთვნება მომდევნო ადგილიც ჩემი წიგნიდან, რომელიც აშკარად ენინააღმდეგება ნიკო მარის უარყოფით, ბაუზად ამგდებ დამოკიდებულებას შედარებით მეთოდთან: „კავკასიის ენები ჯერ კიდევ ელოდებიან მათ მიმართ შედარებითი მეთოდის სრული მასშტაბით გამოყენებას, მხოლოდ ყველა კავკასიური ენის შედარებით გრამატიკას შეუძლია მოჰფინოს ნათელი მათ ურთიერონათესაობასა და წარმომავლობას" გვ. 240).

ჩემი დაუდევრობა მით უფრო მიუტევებელია, რომ სპეციალურ ქართულ ლიტერატურაში უკვე დიდი ხანია, დაწყებული ივანე ჯავახიშვილით, „გამბა" ნადგურებლად არის გაკრიტიკებული გერმანელი და სხვა უცხოელი ავტორების ბევრი ნაწერი, რომლებიც ქართველურ ენებს შეისწავლიდნენ, რომ ვერ შევძელი მესაწგებლა ქართველი მეცნიერების მიღწევებითა და მათი საფუძვლიანი არგუმენტებით ლინგვისტურ და სხვა შეპირისპირებათა საშიშროება შესადარებელი ფაქტების — უპირველეს ყოვლისა, ქართულ-კავკასიურის — მტკიცე ცოდნის გარეშე.

ასეთია, მოკლედ რომ ვთქვათ, შეცდომები წიგნისა „აფხაზეთის ისტორია", რომელმაც ჩემი ნების საპირისპიროდ, აფხაზეთის ისტორიული ცხოვრების ობიექტური ფაქტები გააყალბა.

მაგრამ რას წარმოადგენს ის დადებითი სურათი, რომელიც შეიძლება აღადგინო მარქსისტულ-ლენინური ისტორიული მეცნიერების საფუძველზე, აღადგინო აფხაზთა წარმომავლობის, ეთნიკური და კულტურულ-ისტორიული კუთვნილების შესახებ?

მე საჭიროდ მიმაჩნია თუნდაც მოკლედ, მაგრამ მაინც შევჩერდე ამ დიდ პრობლემაზე იმისთვის, რომ, უპირველეს ყოვლისა, ნათლად განვაცხადო და ვაჩვენო, რომ ამჟამად „აფხაზეთის ისტორიის" ავტორს, ცხადია, სულ სხვა შეხედულება აქვს საკითხის არსისადმი, ვიდრე ოცდაათი წლის წინათ; მეორეც, რათა ჩემი მხრიდან ერთხელ კიდევ გავუსვა ხაზი იმ, ახლა უკვე საყოველთაოდ ცნობილ, მრავალლრიცხოვან მეცნიერულად შემოწმებულ ფაქტებს, რომლებიც უდავოდ ამბობენ, რომ აფხაზები ყოველთვის ერთი ისტორიული და კულტურული ცხოვრებით ცხოვრობდნენ ქართველებთან ერთად, რომ აფხაზები, კაცმა რომ თქვას, იგივე ქართველები არიან; რომ, ბოლოს და ბოლოს, შემდგომში შეძლებისდაგვარი დახმარება გავუწიო აფხაზეთის ისტორიის საკითხებში სწორი დასკვნების გამოტანას, გავაფრთხილო შესაძლო შეცდომისგან, მოვუწოდო გამრუდებული ადგილების გამართვისკენ, ამ დარგში დაშვებული პრინციპული და მეთოდოლოგიური ხასიათის უხეში შეცდომების გამოსწორებისკენ.

ქართველი ისტორიკოსების, პირველ რიგში აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას უახლესმა გამოკვლევებმა, რომლებიც ეყრდნობა ყველაზე უფრო შემოწმებულ დებულებებს, მოგვცეს შესაძლებლობა ახალი ისტორიული კონცეფციის შემუშავებისა, რომელიც გვაუწყებს: „ძველი საქართველო წარმოადგენს უფრო დიდი სამყაროს ორგანულ, მაგრამ თავისთავად ნაწილს; ვიწრო ასპექტით ეს სამყარო წარმოდგენილია კავკასიით, ხოლო უფრო ფართო ასპექტით — ძველი აღმოსავლეთით, რომელთანაც სხვა კომპონენტებით საქართველო დაკავშირებულია მრავალმხრივი და მრავალფეროვანი გენეტიკური და ისტორიული კავშირებით..." (კრებული „აკ. სიმონ ჯანაშია", 1949 წ., გვ. 151).

„უძველესი წარსულიდან ქართველი ერი ცხოვრობდა, შრომობდა და იბრძოდა თავის ტერიტორიაზე დიდი თავრიდიდან დიდ კავკასიამდე, ქმნიდა რა თავისი ცივილიზაციისა და სახელმწიფოებრიობის სულ ახალ და ახალ ცენტრებს, ქართველმა ხალხმა

აჩვენა გასაოცარი სასიცოცხლო შემოქმედებითი უნარი, მშობლიური მინისადმი შეუპოვარი ერთგულება, ურყევი ნებისყოფა, დაიცვას თავისი საკუთრება" (ს. ჯანაშია და ნ. ბერძენიშვილი „ჩვენი კანონიერი პრეტენზიები თურქეთისადმი").

ქართულ ისტორიოგრაფიაში დიდი ხანია გამოითქვა აზრი ქართველური ტომების ნათესაობაზე წინარე აზიის უძველეს ხალხებთან, მაგრამ შესაბამისი ფაქტები აიხსნებოდა ქართველური ტომების „გადასახლებით" საქართველოს ამჟამინდელ ტერიტორიაზე. საჭიროა ლაპარაკი არა ცალმხრივ და ერთაქტიან „გადასახლებაზე", არამედ ამ ტომთა განუწყვეტელ განსახლებაზე, კულტურულ-პოლიტიკური ცენტრების თანდათანობით გადანაცვლებაზე სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ. ამჟამად უკვე დამტკიცებულია ქართველური ტომების გენეტიკური კავშირი კავკასიის სხვა მკვიდრ ხალხებთან, აგრეთვე, ახლო აღმოსავლეთის უძველეს კულტურულ ბობრიგენ ხათ-სუბარებთან და ქალდეველებთან. მრავალრიცხოვანი მასალის ღრმა ანალიზის საფუძველზე აკადემიკოსმა სიმონ ჯანაშიამ დამაჯერებლად შეძლო კონსტატირება, რომ ხათები — სუბარები იყვნენ ქართველთა წინაპრები" და რომ „ქალდეველთა ეთნიკური კუთვნილება უდავოა: ისინი ქართველ ხალხთა ნაწილს წარმოადგენდნენ" („საქართველოს ისტორია", I ნაწ.).

ჩვ. წელთაღრიცხვამდე მეორე ათასწლეულში ხათები და სუბარები პირველობენ წინარე აზიაში. მდინარის კლაკნილში, რომელიც ცნობილია მთელი ძველი სამყაროსთვის თავისი ქართული სახელწოდებით ჰალისი, ტიგროსისა და ევფრატის აუზის ზემო ნელში, ისინი ქმნიან მიწათმოქმედებისა და მეტალურგიული კულტურის დიდ კერებს. სუბარულმა ხელოვნებამ ძლიერი გავლენა მოახდინა სხვა ხალხთა, მათ შორის ბერძენთა, ხელოვნებაზე.

რას ამბობენ ნივთიერი და დოკუმენტური ფაქტები თვით აფხაზეთიდან? ხოლო ფაქტები ჯიუტი რამაა.

აფხაზეთის სხვადასხვა ნაწილში — მათ შორის, განსაკუთრებით, სოხუმის მიდამოებში — სსრკ-ში ყველა ცნობილ დასახლებათა შორის უძველეს ახალშენში, აღმოჩენილია უამრავი მატერიალური კულტურის პირველხარისხოვანი არქეოლოგიური ძეგლი. ჩვენი დროიდან რამდენიმე ათეული ათასი წლის წინათ პირველყოფილი ადამიანების საზოგადოებრივ სადგომთა არსებობის ქვემოპალეოლითური ნივთიერი მტკიცებები აღნუსხულია იაშთხვაში, ბირსცაში, გალში, ოჩამჩირესა და სხვა ადგილებში. განსაკუთრებით ღირსშესანიშნავია ნეოლითური მასალები კისტრიკიდან (გუდაუთის მახლობლად), რომლებიც შესანიშნავად დახვეწილ ქვის იარაღებს შეიცავენ.

აფხაზეთში რამდენიმე ადგილას გვხვდება ხუროთმოძღვრების უძველესი ძეგლები — მეგალითები და დოლმენები — ხუთი უზარმაზარი ქვისგან ამოყვანილი რამდენიმე ადამიანის დასაკრძალავი ნაგებობა.

აფხაზეთის წიაღი ბევრ საინტერესო კულტურულ ფენასაც ინახავს ეპოქაზე, რომელიც, როგორც მიღებულია, ინოდება საქართველოს ისტორიის „ანტიკურ პერიოდად".

ფართოდ არის ცნობილი შემდეგში კოლხური კულტურის ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლები (დაახლოებით 1500-500 წწ. ჩვენს ერამდე), კერძოდ, ბრინჯაოს მრავალრიცხოვანი ნაკეთობა, მათ შორის საომარი და სამეურნეო დანიშნულების ცნობილი „კოლხური ცულები", უხვად რომ გვხვდება დასავლეთ საქართველოს ბევრ ნაწილში — აფხაზეთში, გურიაში, აჭარაში, ქვემო იმერეთში და რაჭა-ლეჩხუმში. ცულის ეს ტიპი წარმოადგენს ორიგინალურ ქმნილებას, ნაკვეს კოლხთა კულტურის ადგილობრივი უძველესი ტრადიციებით, რომელთაც შინ ადრე განავითარეს მეტალურგიული წარმოება, რაზეც მეტყველებს მაგალითად, რიონის ზედაწელში ნაპოვნი უძველესი სამთო იარაღები, რომლებიც მოქმედებდნენ დაახლოებით 3500 წლის წინ.

ეს ძეგლები მჭევრმეტყველურად მოწმობენ დასავლეთ საქართველოს მთელი ტერიტორიის ძველქართველური ტომების (საერთო სახელით კოლხები) ერთმანეთში ახლო ნათესაურ მტკიცე და უნყვეტ დასახლებაზე. ტომები, უძველესი დროიდან რომ სახლობდნენ თანამედროვე აფხაზეთის მინებზე, ქმნიდნენ ერთ ორგანულ კულტურულ-ისტორიულ წრეს მათთან ერთად და განვითარებისა და მჭიდრო კულტურული ურთიერთობისკენ ერთიანი გზით მიდიოდნენ. ამჟამად ე.წ. „ყუბანური კულტურა" შეიძლება ჩაითვალოს, და ასეც უნდა იყოს, კოლხურად, ე.ი. დასავლეთ საქართველოს ადგილობრივ კულტურად არა მხოლოდ მისი ადგილ-მდებარეობის გავრცობის უპირატესობის, არამედ წარმოშობის გამოც.

ჩვენს ერამდე პირველი საუკუნეების ათასწლეულის დასაწყისისთვის საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა ორი დიდი კულტურული მხარე — აღმოსავლეთი და დასავლეთი, თანაც ამ უკანასკნელმა თავისთვის მიითვალა დასავლეთ საქართველო, ჩრდილოეთ კავკასიის მთიანი ნაწილი მდინარე თერგის დასავლეთით, მდინარე ჭოროხის აუზი და შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროს მნიშვნელოვანი ნაწილი. სწორედ ეს არის ის ტერიტორია, რომელიც შემდგომში კოლხეთად იწოდებოდა. ამჟამინდელი ქარალი იყო ცენტრალური რაიონი, სადაც აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ტომები ერთმანეთში შრომის ნაყოფს ცვლიდნენ. მიუხედავად ამ ორი მხარის, შემდეგ კი ორი შესაბამისი პოლიტიკური წარმონაქმნის არსებობისა, ქართველური ტომები არ კარგავდნენ კულტურულ ერთიანობას; ტერიტორია, პოლიტიკურად დაქუცმაცებული, კულტურით ერთიანი რჩებოდა.

ქართველი ერი პოლობს საკუთარ თავში სასიცოცხლო ძალებს მრავალსაუკუნოვანი ცივილიზაციის უწყეტი განვითარებისთვის ამ ახალ სახელმწიფოებსა და კულტურულ ცენტრებში, რომლებიც თანდათან გადაადგილდებიან ჩრდილოეთისკენ. სასპერების, ე.ი. იბერთა სახელმწიფო, და კოლხეთი — ჩვენს ერამდე მე-5 საუკუნის წინარე აზიის ორი დიდი სამეფო ოთხიდან. ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში რომაელები ახერხებენ კოლხეთის დაპყრობას. მოგვიანებით, მე-4 საუკუნის აღმოსავლეთ კოლხეთიდან წარმოიქმნება

ლაზეთის სამეფო (ქართველებში კი ძველი ნაციონალური სახელით — ეგრისი). მაშასადამე, ლაზიკა კოლხეთის მემკვიდრეა, ხოლო ლაზები კოლხების პირდაპირი შთამომავლები.

ქართველურმა ტომებმა, ჩვენ წელთაღრიცხვამდე დიდი ხნით ადრე რომ გაიარეს გვაროვნული წყობილების ხანგრძლივი პერიოდი, პირველი ანტაგონისტური კლასობრივი საზოგადოების წარმოქმნის შედეგად ადრე შექმნეს შინ მონათმფლობელური სახელმწიფო, შეცვლილი ფეოდალიზმის ურთიერთობებით, რომელიც ჩვენი წელთაღრიცხვით მე-3-4 საუკუნიდან იწყებს აღმოცენებას, მაგრამ საბოლოო გამარჯვებას ჩვენი წელთაღრიცხვით მე-4 საუკუნეში აღწევს. აქედან გამომდინარე, აშკარად ჩანს, რომ ქართულ სახელმწიფოებრიობას გაცილებით უფრო ხანგრძლივი ისტორია აქვს, ვიდრე ეს აღწერილია ძველ ისტორიოგრაფიაში. საქართველოში დიდი ხნით ადრე ჩვენს წელთაღრიცხვამდე უკვე არსებობდა განვითარებული სახელმწიფოებრივი სისტემა მეფის მეთაურობითა და სახელმწიფო ხელისუფლება ყველა მისი ატრიბუტებით. შესაბამისად ამისა, ქართველი ნაციაც, რომლის ჩამოყალიბების პროცესი საბოლოოდ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში დასრულდა, იქმნებოდა ხანგრძლივი და რეგულარული ურთიერთობებით, საქართველოს ტერიტორიაზე თაობიდან თაობამდე ადამიანთა ერთად ცხოვრების შედეგად.

თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე მოსახლე ტომები მთელი ამ ისტორიის განმავლობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ქართული ისტორიის შემოქმედებაში, დაწყებული ძველი კოლხეთიდან და უფრო ადრეც.

ჩრდილოეთ კოლხეთში ბინადრობდნენ ზანები, ანუ ლაზები (რაონისა და ენგურის გასწვრივ), მათგან ჩრდილოეთით — აფსილები, უფრო ჩრდილოეთით კი აბაზგები და სანიგები. ყველა მათგანს ჰყავდა თავისი მთავარი; ჩვენი წელთაღრიცხვით მე-4 საუკუნისთვის ეს ტომები შედიან ლაზეთის სამეფოში, რომელმაც შეცვალა კოლხეთი. მე-6 საუკუნიდან აბაზგები ჩამოშორდნენ მას და ითვლებოდნენ უშუალოდ ბიზანტიის იმპერატორის ვასალებად, რომლის ზემოქმედებით გაქრისანადნენ კიდევაც.

აფხაზეთის ეს ტომები, როგორც საქართველოს სხვა მხარეებშიც, შეუპოვრად იცავდნენ თავიანთ თავისუფლებას უცხო ქვეყნის დამპყრობლებისგან. ასე მაგალითად, მამაცმა აბაზგებმა ერთ უთანასწორო ბრძოლაში რომაელთა ტყვეობას არჩიეს ყველანი დაღუპულიყვნენ ცეცხლში, რომელმაც მოიცვა მათი მიუდგომელი ციხესიმაგრე ტრაქეა (ამჟამად გაგრა). ამ დროს აფხაზეთის მეორე მხარეც მოიცვა მღელვარებამ სხვა გარეშე მტრების წინააღმდეგ და აჯანყებულმა აფსილებმა ამოჟლიტეს მთელი სპარსული გარნიზონი, რომელიც მათ ციხესიმაგრე ციბილაში (ამჟამად ნებელდა) იდგა.

უძველესი ტომობრივი სახელწოდება „აბაზგი" მე-8 საუკუნისთვის ქართულ ნიადაგზე, თანხმოვნების შინაგანი განაწილების კანონით შეიცვალა „აფხაზი"-თ, აქედან ქვეყნის სახელწოდება „აფხაზეთი", რუსულად — „აბხაზია".

აფხაზეთში განსაკუთრებით უხვად გვხვდება კლასიკური ტაძრები ქართველების ფეოდალური ისტორიისთვის მეტად მნიშვნელოვანი პერიოდისა, როდესაც საბოლოოდ ყალიბდება ქართული ფეოდალური სახელმწიფოებრიობა. ამ მინისქვეშა და მინისზედა პირველხარისხოვან ისტორიულ ნაგებობებზე (ციხესიმაგრეები, ტაძრები, ეკლესიები, სხვადასხვაგვარი სამოქალაქო ნაგებობა) აშკარად იკვეთება ქართველურ ტომთა ერთიანობა და მთლიანობა, მათ შორის აფხაზთა, რისი საფუძვლების ჩაყრა ხდება მანამდე ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე.

ფეოდალურ ხანაში ჩვენებურ ტომთა რიცხვი კლებულობს და აფხაზეთი წარმოდგენილი იყო სამ დამოუკიდებელ საერისთაოდ, რომელთაგან მხოლოდ ერთი ინოდებოდა „აფხაზეთის საერისთაოდ" (თანამედროვე ათონიდან მდინარე ბზიფამდე), თანაც ეს ტომები არ იდგნენ უფრო შორს, ვიდრე, ვთქვათ, სვანები ან მესხები.

ხოლო, რაც შეეხება თანამშრომლობას ქართული სახელმწიფოს შექმნის პროცესში, ამ მხრივ „აფხაზეთისა" და აფხაზების როლი სრულიად განსაკუთრებულია. აფხაზეთი სხვა ქართულ სამთავროებთან ერთად ქმნის, ერთ დროს მეთაურობს კიდევაც, ქართულ ფეოდალურ მონარქიას („აფხაზეთის სამეფო"), მთლიანად და განუყრელად შედის ერთიან და საერთო ქართულ ეთნიკურ და კულტურულ-ისტორიულ არეში.

მე-8 საუკუნის ბოლოს აფხაზმა ერისთავმა ლეონ II-მ, ისარგებლა რა ბიზანტიის არეულობითა და ლაზეთის სამეფოს დასუსტებით, თავი დამოუკიდებელ მმართველად გამოაცხადა, თავის სამფლობელოს შეუერთა ეგრისი და არგვეთი და რეზიდენციად აირჩია ქუთათისი (ამჟამად ქუთაისი). „დინასტიის სახელით დასავლეთ საქართველოს ეს ახალი ძლევამოსილი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი იწოდება „აფხაზეთის სამეფოდ" („საქართველოს ისტორია, 152). ბინადართა შემადგენლობაში დიდი ცვლილებები არ მომხდარა, დასავლეთ საქართველოში მცხოვრებთა დიდ უმრავლესობას უწინდებურად ქართები, მეგრელები, სვანები და აფხაზები შეადგენდნენ.

„აფხაზეთის სამეფოს", ე.ი. დასავლეთ საქართველოს ქართული ეკლესიის ეპისკოპოლარული კათედრა მდებარეობდა თვით აფხაზეთში (ბიჭვინთაში). ოფიციალური თვალსაზრისი ქართველი მეფის ხელისუფლების მოცულობაზე ასახული იყო ქართველ მეფეთა ჩვეულებრივ, კანონიზირებულ ტიტულატურაზე, როგორც შეიქმნა იგი მე-12 საუკუნისთვის: „ღვთის ნებით მეფე აფხაზთა, ქართთა, რანთა, კახთა და სომეხთა, შირვან-შაჰი, შაჰინ-შაჰი, თვითმპყრობელი მფლობელი მთელი აღმოსავლეთისა და დასავლეთისა" („საქართველოს ისტორია", გვ. 231). ამგვარად, ის, რომ გაერთიანებული საქართველოს მეფე ინოდებოდა უპირატესად „მეფედ აფხაზთა" — იმ როლის აშკარა გამოხატულებაა, რომელიც ითამაშეს აფხაზმა მეფეებმა საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების საქმეში.

უდავო წესით დადგენილია, რომ უკვე აფხაზეთის სამეფოში, ყოველ შემთხვევაში, მე-9 საუკუნის ნახევრიდან, ქართული ენა წარმოადგენს დამწერლობის, სახელმწიფო და კერძო საქმისწარმოების, საეკლესიო წესისა და ღვთისმსახურების ერთადერთ ენას. ქართული ენა და კულტურა აფხაზეთში ამ თავის როლს არ კარგავდნენ საქართველოს ფეოდალური დაქუცმაცებისა და აფხაზეთის სამთავროს გამოყოფის შემდგომ პერიოდშიც კი.

მე-10 საუკუნის დასაწყისიდან, ზოგიერთი პროგრესულად მოაზროვნე აფხაზი მეფე, ფართო თვალთახედვითა და მრავალმხრივი მგზნებარე საქმიანობით გამორჩეულები, გამოდიან აქტიური ბრძოლის ინიციატივით გაერთიანებული ქართული სახელმწიფოს ძლევამოსილების გასაძლიერებლად, მთელ ხალხთა ძალების დასარაზმად ცენტრალიზებული მმართველობის ირგვლივ, ქრისტიანობის გასაძლიერებლად სრულიად საქართველოს ტერიტორიაზე და ა.შ.

იმ ეპოქიდან ჩვენამდე მოაღწია ქრისტიანული არქიტექტურის შესანიშნავმა ძეგლებმა. ასე მაგალითად, მე-10 საუკუნეში აფხაზმა მეფე გიორგიმ განაახლა მატერიალური კულტურის ისეთი ძეგლი, როგორიც არის მარტვილის მშვენიერი ტაძარი, მისმა შვილმა მეფე ლეონმა ააგო მოქვის საუცხოო ტაძარი, ხოლო ალმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს გამაერთიანებელმა ბაგრატ III-მ ააშენა ქუთაისისა და ბედიის ტაძრები. სწორედ აქ, ბედიის ტაძარშია იგი დაკრძალული.

„ბიჭვინთა, — ვკითხულობთ ერთ ქართულ წყაროში, — ნიშნავს ფიჭვიან ადგილს... მე-8 საუკუნეში აქ იყვნენ აბო თბილელი და საქართველოს ერისთავი ნერსე, რომელთაც მთელი აფხაზეთი ნახეს ქრისტიანული მოძღვრებით გაბრწყინებული".

მე-7 საუკუნის ხიდების აგების ნიშუშს თავისი საუცხოო კონსტრუქციით ბესლეთის ხიდი წარმოადგენს ქართული ასომთავრული წარწერებით.

ამგვარად, შეუძლებელია, გამორიცხო აფხაზეთის ორგანული მონაწილეობა შუასაუკუნეების საქართველოს უძველესი, ანტიკური და კლასიკური ფეოდალური კულტურის შექმნაში, მსოფლიო შედევრების ყველა სახის შემოქმედებას რომ იტევს, სწორედ ისევე, როგორც შეუძლებელია ამის გაკეთება საქართველოს სხვა მხარეთა მიმართ. აფხაზეთი წარმოადგენს საქართველ.ის ორგანულ ნაწილს მისი მთელი მრავალფეროვნების სრული მნიშვნელობით.

აფხაზეთის ამ ისტორიულ-კულტურულმა ერთიანობამ დანარჩენ საქართველოსთან, რომელიც ასეთი ორგანული და ინტენსიური იყო არაერთი საუკუნის განმავლობაში, ისტორიული ბედის უკუღმართობით, გარკვეულ დროს, სამწუხაროდ, იწყო დასუსტება. ამ პროცესის გაძლიერებას განსაკუთრებით ხელს უწყობდა ბარბაროსი თურქი დამპყრობლების სისხლიანი ინსინუაციები, რომლებიც არაფერს თაკილობდნენ თავისი გაუმაძღარი აგრესიული ჟინის განსახორციელებლად. თურქეთი არაერთი საუკუნის განმავლობაში ცეცხლითა და მახვილით ცდილობდა თავისუფლებისმოყვარე ქართველი ხალხის ნინაალმდეგობრიობის ძალის გატეხას, მის ასიმილირებას, მისი თავისუფლებისა და ნაციონალური დამოუკიდებლობისკენ დაუოკებელი ლტოლვის ჩახშობას.

მრავალ დამპყრობელს იცნობდა საქართველო — რომაელებს, სპარსელებს, არაბებს, მონღოლებს და სხვ. — მაგრამ თურქებმა იმ სისხლმოწყურებელ მტერთაგან სამართლიანად დაიმსახურეს ყველაზე ცუდი წოდება. სიკვდილი, ნგრევა, გაველურება; სიცოცხლით მჩქეფარე ქალაქების მოსპობა, ინტეხსიური სასოფლო-სამეურნეო კულტურების გაქრობა; მოსახლეობის გაღატაკება, ქართველ ხალხთა წმიდათა წმიდის — ენის, კანონების, ტრადიციების, მამათა სარწმუნოების მხეცური დევნა; ქრისტიანთა შევნროება; მსოფლიო მნიშვნელობის მქონე ქართული თვითმყოფადი მონუმენტური არქიტექტურის ძეგლების ნგრევა; ისლამის ისისლით და მახვილით დანერგვა და გათურქება; ქვეყნის კეთილდღეობის მოსპობა და მისი გადაქცევა მონათა საზიზღარი ვაჭრობის საშინელ ბუნაგად; პოლიტიკური გათიშვა ყველანაირი მეთოდებით და საქართველოს ერთი ნაწილის მეორესთან დაპირისპირება; სწრაფვა სიძულვილის გაღვივებისკენ ქართველ ხალხთა ცალკეულ ნაწილებში არა მხოლოდ რუსეთისადმი, არამედ ერმანეთის მიმართაც — ასეთი იყო თურქეთის „სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის" მიზანი მისი დაქვემდებარების ქვეშ მყოფ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ეს არც არის გასაკვირი, რადგანაც სხვა რაღაც პროგრესულისა და დადებითისთვის უნიჭო იყო დაუძლურებული, სულ ერთიანად დამპალი ბრწყინვალე პორტა, რომელიც „ფეოდალიზმის ყველაზე დაბალ და ბარბაროსულ სტადიაზე" (კ. მარქსი და ფრ. ენგელსი, თხზ. ტ. IX, გვ. 374) იმყოფებოდა.

შესანიშნავ ნაშრომში „ნაციონალური საკითხი და ლენინიზმი" ამბ. სტალინი თურქეთში ასიმილაციის განსაკუთრებულად სასტიკ მეთოდებზე მიუთითებს. „თურქი ასიმილატორები, — აღნიშნავს ამბ. სტალინი, — ასიმილატორთა შორის ყველაზე სასტიკნი არიან, — ასეული წლები ანამებდნენ და ამახინჯებდნენ ბალკანეთის ნაციებს... სპარსი და თურქი ასიმილატორები ასეული წლების განმავლობაში აქუცმაცებდნენ, ტანჯავდნენ და ულეტდნენ სომეხ და ქართველ ნაციას" (სტალინი, თხზ., ტ. II. გვ. 347-8).

თავისი სისხლიანი ჩანაფიქრის ცხოვრებაში განსახორციელებლად უსინდისო თურქმა მმართველებმა სხვებს შორის საყრდენ პუნქტად სოხუმი და, საერთოდ, აფხაზეთი შეარჩიეს. ამ მხრივ წამოწყებული იყო მრავალგზისი მცდელობები თურქული გეგმის — საქართველოს სრული დამონების — ბოლომდე მისაყვანად. სოხუმელი მოღალატე ფაშები, ახალციხისა და ბათუმის ფაშებთან ერთად, თურქული აგრესიისა და გავლენის შავი ნიშნის თავგამოდებული მიმდევრები იყვნენ.

სწორედ ერთი ასეთი, თურქების მიერ დაყენებული კაცი, თავგამოდებული და მათი ინტერესების აქტიური გამტარებელი იყო, მაგალითად, სულთნის ერთგული მსახური, სამშობლოს მოღალატე ქელეშ-

ბეი, აფხაზეთის მთავარი მე-18 საუკუნის ბოლოსა და მე-19 საუკუნის დასაწყისში. ქელეშ-ბეი საქართველოს პოლიტიკურ დასუსტებას უწყობდა ხელს. მისი მოღვაწეობა, როგორც საქართველოს სხვა სამთავროთა ზოგიერთი მმართველისა, საავსებით პასუხობდა და ემსახურებოდა საქართველოს დანარჩენი მტრების პოლიტიკურ მიზნებს. რანაირი „პატრიოტი", თურქული აგრესიის „მოწინააღმდეგე" ან ქედმოუხრელი „გმირია", როდესაც ეს მმართველი არაერთი ათეული წლის განმავლობაში შეგნებულად მთელი ძალებით უწყობდა ხელს თურქულ მოთხოვნებს, მიმართულს საქართველოსგან აფხაზეთის სრული მოწყვეტისკენ, მისი ტერიტორიის, განსაკუთრებით ქალაქ სოხუმის გადაქცევას საიმედო საყრდენ პუნქტად, საიდანაც პორტა დანარჩენ საქართველოსაც გამოუთხრიდა ძირს; როცა ეს გულქვა რეაქციონერი ფეოდალი, დუუმორეული რომ იცავდა მონათვაჭრობის სამარცხვინო უფლებებს, ფართო მასშტაბით ეწეოდა თურქთა მონობაში თავის ქვეშევრდომთა და თვისტომთა გაყიდვას; არ იშურებდა ძალ-ღონესა და სახსრებს, ოღონდ კი თურქთა ბეგი გამხდარიყო; როცა სულთნის პოლიტიკისადმი თავისი მორჩილი ხელქვეითობით, მათ შორის ისლამის მიღებითა და შემდგომში მისი გავრცელებით, ხელს უწყობდა საქართველოსთვის უდიდეს ბოროტებას, — ხელს უშლიდა მთელი ქვეყნის გაერთიანების საერთო საქმეს.

განა შეიძლება ეჭვის შეტანა იმაში, რომ, საქართველოს ისტორიის თვალსაზრისით, გმირები არ შეიძლება ყოფილიყვნენ ქელეშ-ბეის ტიპის საზიზღარი მოღალატეები და გამცემლები, რომელთა საქმიანობაც მიმართული იყო ჩვენი საყვარელი მშვენიერი სამშობლოს, საქართველოს, დასუსტებისკენ, დაქუცმაცებისკენ და ჩვენი ხალხის სრული დაპყრობისკენ ნაწილ-ნაწილ და მთლიანად.

მაგრამ, მიუხედავად მტრების ამ მზაკვრული ოინებისა, მომთაბარე ურდოებისა და სხვა მტაცებელთა არაერთგზისი საშინელი შემოტევებისა, რომლებსაც ქართველები ყოველთვის არნახული გააფთრებით უწევდნენ წინააღმდეგობას, მიუხედავად აუნაზღაურებელი დანაკარგისა, ქართველი ხალხი ფრთხილად იცავდა ყოველთვის და შემდეგშიც ავითარებდა თავისი ერთიანობის ძვირფას ცნობიერებას. მე-11 საუკუნის ბიზანტიელი მწერალი იოან ცეცესი ამტკიცებს, რომ იბერები, აბაზგები და ალანები ერთი ხალხია, ხოლო მე-15 საუკუნის სომეხი ჟამთააღმწერელი თომა მეწონელი თავის მკითხველებს უხსნის, რომ „ქართულ სახლში", ე.ი. ქართულ ნაციონალურ-კულტურულ გაერთიანებაში შედის რვა ტომი — ქართები (ვრაცი), იმერლები, მეგრელები, სვანები, აბხაზები, მესხები, დვალები და ოსები..." მე-17 საუკუნის ქართველი ისტორიკოსი გორგიჯანიძე, როცა ირან-თურქეთის 1555 წლის ხელშეკრულებაზე ყვება, ამბობს: „სულთანმა და შაჰმა ერთმანეთში გაინაწილეს საქართველო — სამცხე, ქართლი და კახეთი ცნეს შაჰის, ხოლო იმერეთი, ოდიში (სამეგრელო), გურია, აფხაზეთი და ლაზთა მინა — სულთნის სასარგებლოდ" („საქართველოს ისტორია", გვ. 7).

ძნელი წარმოსადგენიც კია, განუცხადებდნენ თუ არა კვლავ სამყაროს ქართველი ერის პოტენციებს, რომ არა ეს გამანადგურებელი ომები ამდენი მტრის წინააღმდეგ, რომელმაც, როგორც გაუმაძღარმა მოლოხმა, წარმოუდგენლად დიდძალი ნაციონალური ძალა შთანთქა.

ასევე, მთელი მე-17-18 საუკუნის განმავლობაში ქართველი ერის შემოქმედებითი ენერგია თითქმის მთლიანად ჩაყლაპა ბრძოლამ სიკვდილზე თუ სიცოცხლეზე ფიზიკური განადგურების საშიშროების წინააღმდეგ შაჰის ირანისა და თურქეთის სულთნის მხრიდან.

ამ საშიშროებისგან კავკასიის ხალხი რუსეთთან შეერთებამ იხსნა.

თარგმნა დავი ყალიჩავამ

ეროვნული ბიბლიოთეკა



კონსტანტინე ზ. გამსახურდია

„იგი სიკეთით გახლდათ საცნობი...“

მერაბ კოსტავას გახსენება

მერაბ კოსტავას, როგორც ეროვნული მოღვაწის, გმირის, დისიდენტის და პოეტის მნიშვნელობა საქართველოში ჯერაც არ არის აზროვნების თვალით ყოველმხრივ დანახული. ამ გარემოებას ბევრი ობიექტური და სუბიექტური მიზეზი აქვს, რომლებზეც აღარ შევჩერდებით: არახალია, რომ ოფიციოზი ყოველთვის ხელს უშლიდა მის ობიექტურად წარმოჩენას. ხელისუფლებას, თუკი არჩევანზე დაუდგებოდა საქმე, ცხადია, ლოზუნგების და პლაკატების მერაბი ერჩია: მაღალფარდოვანი, ტრაფარეტული ეპითეტებით შემკული. მერაბ კოსტავა ათი წლის მანძილზე მოწყვეტილი იყო საქართველოს და, როდესაც დაბრუნდა, ყოველივემ ისეთი სისწრაფით ჩაიქროლა, რომ ბევრმა რიგიანად თვალის შეელებაც კი ვერ მოასწრო მისთვის. და ის, რაც დღეს ჩანს, კვალია ელვარე, მეტეორი რომ მოოვებს ხოლმე ღამეულ ცაზე.

მას იმთავითვე ჰქონდა წარმოსახული ხატი ეროვნულ-პოლიტიკური მოღვაწისა და ცდილობდა მას მიმსგავსებოდა. ეს იყო მისი „ალტერ ეგო“, და უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მისივე უმაღლესი ინდივიდუალობა იმავდროულად. თუ დაკვირვებით წავიკითხავთ მის ნაწერებს, ცხადი გახდება, რაც განაპირობებდა მის შინაგან თავისუფლებას, აყვანილს ესოდენ მაღალ ხარისხში. მერაბი მისთვის სათაყვანებელ მეფეებს, გმირებს, მწერლებს შეიმეცნებდა არა გავრცელებული ისტორიული სტერეოტიპების მიხედვით, არამედ საკუთარი შინაგანი მიმართებიდან გამომდინარე გაიაზრებდა და არც ობიექტურობას უღალატნია მისთვის. რამდენადაც ცხოვრების ჩინებული დამკვირვებელი იყო, კარგად იცოდა, რა იყო მთავარი და არამთავარი, აგრეთვე, ბევრი საგნის ანი და ჰოე. და არა მარტო შეიმეცნებდა, ცოცხლად შეიგრძნობდა კიდეც. ოდესღაც გოეთემ თქვა, მსგავსი მხოლოდ მსგავსს შეიმეცნებსო. ასევე გახლდათ მერაბის შემთხვევაშიც, ის თვით იყო ფარდი თავისი საყვარელი გმირებისა. იგი იდეალებს ბრძოლით მოიპოვებდა, გადადამუშავებდა თავისი სულის ქურაში.

იგი საზოგადოების გამთლიანებისთვის დაშვრა, მაგრამ ადამიანურმა უგუნურებამ ვერ გაუგო, ვერ ჩასწვდა მის ჩანაფიქრს ბოლომდე. იმად კი არ იღვნოდა, რომ მიამიტური იდეალიზმის სენი სჭირდა, არამედ იმიტომ, რომ ადამიანური ბუნების საიდუმლოებანი საკმაოდ ღრმად ესმოდა: ადამიანი შესაძლოა იყოს საკუთარი ცოდვიანი ნარსულის მონა, მაგრამ პოტენციურად თავისი მომავლის ბატონია, თუკი სიმართლეს ვაჟკაცურად გაუსწორებს თვალს. 1989 წლის ზაფხულში ერთი სატელევიზიო პაექრობისას დაახლოებით ასეთი რამ განაცხადა: თუ ერთმანეთთან ვერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოვნახავთ სალაპარაკო ენას დღეს, შესაძლოა დადგეს დრო განუჭვრეტელი სიბნელისა, სადაც ჩვენ ერთმანეთს დაბრმავებული ვეძებდეთ და ვეღარ ვპოვებდეთო. რამდენად ასრულდა მისი წინასწარმეტყველება, ამის განსჯაც მკითხველისთვის მიმინდვია (თუ რამდენად შეიძლება ებრძოდნენ მერაბის ფენომენს ამ მხრივ, ცხადყოფს პროლეტარულ მოშაირეთა ტრადიციების ერთი ამაღორძინებლის მაგალითი, რომელიც თავს მერაბის ახლობლადაც კი ასაღებდა. მას ეკუთვნის, სხვათა შორის, შემდეგი სტრიქონები: „არაკაცებთან სალაპარაკოდ მხოლოდ მახვილის არსებობს ენა".).

საგანს რაც უფრო შორდები, მით უფრო პატარავდება. მერაბ კოსტავას და მისებრ კაცებთან მმართველობაში კი დრო ერთ უცნაურობას იჩენს: რაც უფრო შორდები მათ დროში, მით უფრო იზრდებიან. ისინი თითქოს უკუპერსპექტივაში მოსჩანან. ცნობილი რუსი ისტორიკოსის და მოაზროვნის, სერგეი სოლოვიოვის თქმით, ხალხებს უყვართ დიდკაცთათვის ძეგლების აღმართვა, ხოლო თავად ამ დიდკაცთა საქმეები ასევე ძეგლებია, რომლებიც ამ უკანასკნელებმა საკუთარ ხალხებს დაუდგეს. მერაბ კოსტავას მოღვაწეობაც სხვა რა არის, თუ არა ქართველი ერის სადიდებლად აღმართული ძეგლი?

მსურს გავიხსენო ზოგი რამ მერაბ კოსტავას მონაყოლიდან, ზოგიც ნანახი საკუთარი თვალით.

ჭეშმარიტად, მერაბ!

ეს მომხდარა 1978 წელს თბილისის სუკ-ის ციხეში, სადაც მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია მოუთავსებიათ საქმე ნომერ 131-თან დაკავშირებით. აქაური საკანი უნდა ყოფილიყო მატარებლის კუპეზე ოდნავ მოზრდილი. დღის სინათლე ატანდა გისოსებიანი ფანჯრიდან, რომელიც ჩვეულებრივზე გაცილებით მაღლა ყოფილა დატანებული კედელში. პატიმარი გამუდმებული მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა. ამ მიზნით რკინის კარს ჰქონდა საგანგებო საჭვრეტი, საიდანაც ზედამხედველის ფხიზელი თვალის თეთრონი და გუგა მოჩანდა თურმე.

დამდგარა ლიტანიობის ღამე. მერაბი თბილისის სუკ-ის ციხეში იმყოფებოდა, ზვიად გამსახურდია იმხანებში ლეფორტოვოს ციხეში უნდა ყოფილიყო გადაყვანილი, რამდენადაც მახსოვს.

ადვილი არაა იმ სიმძიმილის ცხადად წარმოდგენა, ადამიანს რომ ეუფლება, ამგვარად შეჭირვებულს: მთელს საქრისტიანოში მორწმუნენი ზეიმობენ, ზარები რეკავენ, წირვაზე მყოფნი ერთმანეთს ეხვევიან და ულოცავენ მარადიული ცხოვრების დღესასწაულს, აქ კი ჯერ კიდევ სიკვდილის აჩრდილი ტრიალებს. მერაბს შინაგანად უგრძვნია ამ ჟამის დადგომა, ზეწამოჭრილი, ხელებით ჩაფრენია გისოსებს, ანეული ისე, რომ შიდა ეზო ნაწილობრივ დაულანდავს და მთელი ხმით დაუჭექავს:

„ქრისტე აღსდგა!"

არ არის ძნელი იმის წარმოდგენა, თუ როგორ იმოქმედებდა ეს ხმა ციხის პერსონალზე. დაახლოებით იგივე სურათი იქნება, თუ ერთ ჭიქა ადუღებულ ზეთს კრაზანების ბუდეში ჩაღვრით. ამტყდარა განგაში.

„ქრისტე აღსდგა!" — განმეორდა კიდევ. ზედამხედველები მერაბის საკანში შეჭრილან, ჩამოკიდებიან ფეხებზე, მთელი ძალით ეზიდებოდნენ დაბლა. მერაბი ფიზიკურად ისედაც ძლიერი იყო. „მაგრამ ამ დროს საოცარი ძალის მოზღვავება ვიგრძენიო", იგონებდა. „ვიძახებ იქამდე, ვიდრე არ მიპასუხებს ვინმე", ფიქრობდა თურმე. არადა, არსაიდან ისმოდა „ჭეშმარიტად!" სიკვდილის, რღვევისა და გაქვავების საუფლოში. „ქრისტე აღსდგა!" — ისევ სჭქედა მერაბის ხმა, რაც ზედამხედველებს კიდევ უფრო აცოფებდა, მაგრამ ვერაფერს აწყობდნენ. და მერვედ თუ მეცხრედ დაძახების შემდეგ სადღაც შორიდან მართლაც მოისმა:

„ჭეშმარიტად!"

ალბათ პატიმარი თუ იყო ვინმე.

„მაშინ კი შევუშვი ხელები გისოსებს..." იგონებდა მერაბი.

კარცერში

მერაბს ცალ ხელზე ყინვისაგან დაზიანებული ჰქონდა ნეკა თითი და მისი გაგრძელება ხელის მტევანზე. ეს დამართნია ციმბირში, ანგარსკის ციხეში, როდესაც თავისუფალი გადასახლების შემდეგ პატიმრობის ვადა გაუგრძელეს. ბრეჟნევის პოლიტბიუროს განზრახული ჰქონდა მისი სამუდამოდ ჩატოვება ციმბირში (მერაბი 10 წელიწადი იყო დაპატიმრებული, 1977-1987 წლებში). ციხის ადმინისტრაციას გადაუწყვეტია დაუმორჩილებელი პატიმრის „მოჭკვიანება" და ჩაუდგია იგი ყველაზე საშინელ კარცერში, სადაც ყინვა მინუს 30 გრადუსს აღწევდა. მანამდე მისი ტანსაცმელი საგანგებოდ დაუსველებიათ, რომელიც მალევე გაყინულა და გახამებული, ჯერაც გაუშშრალი სარეცხივით შემდგარა. მთელი ძალები მოვიკრიბე, ენერგიულად დავდიოდი წინ და უკან, არამც და არამც არ მინდოდა კარზე დაბრახუნება და ციხის პერსონალის საშველად მოხმობაო, იგონებდა შემდგომში მერაბი.

კარცერში მალევე შემოუყვანიათ კიდევ ერთი დაუმორჩილებელი ჩრდილოკავკასიელი პატიმარი, თუ არ ვცდები ჩეჩენი. მას რამდენიმე ხანს გაუძლია ყინვისთვის, ბოლოს კი მიფორთხებულა რკინის კართან, ბრახუნი აუტეხია და ითხოვდა: ოღონდ აქედან გამიყვანეთ და ყველაფერს ისე გავაკეთებ, როგორც მეტყვითო. იგი გაუყვანიათ ზედამხედველებს.

ამ სურათს შემზარავი შთაბეჭდილება მოუხდენია მერაბზე, მაგრამ მეტი დაყინებით ჩაუდია გულში აღთქმა, შველა არ ეთხოვა მტარვალებისთვის. მიმოდიოდა შემართული და ხმამაღლა იმეორებდა ზეპირად დამახსოვრებულ ლოცვებს და თავის საყვარელ ლექსებს. თანდათან გაუსაძლისი ხდებოდა ციმბირის ყინვა, ვგრძნობდი, როგორ ვკარგავდიო გონებას. შემდეგ აღარაფერი ახსოვდა... გონზე მოსულა ციხის საავადმყოფოში, საბედნიეროდ მხოლოდ ხელის მტევანი ჰქონია მოყინული ოდნავ.

ეს ამბავი რაღაცით ჰგავს 40 კაპადოკიელი მოწამე-მხედრის ისტორიას, რომლებიც ქრისტეს ერთგულებისთვის წარმარი ხელისუფლების ბრძანებით ტბაში გაყინეს და რამაც ასახვა ჰპოვა მე-11 საუკუნის უმშვენიერეს ქართულ ხატზე: ოღონდ განგებამ იმ დროს არ ინება მერაბის წუთისოფლიდან გახმობა.

„საჯაროობის" სიმართლე და კერპი

უცნაურმა მოვლენამ, რომელიც ისტორიაში „საჯაროობის" და „გარდაქმნის" სახელებით დამკვიდრდა, საქართველოში ნელ-ნელა, დაგვიანებით შემოაღწია, ისიც პატიაშვილისეული ცეკას აპარატის ინოვაციებით. ტელევიზია და პრესა ხალხს მცირე ულუფფებით, რაციონირებულად აწვდიდა მეტწილად კომუნისტური ურცხვობით შეფერილ ნახევარსიმართლეებს; ხანაც სრულ სიმართლესაც გაურვედნენ ხოლმე, თუმცა მნიშვნელობა ჰქონდა, ვისი პირით ითქმოდა ეს. სიმართლის თქმის უფლებაც სავსებით მონოპოლიზირებული ჰქონდათ კომუნისტური ნომენკლატურის წარმომადგენლებს. რამდენადაც იმხანად საზოგადოების გარკვეულ ნაწილში უპირატესობას ანიჭებდნენ „ბალტიურ მოდელს", როგორც ყველაზე ცივილიზებულ და ევროპულ გზას, ბევრს ბჭობდნენ სახალხო ფრონტის შექმნაზე, მაგრამ ეს უკანასკნელი ვერა და ვერ შეიქმნა 1989 წლის ზაფხულამდე. აქ ორი მიზეზი იყო უმთავრესი: ერთი, რომ ცეკას არ სურდა მისი შექმნა და თუ მაინც დათანხმდებოდა ამაზე, ეს ორგანიზაცია უნდა ყოფილიყო „რუსთაველის საზოგადოების" პირდაპირი ასლი. და მეორეც, მის შექმნას აბრკოლებდა ე.წ. ინტელიგენციის წარმომადგენელთა გამმაფრებული ამბიციები, რამდენადაც თითოეულ მათგანს თავმჯდომარეობა სურდა, სავარძელი კი ერთი იყო.

1988 წელს სწორედ ამ ნიშნით უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში იმართებოდა შეკრებები, რომელიც სტუდენტობა აქტიურ მონაწილეობას იღებდა. იმხანად სტალინიზმის მხილება, უშუალოდ მიხეილ გორბაჩოვის მიერ სანქციონირებული, საკმაოდ წინ იყო წასული. თუმცა „პერესტროიკის" ინიციატორი ხაზგასმით აღნიშნავდა თავის მტკიცე ლენინელობას.

მერაბის გამოჩენას ტრიბუნაზე ტაშით შეეგებნენ. როგორც ჭეშმარიტი ლაკონიელი, იგი მეტყველებდა ოდნავ მძიმედ, თუმცა უღარესად კონკრეტულად და საქმიანად მოუყრიდა სათქმელს თავს და რამდენადაც თითოეული სიტყვის მიღმა მისი მაღალი ეთოსი ღვიოდა, დარბაზი მონუსხული უსმენდა. და აი, სიტყვამ მოიტანა სტალინიზმის დანაშაულობანიც: „მეგობრებო, ჩვენ ვიცით ვინ იყო იოსებ სტალინი, მაგრამ ჩვენ ახლა უნდა ვამხილოთ უმთავრესი დანაშავე..." დაიწყო მერაბმა. დარბაზში მსხდომმა ოფიციიზოს წარმომადგენლებმა იმწამსვე იგრძნეს, რომ ორატორი ტაბუირებულ თემას მიადგა. რეაგირებამაც არ დააყოვნა, პირველ რიგებში აღიმართა უნივერსიტეტის მაშინდელი რექტორის, ნოდარ ამაღლობელის ფიგურა და ხელები გაასავსავა: „ეგ არ თქვა! ეგ არ თქვა!"

სიტუაციამ კომიკური ელფერი მიიღო. დარბაზში ჟრიამული ატყდა. ვიღაცები ახარხარდნენ, ახალგაზრდობის ნაწილი კი პროტესტს გამოთქვამდა, რომ ორატორს სიტყვა გაანყვეტინეს. ამ დროს ამაღლობელი კვლავ ფეხზე იდგა და ცდილობდა დისკუსია გაემართა ორატორთან. ჩანს, მერაბი არ მოელოდა ასეთ მძაფრ რეაქციას რექტორის მხრიდან და ოდნავ შეყოვნდა, თუმცა რამდენიმე წამში დაწყებული აზრი დაასრულა: „... ეს იყო ვლადიმერ ლენინი!" დარბაზი მქუხარე ტაშით შეეგება ამ ნათქვამს.

ამაღლობელმა ხელი ჩაიქნია. მოწყვეტილივით ჩაესვენა სავარძელში.

ეროვნული დროშა

ეროვნული რეგალიები ეროვნული სინმინდეებია. მათში ნაციონალური წმინდად ადამიანურ საწყისთანაა შეწყვილებული, რადგანი ისინი უტყვად მოგვითხრობენ სულის ტრიუმფის ამბავს წარმავლობაზე, ამაოებასა და სიკვდილზე. ასეთივე დამოკიდებულება ჰქონდა მერაბ კოსტავას როგორც ძველი სიწმინდეებისადმი, ისე ახალი დროის სახელმწიფოებრივი სიმბოლოებისადმი.

1988 წლის გაზაფხულიც დადგა. ყველა მოუთმენლად ელოდა 26 მაისს, როდესაც თითქმის 65-წლიანი შესვენების შემდეგ პირველად უნდა გამართულიყო დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი მიტინგი, რომელზეც აფრიალდებოდა ეროვნული დროშა. მიტინგი დაიგეგმა მერაბის ეზოში, თუმცა ოფიციოზი იმუქრებოდა, რომ აუცილებლად დაარბევდა მსგავს ღონისძიებას.

26 მაისს, დაახლოებით შუადღისას მერაბ კოსტავას ეზოში შეგროვდა ასამდე კაცი, ძირითადად „ჟელსიკის", „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება — მეოთხე დასის" და „ეროვნული სამართლიანობის კავშირის" წევრები. მათ ჰქონდათ ერთადერთი დროშა, რამდენადაც იმყამად ეროვნული დროშების სერიული წარმოება სულაც არ იყო თავისთავად ცხადი რამ.

მიტინგი მერაბმა გახსნა. ხელში დროშა ეჭირა და ასე საუბრობდა დღის მნიშვნელობაზე. რამდენიმე წუთში ეზოს შესასვლელთან განლაგდა ფარენითა და ხელკეტებით შეიარაღებული „ომონის" რაზმი, ხოლო ეზოში მილიციის ოფიცერთა თანხლებით შემობიჯა გენერალმა შადურმა.

გენერალი ყოველგვარი ცერემონიების გარეშე მიეახლა მერაბს და უთხრა: „არა გრცხვენია, ამ ხნის კაცი ახალგაზრდობას ტვინს რომ ურეკ?! ახლავე მომეცი დროშა!" თან დროშას წაეტანა, მაგრამ მერაბმა მაღლა ასწია და მკაფიოდ, ხმამაღლა შესძახა:

„გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!"

ამასობაში მომიტინგეები მიწაზე დავსხედით. მე წინადადება შემოვიტანე, ერთმანეთისთვის ქამრებში წაგვეევლო ხელი. ამგვარად შეეჯგუფული ხალხი თითქოს ერთიან მასად იქცევა და მისი დაშლა ძალზე ძნელია. რამდენადაც ქამარი ყველას არ ეკეთა, ხალხი ერთმანეთს ჩაებღაუჭა.

შადური კვლავ ცდილობდა დაუფლებოდა დროშას, მერაბს რისხვა აღებეჭდა სახეზე. მას სწყინდა, რომ ტომით ქართველი გენერალი, თუნდაც საბჭოთა მილიციელის ფორმაში გამოწყობილი, ვერ აცნობიერებდა ეროვნული დროშის მნიშვნელობას და მისი შეურაცხყოფა განეზრახა.

„მომეცი დროშა!" გენერალი ცდილობდა მერაბი მოედრიკა და დროშა წაერთმია, მაგრამ მერაბს მაღლა

ეჭირა იგი და კლდესავით ურყევად იდგა.

„გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს-მეთქი!" კიდევ უფრო ხმამაღლა დაიძახა მერაბმა. გენერალი სიბრაზისგან გამწვანდა.

„ძალები, ძალები მოიყვანეთ, გადაუარეთ!" გასცა ბრძანება. ეზოში „ომონის" რაზმი შემოიჭრა.

მიტინგი დაშალეს, მაგრამ საღამოს, მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა, ეროვნულმა მოძრაობამ მერაბთან ერთად სათანადოდ აღნიშნა ეს დღე „ბერიკონში".

იმ დღეებში ზვიად გამსახურდია მოსკოვში ხვდებოდა რონალდ რეიგანს.

აფხაზეთში

1988 წლის შემოდგომიდან აფხაზეთში სისხლის სუნი დატრიალდა. აშკარა იყო, რომ საბჭოთა იმპერიის ელიტა, ეს „შავი ჯოჯოხეთის კუპრი ნახადი", სისხლისღვრას გეგმავდა იქ. რამდენადაც იქაური ქართველობა თავს დაჩაგრულად გრძნობდა, მერაბ კოსტავამ მიტინგები ჩაატარა ქალაქებსა თუ რაიონულ ცენტრებში.

თბილისში დაბრუნებისას გვიამბო ერთი საუბრის შესახებ, რომელიც შემდგარა ლესელიძეში მიტინგზე. როდესაც ეროვნული დროშა გამოჩნდა, მერაბთან მისულან პრომოსკოვიტი ეთნოკრატის, ოზგანის წარგზავნილები და რუსულად უთქვამთ: „ჩვენ აქ მენშევიკური დროშის აფრიალებას ვერ შევურიგდებით. ეს ჩვენი მიწაა და იცოდეთ, რომ შესაძლოა ცეცხლი გაგიხსნან".

მერაბი: „მე კი ვუთხარი, ჩვენ კიდევ ვნახავთ-მეთქი, ვისი მიწაა ეს, და აღვმართე დროშა".

ცხადია, მერაბს ამით არ უთქვამს, თითქოს ეს მიწა აფხაზ ხალხს არ ეკუთვნოდეს, მაგრამ მან შერისხა ისინი, ვინც დაინტერესებულია, ეს მიწა არც ქართველს ეკუთვნოდეს და არც აფხაზს.

დღეს აფხაზეთში სულ სხვა სურათს ვხედავთ. და მაინც, მე არ ვთვლი, რომ მერაბი შეცდა, როდესაც დაიქადნა, „კიდევ ვნახავთო". ქართული დროშა უთუოდ იფრიალებს იქ, როდესაც ისეთი საქართველო გვექნება, მერაბს რომ ეოცნებებოდა.

გურამ ქუთათელაძე ქართლი, 1968წ.

ᲯᲐᲜᲝ
ᲯᲐᲜᲔᲚᲘᲫᲔ

ᲦᲕᲗᲘᲣᲠᲘ ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ, ᲐᲜᲣ ᲜᲐᲐᲖᲠᲔᲕᲘ ᲜᲐᲐᲖᲠᲔᲕᲘᲡᲐ

გიგა დათუაშვილი, „დაფანტულ ნაზრევად", დღიურებიდან

ჭეშმარიტება, სათნოება და უბრალოება ძალიან ჰგვანან ერთმანეთს. გგონია, ყველაფერი ნათელი და გასაგებია, მაგრამ არ არის ასე. გგონია, ჭეშმარიტებას ჰპოვებ ან უკვე ეზიარე, მაგრამ აღმოჩნდება, რომ მისი ორეული შეგრჩა ხელთ. კიდევ უფრო ძნელია იქცე სათნოებად ან გასცე საათნოება. სათნოების მატარებელიც და მიმღებიც მზად უნდა იყოს ამისთვის, როგორც მარცვალი და ხნული, რომელიც თავის ნიალში იღებს ამ სიკეთეს. უბრალოება კი ღვთის უმშვენიერესი ნყალობაა, რომელიც ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს. სამივე ეს ფენომენი კიდეც არსებობს და არც არსებობს, რადგან თავად წუთისოფელია ცვალებადი და ამ კატეგორიათა გამცემნიც და მიმღებნიც წამიწუთზე იცვლებიან. ცვალებადია ჭეშმარიტებაც, სათნოებაც და უბრალოებაც სხვადასხვა დროში, სხვადასხვა სივრცეში და სხვადასხვა მიმართებაში. ამას კარგად გრძნობს, განიცდის და აღიქვამს დაფანტულ ნააზრევთა ავტორი — გიგა დათუაშვილი.

„მე შევადარებ ფაუსტს უარყოფის სულს გიღვამეშისას, როდესაც გილგამეში ბნელ გვირაბში მიიკვლევს გზას. ისინი ძალიან ჰგვანან ერთმანეთს. გვირაბიდან გასულს შუქი და მშვენიერი მინდორი დახვდება, მაგრამ აღმოჩნდება, რომ ეს მხოლოდ ილუზიაა, ხოლო ნამდვილად რომ ე ზიაროს, ისევ უკან უნდა დაბრუნდეს. ყვავილებიც წამიერი ზმანება მარადისობასთან, რომელსაც ადამიანი დიდი ღვაწლის ფასად ჰპოვებს, მაგრამ იგი წამიერადვე იკარგება"...

გიგა ნავიდა თუ არ ნავიდა, ეს კიდევ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, მაგრამ ჩვენს ხელთ არის წიგნი, რომელიც მის სახეს, მრწამსს, ფიქრებს, ტკივილებს და ეჭვებს განასახიერებს. თუ კარგად ნაიკითხავთ და ჩანდებით მის ჩანაწერებს, მიხვდებით, რომ თქვენს წინაშე თავად გიგა წარმოისახება. ოღონდაც მას ძალიან ფრთხილად და სხვანაირად უნდა ელაპარაკო, იმიტომ, რომ იგი სხვანაირად ცხოვრობდა, ის სხვანაირად უნდა ნაიკითხო, რადგან თავად სხვანაირად წერდა, მასზე სხვანაირად უნდა იფიქრო, რადგან თავად სხვანაირად ფიქრობდა. მას ძალიან არ უნდა მიუახლოვდე, რადგან თავად ის ძალიან არასოდეს გიახლოვდება. ის მუდამ კიდეც უარყოფს და კიდეც აღიარებს, მაგრამ არასოდეს მორჩილებს, რადგან სრულად და სამარადისოდ რომ მიიღო და ინამო, უნდა იცოდე, რას იღებ და რა არის იგი, რაც შენს არსობას ეუფლება, რომ შემდეგ მონად გაქციოს მიმღები და შემფარველი.

„ეს ცივილიზაციის სახეა, სადაც ან მუდამ უნდა უარყოფდე ყოველივეს, ან დამორჩილდე ბედს და ქსლის მბეჭველი ობობასავით უაზრო არსებობას უნდა შეეგუო... ხუმბაბა ის ბოროტებაა, რომელთან ჭიდილიც ადამიანის ხვედრია და ამ ბრძოლაში პოულობს იგი თავის სახეს.

გილგამეშის უარი იშტარისადმი ეს თვითუარყოფაა, რაც ყველაზე მეტად აშინებს ადამიანის უაზრო ყოფას"... გაოცებული რჩები, როგორ აღიქვამს და განიცდის იგი მთელ სამყაროს, თითქოს ოკეანიდან ერთი წვეთი წყლის სინჯი აიღო — „თვით უარყოფას ძალუძს ამ უაზრობის მიერ შექმნის მექანიზმის დამარცხება, მაგრამ თვითუარყოფის ძალას (მას) სიყვარული აძლევს. ახალგაზრდობაში ადამიანს იგი ჭარბადა აქვს, მისი გამოხატულება, ან კიდევ, გილგამეშის მისწრაფება მის მიმართ — ეს მოყვასის მიმართ მისწრაფება და სიყვარულია"...

ნამდვილად, იგი, როგორც ბრძენი იოგი, მზად არის ყველაფრისთვის და, მით უფრო, ცხოვრებისთვის. ამ სრულიად ახალგაზრდა, 20-25 წლის ყმაწვილმა თითქოს ათასი წელი იცხოვრა, განიცადა, უყვარდა და სძულდა. რაც მთავარია, იგი მზად არის ადამიანის ყველაზე მეტად შეუცნობელი და გაუგებარისთვის — სიკვდილისთვის. მას კარგად ესმის, რომ სიცოცხლე თავის თავში ატარებს სიკვდილს, როგორც გარდაუვალ ფიზიოლოგიურ აქტს, მაგრამ გიგასთვის არც სიცოცხლე და არც სიკვდილი ის არ არის, რასაც ჩვეულებრივი ადამიანები აღიქვამენ.

მისი გასაოცარი ლოგიკა, როგორც ამირანს ბორკილები, ისე ვედება და გორგუნავს, მაგრამ არ გიმონებს და მიგანიშნებს იმ დიადისკენ, რასაც კაცობრიობამ უკვდავება უწოდა.

„... თუ ვერ ხედავ ამ მთავარ მიზანს შენს ცხოვრებაში (სიყვარულს — ჯ.ჯ.) შენი ძალები ტყუილად იკარგება, მაგრამ, როდესაც მოყვასში საკუთარ თავს შეიცნობ, უკვე სიცოცხლის არსს ხედავ... მაგრამ მტკივნეულია, როდესაც მიდის ახალგაზრდობა და სიყვარული იკარგება, მაშინ ადამიანს მუდმივი ძიება და დაკარგულის ძებნაღა რჩება ან კიდევ, ჩივის, რომ ადამიანად იქცა, ანუ სვამს კითხვას — არის თუ არა საჭირო, ამ დიდმა სიყვარულმა ადამიანში შეიტანოს საკუთარი თავი? — კი, რადგან მხოლოდ ამ გზით შეიძლება ეზიარო უკვდავებას".

ჩანაწერებში აშკარად იგრძნობა, რომ მას არ უყვარს ხმაური, დიდი სინათლე. ის კანდელსა ჰგავს, რომელიც ძუნნად გასცემს სინათლეს, როგორც ცურს არსობისას, იმიტომ, რომ კანდელი ადამიანის კი არა, ღმერთისაა და ღმერთის ნათელია.

ის იწყებს და თითქმის არ ასრულებს, დიახ, მე ასე მეჩვენება, რომ „არ ასრულებს", რადგან გაურბის სრულყოფილებას, რადგან სრულყოფილი მხოლოდ ღმერთია და ღმერთისეული. ადამიანისეული სრულყოფილება და სილამაზე კი თავის თავში ატარებს ეგოიზმს, რაც თავისთავად დიდი ცოდვაც გახლავთ. გიგას სწამს და უყვარს ყოველივე შეუმჩნეველი და სადა, როგორც სული, რომელსაც კიდეც ხედავ და ვერც ხედავ, რომელიც კიდეც არის და არც არის. აბა, დააკვირდით სულის მოძრაობას, მას ვერასოდეს დააფიქსირებთ, ვერასოდეს მოიხელთებთ, როგორც ღრუბელს ცაზე.

დიახ, იგი კიდეც არის და არც არის, როგორც ჩვენ, ადამიანები... და, თუ ძალიან შეეცადე მის შეცნობას, შეიძლება სამარადისოდ გაუჩინარდეს კიდეც, იმიტომ, რომ ის ღმერთისეულია და არა ადამიანისეული, ზეციურია და არა მიწიერი. რაც შეეხება ჩვენს სხეულს, ის მხოლოდ საფარველია ჩვენი სულისა, რათა სულს ცნობისმოყვარენი განარიდოს. ამიტომაც არის, რომ სულსწრაფი ადამიანები ხორციელებაში და არა სულიერებაში ჰპოვებენ შვებას.

ყოველივე ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ადამიანმა უარყოს ყოველივე მიწიერი და მხოლოდ ღვთიურში განიხენს.

„... ცდილობდნენ უფლისათვის მახე დაეგოთ და ეკითხებოდნენ, მოვალენი არიან თუ არა, კეისარს ხარკი აძლიონ, რადგან ღვთისმოსავი ადამიანი მხოლოდ ღვთის წინაშე უნდა იყოს პასუხისმგებელი. მეორე მხრივ, კეისრისათვის ვალის გადახდა მათ ეროვნულ ღირსებას ლახავდა. მაცხოვარმა გამიჯნა ზეციური ვალი დაქვეყნიური. მან ზეციური სამყაროდან, რომელშიც მუდმივად საჭიროა ძიება, სულიერი ზრდა და თვითდამკვიდრება, გამიჯნა კეისრის სამყარო, სადაც დრო თავისას კარნახობს პიროვნებას და მიუხედავად იმისა, შელახავს თუ არა მასში საკუთარ თავს, ჩვენ უნდა დავემორჩილოთ ამ მაჯისცემას, ალბათ შინაგანად უნდა ვეძებოთ ძალები, რომ გარეგნულზე მაღლა დავდგეთ".

აქ გიგა თითქოს ბეწვის ხიდზე გადის და მისი მარად შესაშური იდეალიზმი ცხოვრებისეული ტვირთით მძიმდება, ტვირთით, რომელიც ყოველმა მოკვდამამ, ყოველმა ჩვენგანმა უნდა ზიდოს, ვინც კი ამ ცოდვით სავსე მიწაზე დაადგამს ფეხს.

და იგი განაგრძობს: *„... სულდუკეველებს უხსნის, რომ სასუფეველი არ უნდა აღიქვან ამქვეყნიური მოვალეობით, რომ სასუფეველი — ეს მკვდართა სავანე კი არა, ცოცხალ სულთა განსასვენებელია, რომ გარეგნულ წეს-ჩვეულებებს აღემატება შინაგანი მორალი. ამ შინაგანზე არის დაფუძნებული ქრისტიანობა, რომელიც მუდმივად მარადიული ჭეშმარიტებისაკენ მიილტვის. ეს სწრაფვა აძლევს ადამიანს ძალას, გარკვეულ წესადათზე მაღლა დადგეს..."*

რატომ გვიყვარს ჩვენ მისტიკური სტრიქონები, სევდიანი მუსიკა? — იმიტომ, რომ ის არა ხორცს, არამედ სულს ემსახურება, იმიტომ, რომ ის უხილავია და თავისი ბრწყინვალებით კი არ გვაბრმავებს, არამედ გვხიბლავს, კი არ აღგვაგზნებს, არამედ გვამშვიდებს.

კითხულობთ გიგას ჩანაწერებს და თითქოს მშვენიერ ფრანველეს ფეხაკრეფით უახლოვდებით, რომ არ დააფრთხოთ, რომ არ გ►გიფრინდეთ. გიგას სწავლა კი არა, შთაგონება ხიბლავს და სწორედ ამ შთაგონებით ასწავლიდა ის თავის შეგირდებს.

მისი აზროვნება რატომღაც ძლიერ მაგონებს ტერენტი გრანელის პოეტურ აზროვნებას, სადაც მთავარია არა ყოფიერება, არამედ სულიერება, არა მინა, არამედ ცა... და კიდევ... რაღაც „მესამე", რომელიც ჩვენთვის, ჩვეულებრივი ადამიანებისთვის ისე შეუცნობელია, როგორც ჭეშმარიტება.

გიგა ლაპარაკობს თავის ნააზრევში პურზე, მარილზე, ცეცხლზე, ღვინოზე, შეშაზე, წყალზე და ა.შ., მაგრამ ეს ის პური, ის მარილი, ის შეშა, ის წყალი არ გახლავთ, ჩვენ რომ ვხედავთ, ჩვენ რომ ვსარგებლობთ;

ჩვენ რომ ვეხებით, ის ცეცხლი არ გახლავთ, ჩვენ რომ ვეფიცხებით და ვთბებით: *„ჩვენ მინა ზე ვიდექით, დაუნდობელ მინაზე. წყალს ულდა გადაერეცხა ჩვენთვის ყოველივე ზედმეტი. ეს მინად იქცეოდა, დარჩებოდა მხოლოდ ცეცხლი... შინაგანი სამყარო, რომელიც ჰაერივით საჭიროებს ჭეშმარიტებას...“*

მას წყალი კი არა, წყლის დღეილი აინტერესებს, შეშა კი არა, შეშის წვა, მინა კი არა, მიწიერი ცოდვები, მარილი კი არა, მარილის გემო, ღვინო კი არა, ღვინის სურნელი და ამ ცნობისმოყვარეობას მხოლოდ სიყვარული ადგას გვირგვინად: „იგი სიყვარულისთვის იყო გაჩენილი, ბუნებამ წუთიერი ბედნიერებისათვის მოავლინა. მებრალებოდა, რომ ამ მინაზე უნდა გათქვეფილიყო, მაგრამ ამ არსებაში ბობოქარი სული ჩქეფდა და გარეგნული მისთვის ბორკილები იყო. არა, არ ტანჯავდა, იგი აწრთობდა მას, ბაჯაღლოდ ქცეულიყო, რომ კიდევ ერთი ცეცხლოვანი გული, ერთი ღაღადები შემატებოდა უფლის სავნეს...“

ღმერთო ჩემო, როგორი უბრალო, სადა და ამაღლებული მისი პოეტური ხილვები, ჭეშმარიტად ასე მხოლოდ ღმერთზე ლაპარაკობენ და ღმერთს ესაუბრებიან მხურვალე მლოცველნი:

მე ამ დროს თქვენს ძებნას
ვანდომებ, იცოდეთ,
თქვენ კი მისცემიხართ
საღამოს ნისლიანს.
გნახეთ და განმშორდით,
დაფარულ ა ზრებად,
ქუჩებში ლამაზი ფიფქები
მიქრიან...

არა, მის ცხოვრებაში არაფერი მომხდარა შემთხვევითი, არაჩვეულებრივი, მოულოდნელი. რაც მოხდა — მისი ცხოვრების ფინალი რომ ეწოდება — ამისთვის იგი მთელი თავისი ხანმოკლე ცხოვრება ემზადებოდა. ემზადებოდა ისე, როგორც ღირსეული წყვილი ემზადება საიდუმლო ჯვრისწერად.

გიგას მსგავსმა შემოქმედმა კარგად იცის, აქ, ამ მინაზე რატომ მოვიდა და როდის უნდა წავიდეს. ისინი ადამიანებს ელაპარაკებიან, როგორც ღმერთებს, ღმერთისავე ენითა და ნებით.

ისინი არაფერს იწყებენ და არაფერს ასრულებენ, რადგან ყოველივე მათშია უსასრულოდ და სრულყოფილად, მაგრამ ჩვენ, ადამიანები ვერ ვიამჩნევთ, ვერ ვეხებით, ვერ ვხედავთ ამ სრულყოფილებას, რადგან ჩვენ, ადამიანებს გვიყვარს დასაწყისი და დასასრული. მაგრამ რაც ღმერთისეულია, იმას არც დასაწყისი აქვს და არც დასასრული არ გააჩნია, ის ყველაფერია და არაფერი, ის ხილულიც არის და უხილავიც, მას კიდეც ეხები და ვერც ეხები, ამიტომაც ჩვენ ასე ვწუხვართ და ვგოდებთ და გვგონია, ყველაფერი დავკარგეთ, როცა არაფერიც არ დაგვიკარგავს, რადგან არაფერიც არ გაგვაჩნდა.

საგანი, რომელსაც გიგა ქმნის, სრულყოფილიც არის და დასრულებულიც, მაგრამ ჩვენ მასში რაღაც არ გვჯერა, რაღაც არ გვყოფნის, რადგან საგანი იგი, ქმნილება იგი ხორცისთვის გვინდა და არა სულისთვის. სულს კი არ უყვარს ხორცისეული სიმსუყე, სიმაძღრე, კმაყოფილება. სული სულ ძიებაშია და ძიებაში. მის სულს ხორცი მსახურებს და არა იგი ხორცს. იგი სულ სხვანაირად ფიქრობს, სხვანაირად აზროვნებს, სხვანაირად ცხოვრობს. ის თითქმის გაორებულია, რადგან ის სულიც არის და ხორციც, მიწიერიც არის და ზეციურიც... და მაინც იგი უმეტეს ზეციური გახლავთ.

„... ჩვენ ვიკვებებით, ვცხოვრობთ არსიდან... ვმოსავთ სხვადასხვა სხეულებს და მათ შორის ეპოულობთ სიცოცხლეს... იმისათვის, რომ არსებითმა სრულებით არ შთანთქას, იქმნება ქმნადი, რომელმაც უნდა გამოგყოს არსებითისგან... ქმნადსა და არსებითს შორის არის ნათელი... ქმნადის ერთ-ერთი ამოცანა მშვენიერებაა, რადგან ნათელს რომ მიუახლოვდეს, მას მშვენიერება სჭირდება. არსებითში კი მშვენიერება თავისთავად არის“.

მისი ჰამლეტისეული განწყობა-გაორება ზოგჯერ სცილდება საკუთარ თავსაც, დიახ, საკუთარ თავსაც, და სრულიად საგნობრივი, მოქმედი, რეალური, ფხიზელი და მიწვდომადი ხდება. სწორედ ეს გახლავთ შემოქმედის შეუცნობადობა. იგი მოუხელთებელია, როგორც ჰაერი, სურნელი, წყალი, ღრუბელი ცაზე, და განმუხტული ყოველგვარი ილუზიისგან.

დიახ, აქ იგი უკვე თავისივე თავს ეკამათება და ჯაბნის კიდეც: *„ბოდლერი საკუთარ თავს ილუზიებს უთმობს, მათ ემსახურება, მაგრამ ილუზიებში შეუძლებელია არსებითის პოვნა, რადგან (ამ დროს) ყოველი მონოდება ილუზიურია, ხოლო ილუზია, როგორც მონოდება და მით უფრო ხელოვნება, თუ ამოცანა ჭეშმარიტებასთან მისვლა კი არა, პირიქით, მისგან დაშორებაა... ერთადერთ ძალას, რომ ჭეშმარიტებას ემსახურო, გაძლევს ცხოვრებისეული სიდუხჭირე, ტანჯვა, ხოლო ჭეშმარიტება გეხმარება ტანჯვის გადალახვაში“.*

... და, ჩემდა გასაოცრად, სრულიად მოულოდნელად და სამართლიანადაც, იგი თავისივე კითხვაში გულისხმობს პასუხს: *„შეუძლია ილუზიას მოგცეს ძალა?! ხოლო როდესაც ილუზიაში ხარ, გინდა ტანჯვას დასცილდე. მაშასადამე ჭეშმარიტებასაც სცილდები“.*

მაგრამ, დიახაც, გიგას კარგად ესმის, რომ სულისთვის არც რამ ადრეა და არც რამ გვიან, არც რამ წონასა და არც რამ ზომა. ჩვენ კი გვინდა, მას, მის სულს, ხორცის ჩვენეული საზომი და სანყაული მოვარგოთ.

არა, ასე არ იქნება, ასე არ გამოვა!..

ამიტომაც ვლაპარაკობთ, რომ მან „იჩქარა“, — ის „წავიდა“ ჩვენგან. არა, ამ წასვლას წასვლა არ ჰქვიან — მისი გამგზავრების ამბავი ჩვენი განსასჯელი როდია.

დიახაც, ის მინაზე მეტად ცას ეკუთვნოდა, თავიდანვე ღმერთის კუთვნილება იყო, ხოლო, რაც ღმერთს ეკუთვნის, ის ღმერთისავე განსასჯელია, ჩვენ მხოლოდ არდავინყება და დუმილი მოგვეთხოვება.

რამდენი რამ გამიგონია, წამიკითხავს, მიფიქრია, მიმსჯელია მოვალეობაზე. გიგა არაჩვეულებრივი ბიბლიური დიალოგით, სულ უმოკლესი დიალოგით, ათიოდე ბნკარში სულ სხვანაირად მიგვანიშნებს, დიახ, მიგვანიშნებს და კი არ გვაძალებს, მოვალეობაზე: *„ეზოში პატარა ბიჭი იდგა. იდგა ერთ ადგილას ხელში*



ჯოხით. ბიძამ გაიარა, ავიდა სახლში, ცოტა ხნის შემდეგ ჩამოვიდა.

— შენ სულ აქ დგახარ?

— კი.

— რატომ?

— ეს შტაბია. ისინი წავიდნენ საბრძოლველად. მე აქ უნდა ვიდგე.

— შენც წადი საბრძოლველად.

— არა, მე აქ უნდა დავრჩე".

ეს მოკლე ეტიუდი მიგგანიშნებს, როგორი სიძუნწით უნდა ქმნიდეს ნამდვილი შემოქმედი.

აი, როგორ უნდა აღარ განევრცოს მწერალი, პროზაიკოსი.

მართლაცდა: „ადამიანმა უნდა იპოვნოს საკუთარი თავი იმ გარემოში, სადაც არის", —ჭეშმარიტად!..

„რაც დამემართა, ყველაფერი ჩემი ბრალია. ჩემს ხელოვნებას საბოლოო სახე უნდა მოვუძებნო. ხოლო დრო უკვე გადაწყვეტილებებს მთხოვდა, ამიტომ საკუთარი თავის ძებნა დროის ამოცანაში დავიწყე... ადამიანი უნდა ეძებდე საბოლოოდ სიკეთესა და სიყვარულს, მაგრამ მასთან მისასვლელი გზა, ალბათ განმარტოებაშია, რადგან ერომანეთთან ჩვენ მხოლოდ გაცემა შეგვიძლია, ხოლო შეძენით ჩვენ მხოლოდ ღმერთთან ვიძენთ. ქალაქში ყალბი დროა, იქ არავინ არავის სჭირდება"...

დიდ ქალაქში სიყვარულის, სიკეთისა და სათნოებისთვის სულ მცირედი ადგილი თუ რჩება. ეს კარგად იცის გიგამ, გიგამ, ამ სრულიად ახალგაზრდა შემოქმედმა, თავის თავში საუკუნეთა ნააზრევს რომ ატარებს კოდად. ამ კოდით იშვიათად იხსნება აზრთა ცხრაკლიტული, მაგრამ, როცა იხსნება, ძვირფასი მარგალიტებივით მოგანათებთ აზრთა, ფიქრთა, ოცნებათა საუნჯე.

... და ყოველივე ამას პოეზია და ისევ პოეზია უდევს ფუძეთა ფუძედ, მისი აზროვნების ჭერიც, საძირკველიც და კედლებიც პოეზია გახლავთ, ძვირფასი ქვებივით რომ ბრწყინავენ ამ წიგნში და სინათლედ ეფინებიან ჩვენ სულს.

...სინათლე გაანათებს, სინათლე განადიდებს,
შენ — მარად მწუხარე, მარად ტანჯული,
სინათლე დაამდაბლებს,
სინათლე, როგორც მახვილი, ალი ცეცხლის.
შენ — მარად მწუხარე, დევნილი,
სინათლე — როგორც შუქურა,
შენ ტირი, დუმხარ, ელი,
შენ მოლოდინში ხარ, შენ ძრწი,
შენ — დალექილი.
სინათლე, სიმშვიდე, სიხარული
დაგამშვიდებს, გაგახარებს, განგაცვიფრებს,
შენ დუმხარ და ელი და უსმენ.

ყველაზე ნიშანდობლივი გიგას ნაწერებში ის არის, რომ იგი მიგანიშნებს და არ გაიძულებს, იფიქრო სულზე და არა ხორცზე, იფიქრო ცაზე და ზრუნავდე მინაზე, გწამდეს ღმერთი მთელი თავისი სიდიადითა და შეუცნობადობით და გიყვარდეს მთელი თავისი სისუსტითა და უმწეობით. თავად კი ნიშანს გაძლევს, ნუ დაეხარბები ამ წუთისოფელს, რამეთუ ჩვენს უკან თუ ჩვენს წინ მრავალი შეუცნობელი და მშვენიერი რამ არის, რის გამო ტვინის ჭყლეტა ჩვენ სრულიადაც არ მოგვეთხოვება და, რომც ვცადოთ იმ შეუცნობელის შეცნობა, ამაოდ დავშვრებით.

მის ნაწერებში იკითხება მისივე პორტრეტი, წმინდა და გულუბრყვილო, სევდიანი და ფიქრიანი, რომელშიც უმეტეს ღმერთი ცხოვრობს, ამიტომაც განთიადივით ადგას ჩანაწერებს მისას ნათელი, ძლიერ მსუბუქი და გამჭვირვალე.

სწორედ ასეთი მახსოვს გიგა ცხოვრებაში.

იგი არასდროს არავის არაფერს აძალებდა, თითქოსდა თავის თავში ცხოვრობდა, გაცემით კი მოკრძალებით გასცემდა, რადგან იგი არც მდიდარი იყო და არც ღარიბი და როცა გესაუბრებოდა, გესაუბრებოდა როგორც მასპინძელს მოკრძალებული სტუმარი. თვით სახარების თეზასაც — დააკაკუნე და გაგეღება, — არც ამ თეზას ეხარბებოდა, რადგან კარგად გრძნობდა, რომ მისთვის კარნი ზეცისანი ღია იყო.

გიგა მეგობარზე ისე ლაპარაკობდა, როგორც მოციქული მოციქულზე, ხოლო სიკვდილს ისე მოიხსენიებდა, როგორც სიცოცხლეს, თითქოსდა მისთვის მთავარი იყო არა დღე ევანდელი, არამედ დღე ხვალინდელი. როცა გიგას დღიურებს ვკითხულობდი, ჩემი ადრე გარდაცვლილი მეგობრის უბის წიგნაკში ერთ-ერთი ჩანაწერი გამახსენდა: *„დროებით მოველ ამქვეყნად, მარადიული არის სიკვდილი"*. რამდენჯერ არ ვცადე მეგობრის ეს გამონათქვამი ლექსად მექცია, არაფერი გამომვიდა.

ღვთის კარნახით ნაწერს არც რამ გამოაკლდება და არც რამ დაემატება. სწორედ ასეთი ჩანაწერები დაგვიტოვა გიგამ, იქ არც არაფერია ნაკლული და არც არაფერი — ზედმეტი. მე ამ ჩანაწერებს მომავლის ჩანაწერებს დავარქმევდი.

ჭეშმარიტად რომ ესადაგება გიგას ცხოვრებასა და შემოქმედებას თომას მანის გენიალური ნააზრევი, ნარმოთქმული დოქტორ ფაუსტის მიერ: *„განა ამის შემდეგ შეიძლება კიდევ რაიმეს დამატება? განა ასეთი განძორების, ასეთი დამშვიდობების შემდეგ კიდევ შესაძლებელია შეხვედრა?"*.

უფრო მკაცრია და გამაოგნებელი გიორგი მერჩულეს ამონათქვამი „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში": *„ნეტარ მას კაცს, რომელ ცოცხალ აღარ არს..."*

მე კიდევ უფრო შორს წავიდოდი: გიგას უყვარდა, გასაოცარი სიყვარულით უყვარდა ყოველი და ყვე-

ლაფერი მის გარშემო და მასში, სიყვარულს არც დასაწყისი და არც დასასრული არა აქვს.

სხვანაირად არც სიცოცხლე და არც სიკვდილი არ არსებობს, — მას უყვარდა, სნამდა და წერდა, სხვანაირად არც შეეძლო, ალბათ.

ფრანც კაფკას ჰკითხეს: *„ალბათ, იღლებით?" „დიახ. მაგრამ ბედნიერი ვარ მაინც. თქვენ არ იცით, რას ნიშნავს მოსვენებული და უბედური ადამიანი, — იყო პასუხი და გააგრძელა, — სირინოზებს სიმღერაზე უფრო საშიში იარაღიც აქვთ, — დუმილი... სიმღერას რომ დაუსხლტე, დუმილს მაინც ვერ დაუსხლტები".*

დიახ, ძლიერი ახალგაზრდებიც იღლებიან დიდი ცხოვრებით და შემოქმედებით. ბედნიერებისა და უკვდავების მომტანია მსგავსი დაღლა.

ბედნიერებაა, იყო ახალგაზრდა, რამეთუ, რაც სხვამ დაკარგა, შეიძლება შენ ის იპოვნო და იპოვნო ძვირფასი რამ.

დიახაც, მან წარსულის ლაბირინთებიდან ამოზიდა ბევრი რამ ძვირფასი და თავისი გასაოცარი, დიახ, გასაოცარი ჩანაწერებისა და გაფანტულ ნაზრევთა სახით ძვირფას მეხსიერებად გადასცა მომავალს.

არაფერი უჩვეულო არ არის იმაში, რომ ის ძალიან ადრე წავიდა, სამაგიეროდ, ძალიან ბევრის გაკეთება მოასწრო. ნურც სიკვდილს ვუფრთხით, გავიხსენოთ იოჰანეს რობერტ ბეხერი, რომელმაც თავის ერთ-ერთ ლექსში ძილს სიკვდილის მეგობარი უწოდა. ხოლო გუსტავ იანოუსი აღნიშნავს: *„ცოცხლებს არ შეიძლება კარგად იცნობდე".*

მით უმეტეს, რაც სიცოცხლით ვერ შევიცანით გიგა დათუაშვილში, ის სიკვდილმა შეგვაძლებინა.

რომელიღაც მხატვრული ფილმიდან დამამახსოვრდა სიტყვები: „ხელოვნება საშიში რამ არის, მის სამყაროში ადვილია დაკარგვა, იგი სიკვდილს იზიდავს..."

მე პირიქით ვიტყოდი, ხელოვნება წარმოაჩენს პიროვნებას და უკვდავყოფს კიდეც მას.

„ვიხილო უფლის მშვენიერება, რომელსაც არც დასაბამი აქვს და არც დასასრული..." (ნეტარი ავგუსტინე).

სწორედ ამ მარადიული მშვენიერებით არის სავსე გიგა დათუაშვილის ყოველი სიტყვა, ყოველი ნააზრევი, ყოველი ჩანაფიქრი.

... და კიდევ: *„უკეთუ სიცოცხლე მოგწონს, მაშინ, რაკიღა სიკვდილიც იგივე ოსტატის ნახელავია, არც მას უნდა ვივიწყებდეთ"*, — ბრძანებს დიდი მიქელ ანჯელო.

დიახ, პოეტები არა მარტო წესებს მორჩილებენ, ჰქმნიან კიდეც მას (მარინა ცვეტაევა). გიგამ კი ყველაზე დიადი და ძვირფასი რაც შექმნა, საკუთარი „მეა", საკუთარი შემოქმედება და საკუთარი პიროვნებაა.

და ბოლოს: ეს წიგნი მისი ლამაზი და შეუცნობელი ცხოვრებაა. და გზის დასაწყისია, იმ გზის შეცნობადობაა, რომელიც მან გაიარა, ახლაც გადის და მომავალშიც უნდა იაროს.

მისივე სიტყვებით:

ჩვენ წავალთ უფრო შორს, შორს
და აღვმართავთ სადღაც დროშას.

დიახ, ვისაც სნამს, სჯერა, აღისრულებს კიდეც!..



გურამ ქუთათელაძე ნატურმორტი, 1978 წ.

ეკა
გუნთაიშვილი

ფერთა საკითხი გია ბუღაძის თეორიულ ნააზრევში

მხატვარი ოთარ ჩხარტიშვილი ფიროსმანსა და დავით კაკაბაძეს უწოდებს ორ მძლავრ ფესვს, „რომელზეც აღმოცენდა ახალი მხატვრული აზროვნება ქართულ ხელოვნებაში".

ამ აზროვნების ნოყიერ ნიადაგზე გაიშალა მომდევნო თაობების ქართველ მხატვართა შემოქმედება, რომლებიც წარსული საუკუნის მხატვრებისგან ძირითადად იმით განსხვავდებიან, რომ წინათ შემოქმედებითს პროცესში უმთავრესი ადგილი ეჭირა გრძნობიერებას, ახლა კი ამ ადგილს იკავებს აზროვნება.

დღეს, მართვადი სისტემიდან თვითმართვად, თავისუფალ არტბიზნესისა და არტპროცესების სისტემაზე გადასვლის ეტაპზე, უდიდესი მნიშვნელობა შეიძინა ხელოვნებაში მიმდინარე პროცესების გაანალიზებამ, მოსალოდნელი ტენდენციების განსაზღვრამ. „პირადად ჩემთვის, — ამბობს მხატვარი გია ბუღაძე, — ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო თანამედროვე მხატვრობის შესახებ გამოკვლევებისა და ესთეტიკის კითხვა-დამუშავება. ხელოვნების სოციოლოგიის პრობლემებს რამდენიმე წელია შეძლებისდაგვარად ვსწავლობ და ვცდილობ, განვსაზღვრო ხელოვნების საზოგადოებრივი დანიშნულების პარამეტრები, მისი სოციალური ორიენტაცია. ამასთან ვცდილობ ეს საკითხი პროფესიულ დონეზე შევისწავლო", — ე.ი. უკვე აღიარებული მხატვარი-მკვლევარი გია ბუღაძე კვლავ რჩება მოსწავლის მდგომარეობაში, რომელიც მასწავლებელს დაეძებს...

გია ბუღაძე თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში ამკვიდრებს გათლებული მხატვრის იმიჯს. მისი წერილები ხელოვნების თეორიისა და პრაქტიკის საკითხებზე ხშირად იბეჭდება ჟურნალ-გაზეთებში. გამომცემლობა „კალთამ" 1994 წელს დასტამბა მისი თეორიული შრომების პირველი არასრული კრებული, ხოლო 2000 წელს — მეორე კრებული.

გია ბუღაძეს საკუთარი თვალსაზრისი აქვს ქართული მხატვრობის, და არამარტო ქართული მხატვრობის, ყველა მნიშვნელოვან, ზოგჯერ კი ერთი შეხედვით უმნიშვნელო საკითხებზეც. მაგრამ აქვს მას მას გამორჩეული თემებიც და ერთ-ერთი მათგანია საღებავი, ანუ ფერი, რომელიც მხატვრისთვის ერთობ დიდ მნიშვნელობას იძენს.

მხატვრის თეორიულ ნააზრევში ყველაზე თვალსაჩინო ადგილი

სწორედ ფერის საკითხს უკავია.

მისი ინტერესების წრე მოიცავს ფერისადმი სხვადასხვა დროის მოღვაწეთა დამოკიდებულებას, ნიუტონისა და გოეთეს სპექტრულ თეორიებს, რუსული ავანგარდის ბელადების — ვასილ კანდინსკისა და კ. მალევიჩის შეხედულებებს ფერით აზროვნებაზე.

გია ბუღაძის, როგორც მკვლევარის, ხელოვნების თეორეტიკოსის აზროვნების სიღრმე ყველაზე მეტად გამოჩნდა ფერთა საკითხებისადმი მიძღვნილ წერილებში, ცალკეულ გამონათქვამებსა და მოსაზრებებში. ფერთა საკითხს მხატვარმა მიუძღვნა სპეციალური წერილები: „რამდენიმე მოსაზრება გოეთეს „ფერთა თეორიის" პრაქტიკული გამოყენებისათვის მხატვრობაში", „რამდენიმე სიტყვა ფერთა შესახებ". „ფერი და ობიექტური რეალობა".

ნაშრომში გოეთეს ფერთა თეორიაზე ავტორმა აღწერა ამ თეორიის ძირითადი ხასიათი და, რაც მთავარია, მისი პრაქტიკული გამოყენების საშუალებები დასახა „გოეთეს აზროვნების მეთოდის სამყაროში მცირე ექსკურსის" შედეგად. უპირველეს ყოვლისა, ყურადღება გაამახვილა ფერთა ურთიერთდამოკიდებულების მორალურ მხარეზე და იმაზე, რომ ნებისმიერ ძირითად ფერზე ნებისმიერი ცდა ავლენს ფერებს შორის მორალურ დამოკიდებულებას.

გოეთეს თეორიის მიხედვით გია ბუღაძე აყალიბებს შკალას, რომელზეც ნათლად ჩანს ფერთა მეტამორფოზების, ერთმანეთზე ურთიერთქმედების, გარდაქმნისა და ერთმანეთის დაბადების უნარი. ამ შკალაზე ათვლის ძირითად წერტილად გამოყენებულია აბსოლუტური სიბნელე — შავი ფერი, რომელშიც იწყება მოძრაობა სინათლისკენ — თეთრისკენ — არა გაღიავების, არამედ მისი გაცოცხლებული მგრძნობელობის მეშვეობით.

ამ შკალის მიხედვით ფერებს შესწევთ უნარი, არა მარტო გამოიწვიონ ერთმანეთი, არამედ ყოველ აუცილებელ შემთხვევაში გამოიცვალონ კიდეც, გასწიონ ერთმანეთის მაგივრობა გარკვეულ ფერადოვან სიტუაციაში.

ავტორის კომენტარებიდან ჩანს, რომ ის კვლავ აპირებს, დაუბრუნდეს ამ საკითხს, რადგან მისთვის ჩვეული უკმარისობის გრძნობით ხედავს, რომ ამ შკალაზე ყველაფერი დადგენილი არ არის და ფერთა მეტყველების ისეთი რთული საკითხები, როგორიც არის ტონი, ყლერადობა, გამა, ცალკე მსჯელობისა და განხილვის საგნად უნდა იქცეს.

ფერთა კვლევა მხატვარს მიაჩნია მთელი ცხოვრების აზრად და დანიშნულებადაც კი და დარწმუნებულია, რომ ყოველ მომენტში შესაძლებელია, ახალი შტრიხი შეემატოს მის გამოცდილებას ფერთა მეტყველების კვლევის პროცესში.

ორი ფერი — წითელისა და ლურჯის არსისა და არსების გარკვევას ეძღვნება გია ბუღაძის ნარკვევი „რამდენიმე სიტყვა ფერთა შესახებ".

წითელი ფერის მითოლოგიზირება საყოველთაოდ ცნობილია. ქართველი მხატვრის დაკვირვებით, წითელი არის ნათელის გამოყონვა ბნელში. წითელს ქმნის სიბნელის დაძლევის შედეგად სიღრმიდან გამოწვეული ფერადოვანი ყლერადობა. წითელი ფერი, მხატვრის დახასიათებით, არის „სინათლის დრამატული თავგადასავალი სიბნელიდან თავის დაღწევის პერიპეტიებსა და ჭიდილში".

წითელ ფერს უყვარს საზღვარი და თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმს შემოსაზღვრის პათოსში ამყლავნებს.

ლურჯს იგი განიხილავს რამდენადმე სხვა განზომილებაში, ვიდრე მ. კანდინსკი. გია ბუღაძისთვის ლურჯი დაშორების ფერია, საზღვრების წაშლის, უსაზღვრობის ფერია. ამ მხრივ ეს ფერი სრული ანტიპოდია წითელისა.

ლურჯი ფერი სინათლის სწრაფვაა გაქრობისკენ. წითელი სინათლეს შინაგანად ატარებს, ლურჯი თვით საჭიროებს სინათლეს და შთანთქავს მას.

ფერების სიმბოლიკაზე, შინაგანი ცხოვრების კანონზომიერებასა და პრინციპებზე დაკვირვების საფუძველზე შეიქმნა მხატვრის ნარკვევი „დროშა და მისი ფერი". მასში მიმოხილულია ქართული დროშები მხატვრულ-ფერადოვანი და კომპოზიციური თვალსაზრისით. გია ბუღაძეს მიაჩნია, რომ „დროშაც და ატრიბუტიკაც ცოცხალი გარემოა, ისევე იცვლება, როგორც ბუნება, ადამიანი". ქართულ დროშებს შორის ყველაზე მეტად მოსწონს ე.წ. გორგასლიანი დროშის შემორჩენილი ვარიანტი. ეს დროშა, მკვლევრის აზრით, გამოხატავს გორგასლისეულ იმპულსს, რაზეც ლაპარაკია „ქართლის ცხოვრებაში".

ფერის საკითხს, ოღონდ სხვა კონტექსტში კვლავ დაუბრუნდა მკვლევარი წერილში „ფერი და ობიექტური რეალობა". აქ ავტორი მსჯელობს ფოტოსა და, საერთოდ, ელექტროგამოსახულებაზე, რაიც დღეს განსაკუთრებულ ადგილს იკავებს სახვითობის სფეროში, მაგრამ, შენიშნავს მკვლევარი, „ფოტოგრაფიაში, კინემატოგრაფიასა და ელექტრონულ ტექნოლოგიებში მაინც არის ერთი გადაულახავი რამ და ეს გახლავთ ფერი". ფერადი ფოტო ვერ მოვა მონუმენტურ ფერნერასთან. ამ წერილით მკვლევარი შეეცადა ფერნერული ხელოვნებისა და ფერის, როგორც დამოუკიდებელი ფენომენის, დაცვას.

მზევინარ ძირკვაძე

ზურაბ გორგილაძე ქართულ კრიტიკაში

ზურაბ გორგილაძე ქართული პოეზიის ერეკლე არენაზე ხმადა აზრგანაფფული, მტკიცე ნაბიჯით შემოვიდა და თან მოიტანა თემატური სიუხვით გამორჩეული ლექსები, კრებულები...

ცხადია, ნიჭიერი პოეტის უზადო, ძარღვიანი სიტყვით შექმნილი პოეტური ქმნილებები მკითხველის ინტერესის მიღმა არ დარჩენილა და იმთავითვე, პირველი კრებულის გამოსვლისთანავე, მიიქცია ფართო საზოგადოების ყურადღება. პირველი კრებული „ნედლი სალამური" 1961 წელს დაიბეჭდა და მისი ღირსებნა-ნაკლოვანებების შეფასებამაც არ დაიგვიანა. და ასე გაგრძელდა თითქმის ბოლომდე — ზურაბ გორგილაძის ყოველ ახალ პუბლიკაციას თუ კრებულს ყოველთვის მოსდევდა სათანადო გამოხმაურებები.

ზურაბ გორგილაძის ფენომენი, გამორჩეული ღვთიური ნიჭი უდავოა და ეს მკითხველმა საზოგადოებამ იმთავითვე აღიარა. როგორ მოვიდა ბატონი ზურაბი პოეზიაში? კითხვის პასუხად მისსავე სიტყვებს შეგახსენებთ: „გავიხსენებ ოცდაათი წლის წინანდელ შემთხვევას. ბათუმში, თეატრში დიდი ლიტერატურული საღამო ჩაგარდა (1960 წ.), მეც მქონდა ბედნიერება, საღამოში მონაწილეობა მიმეღო. საღამოში მონაწილეობდა მაშინდელი ქართული მწერლობის ყველა წარმომადგენელი. მე წავიკითხე ჩემი „სულხან-საბა". გაკეკანილრდები და ვიტყვი, წარმატება უდავო იყო. ტაშს მიკრავდა და მიხუტებდა ქართული მწერლობის ნაღები: ი. აბაშიძე, ბ. ჟღენტი, დ. შენგელაია და სხვები. მგონი მაშინ მაღიარეს, მაშინ მოვედი" (ზ. გორგილაძე, ინტერვიუ რადიოკომიტეტთან, პირადი არქივი).

სრულიად ახალგაზრდა, მაგრამ ნიჭიერი პოეტის, პერსპექტიული მომავლის მქონე შემოქმედის აღიარებას მოწმობს სხვა მასალებიც. პროფ. ი. ბიბილეიშვილი წერილში „სიტყვის ოსტატი" მოგონების სახით გადმოგვცემს ცნობას, რომ ზემოთ აღნიშნულ პერიოდში, ზ. გორგილაძის, როგორც ნიჭიერი პოეტის აღიარება, ხაზგასმითაა აღნიშნა „კლასიკური მხატვრული ლიტერატურის წარმომადგენელმა, მწერალმა, დ. შენგელაიამ" (ი. ბიბილეიშვილი, „სიტყვის ოსტატი", გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1997 წ., №136, 14.06.). იდენტურ ცნობას გვაწვდის აღნიშნულის შესახებ ნ. ჩხარტიშვილი, წერილში „ზეხვედრა პოეტთან": „1966 წელს ბათუმში ჩამოსულმა ცნობილმა მწერალმა დ. შენგელაიამ „ლიტერატურულ საქართველოში" აღნიშნა: „ბათუმში გაეცანი პოეტ ზ. გორგილაძის ლექსებს. ეს ახალგაზრდა ჩემთვის ნამდვილი აღმოჩენა იყო (ნ. ჩხარტიშვილი, „ზეხვედრა პოეტთან", გაზ. „აჭარა", 2002 წ. №230, 28.11. გვ. 8).

გრ. შარაშიძე რეცენზიაში „ნედლი სალამური" (1961 წ.), განიხილავს ზ. გორგილაძის პირველ, ამავე სახელწოდების კრებულში დაბეჭდილ ლექსებს და შექებასთან ერთად რამდენიმე საგულისხმო შენიშვნასაც აძლევს ახალგაზრდა შემოქმედს: „ზ. გორგილაძის ამ პატარა კრებულმა არ შეიძლება არ დაინტერესოს მკითხველი... ავტორის შემოქმედება მართლაც რომ ნედლ სალამურს ნაგაგზავ, რომელის ხმა სულ ახლახან გაისმა... მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მას აქვს ზოგიერთი ნაკლოვანება. გვხვდება ნაჩქარევი და ნაძალადევი სტრიქონები, მხატვრულად სუსტი ადგილები, ზოგი ლექსი გაჭიანურებული, რიტორიკაში გადადის. ახალგაზრდა ავტორმა მეტი უნდა იმუშაოს ლექსზე, აზრი უფრო ნათელი უნდა იყოს, რადგან დიდი პოეზია სწორედ დიდ სინათლეშია (გრ. შარაშიძე, „ნედლი სალამური", გაზ. „საბჭოთა აჭარა", 1961 წ. 25.06). ვფიქრობთ, ეს მართებული შენიშვნაა, მაგრამ აქვე უნდა დავძინოთ, რომ გრ. შარაშიძე ზოგიერთი ლექსის განხილვისას (მაგ. „ჩემო თაობავ!") აღნიშნავს, თითქოს პოეტი იყენებს „ბუნდოვან გამოთქმებს", თუმცა ლექსის წაკითხვისას მსგავსი სურათი არ იხატება და, ამდენად, გრ. შარაშიძის კრიტიკულ აზრს ბოლომდე ვერ გავიზიარებთ, ეიტყვით მხოლოდ: ის ფაქტი, რომ ახალგაზრდა პოეტის პირველივე კრებულმა ინტერესი გამოიწვია და აზრთა სხვადასხვაობა, მნიშვნელოვანია და საინტერესო.

კრიტიკოსი შ. ქურციძე წერილში „ახალგაზრდა პოეტის კრებული" მიმოიხილავს 1963 წელს გამოცემულ ზურაბ გორგილაძის კრებულში „დიდი თვალები" დაბეჭდილ ლექსებს და ნათლად წარმოგვიჩენს მათ ღირსება-ნაკლოვანებებს: „...მან კარგად იცის ნამდვილი პოეზიის საიდუმლო, ყოველი ხმა იმდენად იქცევს ყურადღებას, რამდენადაც თავისთავადია, ე.ი. გამოირჩევა სხვა ხმებისგან და არ ბაძავს, არ იმეორებს მათ. იგი ცდილობს მიაგნოს ხედვის, შემეცნების საკუთარ კუთხეს, გამოიჩინოს თემისადმი თავისებური დამოკიდებულება" (შ. ქურციძე, „ახალგაზრდა პოეტის კრებული", გაზ. „საბჭოთა აჭარა, 1963 წ., 15.12.).

აღნიშნული ციტატიდან ჩვენთვის თვალსათლივი ხდება, რომ პოეტი თამამად მიმართავს ექსპერიმენტს, ძიებას, რომ იგი გატკეპნილი გზებით კი არ აპირებს სვლას, არამედ ეძიებს საკუთარ სათქმელს. ზურაბ გორგილაძე პოეტურ პარნასზე იმ პერიოდში გამოჩნდა, როცა საბჭოურ სისტემაში უკვე შეინიშნება პოლიტიკური ლიბერალიზმის ნიშნები, რამაც ასახვა პოეტლიტერატურაში და რისი ერთგვარი დამსახურებაც იყო ის, რომ ტრუბადურულ-ხუთწლედურ-გეგმიური არგასტებისგან თავი იხსნა მხატვრულმა სიტყვამ და „სამოციანელების", ანუ ცისკრელების შემოქმედებაში შედარებით თავისუფლად ამოისუნთქა. ცისკრელთა გუნდში ზურაბ გორგილაძეც მოიაზრებოდა თავისი მეამბოხე პოეზიით. მან ხმა სწორედ მაშინ, კომუნისტურ ეპოქაში განაცხადა თამამად, „ქმარა, ბოგინა ბრმათა და უგუნურთა"; მისი პოეტური ხმა ნათლად აკვეთებოდა სხვა ცისკრელთა ხმებთან ერთად. ა. ვასაძე წიგნში „პოეზიის პრინციპები" აღნიშნავს: „...60-იანელთა დასმა... ო. ჭილაძის, შ. ნინშნინიძის, ფრ. ხალვაშის, ჯ. ჩარკვიანის, თ. ჭილაძის, ზ. ბოლქვაძის, ე. კვიტაიშვილის, ტ. ჭანტფურიას, ნ. ჯაღაღონიას, გ. კალანდიას, რ. ამაშუკელის, ზ. გორგილაძის... და სხვათა სახით განახლებული ლიტერატურული ცხოვრების ატმოსფეროს შექმნაში გადამწყვეტი როლი ითამაშეს თავიანთი დამოუკიდებელი სწრაფვებითა და ძიებებით, ანტებური მხატვრული იდეალებით" (ა. ვასაძე, „პოეზიის პრინციპები", გამომც. „საბჭოთა საქართველო", თბ., 1978 წ. გვ. 455).

დროთა განმავლობაში ზურაბ გორგილაძე, როგორც შემოქმედი, თანდათან იხვენება, მისი საოქმელი უფრო ტევადი, მრავალფაროვანი, თემატურად უხვი, სინტეტიკური და შთამბეჭდავი ხდება. ყოველ ახალ კრებულში თითქოს სულ ახალ-ახალი სიო ქრის, თითოეულ ლექსში უფრო და უფრო ნათლად იკვეთება აზრის ცინცხალი დახვეწილი მდინარება, მიზნადასახულობა, ეროვნულ-პატრიოტული ვზნებით გაჯერებული მისწრაფებები. „ზურაბ გორგილაძემ თავისი ლექსით გაამდიდრა ქართული პოეზია და შემოქმედებაში თავის აფსოლუტს მიაღწია. ეს სიტყვა უმაღლესი ხელოვნების დაუფლებას ნიშნავს ტორეადორისაოთვის. შენც, ჩემო ძმაო, ნაბიჯ-ნაბიჯ, მისხალ-მისხალ კენკადი

ხალხურ მარგალიტებს და ასე მიხვედი შენს აფისონამდე", — განაცხადა მწერალმა გურამ ფანჯიკიძემ ზურაბ გორგილაძის საიუბილეო საღამოზე და ამით, კიდევ ერთხელ გამოკვეთა დროსთან, კაცთან, ნუთისოფელთან მუდამ მოპაექრე პოეტის მაღალსულიერება, მაღალქართული ნათქვამის მნიშვნელობა და ეროვნულ-პოეტური სიმაღლე. პარალელურად, იგივე ზურაბ გორგილაძის ხმამაღლებულ გამოსვლას პოეტურ სარბიელზე „ნითელი ელიტა" უკმაყოფილო ჩურჩულით შეხვდა, კერძოდ, პოეტ ს. ბერიძის აზრით: „დოგმებით დაკომპლექსებული რიგი ლიტერატურული წრეები და, ეგრეთნოდებული „ნითელი ელიტა" ზ. გორგილაძის გამორჩნის კულისებს მიღმა აბეხილი ფაცივფუცითა და არგამხელილი ჩოჩქოლით შეხვდა. იგი ოფიციოზისთვის, როგორც მოურჯულებელი ვიინის სულიერი ძმა, ყველაზე თავხედი და ყველაზე სანდალური პოეტი იყო. საინტერესო კი ის უფრო გახლდათ, რომ კბინეტებიდან სახლში მობრუნებულები თავიანთი ბავშვებისაგან სიამოვნებით ისმენდნენ ზეპირად ნაკითხულ „ოჰო ნანას" (ს. ბერიძე, „უნაპირო ხილვები", გამომც. „აჭარა", ბათ. 1999 წ., გვ. 31).

ზურაბ გორგილაძის პოეტური სიტყვის ძალის ხილრმე და რეგისტრი, თუმცა ათნლეულების ნინათ უკვე ნათლად გამოკვეთა, გამოხმაურებაც მოჰყვა, მაგრამ იმ დონის აღიარება, რასაც იმსახურებდა, 90-იან ნლებამდე დაუგვიანდა; ზურაბ გორგილაძემ იცის დიდების, მოლოდინის, დუმილის, აღიარების ფასიც, დანიშნულებაც და სილრმეც. ამიტომ სულით არასდროს დაცემულა და მისი ყველა სიტყვა უაღრესი ოპტიმიზმით ხასიათდება.

რაც შეეხება ზურაბ გორგილაძის, როგორც საკუთარი ხმის მქონე პოეტის საჭირო ფარგლებში აღიარების საკითხს, ა. დიასამიძე ლიტერატურულ წერილში „ზ. გორგილაძის ხატმამეული" — გულისსაკვლილთ წერს: „ზ. გორგილაძე ერთი ბრდღვიალა, ხალასი ნიჭით დაყურსული პოეტია. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ აღიარება რატომღაც გვიან მოვიდა. და ალბათ ეს იმიტომ, რომ მას ზოგ-ზოგებივით არ უმტკრეივია დედაქალაქის ჟურნალ-გაზეთების რედაქციათა კარი, გინდათ თუ არა, ლექსები დამიბეჭდეთო..." (ა. დიასამიძე, „ზ. გორგილაძის ხატმამეული", გაზ. „აჭარა", 1993 წ.).

ამ თვალსაზრისით საინტერესოა, აგრეთვე, ს. ბერიძის აზრი: „ეპრიფანიაში მოღვაწეობამ გარკვეული დროით დაუგვიანა ზ. გორგილაძეს ის კუთვნილი შარავანდედი და აღიარება, რომელსაც მნი ლიტერატურული მემკვიდრეობა იმსახურებს. ამ მხრივ ბრალი უფრო მეტად დღემდე მოუწესრიგებელ ლიტერატურული ცხოვრებას და ამგვარი ცხოვრების მოწინავეთა რიგებში ხელმძღვანელად ხელდასმულ მობორიალე მაკანს მიუძღვის, რომელსაც ღირსეულთა სავალ გზაზე, შურისგების გამო, ხელოვნური საფარველის გადაფენა ხელენიფებოდა. ჭეშმარიტ პოეტს კი, შინაკანი დიდი ბუნებიდან გამომდინარე, ყოველთვის ეუხერხულებოდა რედაქციებისა და გამომცემლობების კიბეების ატალახება ან შავტყავგადაკრული კარების მტვრეკა. სწორედ ამგვარი ხელოვნური ბარიერების აღმართვით იყო გამოწვეული მწარე განცდის შინაგანმა ნუხილმა, გულახდილობამ და სინრფელემ რომ თქმევინა პოეტს: „საქართველოში ისე ვბერდები, რომ თბილისს ლექსი ვერ ნავუკითხე" (ს. ბერიძე, „უნაპირო ხილვები", გამომც. „აჭარა", ბათ., 1999 წ., გვ. 31).

ასეა თუ ისე, მიზეზი აღიარების დაგვიანებისა სუბიექტურია თუ ობიექტური, საერთო ჯამში გაუმართლებელია და ხაზგასმით უნდა აღენიშნოთ, რომ, მართალია, ბოლო ათნლეულში, მას შემდეგ, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, ზურაბ გორგილაძის ხმაც უფრო შორს გაისმა და უფრო ნათლად წარმოჩნდა მისი პოეტური სიმაღლე, რეგისტრი და დანიშულება; და მაინც, თავს იჩენს უკმარისობის გრძნობა, რამეთუ კვლაცაც არსებობს მეტად მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც მოითხოვს აბსოლუტურ ყურადღებას, კერძოდ, ზ. გორგილაძის შემოქმედების შესახებ ვრცელი, ამომწურავი კრიტიკული მასალა არ არსებობს, თუმცა მისი შემოქმედება აუცილებლად საჭიროებს სათანადოდ შესნავლას, ფართოდ განჩხრეკას. იმდენად, რამდენადაც, მთელი მისი პოეზიის შემადგენელი თემატიკური მრავალფეროვნება აქტუალურია, შესაბამისად აქტუალურია მისი კრიტიკული თვალსაზრისით შესნავლის საკითხიც. სამართლიანად აღნიშნავს პროფ. ი. ბიბილეიშვილი: „ლიტერატურული კრიტიკა ვალშია ზ. გორგილაძის პოეზიის წინაშე. იგი თავის მკვლევარსა და კრიტიკოსს ელოდება, ვინც თვალსაჩინოს გახდის იმ ორგანულურ წვლილს, რაც ზურაბ გორგილაძეს მიუძღვის თანამედროვე, ქართული ლექსის სრულყოფისა და პოეტური აზროვნების განვითარებაში" (ი. ბიბილეიშვილი, „სიტყვის ოსტატი", გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1997 წ., №136, 14.06.).

ნამრომზე მუშაობისას გულდასმით გავეცანი ქართული ჟურნალ-გაზეთების, კერძოდ, ჟურნალების „ცისკარი", „მნათობი", „განთიადი", „კრიტიკა" სხვადასხვა წლების ნომრებში დაბეჭდილ მასალებს (მხატვრული თუ კრიტიკულს). სამწუხაროდ, თითქმის ვერც ერთში ვერ მოვიძიე აჭარაში მოღვაწე შემოქმედთა შესახებ გამოქვეყნებული მასალები. გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს ა. ნიკოლეიშვილის წერილი, გამოქვეყნებული 1978 წლის ჟურნალ „განთიადის" 4-ში, სადაც ვკითხულობთ: „ალბათ არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ ქართველს ბუნდოვანნი წარმოდგენა აქვს იმ ცოცხალ ლიტერატურულ პროცესზე, რაც დღესდღეობით მიმდინარეობს აჭარაში. ჭორფლი აქვეყნებს აქაურ მწერალთა ნანარმოებებს. გამომცემლობა სტამბავს მათ ნიგნებს, მაგრამ ვერც ჟურნალი და ვერც ნიგნები ვერა და ვერ გამოცდა აჭარის ფარგლებს, ვერა და ვერ გამოვიდა ჩოლოქს გამოღმა. ამან, ჩემი აზრით, პრინციპულად უარყოფითი როლი ითამაშა აქაური ლიტერატურული ცხოვრების განვითარებისა და აღმავლობის საქმეში (ა. ნიკოლეიშვილი, ჟურნ. „განთიადი", 1978 წ., №4, გვ. 173). ეს გულსატკენი, თუმცა მართებული სიტყვები ათნლეულების წინათ ითქვა. მას შემდგომ ბევრი დრო გავიდა, მაგრამ რეალური სურათი მაინც არ შეცვლილა. პერიფერია და დედაქალაქი ამ კუთხით ისევ შორი-შორს დგანან. არადა, ერთ „ფუძეზე", ერთ „ყავარს" ქვეშ მცხოვრები ერის წარმომადგენელთა შორის ამგვარი შინაგანად შორი-შორს ყოფნის გამარილება ერთობ ძნელია — როდის უნდა გადაწყდეს ეს პრობლემა?

ჩვენი აზრით, ზურაბ გორგილაძის შემოქმედ.ების შესახებ კრიტიკული, მონოგრაფიული ნაშრომის დღემდე არარსებობის მიზეზი „ბუნდოვან წარმოდგენაში" ან ამოუცნობ ნაკლებ დაინტერესებაში უნდა ვეძიოთ.

მხატვრულ სახეთა სიუხვე, სინატიფე, სიცხადე მკვეთრად გამოარჩევს ზურაბ გორგილაძის პოეზიას. მისი სახით დღეს ქართულ მწერლობას ერთ-ერთი საინტერესო, გაუუბრაზავი ხმის პოეტი ჰყავს. ლექსები: „ოჰო ნანა", „სულხან-საბა", „სიტყვავ-ბატონო!", „უმდერებელი მუხამბაზი", „ორი რუსთაველი", „მკვდრების საუკუნე", „ბედნიერი ერი", „ჭადრაკი", „სიბერის ლექსი", „მეთევზე ბიჭის ბალაღა" და ბევრი სხვა ყურადღებას იპყრობს მკვეთრი ინდივიდუალობით, ნატიფი ვერსიფიკაციული ფორმებით, გულნრფელობით, სისადავით. მის შემოქმედებაში გაცოცხლებული და ხორცშესმული ჩვენი ნარსული და მყეალვარე, კატაკლიზმებით აღსავსე თანამედროვეობა.

ზურაბ გორგილაძის პოეზია თავის მნიშვნელობას, სიხასხასესს, ბუნებრიობას, ლაზათსა და ხიბლს არასოდეს დაკარგავს, და ეს იმიტომ, რომ იგი ქართული ლიტერატურის ისტორიის ის ძვირფასი შენაკადია, რომელიც პირველი ლექსის გამოსვლის დღიდან დღემდე მამულის ხატებისადმი სიყვარულით არის გაჯერებული. მის პოეტურ, სულიერ ხილვებთან მიახლოება და მათი შეფასება, მათზე ნათქვამი მართალი სიტყვა ქართული ლიტერატურის დღევანდელ დღეს და მომავალს: წაადგება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურამ ქუთათელაძე

სერიიდან „ფიროსმანი“, 1977



ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალწინ მიდგას მაღალი, ხმელ-ხმელი ფიგურა, ვეებერთელა შეშფოთებული ლურჯი თვალებით, ნერვული, ნატიფი თითები, მემოქმედის ხელები, რომლებიც გრძნობენ ყველაფერს ფურცლის ხაოვერდოენებასაც და იმორჩილებენ უხეში ტილოს ხაოიანობასაც. — **გურამ ქუთათელაძის** გამჭვირვალე, ბოლისფრად დანისლულ ტილოებზე ვხედავთ გაზაფხულს, ხარნიჯოვან და მენამულ შემოდგომას, ისფერ და ლურჯ ფრთებს, ხასხასა ბალახზე რომ მიკურავენ — ვხედავთ ალალ გულისთქმას და გულისძგერას, საალაოს რომ ეხმაურება.

დინარა ნოდია

დაუდგრომელი ტემპერამენტი, დაუოკებული სიფიცხე, ზედმიწევნით მართალი ინტუიცია და სათუთი, ჭეშმარიტი მხატვრის გრძნობები **ხიტა ქუთათელაძის** სულიერ სამყაროში ერთმანეთს ეფიდებოდა. ლოკატორივით იჭერდა უფაქიზეს რხევებს, ზოგისთვის შეუმჩნეველს, ამიტომაც მუდამ დამუხტული იყო ბუნებაში თუ ცხოვრებაში არსებული ნიუანსების ალქმით.

მერაბ ბერძენიშვილი

ხიტა... რამდენ გრძნობას, მოგონებას, ასოციაციას და სახეს იწვევს ეს სახელი: ნაზი, ფაქიზი, ტკივილისა და უბედურების ნინიაე შემკრთალი, მეგობრობაში თავდადებული, გამტანი, ალალი... იგი სიმბოლოა ჩვენი მხიარული, სიხარულითა და სიყვარულით აღსავსე გაფრენილი ახალგაზრდობის. მაგონდება (რა სავალალოა ეს სიტყვა) თვალახეთებული, მგზნებარე, მუდამ ათასგვარი ემოციით დამუხტული ბიჭი, რომლის სიცოცხლის არსი იყო გრძნობა, ცხოვრებისეული კრედო კი სიკეთე და სიყვარული.

ლიზა ბაგრატიონი